

ISSN 0206-2100

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
ବିଭାଗ

୧୯୮୦
୧୯୮୫

ମାନୋଦୟମ
ବ୍ୟାକିତତମ ଚାରିଲେଖନମ

VI

«ମୁଦ୍ରଣକାରୀ»



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
იმ. ჭავახელიშვილის სახ. ისტორიის, არქოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



ქართული წყაროთაცოდნეობა

VI



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1985

14

„ქართული შუალომცოდნეობის“ მოჩიგ, VI ქრებულ-
ში ტრადიციისმებრ ქვეყნდება ძველი და შუა საუკუნე-
ების საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური
(არაბული, სპარსული, სომხური, თურქული) შუალოების
შესწავლის შედეგები.

სათანადო აღგილი აქვს დათმობილი შუალომცოდ-
ნეობის ზოგადთეორიულ პრობლემებს.

ქრებულში ქვეყნდება აგრეთვე რამდენიმე უცნო-
ბი დოკუმენტი.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი მ კ ო ლ ე გ ი ა

მ. პ ი რ ძ ნ ი შ გ ი ლ ი, რ. კ ი დ ნ ა კ მ, ბ. ს ი ლ ა ბ ა კ მ, თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ გ ი ლ ი

გიული ალასაძია

შართული საისტორიო ფერილოგითი წყაროების
კლასიფიკაციის საკითხები

საისტორიო წყაროების დიფერენციაციის საჭიროებას იწვევს მათი მრავალფეროვნება და თვით წყაროს ცნების სტრუქტურა. წყაროთმცოდნეობის მეცნიერების ისტორია მოწმობს, ერთი მხრივ, კლასიფიკაციის აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პრობლემის გადაჭრის სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ წყაროთმცოდნეობითი გამოცდილება ადასტურებს წყაროთა კლასიფიკაციის ფაქტებს, არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი მისი დანიშნულების შესახებ. წყაროთა კლასიფიკაცია არის როგორც წინასწარი საშუალება, ასევე ლოგიკური შედეგიც. სრული კლასიფიკაცია აადგილებს წყაროთა სტრუქტურულ ანალიზს. და — პირიქით. რაც უფრო ღრმად და სრულად არის შესწავლილი საისტორიო წყაროები, მით უფრო ზუსტია მათი კლასიფიკაცია. მკვლევართა ნაწილი არ განსხვავებს ერთმანეთისაგან ტერმინებს „სისტემატიზაცია“, „დაჯუფება“, „კლასიფიკაცია“, სხვები კი მიჩნავენ მათ ერთმანეთისაგან, თუმცა განსხვავებულ საფუძვლებზე¹. ვინაიდან წყაროთა კლასიფიკაცია წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა, რომელიც ქრონოლოგიურადაც ერთ-ერთი პირველი აღმოცენდება, ვითარდება და აღნიშნული დარგის სხვა პრობლემებთან კავშირში არა მარტო განიცდის მათ გავლენას, არამედ თვითონ ხდება ხშირად წარმმართველი, მიზანშეწონილია მისი განხილვა დინამიკაში.

ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპისათვის თავისი კლასიფიკაციაა დამახსიათებელი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია წერილობითი წყაროების კლასიფიკაციის პრობლემა, რომელსაც თავისი ისტორიოგრაფია აქვს, მაგრამ ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ისტორიოგრაფიის ამომწურავი შესწავლა. აქ მოტანილი მასალა თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ზოგიერთი ტერმინოლოგიური შეუთანხმებლობისა თუ საკმათო შეხედულებათა განმარტების ცდაა და ქართულ საისტორიო წერილობით წყაროთა მეცნიერული კლასიფიკაციის ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო.

წერილობით წყაროთა კლასიფიკაციის ისტორიოგრაფიის კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს: ერთი მხრივ, თეორიული სფეროს, ხოლო მეორე მხრივ, რეალური ვითარების გათვალისწინებით. ერთ-ერთი ძირითადი და მარად საკამათოდ ქცეული საკითხი ამ პრობლემის გადაჭრისას არის ის, თუ რა პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად წერილობითი

¹ Л. Н. Пушкин. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 230—242; В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. М., 1983, с. 189—192.



წყაროების კლასიფიკაციას. ამ საკითხზე პასუხის გასაცემად პირველ ოგში უნდა გაირკვეს, რა ფუნქციას ასრულებდა ესა თუ ის ძეგლი თანამედროვე-თათვის. ეს იმიტომ არის აუცილებელი, რომ ადრინდელი დანიშნულება წმი-რად არ შეესაბამება შემდგომ პერიოდში შემუშავებულ ლიტერატურულ-თეორიულ ნორმებს და მკვლევარს მართებს მათი ურთიერთშეთანხმება. ის, რაც თანამედროვეთათვის ჩამდენიმე ფუნქციას ერთდროულად ასრულებს, მოგვიანებით შეიძლება საისტორიო, ან — პირიქით, მხატვრული ლიტერატუ-რის კუთვნილებად განიხილებოდეს. ამავე დროს, რაღაც კველა წერილობი-თი ძეგლი მომდევნო თაობებისათვის საისტორიო წყაროა, ჩნდება ცნებების „საისტორიო წყაროს“ და „საისტორიო მუჟერლობის“ ურთიერთშეფარდების აუცილებლობა. რა თქმა უნდა, განვითარების არც ერთ საფეხურზე ძეგლის ფუნქცია არ განისაზღვრება რაღაც ერთი ნიშნით: წყაროები, ჩვეულებრივ, მრავალფუნქციურია. ასეთ ვითარებაში კლასიფიკაციის საფუძვლად ძეგლის ძირითადი სოციალური ფუნქცია მიიღება². მაგრამ, რაღაც ასეთი ძირითადი ნიშანიც შეიძლება არა ერთი იყოს³, კლასიფიკაციაც თითქოს ობიექტურობას კარგავ და მკვლევრის მიზნებზე ხდება დამოკიდებული. ის, რაც შემ-თხვევაში, ერთი მკვლევრის თვალში მთავარი ჩანს, სხვისთვის შეიძლება მეო-რეხარისხოვანი გახდეს და ა. შ. მკვლევართა უმრავლესობა კლასიფიკაციისად-მი ასეთი ნებისმიერი დამოკიდებულების წინააღმდეგია. ამავე დროს, თუ წყაროთა ტიპებად (წერილობითი, ნივთიერი, ზეპირი, ეთნოგრაფიული, ენას მონაცემები, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტები) ან გვარებად (დოკუმენტური და თხრობითი) დაყოფა ნაკლებად იწვევს კამათს, დიდ წინააღმდეგობასა და აზრთა სხვადასხვაობას აწყდება წერილობით წყაროთა სახეობრივი კლასი-ფიკაცია. ცნობილია ტერმინ „სახის“ არაერთი განსაზღვრება, რომელთაგანაც არც ერთი არ არის ჯერჯერობით საყოველთაოდ მიღებული. ა. კურნოსოვისა და ს. კაშტანვის მიხედვით, წერილობით წყაროთა სახეებში ვკულისხმობთ „ძეგლთა ისეთ ჯგუფებს, რომელთაც აქვთ წარმოშობის, შინაარსისა და ფორ-მის საერთო, გარეგნული ნიშნები“⁴. ემ განსაზღვრებაში კამათს იწვევს გა-მოქმედ „შინაარსის გარეგნული ნიშნები“ და გარდა ამისა, „წარმოშობის“ მნიშვნელობა, რაღაც ერთი და იგივე წარმოშობის სრულიად სხვადასხვა სა-ხის ძეგლები შეიძლება იყოს. ლ. პუშკარიოვის აზრით, სახეობრივ დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს სტრუქტურა, წყაროს შინაგანი ფორმა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარეგნული ფორმა არავითარ გავლენას არ ახდენს წყაროს სა-ხის განსაზღვრაზე. ეს უკანასკნელი გარეგანი და შინაგანი ფორმის მჭიდრო

² А. Г. Тартаковский. О социальных функциях исторических источников.— В сб. Актуальные проблемы источниковедения истории СССР, специальных исторических дисциплин и их преподавания в вузах. Тезисы докладов III всесоюзной конференции (Новосибирск), М., 1979, с. 57; იხ. იგრევე გ. ჩიქოვანი. ქრისტული ხალხური პოე-ზის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ. თბ., 1962. ავტორის აზრით, ხალხური პოეზიის კლასიფიკაციის ამოსავალ პრინციპს მისი საზოგადოებრივი ფუნქცია შეად-გენს. ლიტერატურულ მიმართულებასა და ფორმის თვალსაზრისს აქ უმთავრესად ფუნქცია და გარემო ცვლის; Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения (Таллин 2—6 окт. 1972 г.).— В сб. Источниковедение отечественной истории. М., 1976, с. 239, 242.

³ В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 191—192.

⁴ С. М. Каштанов, А. А. Курносов. Некоторые вопросы источниковедения.— «Исторический архив», 1962, № 4.

⁵ Л. Н. Пушкирев. Классификация русских письменных источников по отече-ственной истории, с. 221.

квазиорис гуардескимоды. Меркурий „Сасис“ Шемдээг гаансаზღვრებას გვთავაზობს: сасе არის „წერილობითი წყაროების ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტრუქტურისა და შინაგამი ფორმის მსგავსი ნიშნები“⁶. მ. მედუშევსკაიას განმარტებით, „Сасис ძეგლთა ისეთ ჭგუფებს უწოდებთ, რომელთაც გააჩნიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ფუნქციათ ერთობლიობით გამოწვეული და განმტკიცებული საერთო, მდგრადი თვისებები“⁷. ასეთი განსაზღვრებები სხვაც ბევრი არსებობს, მაგრამ მათი სიმრავლის მიუხედავად პრაქტიკულად წერილობით წყაროთა სახეობრივი კლასიფიკაცია მუდამ სირთულეებთან არის დაკავშირებული, და კამათი და აზრთა სხვადასხვაობა ამ მიმართულებით გრძელდება⁸. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა წყაროთმცოდნებობაში დაისვა წერილობით წყაროთა სახეების ისტორიის შესწავლის საყითხი, ცალკეული ხალხების ლატერატურებისა და სხვადასხვა პერიოდების მიხედვით⁹. რადგან მრავალი ძეგლის სახის განსაზღვრა, ან მათვის სახელის დარქმევა (არ იყულისხმება უსათუოდ ავტორისეული სათაური, რაც ძალიან ხშირად არ ასახავს ძეგლის სტრუქტურას ან მის დანიშნულებას) ხდება სწორედ ყოფაში¹⁰, ერთ-ერთი ძირითადი, თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა წყაროთა კლასიფიკაციისა ენიჭება ტრადიციას. ამასთან დაკავშირებით მთელი სიმწავით დგება ტერმინოლოგიის პრობლემა. რა სახელებით აღნიშნავდნენ ამა თუ იმ ძეგლს თანამედროვენი და რამდენად შესაძლებელია ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ძეგლთა დიფერენციაცია. ტერმინთა ისტორიის შესწავლა, მათი შინაარსობრივი მნიშვნელობის ცვალებადობაზე დაკვირვება სხვადასხვა ეპოქების მოღვაწეთა შემოქმედებაში არ შეაღებს წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს. ჩვენი ამოცანა განისაზღვრება წერილობით წყაროთა კლასიფიკაციის პრობლემატიკით და ამდენად არ შეიძლება პქონდეს ტერმინების სრულად, ისტორიზმის პრინციპის დაცვით შესწავლის პრეტეზია.

წყაროთა გარკვეული დიფერენციაცია არ იყო უცხო ძველი ქართული მწერლობისათვის. აღრეული ავტორები ასხვავებდნენ ლიტერატურულ სახეებს, გამოყოფდნენ მათ დამახასიათებელ ნიშნებს, შეიმუშავებდნენ შესაბამის ტერმინოლოგიას. თითოეულ სახეს, ტერმინს თავისი ისტორია აქვს. საზოგადოებრივი ძვრები აისახება ფორმაში, ხოლო სტრუქტურული ცვლილებები ტერმინოლოგიურ სიახლეებს ქმნის. მაგრამ ეს ცვლილებები მუდამ სინქრონული არ არის, ფორმა ნაწარმოებისა მეტად მდგრადია¹¹, ხშირად უფრო კონსერვატიულია ძეგლის სტრუქტურა, რომელიც შედარებით გვიან ასახავს მომხდარ შინაარსობრივ ცვლილებებს, არაიშვიათად მოუქნელობას იჩენს ტერმინოლოგია.

ქართული ლიტერატურის აღრეულ ხანაში, მეცნიერების სხვა დარგების

⁶ Л. Н. Пушкин, ღამის. № 76. გვ. 225.

⁷ О. М. Медушевская. Теоретические проблемы источниковедения. М., 1977, с. 74.

⁸ В. Ф. Иванов. Письменные источники по истории Якутии XVII века. Новосибирск, 1979, с. 12.

⁹ Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения (Таллин, 2—6 окт. 1972 г.), с. 239.

¹⁰ А. Г. Тартаковский. О социальных функциях исторических источников, с. 56—57.

¹¹ Л. Н. Пушкин. Классификация русских письменных источников по отечественной истории, с. 121—134.

ანალოგიურად, შეიმჩნევა „ქასური ტერმინოლოგიის“¹² მდგომარეობა, როდესაც ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება სხვადასხვა შენაარსისა და სტრუქტურის ძეგლები, ან — პირიქით, როდესაც ერთსა და იმავე ძეგლს სხვადასხვა სახელები ერქმევა. ასეთი ვითარებით გამოწვეული ტერმინთა სიმრავლე უფრო მეტად მათი არასაკმარისი დამუშავების მაჩვენებელია, ვიდრე წერილობით წყაროთა მრავალსახოვნების, მაგრამ არ გამორიცხავს არც უკანასკნელს, რაც თუმცა ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული თეორიულ სფეროში. სტრუქტურულად ერთგვარად განსხვავებული ძეგლები ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად ერთმანეთისაგან გამიჯნული და ძეგლთა კლასიფიკაციაც ასეთ პირობებში შედარებით პრიმიტიულ ხასიათს ატარებს. წყაროთა დიფერენციაცია, რომელიც შეიმჩნევა ადრეული ძეგლების მიხედვით, მიზნად ისახვს პირველ რიგში წერილობით წყაროთა ზეპირსიტყვიერებისაგან გამიჯვნას: „რაც არს ქებად ღმრთისად? დიდებად და შესხმად წმიდათა მისთად, მითხრობად ცხორებისა და მოლუაწებისა მათისად წერით და უწერელად, რათა ცნას ესე თესლმან სხუამან“¹³, — აღნიშნავს გოორგი მცირე. შედარებით ხშირია წერილობით წყაროთა გამიჯვნა ზღაპრებისაგან, რაც ერთი მხრივ, ზეპირსიტყვიერებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, რაც თანდათან განსაკუთრებულ და გაბატონებულ მნიშვნელობას იძენს, გამოგონილთან დაპირისპირებაა. ზეპირსიტყვიერების საფეხურზე აღმოცენებული სიცრუისა და მართლის დაპირისპირება წერილობით წყაროებში გადაინაცვლებს, საყოველთაოდ ვრცელდება და ამ უკანასკნელთა ზეპირსიტყვიერებისაგან გამიჯვნის საფუძველი ხდება. ერთ მხარეზე — ზღაპარი, არარეალური, ფანტასტიკური, გამოგონილი, ხოლო მეორე მხარეზე — ყველა წერილობითი უანრი, ე. ი. ობიექტური რეალობის აღევატური ასახვა. იოანე საბანისძის თხზულებაში ვკითხულობთ (არა აქვს მნიშვნელობა, თუ საიდან მომდინარეობს ეს პრიზ): „ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“¹⁴. მსგავსი შეხედულებები გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებშიც. თამარის მეორე ისტორიკოსთან ვკითხულობთ: „არა ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ეს მომავალთა უამთა“¹⁵. ხოლო უამთააღმწერელი შენიშნავს უილურთა შესახებ: „რომელთა გუარისა საქმენი განსაკვრებელ არიან ვთა ზღაპარნი და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქმა“¹⁶. აღორძინების ხანის მოღვაწე არჩილ ბაგრატიონი, „მართლის თქმის“ პრინციპის დამცველი, ხაზს უსვამს: „სხვას ზღაპრულს ამბავს ისევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად“¹⁷. ვახუშტი ბაგრატიონი „მატიანეს“ კვლავ ზღაპართან აპირისპირებს, თუმცა უკანასკნელის მიმართ წინამორბედთა უარყოფით დამოკიდებულებას იგი ერთგვარი ინტერესით ცვლის: „მატიანე მოგვაჯსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, და ვითარებასა მათთა... ხოლო წიგნი დედაბერებული ზღაპართა, გარნა

¹² Д. С. Лотте. Упорядочение технической терминологии. — В кн. Социалистическая реконструкция и наука. М., 1932, вып. 3, с. 139—157; В. В. Фаробин. Источниковедение и его метод, с. 6—13.

¹³ ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, тბ., 1967, გვ. 102.

¹⁴ ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, тბ., 1964, გვ. 49.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუბერიშვილის მიერ, II, тბ., 1956, გვ. 128.

¹⁶ იქვე, გვ. 162.

¹⁷ არჩილიანი, II, გაბასება თემურაზისა და რუსთველისა, 1937, გვ. 7.

თუ არა არს მოსაქსენებელი, არამედ იგიცა ალხინებს ოდესმე¹⁸. აღნიშნული დაპირისპირება ქართული ლიტერატურის გამჭოლი პრინციპთ ¹⁹ ლიად განსხვავებული ჟანრისა და სტრუქტურის თხზულებების მთვრის ჩვეულებრივი მოვლენაა.

საკითხის ამგვარი დასმის პირობებში, როდესაც დიფერენციაციის ძირითად საფურცლად აღებულია ობიექტური სინამდვილისადმი დამოკიდებულება, რეალობის ადეკვატურობის ხარისხი, და ჯერ კიდევ არ მიიღება მხედველობაში ძეგლის შინაგანი სტრუქტურა და მისი ფორმა, ბუნებრივია, რომ ერთი და იმავე ტერმინით ხშირად სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ძეგლები აღინიშნება²⁰.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ხშირად ჩნდება ზოგიერთი ძველი ტერმინის მნიშვნელობის შეზღუდვის ცდუნება, მაშინ, როდესაც, ჩვეულებრივ, აღრეული ეტაპებისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი ასეთი განსაზღვრულობა. ამასთან ერთად არაიშვიათად თეორია ჩამორჩება პრატიკას, და, თუმცა დიფერენციაცია ფაქტობრივად მომხდარია, თეორია მას ან არ ასახავს, ან მის მოწინააღმდევედ გამოლის. მაგალითად, ტერმინი „ქება“, შ. ნუცუბიძის მოსაზრებიდან გამომდინარე²¹, რომლის საფუძვლად რუსთაველის პოემაში მოხსენიებული „ქებანი“ იყო გამოყენებული, დიდხანს იოვლებოდა მხოლოდ პოეტური ფორმით დაწერილი ხოტბის აღმნიშვნელ ტერმინად. მეცნიერის აზრით, „ქება“ ან „გრძელი ლექსი“, რუსთაველის საკუთარი უანრია, რომელიც განსხვავდება სხვა საქებარი ხასიათის ლიტერატურული ფორმებისაგან, მათ შორის, ოდისაგან (აქ იგი ნ. მარის შეხედულებას უპირისიპირდება)²². მ. წერეთელი და ვ. დონდუა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიღენ დასკვნამდე, რომ ტერმინი „ქება“ ქველ ქართულში ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა პქონდა, პროზაულ ნაწარმოებებზეც ვრცელდებოდა და არა-ერთ საისტორიო თხზულებასაც ეწოდებოდა²³. ვ. კეკელიძე აგრეთვე მიუთითებდა, რომ „ქება არ ნიშნავს ყოველთვის მელექესობას. ჩვენ გვაქვს არა-ერთი ნაწარმოები, რომელიც ლექსით არ არის დაწერილი, მაგრამ „ქების“ სახელს ატარებს“²⁴. ტერმინ „ქებას“ საქმაოდ დიდი დიაპაზონი აქვს ძველ ქართულში: ერთი მხრივ, ეკლესიებში წასაკითხად განკუთვნილ ლიტურგიული დანიშნულების ჰიმნებს (ასეთი ხასიათის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლია აბოს წმების IV თავი)²⁵, ხოლო, მეორე მხრივ, საისტორიო ხასიათის ნაშრომებს ეწოდებოდა (მაგ. დავითის ისტორია, ლაშა გიორგის დროინდელი

¹⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოველება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 3.

¹⁹ ჩ. სირაძე. საპარსიფილური ტერმინები ქართულ ხელოვნებაში და „მართლის თქმის“ პრინციპები, მისივე წიგნში: ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 234–235.

²⁰ შ. ნუცუბიძე. შრომები, IV, 1976, გვ. 199; III. И. Нупуридзе. Руставели и Восточный ренессанс. Тбилиси, 1967.

²¹ Н. Я. Марр. Древнегрузинские одописцы.—Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, С.-Петербург, 1902.

²² საკითხის ისტორიოგრაფიის შესახებ დაწვრილებით იხ.: კ. გრიგორია. თამარის კიდევ ერთი მემატიანე—ისტორიკის თბ., 1977, გვ. 32–44.

²³ კ. კეკელიძე. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. ეტიუდები..., IV, 1957 გვ. 49.

²⁴ კ. კეკელიძე. ახალი საგალობლები აბო თბილელისა. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, VI, თბ., 1960, გვ. 414.

მატიანე, თამარის ისტორიკოსთა თხზულებები). მაგრამ ყველა ეს ძეგლი ონიშნული ტერმინით ერთიანდებოდა გარკვეული ნიშნის საფუძველზე²⁵ რაც განსაზღვრული იყო კვლავ რეალური სინამდვილისადმი დამოკიდებულებრივ ემოციური, ამაღლებული ტონით დაწერილ აღნიშნულ თხზულებებს სინამდვილის გაზიადებულად, შეფერადებულად გადმოცემა ახასიათებთ და ასეთი სახის ძეგლებში რეალური ფაქტებიდან ერთგვარად გადახვევა საისტორიო თხზულებებშიც კი ნორმის დარღვევად არ ითვლებოდა. ონიშნული თვისებების გამო კ. ჩეჩელიძე „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს შემდეგ შეფასებას აძლევს: „ფორმით წარმოადგენენ ამ ეპოქის აღტინებულ ოდის, ნამდვილ ხოტბას და მხატვრული პროზის დარგში გადადიან — ეს მწერლობა პანეგირიკის („აზმა“) ხასიათს იღებს. ამიტომ აქ მოქმედი პირები ძალზე იდეალიზირებულად და გაზიადებულად გამოიყურებან“²⁶. „ქების“ უანრი გარკვეულ სტილს მოითხოვდა, თუმცა ამ მხრივ საშუალებები საკმაოდ ფართოა, რასაც მოწმობს ონიშნული უანრის მრავალფეროვნება ფორმისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, და წამყვანი და განმსაზღვრელი ძეგლთა ძირითადი სოციალური ფუნქცია რჩება. „ქების“ სინონიმად მოჩანს ტერმინი „შესხმა“, რომელთაც ავტორები ერთმანეთის ნაცვლად ხმარობენ. საქებარი ხასიათისა „ხოტბა“, აგრეთვე განსხვავებული „სიმართლისაგან“. არჩილი ონიშნავს: „მეფის თეიმიურაზის... ამბავი თვითმმახავთა და თან-ნაახლო მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენია და არა ხოტბა — არამედ მართალი“. სახოტბო პოეზიას არჩილი „მელულობას“ უწოდებს და განარჩევს ერთმანეთისაგან ხოტბას და ქებას: „თქვენც გასმია ქება, არ თუ ცუდი ხოტბა“²⁷. ავტორთა აზრით, „ხოტბა“ კიდევ უფრო დაცილებულია რეალობას, ვიდრე „ქება“. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ხოტბა — მეტი ქება“—²⁸ ამდენად საქებარი ხასიათის ძეგლების კლასიფიკაციას კვლავ სინამდვილისადმი დამკიდებულება ედება საფუძვლად.

ზოგჯერ „ქების“ სინონიმი ხდება ტერმინი „ცხოვრება“. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია²⁹, რომ „საშუალო საუკუნეთა ისტორიული ტრადიციები იძლეოდა ნებას აღამიანის „ისტორია“, „ცხოვრება“ აღნიშნულიყო სიტყვითაც „ქება“. მაგრამ ამ ორ ტერმინს შორის არ შეიძლება დაისვას ტოლობის ნიშანი, რაც შენიშნული აქვთ აღრეულ მოღვაწეებს. ძველ თხზულებებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ტერმინები „ქება“, „შესხმა“ და „ცხოვრება“. „არა განვაგრძოთ სიტყუა ჩუენი, რომელთა არა თუ შესხმისა გზაც გვპყრიეს, არამედ აღტერად ცხორებისა მოსწრაფედ ვართ“³⁰. ასეთი შეხედულება უფლებას გვაძლევს ერთგვარ დაპირისპირებად გავიგოთ აგრეთვე გიორგი მცირის შემდეგ კონტექსტში ჩამოთვლილი ტერმინები, „დიდება — შესხმა“ და „მითხრობაც ცხორებისა“, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა სინონიმებად აღქმულიყო: „რად არს ქებად ღმრთისად? დიდებად და შესხმად წმიდათა მისთან, მითხრობაც ცხორებისა და მოღვაწეებისა მათისად³¹, ე. ი. „ცხოვრება“ თითქოს უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო რეა-

²⁵ კ. გეგელი დ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 249.

²⁶ არჩილიანი, II, გვ. 7, 36, 129; ა. ბარამიძე დ. ქართული მწერლობის პრობლემები, თბ., 1980, გვ. 54.

²⁷ ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონცენტრაცია, თბ., 1949, გვ. 469.

²⁸ ვ. დონდუა. „ვეზნისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები. მისივე კრებულში „საისტორიო ძეგანი“, II, 1973, გვ. 107.

²⁹ დევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 10.

³⁰ იქვე, გვ. 102.

ლურ სინამდვილესთან, ვიდრე „ქება“, „შესხმა“ და მით უმეტეს „ხოტბა“. მაგრამ ამავე დროს „ცხოვრება“ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ემიჯნება ფანტასტიკურს, ზოაპრულს. როგორც აღნიშვნულია, „შესხმას“ (საგალობლის შენიშვნელობით) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს „ცხოვრება“³¹. ამავე დროს, ვერც „ქება“ ფარავს თავისი შინაარსით ძველ ქართულში „ცხოვრების“ მნიშვნელობას, რომელიც აგრეთვე საკმაოდ ფართოა. ტერმინი „ცხოვრება“ აქ გამოიყენება როგორც ჰაგიოგრაფიული, ასევე ყოველგვარი ხასიათის ისტორიული ცნობების შემცველი ძეგლების მიმართ, განურჩევლად მათი სიზუსტისა. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ დასაჭყის მონაცემთში მოხსენიებული „ცხოვრება სპარსთა“ ზოგიერთ შემთხვევაში „ხოდა ნამეს“ არაბულ კომპენდიუმს, ან ბაპტისტ ჩუბინის ფალაურ რომანს გულისხმობს³². ერთიც და მეორეც სავსეა ლეგენდარული ხასიათის მონაცემებით. საყურადღებო ცნობას გვაწვდის აგრეთვე ტერმინ „ცხოვრების“ მნიშვნელობის დაზუსტების თვალსაზრისით XVI ს. მოღვაწე ბაგრატ მუხრან-ბატონი, კონსტანტინე მეფის (1478—1505) ძე, თავის ანტიმაპმადიანურ თხზულებაში „მოთხობა სჭულთა უღმრთოთა ისმაილიტთა“: „ისმაილელნი გამოვიდეს და იყუნეს ყოველნივე ერთბამად მესისხლენი, მტაცებელნი, მემრუშენი, მეშფოთენი, მპარავნი და ყოვლადვე უპოვარნი. რაძეთუ წიგნი იგი, რომელსა ყისა ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაილელთა ცხოვრება არს. და მის წიგნისა მცირედი რაიმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩვენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჭანიანად უწოდენ და არა თუ ეგე ვითარითა სიმხნითა ახოვან იყუნეს, ვითარცა გვითხრობს ჩვენ წიგნი იგი, არამედ მათ მიერითა ზღაპრობითა განვრცელობით აღუწერიესთ მოთხრობად იგი, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი, ძენი აგარისანი, მუცლით მეზღაპრენი სიბრძნის მაძიებელნი, ხოლო გზა, რომლისა მათ არა იცნეს“. ე. ი. ბაგრატ მუხრან-ბატონის აზრით, მაკმადიანთა წიგნი „ყისა ჰამზა“, რომლის ნაწილი ქართულ დარეჭანიანს დაედო საფუძვლად, „ისმაილელთა ცხოვრება არს“ და იგი ზღაპრულ იმბებს შეიცავს³³.

აღრეულ პერიოდში სხვადასხვა ძეგლებს შორის უნიკობრივი მიჯნების სიმკრთალეზე მიუთითებს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის თხზულებაში იგავ-არაების სიუხვე, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა მსოფლიო საისტორიო ლიტერატურაში³⁴. ავტორები თანაბრად ეყრდნობან როგორც ზეპირ-სიტყვიერ მასალას — თქმულებებს, ანდაზებს, ლეგენდებს, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებს, ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო ძეგლებს. მათი დამახასიათებელი თვისებაა უთარილობა. აღნიშნულის მიუხედავად, დიფერენციაციის ტენდენციები უკვე არსებობს, რაც მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო ლრმავდება და დასაბუთებული ხდება. აღორძინების ხანის ლიტერატურაში მსგავსი მდგომარეობა მხოლოდ ნაწილობრივ არის შენარჩუნებული. სიზმარი, ანდაზა, თქმულება თუმცა აქაც საისტორიო თხზულებათა ხშირი ელემენტია, ძირითადი წყარო ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო პოემებთან ერთად ხდე-

³¹ მ. დოლაქიძე. ილარიონ ქართველის ცხოვრების ძეგლი რედაციები. თბ., 1974.

³² 36.

³³ გ. მამულია. ლეონტი მროველის და ჭუანშერის წყაროები. „მაცნე“, 1964, № 4.

³⁴ 243—276.

³⁵ გ. ჭუმბურიძე. ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., გვ. 35, 37.

³⁶ ლ. გევალიძე. იგავ-არაერ ძეგლ ქართულ მწერლობაში. — ქრ. „ძეგლი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგის საკითხები“, VII—VIII, თბ., 1976, გვ. 54.

ბა დოკუმენტური მასალა. ქრონიკის პრინციპი კი უკვე საყოველთაოდ დაცულია, რაც დარგობრივი დიფერენციაციის შედარებით მაღალ დონეზე მიუ-
თითებს.

ობიექტური სინამდვილისადმი ავტორთა დამოკიდებულების გარდა, მეტ-
ლი ქართველი მოლვაშვები იცნობდნენ წერილობით წყაროთა კლასიფიკაციის
სხვა საფუძვლებსაც. გრიგოლ ხანძთელი განასხვავებს ერთმანეთისაგან „ცხოვ-
რებათა“ და „მარტვილობათა“ და აღნიშნავს მათ თავისებურებებს, რასაც სა-
ფუძვლად ედება განსხვავება სრულყოფის მიღწევის საშუალებებში. ამ შემ-
თხვევაში არსებოთი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული
მოსაზრება ნასესხებია, როგორც დადგენილია, ითანა ოქროპირის თხზულები-
დან „საკითხავი მოწამეთავის“³⁵. ლიტერატურაში შენიშნულია „მარტვი-
ლობიდან“ „ცხოვრებაზე“ გარდამავალი ფორმის არსებობაც. კისტანტი კა-
ხალ თავგადასავლის ავტორი განასხვავებს რა ერთმანეთისაგან „ცხორებასა“
და „მარტვილობას“, თავის თხზულებას ერთდროულად უწოდებს „ცხოვრე-
ბასა და წამებას“³⁶. ასეთი გარდამავალი, შერეული ფორმების არსებობა
უცილებელი საფეხურია ახლის შესაქმნელად, რომელიც ზოგჯერ ძველში
ისახება ტრაფარეტის გადალახვის შედეგად, და შესაბამისი ხელსაყრელი პი-
რობების ზეგავლენით დამოკიდებელ სახეობად ყალიბდება. აღნიშნული
ფორმები არ არის მოკლებული თავისთავად მნიშვნელობასაც, როგორც სხვა-
დასხვა უანრებს შორის ურთიერთობათა ამსახველი განვითარების ყველა სა-
ფეხურზე.

აღრეული ეტაპისათვის უცხო არ არის ცალკეული უანრების ფარგლებ-
ში ძეგლთა გამორჩევა მხოლოდ ფორმების მიხედვითაც. წამებათა, ცხოვრება-
თა და მათი შერეული სახის ძეგლებს გარდა ჰაგიოგრაფიას მიაკუთვნებენ
აგრეთვე „საკითხავებსაც“. ძეგლთა ამ ნაირსახეობას განსაზღვრავს ფორმა,
ნაკარნახევი დანიშნულებით. ტერმინი გვხვდება აბოվ წამებაში, გრიგორ ხანძ-
თელის ცხოვრებაში³⁷, ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულების სათაურად „საკი-
თხავი სუეტისა ცხოველისა“ და სხვ. იხსენიებს მას აგრეთვე ეფრემ მცირე,
როდესაც სვიმეონ ლოლოთეტის მოღვაწეობას ეხება: „საკლესიო თხრობა-
თაგან და ხრონილრაფთა მცირედ-მცირედი საკითხავები შექმნა და მოსაჯი-
ნებელი უწოდა“³⁸. აღნიშნულ ტერმინებზე ჩერდება ო. უორდანია. იგი არ-
ჩევს „საკითხავს“ „მატიანისაგან“, რომელიც მას საისტორიო თხზულების
მნიშვნელობით ესმის: „სხვა არის საკითხავი და სხვა არის თუ შატიანე. სა-
კითხავსა სწერდენ მატიანების საფუძველზე, ვის როგორ უნდოდა. სხვა არის
მატიანე სვეტი ცხოველზე და სხვა არის საკითხავი იმავე საგანზე, შედგენი-
ლი ნიკოლოზ ქზის მიერ. მატიანე სხვა არის. ხოლო მატიანების საფუძველ-
ზე ქართველი სწერდენ მეტაფრასთა ანუ საკითხავთა წმინდანების ცხოვრე-
ბისა. საკითხავებს შეამკობდენ ხოლმე მაღალ ფრასებით და მოძღვრებით,

35 რ. სირაძე. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 64.

36 რ. სირაძე. ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბ., 1975, გვ. 98; ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 164, 248.

37 ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 48.

38 ქ. კეკელიძე. ციმეონ მეტაფრასთა გრაფიკული მოთავსებულები. „აზროვნების უძლეში არაიდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, V, 1957. აქ მოთავსებულია ეფრემ მცირეს მოთავსებულების უძლეში—მოთავსებული მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეტისა და თხრობას მიხეზთა მათ საკითხავთა თარგმანისათა, გვ. 223.

რადგან იმათ სწერდენ საკითხავად საეკლესიო ამბიონთაგან“...³⁹ აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით არსენ კათალიკოსის შენიშვნა ნინოს ცხოვრების დრუნკტი მროველისეული ვერსიის მიმართ, რომლის გამოც მან თხზულების ასალი ვარიანტი შექმნა — საკითხავი: „საეკლესიოდ მყითხველთათვს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვს უქმარ და ვერ საცნაურ“⁴⁰.

ეფრემ მცირე, მიმოიხილავს რა მეტაფრასტიკის ისტორიას, ჩამოთვლის თხზულებებს, რომლებიც განიცდიდნენ მეტაფრასტიკას: „საცნაურნ იყავნ, ვითარმედ ჯერ არს, რათა სხუასა ვისგანმე შეკაზმულად ვჰგონებდეთ წიგნსა ამას, ვითარ — იგი გუასმეს სვიმეონ ლოლოთეტისა და სხუათა მეცნიერთა ბრძენთაგან კაზმვად, რამეთუ იპოოს თუ ცხორებად, თუ წამებად, ააუ რაიცა რაა ჰამბავი, გინა მოთხრობად, სოფლურითა და უშუერითა სიტყვითა აღწერილი, მას სიტყვით განაშუნებენ, გარდაკეზმენ და მეტაფრას უწოდებენ, რომელ არს გარდაკაზმული“⁴¹. ისახავს თუ არა მიზნად აღნიშნული ცნობა წერილობით წყაროთა კლასიფიკაციას, თუ აქ „ქაოსური ტერმინოლოგიისათვის“ დამახასიათებელ სინონიმების ხმარებასთან ვვაჭვს საქმე? ი. ჯავახიშვილმა, რომელსაც ჰაგიოგრაფია საისტორიო მწერლობის ნაწილად მიაჩნდა, როგორც ცნობილია, ამ ჩამოთვლაში საისტორიო ძეგლთა კლასიფიკაციის ცდა დაინახა⁴². ამავე დროს, თუ პირველი ორი ტერმინის მნიშვნელობა გარკვეულია ჰაგიოგრაფიასთან მიმართებაში, ნათელი არ არის, თუ რას გულისხმობს ორი უკანასკნელი — „ჰამბავი“ ან „მოთხრობა“. ძველ ქართულში „ამბავი“ და „მოთხრობა“ უფრო ზოგადი მნიშვნელობის ტერმინებია, რომლებიც მოიცავს, სხვათა შორის, „ცხოვრებათა“ და „მარტვილობათა“ თხზულებებსაც. „ამბავი“ სიტყვის მნიშვნელობის სიფართოვეზე მიუთითებს ერთგვარად ის გარემოებაც, რომ, თუ „ამბავი“ ან „ძველი ამბავი“ საქართველოს ბარში პროზაული უანრის საისტორიო ნაწარმოებებს ეწოდებოდა ზღაპრულისაგან განსხვავებით, საქართველოს მთაში, კერძოდ, ხევსურეთში, პირიქით, ზღაპარს უწოდებენ ამბავს“⁴³. „ამბავი“ კონკრეტული მნიშვნელობით გამოყენებული, დაზუსტებას მოითხოვდა, მაგალითად ასეა დაზუსტებული ტერმინი ს.-ს. ორბელიანთან, რადესაც იგი ამ სიტყვის საშუალებით განმარტავს „ისტორიას“ — „ქუეყნის ამბავი“⁴⁴. ეფრემ მცირესთან „ჰამბავს“ ზოგადი მნიშვნელობა აქვს, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ცნების შინაარსი ამ შემთხვევაში ჰაგიოგრაფიის ფარგლებით იზღუდება⁴⁵. ამავე დროს არავითარი საფუძველი არ არსებობს აღნიშნულ ცნობაში მოხსენიებულ ტერმინში „ჰამბავი“ ჰაგიოგრაფიის რაღაც კონკრეტული, „ცხოვრებისა“ და „წამებისაგან“ განსხვავებული „უანრი“ დავინახოთ. იგივე შეიძლება გამეორდეს ამავე ცნობაში მოხსენიებულ ტერმინ „მოთხრობის“ მიმართაც. სიტყვები „მოთხრობა“, „მითხრობა“, „თხრობა“ აგ-

³⁹ თ. უ რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892, გვ. 106 (სქოლობი).

⁴⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 51.

⁴¹ თ. უ რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები..., I, გვ. 217.

⁴² ი. ჯავახიშვილი ისტორიის მიზანი, შეკაროები და მეთოდები წინათ და ახლა, შ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, — თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 169.

⁴³ ი. ც ა ნ ა ვ ა. ქართული საისტორიო ზეპირისტულებების საკითხები. თბ., 1971, გვ. 4; ქართული ხალხური საისტორიო სიტყველება, I, ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქ. სიხარულიძის. თბ., 1961, გვ. 10.

⁴⁴ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი რ ი. სიტყვის კონა, გვ. 153.

⁴⁵ რ. სირაძე. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. იბ., 1978, გვ. 151.

հյուզե սայմառը ցարտո մենաշնորհութեասա, հռմլեցից ամ առ օմ բրերմինու ալսանն մենացած քամուցեցեցի շեմտեցեցամ մշադմ դաժուստեցաւ մոտեհրովնեց: „մոտեհրութեա մեղյետա“, „մելսէմա-մոտեհրութեա“, „տեհրութեա մեղյետատվա“, „մոտեհրութեա յամտա“, „եսոցբա-մոտեհրութեա“, „մրացալմուտեհրութելու“, „մոտեհրութեա-իստրութեա“, „սայյլուսու տեհրութեա“ դա և այլ զեր գազոնիահեցտ ացրետայ սամեցուոյերու լուուրա թուրամ գամությմշալ մուսաթեցաւ օմու տանձաչե, հռմ ցորեմ մուրու մոյր օմաց տեհշուլեցամ մուսենուցալ բրերմինեցի սայյլուսու տեհրութեա դա երոնուրացաւա“, հռմլեցից մուս գամուցուեմուտ, գամուցուենուծու լուուրա տեհրութեա“ դա „սայյլուսու տեհրութեա“ սուրպացեց դաժուրուլու տեհշուլեցի մուսաթեցամ մաց, օմուրունուցալ սաստրութեա միջերլունու օրու մտացարո յանրո օցուլու մեցա; ամաց դրու սաստրութեա միջերլունու մենաշնորհութեա ամ շեմտեցեցամ գամուրուցեաց չացուցրացաւաս“⁴⁶. ցոյյիրութե, բրերմինու սայյլուսու տեհրութեա“ ալնունուլ կոնդրեյստի շեյսու գուլուսեմուծու հրացարու տայու չացուցրաց ուցալ մեցլեցա, ասեց ზոցալաւ տեղուղացուր լուուրա թուրասաւ, հռմլութեա ուցալ սահցեծլութենեն մերացրասեցու: „սայյլութ համե շեսացալաւ տեհրութեա, անց ացցու-ացցու շեսայրացաւ սուրպաւս սուրպաւս գչյմարեցա, օցոնու սալմրութեա թոցնուցան դա միջունու մոյր տյմուլուսացան արև“ (թշրի մացալութեա ահցեց յատալուցու ննոնու սեմուրեցաւ ցամերացրասեցասա) ⁴⁷. ասետու չոցալաւ մենաշնորհութեա օկսենուցա բրերմինեցի սայյլութեա, „սայյլութեա“, „մուսենուցա“, „տյմութ“ դա և այլ.

3. օնցուրուց յարտլուս սեմուրեցաւ չոցուցրաց յարտլուս կուրմու, լուուրու մրուցելուս դա բրագուցուլաւ չունշերուսամու մույուտենեցալու զաե-թանց ցորցալուս սեմուրեցաւ մունացուետեցաւ սայուսցելինց ցամուրից պալցա սաստրութեա յանրու ՝՝ամեցու“⁴⁸, օմ դասակելեցեցաւ մուեցատ, հռմլեցի տապա օկսենուցա ալնունուլու օրու տեհշուլեցա մեցլ յարտուլ լուուրա թուրամ. օմու սացան դամուցու լուուլ, արուան տպ արա օսունու տեհշուլեցաւ սատայրեցա դա մոմ-քունարեցաւ տպ արա տայուտան ացրուրեցասացան. մկալուցարո մատ ցույուր-ստրուուլ հռմանցաւ սուրուցեց. ալնունուլ միչյուլուս սայուսցալաւ ցուեցա տեհշուլեցատ դասակելեցեցաւ յրտ-յրտու զարունուր, ՝՝ամեցու յարտուցելու մեղյետա դա პորցութեանտա մամատա դա նատեսացտա“ դա ՝՝ամեցու զաեթանց ցորցալուսա, մշուցելութեա դա շեմուցումաւ տպ մու գումաս դա լուրտուս մույսարուս մեցուսա, հռմելու սումերեց սաելցանտյմուլու ցամունճա ցուցելու մեղյետա յարտլուսա-տա“. մացհամ մոտուցենուլ տեհշուլեցա մեցլ յարտուլ լուուրա թուրա սեցա դասակելեցեցի տապ օւնութ. յրտ-յրտ մատցան տայու մկալուցարու ակսենցաւ: „սեմուրեցա յարտուցելու մեղյետա“, ան „սեմուրեցա զաեթանց ցորցալուսա“. ցոյյիրութե, օս ցարեմուցա, հռմ լուուրու մրուցելուս տեհշուլեցա մեցլ յար-տուլ լուուրա թուրամ սուրութեա սեցա դասակելեցեցաւ օկսենուցա — „սեմուրեցա մեղյետա“, „մեղյետա սեմուրեցա“, ան „թունու մեղյետա“, XII և. პոր-ցուլու մեռտեցա ացրութեա արուան ծերուս մուեցատ, ՝՝ամեցու մեղյետա“, թմ. արհիուս մեռու սեմուրեց սեմուրու ացրութեա տանամաւ, մատունու յարտուցելու սեմուրեցաւ, եռլու մարուա լուուրուցուլուս յարտլուս սեմուրեցամու“ տեհշուլեցաւ սատայրաւ ցամունճու մեցու օկսենուցա — „սաելցատ մամուսատ, մուսատ, դա սուլութա թմունու օկսենու մոտեհրութեա սեմուրեցա յարտուցելու մեղյետասաւ“.

⁴⁶ օյցա, 83. 254.

⁴⁷ մեցլ յարտուլ ացրուցրացուլու լուուրա թուրամ մեցլ յարեցի, III, 83. 51.

⁴⁸ 3. օնցուրու չոց չոց. յարտուլ միջերլունու ստրութեա մուկլ մոմունուլցա. — տեհշուլեցատ յարեցալու, ტ. IV, 1978, 83. 409—419.

და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა⁴⁹, გამორიცხავს ჩომელოშე მათ-განში სათაურის დანახვის შესაძლებლობას. ხოლო, ასეთი შეუთანხმებლობა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტეზიზიზ „ჰაშ-ბავი“ შედარებით იშვიათად გვხვდება საკუთრივ საისტორიო თხზულებების მიმართ და „მხოლოდ ქართული საისტორიო მწერლობის განახლებისა და ალორძინების ხანაში მოიპოვება კიდევ პატუნა ორბელიანის საისტორიო თხზულების სათაურად — „ამბავნი ქართლისანი“⁵⁰, მიუთითებს სწორედ არა მის კერძო, არამედ, პირიქით — ზოგად მნიშვნელობაზე.

ნაკლები საფუძველი აქვს აგრეთვე ვარაუდს „თქმული“ უანრის არსებობის შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში⁵¹. ამ მხრივ გამახვილებულია ყურადღება „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ნინოს ცხოვრების დასათაურებაზე: „თქმული სიღონია დედაკაცისა“, „თქმული აბიათარ მღდელისა“. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი „თქმული“ განსხვავებული ფორმაა, ნოველური ფორმაა... საისტორიო თხზულებისაგან, საისტორიო სტილისაგან, სინ-ტორიო თხრობისაგან განსხვავებული და თავისებური. „თქმულის“ მნიშვნელობის ასეთი შეზღუდვა გაუმართლებელი ჩანს ძველი ქართული წერილობითი მასალიდან გამომდინარე, სადაც დასახელებული ტერმინი თანაბრად გამოიყენება ყველა ლიტერატურული სახის მიმართ, მათ შორის საისტორიო ძეგლებში. მაგალითად, „თქმული წმიდისა მამისა ჩუნენისა არსენისი, მცხეთელ კათალიკოზისა, რომელიც იყო სანახებითგან სამცხისამთა, საფარით“⁵².

როგორც აღინიშნა, ადრეულ მოღვაწეთა თეორიული შეხედულებები სრულად არ ასახავს პრაქტიკაში არსებულ რეალურ ვითარებას, და ეს ბუნებრივია, რადგან პირველ ხანებში არ მოიპოვება ძეგლები, რომლებიც მიზნად ისახავს ლიტერატურის თეორიის ან ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი შემთხვევითი ხასიათის ცნობებს. ამ მხრივ საინფორმაციო ხასიათის პირველი ნაშრომები აღორძინების ხანას უკავშირდება, როდესაც ლიტერატურის ისტორიის შესწავლა ავტორთა საგანგებო მიზანს შეადგენს, ხოლო საინფორმაციო ხასიათის ცნობებს კრიტიკული შენიშვნები ახლავს. ყურადღებას იქცევს არჩილის მოღვაწეობა, რომელსაც „ძველი ქართული მწერლობის პირველ კრიტიკოსს“ უწოდებენ⁵³, ანტონ I-ის პოემა „წყობილსიტყვაობა“⁵⁴ და სხვ. ზოგიერთი რამ ადრეულ მოღვაწებს ჯერ კიდევ არა აქვთ ბოლომდე შეცნობილი, თუმცა მათივე მასალა მოგვიანო მკვლევრებს გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას აძლევს. თეორიული ნაშრომების შექმნა განზოგადებას მოითხოვს, ხოლო უკანასკნელი — დროის მანძილს, ისტორიულ სივრცეს. კ. კეკელიძის დაკვირვებით, „ისტორიათ და აზმათა“ ავტორი იძლევა ეპიკური უანრის თხზულებების კლასიფიკა-

⁴⁹ აღნიშნული სათაურების შესახებ იხ. კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათაურებების საკითხისათვის. — ი. გავახიშვალის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 218—232.

⁵⁰ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 29.

⁵¹ ი. ჩეკიძე, ნოველა ქართლის ცხოვრებისა. „ლიტერატურული საქართველო“, 1982, № 9.

⁵² არსენ საფარელი. განყოფისათვეს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაუტომ ზ. ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 77.

⁵³ ი. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 78.

⁵⁴ რ. ბარამიძე, „წყობილსიტყვაობის“ ტექსტისათვას. — „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, 1962.

ციას (ამ შემთხვევაში ტერმინოლოგიაც და ძეგლთა კლასიფიკაციაც კვლევის შედეგს წარმოადგენს, ხოლო თვით მასალის მიხედვით არ არის გამორჩეული განსხვავებული დასკვნების შესაძლებლობაც). მისი აზრით, არსებობს სამი რიგის მოთხრობითი ობზულებანი — ჰაგიოგრაფიული, საგმირო და სამიჯნურო. პირველი რიგის ობზულებებს ის აკუთვნებს ჰაგიოგრაფიულ მწერლობას, მეორესა და მესამეს, საგმირო და სამიჯნუროს — იმდროინდელ მხატვრულ საერთო ლიტერატურას⁵⁵.

ქველ ქართულში ყურადღებას იქცევს საისტორიო თხზულებათა შემდეგი დასახელებები (რომლებიც, რა ოქმა უნდა, საისტორიო წყაროებია მოგვიანო თაობებისათვის) — წამება (მხოლოდ ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიმართ), ცხოვრება (თანაბრად ეწოდება როგორც ჰაგიოგრაფიულ, ასევე ისტორიულ ძეგლებს, განურჩევლად მათი ლირებულებისა), საკითხევი (ლიტურგიკული დანიშნულების ძეგლების მიმართ), ქება-შესხმა (აერთიანებს როგორც ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს, ასევე ლიტერატურულ-ისტორიულს), ხოტბა, მატიანე (ფალ. matikan, საშ. სპარს. mātakdān, mātldān⁵⁶ — ტექსტი, გამოიყენება ყოველგვარი წერილობითი ძეგლის აღსანიშნავად), ისტორია, ქორონიკონები. ჩამოთვლილი ტერმინები არ არის ერთმნიშვნელოვანი, ისინი არა მარტო არ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან და ხშირად ერთმანეთის სინონიმებად გამოდიან. მათი ურთიერთობიმართება მწერლობის დიფერენციაციის ღონის ამსახველია.

გარდა ამისა „ქართლის ცხოვრების“ პირველსავე თხზულებაში იხსენიება „გუჯრები“, და „სიგელები“. ქართველი მწერლები თავიდანვე არჩევენ ერთ-მანეთისაგან თხრობით და ღოკუმენტურ ძეგლებს (თუმცა არ არქმევენ მათ აღნიშნულ დასახელებებს და ჯერ კიდევ არ მსჯელობენ სხვაობის საფუძვლებზე), რომლებიც აღორძინების ხანაში განსაკუთრებულ ავტორიტეტს მოიპოვებენ. „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლები ფართოდ ეყრდნობიან სიგელ-გუჯრებს, ე. ი. ღოკუმენტურ მასალას, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი მათ განსაკუთრებულ ნდობას უცხადებს ყველა სხვა გვარისა და სახის წერილობით წყაროებთან შედარებით. დ. ბაქრაძე აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სიგელი, რომელიც მის დროს თვავაღ-აზნაურებისაღმი და გუჯარი, რომელიც ეკლესია-მონასტრებისაღმი ბოძებულ აქტებს ეწოდებოდა, ძველად სინონიმები იყო, არანაირად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და ყოველგვარი სახის ღოკუმენტურ წყაროებს აღნიშნავდნენ⁵⁷.

აღრეულ წერილობით ძეგლებში არ იხსენიება ქრონიკები, თუმცა მათი გამოყენების კვალი აშკარად შეიმჩნევა საისტორიო თხზულებებში⁵⁵. პირვე-

⁵⁵ ճ: ճագալութեա: Ժայլո մարտունո լուրջը բարեկամուս օստրոնս, II, 23. 259.

56 მ. ანდრონიკა შვილი. ნარკევები ისანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან.
I. თბ., 1966, ა. 342—343.

⁵⁷ Д. З. Бакрадзе. Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к XIV-му тому земских читок АН. № 1. С.Петербургъ. 1897. с. 25.

ლად ქრონიკებს აღორძინების ხანის მოღვაწენი იმოწმებენ. „ქორანიკონთა და გუჯართა აღვწერია“, — შენიშნავენ „სწავლული კაცნი“⁵⁹. ქრონიკები ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ვახუშტისათვის. მის ცნობაში „ძუელთა ქრონიკონებთა შინა“ „საეკლესიოებთა წიგნებთა შინა ქრონიკონებთა მათთა“⁶⁰, როგორც ვარაუდობენ, სწორედ „... კუნკლოსები და ქრონოლოგიური მინაწერები“ იგულისხმება⁶¹! ქრონიკების წარმოშობას უკავშირებენ მოძრავი დღესასწაულების აღსანიშნავად შედგენილ კალენდრები, რომელთა აშენდზე ქართველი უამთააღმწერლები თანამედროვე მოვლენებს აღნიშნავდნენ. დროთა განმავლობაში ისინი ისტორიულ ქრონიკებად იქცეოდნენ⁶². ქრონიკები მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა, ამავე დროს მკვლევართა ნაწილი მათ ჯერ კიდევ არ მიიჩნევს საისტორიო მწერლობად. მაგალითად, ქ. შარაშიძე აღნიშნავს: „ვახუშტი პირველი ისტორიკოსია, რომელმაც ფართოდ გამოიყენა მესხური მატიანის“ ტექსტი (ვგულისხმობთ ისტორიკოსს და არა ქრონოლოგიური ცნობების შემკრებს, როგორიცაა მაგალითად „პარიზის ქრონიკის“ შემკრები)⁶³. აღსანიშნავია, რომ ქრონიკებს უწოდებენ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს, რაც ყოველთვის არ არის გამართლებული, რადგან მათ უმრავლესობას უთარიობობა და მაღალმხატვრული სტილი ახასიათებს.

აღორძინების ხანაში პირველად იღებს აღიარებას, როგორც საისტორიო წყარო, ნუმიზმატიკური და აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალა — ყველაზე ადრეული წერილობითი ნიმუშები, რომელთაც ამ დროისათვის საკმაო ტრადიციები გააჩნიათ. თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ეპიგრაფიკული მასალის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს. მკვლევართა ნაწილი მათ ნივთიერ ძეგლებად მიიჩნევს. მაგალითად, ნ. ნაკაშიძე, ჩამოთვლის რა ვახუშტი ბაგრატიონის წყაროებს⁶⁴, განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის დამკიდებულებას ნივთიერი წყაროების მიმართ — არქიტექტურული, ეპიგრაფიკული და ა. შ. განიხილავენ მას აგრეთვე გარდამავალ ფორმად ნივთიერ და წერილობით წყაროთა ტიპებს შორის⁶⁵, ან მხოლოდ წერილობით წყაროთა რიგში ათავსებენ⁶⁶. გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებანი ეპიგრაფიკული მასალის კლასიფიკაციის შესახებ, რომლის საჭიროებაც გამოწვეულია უფრო მეტად მათი გმოცემის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ XIX—XX სს. განძილზე საკმაო წარწერები გამოვლინდა და გამოიცა, როგორც ლიტერატურა-

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 326.

⁶⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 10, 292.

⁶¹ ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 30.

⁶² Е. Такайшивили. Материалы для истории Грузии. Тиф., 1895; მასივე. Исторические приписки двух кинклюсов и хронологический перечень событий по некоторым другим источникам. СМОМПК, 1896, вып. 21, с. 2; მცირე ქრონიკები. ოქსტები გამოსცა, შეავალი შერილი დაურთო ქ. ოდიშერმა, თბ., 1960, გვ. 3—8.

⁶³ ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.). თბ., 1961. ოქსტების პუბლიკაცია, გმოკვლევები და საძიებლები, გვ. 72; В. И. Стрельский. Основные принципы научной критики источников по истории СССР, Киев, 1961, с. 36.

⁶⁴ Вахушти Багратиони. История царства грузинского, Тбилиси, 1976 Перевел, снабдил предисловием, словарями и указателем Н. Т. Накашидзе, с. 10.

⁶⁵ Л. Н. Пушкин. Дона. Башмаков, გვ. 259.

⁶⁶ М. Н. Тихомиров. Источниковедение истории СССР с древнейших времен до конца XVIII в., т. I, М., 1940, с. 11; შერილობით ძეგლთა რიგში იხსენიებს ეპიგრაფიკას რ. ფ. ჯ. ნ. ა. ი. ფარსადან გორგიანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 4.

ში ოლნიშნულია, ეპიგრაფიკის თეორიული შესწავლა ჯერ კიდევ არ მოისახავად დონეზე⁶⁷.

ქველი ქართული მწერლობა იცნობს წერილობით ძეგლთა რამტენიშე ჰქონდერენციაციას. ლიტერატურა ძეგლთაგანავე იყოფა, პირველ რიგში, თაოგმინილ და ორიგინალურ მწერლობად. თარგმნის საქმაო, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტრადიციები არსებობს. ამ მხრივ უფრემ მცირის თეორიული შეხედულებები, რომელიც ზუსტად თარგმნის მომხრეა („მარტივად და შეუზავებლად და შეუხებლად ვსთარგმნო“), ათონურ სკოლას უპირისპირდება (ეფრემ მცირე ექვთიმე ათონელის შესახებ შენიშვნავს — „კელეწიფებოდა შემატებადცა და კლებადცა“), რომელთა თავისიუფალი, ხშირად ადაპტირებული ან კომენტირებული თარგმანი უფრო მეტად რედაქცია ან თანაავტორობაა⁶⁸. უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა როგორც საისტორიო წყარო. ასეთი დამოკიდებულება ერთგვარად ავტორთა თვითშეგნების პრობლემასაც უკავშირდება. თარგმნილ ძეგლებს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ორიგინალურს. არაიშვითად ერთსა და იმავე თხზულებაში თარგმნილი და ორიგინალური ნაწილების თანაარსებობა მათ თანასწორუფლებიანიბაზე მიუთითებს.

აღრეულ ხანაში არაფერია ნათქვამი ლიტერატურის სასულიერო და საერო დარგებად დაყოფის შესახებ, თუმცა ასეთი დიფერენციაციის შესახებ თეორიული შეხედულებების არსებობა ძეგლთაგანვე ივარაუდება⁶⁹. ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში მსგავსი რამ პირველად აღორძინების ხანაში ჩნდება. თეორიაში ეს ორი დარგი წარმოდგენილია ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად, მტრულად განწყობილ მიმართულებებად⁷⁰. რეალობაში ამ ხანისათვის სასულიერო მწერლობა განწირულია, ხოლო ეს უკანასკნელი გაბრძოლება საერო ლიტერატურის გამარჯვებით მთავრდება. თვით ის ავტორები, რომლებიც სასულიერო ლიტერატურის პრიმატობას იცავენ (არჩილ ბაგრატიონი აღორძინების ხანის თითქმის ყველა მოღვაწის აზრს გამოხატავს, როდესაც ამბობს: „ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საერო, სამღვდელოს მცოდინარე საეროსა მოერიო“)⁷¹, საერო დარგის მოღვაწეები არიან: თეიმურაზ I, არჩილ ბაგრატიონი, იესე ტლაშვაძე და სხვ.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საყოველთაოდ დამკვიდრებულია აზრი მწერლობის სასულიერო და საერო დარგებად დაყოფის შესახებ⁷², თუმცა მკვლევრები მათ ხასიათს, საჭყისებს, ურთიერთობის საკითხებს სხვადასხვაგვარად წყვეტენ. ზოგიერთი მათგანი არ ავლებს მყაცრ მიზნას სასულიეროსა და საერო მწერლობას შორის, ბუნებრივია, პირველ რიგში ისინი, რომელთა აზრითაც, ერთი მეორისაგან აღმოცენდა. მაგალითად პ. ერეკლიძის შენიშვნით ლიტერატურის ისტორიის აგებისას ლაპარაკი ცალკე სასულიერო და ცალკე საერო მწერლობაზე შეიძლება სავალდებულო არც

⁶⁷ ვ. სილოგავა. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 186—191.

⁶⁸ თ. უორდანია. ქრისტიანი... I, გვ. 216.

⁶⁹ ი. ჭავახიშვილი. ქველი ქართული სისტორიი მწერლობა, გვ. 30.

⁷⁰ კ. კორელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 320.

⁷¹ არჩილიანი. II, გვ. 6.

⁷² ზ. ჭიჭინაძე. ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში. თბ., 1887; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 364 და სხვ. (იხ. შემდეგი სქოლითები).

კია, ჩვენ ამ ტერმინებს პირობითად ვხმარობთ⁷³. იგივე აზრი გამოთქმული აქვს თ. ბეგიაშვილს, რომლის თანახმად, ტერმინები „სასულიერო“ და „უსაფრთხო“ პირობითად, რადგან აქ სხვაობა მხოლოდ ამა თუ იმ ეპოქაში გამოიყენება⁷⁴. ი. ჯავახიშვილი, ქ. კექელიძის მსგავსად, თვლის, რომ „ქართული სამოქალაქო“ საისტორიო დარღვევი ქართული საეკლესიო მწერლობისაგან განვითარდა⁷⁵. ამ შეხედულებას ჰყავს ოპონენტები. მ. ლორთქიფანიძე, რომელიც კანონმდებრიდ მიიჩნევს ლიტერატურის დაყოფას სასულიერო და საერო დარღვებად, თვლის, რომ სამოქალაქო საისტორიო მწერლობას განვითარების თავისი საკუთარი გზა აქვს და უფრო ძველია, ვიდრე ქრისტიანული საეკლესიო მწერლობა⁷⁶. სხვადასხვა გამოკვლევებში ნაჩვენები როგორც შეხვედრები, ასევე წინააღმდეგობანი⁷⁷ ამ ორ დარგს შორის ნათელს ხდის აღნიშნული დაყოფის ობიექტურობას. ამავე დროს მათ შორის მიჯნების სიმეტრიულებები და აგრეთვე გარდამავალი ფორმების არსებობაზე მიუთითებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნების კამათი ზოგიერთი წერილობითი ძეგლის დარგიბრივი კუთვნილების შესახებ. კერძოდ, აზრთა სხვადასხვაობა „მოქცევა ქართლისას“, თემიურაზის პოემა „ქეთევანიანთან“ დაკავშირებით⁷⁸. მკვლევართა ნაწილი საეროდ მიიჩნევს ჰაგიოგრაფიის ზოგიერთ ძეგლს⁷⁹. მსგავსი სირთულეები დღის წესრიგიდან არ ხსნის აღნიშნული დიფერენციაციის საჭიროებას, რომელსაც გარევეული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ძეგლის შეფასებისა თუ მისი საინფორმაციო ღირებულების დადგენისას.

ძეგლი ქართული ლიტერატურა იცნობს კიდევ ერთ დაპირისპირებას — „პოეზიისა“ და „არაპოეზიის“⁸⁰. ქართულ ლიტერატურაში ლექსად დაწერი-

⁷³ ქ. კექელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1960, გვ. 11. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ქ. კექელიძის აზრი ქართული საისტორიო მწერლობის შესახებ, რომელსაც იგი მიიჩნევს ერთგარ გარდამავალ საფეხურად საეკლესიო მწერლობიდან საგროზე (К. ქეკელიძე. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Монография „Кирилл Шаламашвили“..., IX, თბ., 1963, გვ. 148).

⁷⁴ Ф. Бегишвили. История древнегрузинской литературы. V—XII вв. 1949, с. 6.

⁷⁵ ი. ჯავახიშვილი. ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 27.

⁷⁶ მ. ლორთქიფანიძე. აღრევეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1966, გვ. 11.

⁷⁷ პ. ინგოროვა. ჩუსთაველის ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობა. — „რუსთაველის კრებული“. თბ., 1937, გვ. 27; გ. იმ ედაშვილი. ძეგლი ქართული მხატვრული ენსა და სტილის მაჩქებზე. — კრებულში: ძეგლი ქართული მწერლობის სტილის საკითხები, თბ., 1965, გვ. 3—47; М. И. Гигинейшвили. К вопросу о жанровой квалификации «Мученичество Шушаник». Тбилиси, 1978.

⁷⁸ ქ. კექელიძე. „მოქცევა ქართლისას- შეღვენილობა, შეართები და ეროვნული ტერიტორიებით. — „ტერიტორიები“, ..., 1, 1956, გვ. 75; მისივე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960; გვ. 526—530; მ. ლორთქიფანიძე. აღრევეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1966, გვ. 129, [ლ. მენაბდე]. იყანებ ცურტაველის „შუშანიქის შამება“ და ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, „სიუბილური კრებული“, თბ., 1978, გვ. 103—118; გ. იმ ედაშვილი. თემიურაზ პირველის „შამება ქეთევნ დედოფლისა“ და შარტვილოვანი უანჩი. — „ძეგლი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964. გ. ცულა. Житие св. Нины как исторический источник. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 70.

⁷⁹ გ. ჭელიძე. ჩარჩოები. — „ლიტერატურული საქართველო“, 1976.

⁸⁰ რ. სირაძე. პოეზიისა და „არაპოეზიის“ ურთიერთგანასხვავებელ ნიშანთა შესახებ, მისივე წიგნში — ძეგლი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 122—133.

ლი მუდამ პოეტურს არ ნიშნავდა. და არც პროზაული ნაწარმოებია არაპოეტურის ფარდი. ლექსად დაწერილი ძეგლები საისტორიო წყარო, შატრაჭ, რეამოსავალი გახდება ზემოაღნიშნული შეხედულება, მათი ნაწილი შესაძლოა უშუალოდ საისტორიო მწერლობას განეცემოვნოს, ხოლო ნაწილი — მხატვრულ ლიტერატურას. არ არის გამორიცხული გარდამავალი ფორმების არსებობაც. თუმცა პრატიკულად პოეტურისა და არაპოეტურის გამიჯვნა საქმაოდ რთულია, რაზედაც ჯერ კიდევ არჩილი მიუთითებდა: „არა ადვილ არს რიტორთა და მელექსეთა განრჩევა“⁸¹.

თხრობით საისტორიო წყაროთა ისტორია იწყება ჰაგიოგრაფიით, მაგრამ რა უნდა ეწოდოს ჰაგიოგრაფიას? თუ მას განვიხილავთ დამოუკიდებლად, იგი თხრობით საისტორიო წყაროთა ერთ-ერთი სახე იქნება, ხოლო თუ შევიტონთ საისტორიო მწერლობაში, ან მხატვრულ ლიტერატურაში, მაშინ სახე იქნება საისტორიო მწერლობა, ან მხატვრული ლიტერატურა, ხოლო ჰაგიოგრაფია უკვე ქვესახე. არ არის გამორიცხული გარდამავალი საფეხურიც. აღრეული წერილობითი ძეგლების კლასიფიკაციისას არაერთი სადაც საკითხი წამოიჭრება და მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობა. ქართულ ლიტერატურამცდნეობაში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე განსხვავებული აზრია გამოთქმული და თითოეულ მათგანს თავისი მიმდევარი ჰყავს. კიდევ ერთხელ შევჩერდებით ამ სადაც საკითხის ისტორიოგრაფიულ მხარეზე და აღნიშნული კუთხით შევეცდებით მისი მიზეზების გაშუქებას.

ჰაგიოგრაფიის თხზულებათა დარგობრივი კუთვნილების საკითხზე ღილი ლიტერატურაა შექმნილი. მკვლევართა ნაწილი მათ მხატვრულ ლიტერატურას აკუთვნებს, ნაწილი — საისტორიო მწერლობად მიიჩნევს. არსებობს საშუალო, შემრიგებლური აზრიც, რომელიც არ ამბობს უარს არც მხატვრულ ლიტერატურასთან და არც ისტორიოგრაფიასთან სისხლოვეზე. ზოგჯერ ჰაგიოგრაფიაში ათავსებენ კონფესიურ-დოგმატიკური ხასიათის სამოქალაქო-საისტორიო და კულტურულ-ისტორიული ხასიათის თხზულებებსაც. ჰაგიოგრაფიის ფარგლების ასეთი გავრცობა, ვფიქრობთ, გაუმართლებელია, რადგან მისი სფერო ლიმიტირებულია ტერმინის „შინაარსით, რომელიც წმინდანთა ცხოვრების აღწერას გულისხმობს. ცალკეულ შემთხვევებში ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში წმინდანის ცხოვრება თავისი მნიშვნელობით ფორმალურობამდე დაყვანილი⁸², ხოლო თხზულებაში არსებითი ხდება მასში გადმოცემული სამოქალაქო-საისტორიო ხასიათის ცნობები. გარკვეული ღოზით ძეგლები კონფესიურ-დოგმატიკურიც არის, მაგრამ ყოველივე ეს ან არცვლის მათ თუნდაც ფორმალურობამდე დაყვანილ ძირითად პრინციპს, რომელიც არ სცილდება უანრის ფარგლებს, ან, თუ ცვლის და სცილდება, აյ აღარ შეიძლება ლაპარაკი ჰაგიოგრაფიაზე. ძეგლთა მეორეხარისხოვანი ნიშნების გამოვლენა უანრის ფარგლებში მასალის შემდგომ სისტემატიზაციას ემსახურება.

უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ნაშრომებში უფრო მეტად გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის მრავალი ნიმუში (განსაკუთრებით ხშირად ეს ისმის ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობით ლიტერატურული ძეგლის, შუშანიკის წამების მიმართ, რადგან ყველაზე

⁸¹ აზრილიანი, I, 1936, გვ. 101 (ლექსი ასდაათნი).

⁸² ამის შესახებ იხ. A. B. Пайкова. К вопросу об эволюции агиографического жанра в сирийской литературе.—«Кавказ и Византия», вып. 3, Ереван, 1982, с. 89—90.

მეტი გამოკვლევა მას მიეძღვნა⁸³, ვერ თავსდება ჰაგიოგრაფიის ვიწრო ჩით-ჩოში, სცილდება მას და მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებად იქცევა, ან ქმნის რაღაც გარდამავალ საფეხურს ჰაგიოგრაფიასა და საერთო ლიტერატურულ ტურას შორის.

გადავხედოთ ისტორიულ ტრადიციას. ეფრემ მცირე წმინდანთა ცხოვრებას „წმინდანთა მატიანებს“ უწოდებს. იგივე ავტორი წმინდანების ცხოვრებათა კრებულის წარწერაში აღნიშნავს: „ამას წიგნსა ეწოდების ფილითეონ ისტორია, რომელ არს ღთის მოყრებათ თხრობათ... ამისთვის უსაკუთრეს არს წოდება ფილითეონ ისტორიაა“⁸⁴, ე. ი. ამ შემთხვევაში მასთან ჰაგიოგრაფიული ძეგლების აღსანიშნავად ტერმინი „ისტორია“ გამოიყენება.

აღორძინების ხანის მწერლობა ჰაგიოგრაფიის მიმართ ფაქტობრივად აფიქსირებს აღრე შემუშავებულ შეხედულებას. ჰაგიოგრაფია ამ ხანის მწერლობაში აღინიშნება ტერმინებით — მარტივილობა, ცხოვრება, მატიანე, ისტორია. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „მატიანე განიყოფების ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულება მათი, ხოლო სამოქალაქო — ქმნულება სოფელსა-შინანი დიდთა და მცირეთა“⁸⁵, ე. ი. ჰაგიოგრაფია მასთან აღინიშნება ტერმინით „მატიანე“. კათალიკოსი ანტონ I ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს ქართველ წმინდანთა „მოთხრობა-ისტორიას“ უწოდებს, ხოლო მათ ავტორებს — ისტორიკოსებს ან მეისტრორიეტებს⁸⁶. ამდენად ძველი ქართველი მოღვაწენი არ არჩევენ ერთმანეთისაგან ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას, ყოველ შემთხვევაში არ არჩევენ მათ ტერმინების დონეზე. როგორც ერთი, ასევე მეორე აღინიშნება ტერმინებით — ცხოვრება, მატიანე, ისტორია.

მოკლედ შევეხოთ ტერმინებს „მატიანე“ და „ისტორია“. როგორც დავინახეთ, ეფრემ მცირე ტერმინით „მატიანე“ იხსენიებს წმინდანთა ცხოვრებას. მისივე ცნობებზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „ძველად ამ სახელით მხოლოდ მოვლენათა მარტივად აღმნუსხველი საისტორიო თხზულებები იწოდებოდა“⁸⁷. ამგვარად, სიმარტივე, სიმოქლე დანახული იყო გარკვეული სახის თხზულებათა დამახასიათებელ თვისებად, რაც კვლავ ტერმინის მნიშვნელობის დაკანკრეტების ცდაა⁸⁸. გამოთქმულია ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც. თ. უორდანის მიაჩნია, რომ „მატიანე“ არ უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის რიგზე გადმოცემული ფაქტების უბრალო აღნუსხვა. ასე მავალითად, მკვლევარი სუმბატ დავითის ძის თხზულებასთან დაკავშირებით შენიშნავს: „მეორე ნაწილში (დაწყებული 1001 წლიდამ და გან-

⁸³ ქ. ე ე ე ლ ი ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია. I, გვ. 113; ა. ბ ა რ ა მ ი ძ. ვარგვები..., VII, 1978, გვ. 127; ნ. ჯანაშია. უშანიერი წმება, I, თბ., 1980, გვ. 306 (იხ. აგრეთვე სქოლიობი, 140—141). ერთგვარ პასუხს ასეთ მოსაზრებებზე ქარმოდგენს მ. გიგანე შვილის მოხსენება — М. И. Гигинешивили. К вопросу о жанровой квалификации «Мученичества Шушаник». Тбилиси, 1978.

⁸⁴ თ. უორდანი. ქრისტიანი, II, ტფ., 1897, გვ. 40.

⁸⁵ გა ც უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა. გვ. 4.

⁸⁶ ა ნ ტ ო ნ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი. წყობილი სიტყვეობა. გამოსცემად მთამზადა, გამოკვევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლშვილმა. თბ., 1980, გვ. 255; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, თბ., 1980, გვ. 90, 183, 244, 289, 294, 301, 324.

⁸⁷ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქრისტიანი საისტორიო მწერლობა, გვ. 28.

⁸⁸ სხვა საქმეა, რომ საისტორიო ნაწარმოებებს განსაკუთრებით ახასიათებდათ ლაკონიურობა, სიმოქლე. იხ. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვეობა, I, ტექსტის მომზადება, რეაცია, შესაგალი და შენშვები ქ. სიხარულძის, გვ. 48.

საკუთრებით 1021 წლიდამ) იწყება ისტორია უფრო ვრცელის ცნობებითაც და უბრალო ქრონილოგია მატიანედ იქცევა⁸⁹. „მატიანის“ ეფრემ მცირი-სეული აღნიშნული განმარტება უსათუოდ უნდა განიხილებოდეს მცირ-რიულ მოსაზრებათა საერთო რიგში. ეფრემ მცირისათვის, ისევე როგორც მისი სხვა თანამედროვეებისათვის, „მარტივად“ ან „ლიტონად“ თხრობა სარწ-მუნობის, „უეჭულობის“ ხარისხს უკავშირდება, ხოლო მრავალსიტყვაობა — „საეჭულობას“. „საეკლესიო თხრობათაგან და ხრონოლრაფთა მცირედ-მცი-რედი საკითხავები შექმნა და მოსაჯენებელი უწოდა და აღირჩია ყოველივე უეჭული და ჰეშმარიტი, დაღაცათუ მცირე იყვის, ვიღრეცა ცრულ და საე-ჭული, დაღაცათუ დიდ და ვრცელ იყვის⁹⁰, — აღნიშნავს ეფრემ მცირე. „საქმითი სიტყუა“ ლიტონი და მარტივი უნდა ყოფილიყო, ხოლო ამას უპი-რისპირდებოდა „ხედვითი სიტყუა“ და „რიტორებრივთა მათ განგრძობა“. და-ვითის ისტორიკოსი ხაზს უსგამს იმ ფაქტს, რომ „ვინათგან ამათ ნივთი საქმე-თანი არა აქუნდეს კმად მოსათხრობელად, ამისთვისცა მას კელოვნებითა რი-ტორებისათა განავრცელეს“⁹¹. მოკლედ ნაწერი უფრო სანდოდ ითვლებოდა და ამიტომ ყველა ავტორი ირწმუნება: „მრავლისაგან მცირე აღმიწერია“, მათ შორის მეტაფრასებიც კი — „არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არა-მედ ძალი სიტყვასა და გამოცხადებად საქმისა მოკლედ და მარტივად წარ-მომითქუამს“⁹². — გადმოგვცემს არსენ ბერი. აქედან გამომდინარე ეფრემ მცირის ცნობაში დანახული უნდა იქნეს არა იმდენად რომელიმე სახის ძეგლ-თა ფორმისა და სტრუქტურის სპეციფიკა გარკვეულ ხანაში, რამდენადაც წე-რილობითი წყაროებისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნა, რაც თუმცა საქ-მაოდ ხშირად არ სრულდებოდა. ტერმინი „მატიანე“ გვხვდება როგორც „ქარ-თლის ცხოვრების“, ასევე ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, თუმცა მისი შინა-არსი მუდამ ნათელი არ არის.

ს.-ს. ორბელიანი ტერმინს ფართო მნიშვნელობით განმარტავს: „მატია-ნე — საღვთო წერილთა ძუელთ და ახალთა ორთავეს სახელია. მატიანედ ითქმის მეფედ ცხორებანიცა. მატიანე არის მოსაჯენებელი საქულეპინოთა და წესთანი“⁹³. მროველი ეპისკოპოსი მისივე ბრძანებით 1715 წ. შედგენილ სამწყსოს დავთარს ზოგჯერ „მატიანეს“ უწოდებს⁹⁴. იმავე პერიოდში ზოგად-თან ერთად ისახება ტერმინის მნიშვნელობის შეზღუდვის ტენდენცია. „მა-ტიანეს“ ვიწრო მნიშვნელობით ამ ხანის მოღვაწენი მხოლოდ საისტორიო ხა-სიათის ძეგლების აღსანიშნავად იყენებენ. ანტონ I „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებს მატიანეს: „მატიანე მეფეთა ქართლისათა“, „ძუელი მატიანე ჩუ-ნი“, „ძუელნი მატიანეთა ქართულთა ისტორიკოსნი“⁹⁵. ასევე „ძველს მატია-

⁸⁹ თ. ფორდ ან ი. ქრონიკები..., I, გვ. 149.

⁹⁰ ეფრემ მცირე. მოსაქენებელი..., გვ. 284.

⁹¹ ქართლის ცხოვრება. I, გვ. 342.

⁹² ძეგლი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 51,

⁹³ ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა. თბ., 1949, გვ. 196; იხ. აგრეთვე კ. გრიგორია. ს.-ს. ორბელიანი და საქართველოს ისტორია. ს.-ს. ორბელიანი. საიუმილეო ქრემუ-ლი. თბ., 1959, გვ. 43—57.

⁹⁴ ი. ჭავახიშვილი. საქართველოს, ეკონომიკური ისტორია. ტფ., 1930. წიგნი I, მეორე გამ., გვ. 10.

⁹⁵ ძეგლი ქართული აგავრაფიული ლატერატურის ძეგლები. VI, გვ. 260, 289, 330; იხ. აგრეთვე მ. ანდრიანიკაშვილი. ნაჩვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთ-ხიდან, თბ., 1966, გვ. 163, 164, 342, 348.

ნეს უწოდებს „ქართლის ცხოვრებას“ რაუდენ პირველმოწამის ცხოვრების ოქტომბერი XVIII ს. მოღვაწე ბესარიონ ორბელიშვილი⁹⁶. ვახუშტი ბაგრატიონი „მატიანეს“ ყოველგვარი ფორმისა და შინაარსის საისტორიო ძეგლებს, უწოდებს. თვით მისი მატიანე რთული აგებულებისაა (ოთხი ნაწილისაგან შედგება: ადგილის აღწერა, ნათესავთმეტყველება, წელთმრიცხაობა და მოქმედების აღწერა), ამასთანავე განიყოფების ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ, ხოლო პირველს, როგორც აღინიშნა, პაგიოგრაფიას აკუთვნებს⁹⁷. ამავე დროს ვახუშტისთან ვეზდებით ერთმანეთის გვერდით „მატიანეთა და ქორონიკონებთა“, „მატიანეთა და ცხოვრებათა ძიებათა“. ასეთ შემთხვევებში გასაგები არ არის, სინონიმებთან გვაქვს საქმე თუ დაპირისპირებასთან. მუდამ ნათელი არ არის ეს საკითხი, ალბათ, თვით ავტორისთვისაც.

ძველი ქართული ენის ლექსიკონში მატიანე, მატიანი განმარტებულია როგორც წიგნი, სიგელი, ისტორია, დავთარი⁹⁸.

ამდენად ტერმინ „მატიანეს“ ფართო მნიშვნელობა აქვს და წერილობით ძეგლთა ზოგად დასახელებას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს: „მატიანენი საშინაონი და სააღავნენი“, „მატიანენი სათანაონი“, „მატიანენი მოსაქსენებელი სულთად“⁹⁹ და სხვ. აქედან გამომდინარე ამ ტერმინის მიხედვით ჯერჯერობით არ მტკიცდება ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის არც იგივეობა და არც სხვაობა.

თანდათან „მატიანე“ ტერმინის მნიშვნელობა კიდევ უფრო ვიწროვდება და ძირითადად ლაკონიურად, მშრალად გადმოცემული სოციალური და პოლიტიკური ცნობების შემცველი ძეგლების აღმნიშვნელი ხდება, რაშიც შესაძლებელია გარკვეული როლი ითამაშა ეფრემ მცირის ზემოაღნიშნული ცნობის თავისებურმა გაგებამ. კ. კეკელიძე, როდესაც სუმბატ დავითის ძის ნაშრომს „მატიანისებურ თხზულებას“ უწოდებს, გულისხმობს სწორედ მის ლაკონიურ, თვავშეკავებულ სტილს¹⁰⁰. გ. იმედაშვილის აზრით, „თეიმურაზი საერთოდ მშრალი მატიანური სტილით აღნუსხავს ცალკეულ სტროფებში ეპიკურ თხრობის თვალსაზრისს საინტერესო მოვლენებზე“¹⁰¹. მ. ჯანაშვილი „მატიანებს“ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს უწოდებს¹⁰². ე. თაყაიშვილს „მატიანე“ აგრეთვე ქვეყნის წარსულის გადმოცემად ესმის. მაგალითად, პოემა „კათალიკოზ-ბაქარიანი“, მისი აზრით, „გალექსილი მატიანეა, ტლაშაძის დროის ქართლ-კახეთის ისტორია“¹⁰³. ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის აღწერის შესავალში ე. მეტრეველი შენიშნავს: „თითოეული ეს თხზულება თავისი დროის შესანიშნავი ისტორიული მატიანეა, დაწერილი ქარ-

⁹⁶ ს. ყუბანევიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბ., 1946, გვ. 242.

⁹⁷ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 4.

⁹⁸ ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 220.

⁹⁹ თ. უორდანია. ქრონიკები..., II, გვ. 31 (მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წ. სიგელი).

¹⁰⁰ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, გვ. 250.

¹⁰¹ გ. იმედაშვილი. თეიმურაზ პირველის „შემბა ქვევან დელფინისა“ და მარტვილ-ლოგიური უანჩი. — „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 126.

¹⁰² მ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი. ტბ., 1896, გვ. 10.

¹⁰³ ე. თაყაიშვილი. კათალიკოზ-ბაქარიანი, მღვდლის იესე ტლაშაძისა. ტფ., 1895, გვ. 52.

თული აგიოგრაფიისათვის”¹⁰⁴. ნ. ვაჩნაძე წინ წამოსწევს სერაპიონ ზარზექ-ლის ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ ცნობათა ღირებულებას და ასევნის, „გადაჭარება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი შესანიშნავი მატრიატუ და ამ მხრივ ბევრად არ ჩამოუვარდება გიორგი მერჩულეს ბრწყინვალე თხზულებას”¹⁰⁵. თ. პაპუაშვილი „მატიანისებური ხასიათის“ შრომად მიიჩნევს სენია ჩხეიძის, პაპუა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის თხზულებებს¹⁰⁶.

ამავე ღროს ტერმინის ინტერპრეტაციაში ერთსულოვნება დღემდე არ არის მიღწეული. ზოგიერთი მკვლევარი, ხედავს რა „მატიანეში“ არქაულობის ნიუ-ანსს, ერთგვარად განასხვავებს მას ზოგადად საისტორიო თხზულებათაგან. მა-გალითად, ს. კაკაძე, როდესაც ფარსადან გორგიგანიძის თხზულებას ახასია-თებს, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს შრომა „არ შეიძლება ჩაითვალოს თა-ვისი დროისათვის წმინდა საისტორიო ხასიათის დამუშავებულ ნაწარმოებად... აეტორს ჰქონია ფრიად საღი ალღო ისტორიული ფაქტების გაებისა და უფ-რო მეტი კიდევ სიყვარული თავისი ქვეყნის წარსულისადმი. ამით ახსნება, რომ ფარსადან განუზრახავს თავისი ისტორიის, უკეთ მატიანის დაწერა“¹⁰⁷. ასეთივე განსხვავებული მნიშვნელობით ესმის ტერმინი „მატიანე“ ვ. გაბა-შვილს¹⁰⁸. კ. გრიგოლია, გამოყოფს რა „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებს შორის კიდევ ერთ თხზულებას, მის ავტორს თამარ მეფის მემატიანე-ისტორიკოსს უწოდებს. წარსულის აღწერად ესმის ეს ტერმინი თ. უორდანიას¹⁰⁹. „მატიანე-თა“ ჩიგიდან იგი თანამედროვეთა მიერ აღწერილ ძეგლებს გამოარჩევს და დაწვრილებით მსჯელობს მათი დანიშნულების შესახებ. მისი აზრით, „ასეთი სახის მატიანები თრგვარია: ერთი რიგი თანამედროვეთა მემატიანეთა დროთა აღწერაში შემდეგ წესს მისდევს: ყოველ დღე-თვე ანუ ყოველ წელს ცალ-ცალკე აღწერენ ხოლმე იმ დღე-თვე და წელს მომხდარსა ამბებს და დროსაც იქვე გვიჩვენებენ. ამგვარსა მატიანეს ჩვენში უწოდებენ წელთა რიცხოვანად. ... წელთა რიცხოვანი მატიანე შედგენილია ნაკუშ-ნაკუშ, მეტად ჭრელ ცნობა-თაგან, რომელთაც ერთმანეთთან არა აქვთ არცა ლოგიური და არცა ნივთიერი კავშირი, გარდა ქრონოლოგიურის კავშირისა... უძვირფასესი ღირსება ამგვა-რის მატიანებისა არის ქრონოლოგია. ამგვარია ერთი წილი სუმბატის ქრონი-კისა და ყველა ესრული წოდებული „ცხრილოვანი“ ქრონიკები.

მეორე რიგი მემატიანეთა სულ სხვა წესს მისდევენ. იგინი მხოლოდ მა-შინ თოლებენ კალამს მომხდარი ამბების აღსწერად, როდესაც ხანგრძლივის და-კვირვების შემდეგ მათს მეხსიერებაში გამოიხატება მთელი სახე წარსულის ცხოვრებისა, განსაკუთრებით თუ ეს ცხოვრება მღიდარია არაჩვეულებრივის სამწუხრო გინა სასიხარულო ამბებითა... სწორედ ამგვარი მეისტორიე და ის-ტორია იწოდებოდა ჩვენში მემატიანედ და მატიანედ. ამგვარს მატიანეს სწო-რედ ეს ღირსება აქვს, რომელიც ყლია „წელთა რიცხოვანს“ და სწორედ ის ნაკლიცა, რომელიც სრულიად არ იძოვება უკანასკნელში... იგინი თითქმის სრულიად მოკლებული არიან ქრონოლოგიას“.

თუმცა თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში „მატიანე“ ძირითადად თხრო-ბითი საისტორიო ძეგლების აღმნიშვნელია, დაშვებულია ზოგიერთი გამონაკლი-

¹⁰⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინტრი კოლექცია, I, 1979, გვ. 6.

¹⁰⁵ ნ. ვაჩნაძე. სერაპიონ ზარზელის ცხოვრება როგორც საისტორიო შეარო. თბ., 1975, გვ. 147.

¹⁰⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 35.

¹⁰⁷ ს. კაკაძე ა. ფარსადან გორგიგანიძის ისტორია. საისტორიო მოაშე, II, 1925.

¹⁰⁸ ვ. გაბაძე ვილი, ვახუშტი ბაგრატიონი. „მათობი“, 1983, № 7, გვ. 201—207.

¹⁰⁹ თ. უორდანია. ქრონიკები..., I, გვ. LIII.

სი, როდესაც იგივე ტერმინი დოკუმენტური ძეგლების დასახელებად გამოიყენება. მაგალითად, გვაქვს „სულთა მატიანები“ — მონასტრებში შედგენილი შემწირველების მოსახლენებლები. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ისტორიული ტრადიცია — „მატიანენი საშინაონი და სააღავენი“, „მატიანენი მოსახლენებელი სულთა“.

რადგან „მატიანე“ ამჟამადაც სხვადასხვა ხასიათის ძეგლებს აღნიშნავს, დამოუკიდებლად მისი გამოყენება საკლასიფიკაციო ჯგუფის მიმართ, რომლის ერთ-ერთი განმსახლერელი ძეგლთა სტრუქტურის მსგავსებაა, შეუძლებელია, მაგრამ სახეთა და ქვესახეთა შემდგომი დიფერენციაციისას, რასაც საფუძვლად ედება შინაარსობრივი თავისებურებები, გამოიყენება ტერმინები „კუთხური მატიანე“ ან „საგვარეულო მატიანე“, რომელიც შედის როგორც თხრობით, ასევე დოკუმენტურ წყაროთა რიგში. მაგალითად, ქ. ჭარაშიძეს მოცემული აქვს „სულთა მატიანების“ შემდეგი დაყოფა: „საოჯახო-სათავისო“, რომლებიც ვიწრო ოჯახური წრით იღარღლებიან, კუთხური ნუსხები და დიდი ეკლესია-მონასტრების მოსახლენებლები¹¹⁰. ძეგლთა ანალოგიური დაჯგუფები, რომლებსაც საფუძვლად დაედება შინაარსის ესა თუ ის მხარე და არ იქნება განპირობებული ორგანული, სტრუქტურული თვისებებით, სხვაც არაერთი შეიძლება იყოს. ასეთი დიფერენციაცია, რომელიც მკვლევრის ნებაზეა დამოკიდებული, კვლევის პროცესში ზოგჯერ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ვიღრე კლასიფიკაცია, რომლის მიზნები განსხვავებულია, ხოლო საფუძვლები — მთლიანად ობიექტური.

საგვარეულო და კუთხური მატიანები გარკვეულ სიახლოეს ამჟღავნებენ. საგვარეულო მატიანები შეიცავს როგორც ცალკეული კუთხის მეფეთა ან მთავართა გენეალოგიურ ნუსხებს, ასევე ამა თუ იმ მხარის სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიას. საგვარეულო მატიანეთა რიგს განკუთვნება სუმბატ დავითის ძის თხზულება, რომელიც ბაგრატიონთა გვარის ისტორიას შეიცავს. საგვარეულო მატიანეა ვაკტანგ VI-ის „ბაგრატიონთ ნათესაობის წიგნი“¹¹¹. საგვარეულო მატიანებს საქმაო ტრადიციები აქვს ქართულ მწერლობაში და მათი ჩანასხები ჯერ კიდევ პაგიოგრაფიაში გვხვდება. მაგალითად, გიორგი მერჩულეს მოტანილი აქვს ცნობები ქართველ ბაგრატიონთა შესახებ¹¹². „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხაში შეტანილი ეპიზოდები, როგორც ვარაუდობენ მაჩაბლიანთ საგვარეულო მატიანიდან მომდინარეობები¹¹³. უამთააღმწერლის თხზულებაში გამოყოფენ გაყელთა ისტორიას¹¹⁴. ამა თუ იმ გვარის ან ოჯახის შესახებ მონაცემებს შეიცავენ აგრეთვე დღიურები, პირადი წერილები, სხვადასხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოებები. დასაშვებად მიაჩინათ გ. საკაძის დღიურების ან პირადი წერილების არსებობა, რომლის მონაცემებზე დაყრდნობითაც აგებს თავის პოემას იოსებ ტფილელი¹¹⁵. ერთ-

¹¹⁰ ქ. ჭარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.). — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 221.

¹¹¹ ქ. გრიგორია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნებიდან, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 214.

¹¹² თ. ლომიური. სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-IX—X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. — „არილა“. ი. ჭავახიშვილისადმი მიღვნილი კრებული, თბ., 1925, გვ. 47—57.

¹¹³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 025.

¹¹⁴ თ. უორდანია. ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 566 შედ.

¹¹⁵ რიმა ფირცხალიშვილი. იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. 96—97.

ერთი ძირითადი წყარო არჩილ ბაგრატიონისათვის თეიმურაზ I-ის შესახებ, ოჯახური გაღმოცემებია¹¹⁶.

„საგვარეულო მატიანები“ უახლოვდება ზოგჯერ „კუთხური მატიანების“ და ფარავს კიდეც მათ თავისი შინაარსით, მაგრამ მათ შემოსილი ვნელოვანი სხვაობაც არის. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება საქართველოს მეფეთა, ბაგრატიონების ისტორიას, ეს არ იქნება მხოლოდ გარკვეული აუთხის თავგადასავალი. „კუთხური მატიანები“ შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით: ქრონიკები, ანდერძ-მინაწერები, სულთა მოსახლეებლებით. მათ რიცხვს განეკუთვნება — „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ამავე დროს საგვარეულოც არის, ან „მესხური მატიანები“.

კლასიფიკაციის დროს როგორც საგვარეულო, ასევე კუთხური მატიანების გამოყოფა დასაშეგებია მხოლოდ ცალკეული სახეების ფარგლებში.

ამგვარად, თანამედროვე წყაროთმცოდნებაში „მატიანე“ ტერმინის მნიშვნელობა შედარებით დავიწროებულია და ძირითადად თხრობით და ნაწილობრივ დოკუმენტურ (სულთა მატიანები) საისტორიო ძეგლთა აღმნიშვნელი ხდება. ტერმინის შინაარსის შეცვლასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იგი აღარ ვრცელდება პაგიოგრაფიულ ძეგლებზე და მხოლოდ საკუთრივ საისტორიო მწერლობის აღმნიშვნელად ჩაიხდება.

რაც შეეხება ტერმინ „ისტორიას“, მისი ფარგლების ზუსტად დადგენა ქართული მასალის საფუძველზე რთულია, რადგან იშვიათად გვხვდება. ეფრემ მცირესთან „ფილიოთეონ ისტორიის“ განმარტებისას როგორც „ღთის მოყურებით „თხრობაც“, „ისტორია“ „თხრობის“ სინონიმად გამოდის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ისტორიის“ მნიშვნელობა ამ პერიოდში ისეთივე ფართო და ზოგადია, როგორც „თხრობისა“, ანდა ზოგადთან ერთად მისი კერძო მნიშვნელობის არარსებობის. ასეთი დასკვნის უფლებას არ გვაძლევს არც „ისტორიანი და აზმანი“, სადაც „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს შორის პირველად დასტურდება ტერმინი „ისტორია“. მიუხედავად იმისა, რომ ამ თხზულებაში ჯერ კიდევ არ არის „ისტორია“ მეტიოდ გამიზნული „ქებისაგან“, ხოლო ძეგლის საერთო ხასიათი — პაგიოგრაფიასთან სიახლოვე, უთარილობა, უზუსტონები ფაქტების გაღმოცემისას, გაზვიადება და ამაღლებული სტილი — განასხვავებს მას მოგვიანო ხანის საისტორიო ნაშრომებისაგან, მისი მოთავსება საისტორიო კრებულში იმის მანიშნებელია, რომ თანამედროვეთა მიერ ძეგლი აღიმებოდა როგორც საისტორიო მწერლობის კუთვნილება. სხვა საქმეა, თუ რა სახისაა ეს მწერლობა და როგორ იცვლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მაგალითად, კ. ქეკელიძის აზრით, „ეს მწერლობა ვერ აქმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ჩვენ დღეს ვუყენებთ ნამდვილ ისტორიას“¹¹⁷. „ისტორიათა და აზმათა“ და „ქართლის ცხოვრების“ სხვა ძეგლების მიმართ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ტერმინს — „ისტორიული შინაარსის სალიტერატურო ძეგლები“, „ისტორიული ხასიათის ქრონიკებთან და ისტორიულ მატიანებთან“ დასაპირისპირებლად, რომელთაც მიკუთვნებულია სუმბატ დავითის ძის თხზულება და „მოქცევად ქართლისა“¹¹⁸. თუ აღრე ჯერ კიდევ არ არის მეტიოდ როგორც ტერმინის, ასევე თვით ისტორიოგრაფიის დანიშნულება, მათი შემდგომი განვითარება-დახვეწა პა-

¹¹⁶ არჩილიანი, II, გვ. XXIII.

¹¹⁷ კ. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 250.

¹¹⁸ თ. ბეგვაძე ვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1925, გვ. 1, გვ. 102.

რალელურად მიმდინარეობს და ოღორძინების ხანაში მეტ განსაზღვრულობს იძებს.

მაგრამ XVIII ს-შიც, როდესაც ტერმინ „ისტორიას“ სრულიყდ, რეგნისა ზღვრული მნიშვნელობა ენიჭება, რაც ჩანს ს.-ს. ორბელიანის ლუქმისკონტრიდან (ისტორია — ქუეყნის ამბავი)¹¹⁹, შესაძლებელია იმის გამო, რომ უკანასკნელი ხანის ჰაგიოგრაფია თავისი თემატიკით და ფორმით კიდევ უფრო უახლოვდება საისტორიო მწერლობას, ან იქნებ ტრადიციის გავლენით, ტერმინი „ისტორია“ ჰაგიოგრაფიის მიმართ ამ დროსაც სრულიად ბუნებრივად არის მიჩნეული. კათალიკოსი ანტონ I საკმაოდ ხშირად იყენებს ტერმინს „ისტორია“, „ისტორიკოსი“, „მეისტორიინი“. წმინდანების ცხოვრებათა და „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა გარდა, „ისტორია“ ტერმინით იგი აღნიშნავს ბერძნულ ხრონიკების მისი აზრით, ისტორია ლექსითაც შეიძლებოდა გადმოცემულიყო.

„მეშაირე მაღალი, ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობი ისტორიათა შაირთა შინა სიბრძნით“¹²⁰.

XIX ს. დამდეგს საქართველოს ისტორიის შესწავლა ისეთ ვითარებაში დაიწყო, როდესაც, როგორც ა. ცაგარელი შენიშნავს, ფიქრობდენ, რომ ქართულ მწერლობაში დაბადების, საეკლესიო და სალვონისმეტყველო წიგნების გარდა მოიპოვებოდა მხოლოდ ისტორიული კრებული „ქართლის ცხოვრება“ და რამდენიმე ხელნაწერი¹²¹. ბუნებრივია, მკვლევართა ყურადღება უფრო მეტად ექცეოდა საისტორიო წყაროთა რაოდენობრივ ზხარეს, ვიდრე ხარისხობრივს. ხელნაწერთა კატალოგები და სხვადასხვა ძეგლთა ნუსხები, რომელთა შედგენა XX ს-შიც გაგრძელდა, არ ისახავს, ან ვერ ისახავს მიზნად წყაროთა კლასიფიკაციას, თუმცა ამის საჭიროება იგრძნობა. ე. თაყაიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „აღწერის დროს ხელნაწერთა ზუსტი კლასიფიკაცია ძეგლთა გვარების მიხედვით შეუძლებელია, რადგან ერთი ნომრით, ერთ ნუსხაში თავმოყრილია ზოგჯერ შინაარსის მიხედვით სრულიად განსხვავებული ნაწარმოებები“¹²².

მ. ბროსე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გამოკვლევებში ეხება საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებს: იგი მათ ყოფს პირველ რიგში ღოკუმენტურ (გუჯრები) და თხრობით ძეგლებად („ქართლის ცხოვრების“ თხზულებები, რომელთაც ანალებს ან ქრონიკებს უწოდებს). დიდ ყურადღებას უთმობს იგი ეპიგრაფიკულ მასალას. მისი ძირითადი ამოცანაა საქართველოს ისტორიის მასალების გამოვლენა. ამ თვალსაზრისით მკვლევარი ერთ სიბრტყეზე ათავსებს როგორც წმინდანთა ცხოვრებებს, ასევე საისტორიო პოემებს, მოგზაურობებს, ანტონ I „წყობილისიტყვაობას“. ამავე დროს მ. ბროსე საისტორიო მწერლობას საერთოდ და საეკლესიოდ ყოფს და უკანასკნელს წმინდანთა ცხოვრებებს აქუთვნებს¹²³.

¹¹⁹ ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონ. გვ. 153.

¹²⁰ ანტონ ბაგრატიონი. წყობილისიტყვაობა. გვ. 275, 278.

¹²¹ გარე ბროსე. საქართველოს ისტორია, ნაშ. პირველი, ტფ., 1895, გვ. IV.

¹²² Е. Т а к а й ш в и л и. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения». ч. I. вып. I, Тифлис, 1902, с. 727.

¹²³ Discours prononcé à l'assemblée générale de l'académie impériale des sciences de St.-P. par M. Brosset. P., 1830; M. Brosset. Des sources originales de l'histoire de la Géorgie, Extrait du journal de St.-Petersbourg du 16/28 mai 1847, № 249. იყვავ დამატებით იხ. Histoire de la Géorgie. Introduction et Tables des manières St. Petersbourg, 1858; იხ. აგრძელებული განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, აკად. ბროსესი. — „ცისკარი“, 1861, № 8—9.

საქართველოს შესახებ ქართულ ენაზე არსებულ საისტორიო თხზულებათა ვრცელი ნუსხა მოცემული აქვს დ. ჩუბინაშვილს¹²⁴. ანაწილებს რა აონიშნულ თხზულებებს ხუთ ჯგუფად, თითოეულ მათგანში იგი, თავის მხრივ, სხვადასხვა ძეგლებს ათავსებს. საკლასიფიკაციო ერთეულების დასახელებას მკვლევარი არ იძლევა, თუ ასეთად არ მივიჩნევთ მეხუთე ჯგუფთან მოხსენიებულ ტერმინ „განყოფილებას“. ყველაზე მსხვილ დანაყოფებს, მისი აზრით, შეაღგენს: I. უძველესი საისტორიო თხზულებები (ტექსტშია ლეთოპისი), რომლებიც კრებულს ქმნიან, II. თხზულებები, რომლებიც შეიცავენ თხრობას ქართველი ხალხის შესახებ დასაბამიდან XVIII ს-ის შუა წლებამდე. III. თვითმხილველთა მიერ აღწერილი თხზულებები, IV. მეფეთა ან სამშობლოსა და რწმენისათვის თავდადებულ პირთა ცხოვრებანი, V. მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგიური მაჩვენებლები. სიაში მოთავსებულია როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ძეგლები, ჩვენამდე მოუღწეველი ზოგიერთი ნაწარმოები, საისტორიო პოემები. აღნაშვნული სიის დასასრულს ჩამოთვლილია უკვე ყოველგვარი სისტემის გარეშე ყველა ის ძეგლი, რომელშიც, ავტორის აზრით, მოიპოვება მასალა საქართველოს ისტორიისათვის. მასალის დალაგების წესის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა ამჟამად საქამათო და მიუღებელიც იყოს, დ. ჩუბინაშვილის მონაცემები, როგორც საქართველოს ისტორიის შესახებ თხრობითი წერილობითი მასალის შედარებით სრული ნუსხის შედგენის პირველი ცდა, მეტად მნიშვნელოვანია. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორი პაგიოგრაფიულ ძეგლებს კვლავ საისტორიო თხზულებებად შეიჩნევს.

დ. ბაქრაძე, რომელიც არ ისახავს მიზნად საისტორიო წყაროთა მეცნიერულ კლასიფიკაციას, ერთად განიხილავს როგორც ნივთიერ (არქიტექტურული), ასევე წერილობით-თხრობით („ქართლის ცხოვრების“ თხზულებები, რომელთაც იგი უწოდებს ქრონიკებს ან ლეთოპის, რაც არ უდრის ზუსტად ქართულ მატიანებს, თუმცა მათ აიგივებენ) და დოკუმენტურ (სიგელები, გვჯრები) წყაროებს, ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებს. უკანასკნელს იგი ყოფს დამწერლობის მიხედვით ორ ჯგუფად (ხუცური და მხედრული). წერილობით საისტორიო წყაროთა შორის იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პაგიოგრაფიას, რომლის დარგობრივი კუთვნილების საკითხს არ აყენებს. მკვლევარი უჩივის მასალის სიმცირეს და მის არსაკმარის დამუშავებას¹²⁵. XIX ს. 80-იან წლებში ამასვე იმპორებს მ. ჯანაშვილი: „სიბნელე — წყვდიადი, მასალის უქონლობა, მატიანეთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპართქმულებათა გამოუკვლეველობა, კრიტიკულად განუხილველობა, სიმცირე ანუ უკეთ ვსთქვათ უქონლობა, ეთნოგრაფიის ისტორიისა, ნაკლულევანება ჩვენი მატიანისა (ქართლის ცხოვრება), რომელიც არის მხოლოდ ისტორია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და ისიც უსრულო“¹²⁶. მკვლევართა ერთგვარი დამკიდებულება სხვადასხვა საისტორიო წყაროთა მიმართ მულავნებულია

¹²⁴ ქართლის ცხოვრება, დასაბამისან მეოთხრამეტე საუკუნემდის. ნაშილი მეორე, ახალი მოთხოვის 1469 წლიდან ვადრე 1800 წლამდე. გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან. სანქტპეტერბურგი, 1854. Предисловие.

¹²⁵ Д. З. Бакрадзе. Об источниках грузинской истории. «Кавказский календарь» 1858, № 407—412; ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდამ XI ს. დასასრულამდე). თხზულება დ. ბაქრაძის. ტფ., 1889.

¹²⁶ მ. ჯანაშვილი. საქართველოს მოქალაქე ისტორია, თბ., 1884, წინასიტუაბის მაგისტრი.

დება აგრეთვე იმ ფრაგმენტული ცნობებიდან, რომელთაც აქა-იქ ვხვდებით ამ ხანის ნაშრომებში. საქართველოს ისტორიის დასაწერად, მ. ჯანაშვილის „აზრი რით, საჭიროა შესწავლა „ქართლის ცხოვრებისა“ („სამხედრო კულტურისა“), სიგელ-გუჯრებისა (შინაური ცხოვრება საზოგადოდ), ფულების (მეფეთა სურათები, ჩატულობა), ხელნაწერ წიგნებისა (მწერლობა საზოგადოდ — ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთრიცხველობა, გეოგრაფია, სჭულდება, წელთა ქრონიკონი და სხვ.), ზეპირსიტყვაობის (ლეგნდები, თქმულებები, შელოცვანი, ზღაპარი, გამოცანანი, ასოთსამღერელი და სხვ.), ქართული ენის (ძველი სახელები დღეებისა, თვეებისა, სოფლებისა, ქვეყნებისა და სხვ.), უცხოელ მწერლების ნაწარმოებებისა და მეზობელ ხალხთა გადმოცემათა, თქმულებათა შესახებ ჩვენის ქვეყნისა და ერისა¹²⁷. აღნიშნულ ჩამოთვლას, გარდა იმისა, რომ სისტორიული აქლია, შერეული ხასიათი აქვს. წერილობით წყაროთა გვარებთან და სახეებთან ერთად დასახელებულია ზეპირსიტყვაობა და ენის მონაცემები, რაც ამჟამად საისტორიო წყაროთა ტიპებად განიხილება¹²⁸ და სხვა დაყოფის წევრებს შეადგენენ. წერილობითი წყაროებისაგან გამორჩეულია და ცალკე დასახელებული „ქართლის ცხოვრების“ კრებული. მაგრამ აქვე საინტერესოა მწერლობის დარგებისა და ზეპირსიტყვიერების უანრების ჩამოთვლა. თუ ამ შემთხვევაში ავტორი საისტორიო წყაროებს ეხება, სხვა დროს მხოლოდ ქართული მწერლობის მიმოხილვით იფარებულება, სადაც იგრეთვე ცალკე გამოყოფს „ქართლის ცხოვრებას“ იმ განსხვავებით, რომ აქ კრებულის ცალკეულ თხზულებათა ავტორებს ასახელებს. ეს თხზულებები მასთან განსხვავებულია „მამათა ცხოვრების“ აღწერათაგან, ისევე როგორც სხვა სახის წერილობითი ძეგლებისაგან¹²⁹. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ სხვა მკვლევრებიც განიხილავნ როგორც „Летопись Марии“¹³⁰. ტერმინი „საბუთი“ საისტორიო წყაროს სინონიმად გამოიყენება. ასეა, მაგალითად, მ. ჯანაშვილთან, რომლის აზრითაც, „საბუთი“ კვალია ოდესმე მცხოვრებ ადამიანების ნამოქმედარისა და ნაფიქრისა¹³¹. მართალია, გამოკვლევებში წარმოდგენილი დაკვირვებები, საისტორიო წყაროთა (რომლებიც ხშირად საისტორიო მწერლობასთანაა გაიგივებული) დაჯგუფების ცდები, უფრო მეტად ემპირიული ხასიათისაა და ბევრი რამ შემდგომ დაზუსტებასა და შევსებას მოითხოვს, კლასიფიკაციის საფუძვლების განსაზღვრისა და ტერმინოლოგიის

¹²⁷ ვ. ჯანაშვილი. დასახ. ნაშრ.

¹²⁸ ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. იხ. ლ. Н. Пушкин. დასახ. ნაშრომი, გვ. 189—206.

¹²⁹ ვ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი, ტფ., 1896, გვ. 10—11.

¹³⁰ ასევ მ. ბროსესთან, პ. ოსერლინთან, მ. ჯანაშვილთან, ე. თაყაიშვილთან.

¹³¹ А. С. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности, вып. II. Древняя литература до конца XII века, М., 1897.

¹³² ვ. ჯანაშვილი. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“.

დამუშავების საქმეში ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ქართული მწერლობის შესწავლის დაბალ დონეზე მიუთითებს გ. ცეკველი, რომლის აზრითაც ეს საქმე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ლატერატურის მეცნიერული მიმოხილვა თითქმის შეუძლებელია. ქეგლთა ნაწილი კრიტიკულად დაუმუშავებელია, არ არის დადგენილი ავტორთა ვინაობა, დაწერის დრო და ადგილი. ამავე დროს მკვლევარი ფიქრობს, რომ ყველა ძეგლი, განურჩევლად მისი ხასიათისა, „უდავოდ ისტორიულ-ლიტერატურული მოწმობა“¹³³. ა. ცაგარელი გამოარჩევს „წმინდა საისტორიო შინაახსის ძეგლებს“ (პეტოპისი და ქრონიკები) და უმატებს მათ სხვა სახის ძეგლებს, რომლებიც ავსებენ „წმინდა საისტორიო ხასიათის“ თხზულებათა მონაცემებს. ესენია: მდიდარი სასულიერო და საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურა (V—დან), ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური ძეგლები (V—VII ს.), ათი ათასობით ისტორიულ-იურიდიული აქტი (X ს-დან დედნებში მოღწეული გუჯრები და სიველები), საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, საზოგადოებრივ ნაგებობათა ნაშთები და ა. შ. ა. ხახანაშვილი¹³⁴ წერილობით მასალას ოთხ გვუფად ყოფს და ასე განიხილავს: I. ჰაგიოგრაფიული ძეგლები, II. ისტორიული ძეგლები, III. საკუთრივ ლიტერატურული ძეგლები, IV. მეცნიერული, სალვოსმეტყველო და იურიდიული. ამავე დროს ჰაგიოგრაფიის შესახებ იგი იზიარებს ვ. კლუხევსკის მოსაზრებას, რომლის თანახმად, „ისტორიოგრაფიული ელემენტი წმინდანთა ცხოვრებაში არავითარ შემთხვევაში არ არის პირველ პლანზე, უთმობს რა თავის ადგილს ლიტერატურულ ელემენტს“¹³⁵. როგორც ა. ცაგარელთან, ასევე ა. ხახანაშვილთან ყურადღებას იძყრობს ტერმინი „საკუთრივ საისტორიო ძეგლები“, ან „საკუთრივ ლიტერატურული ძეგლები“, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ჰაგიოგრაფიის გადატანა სიტყვაკაზმულ, მხატვრულ ლიტერატურაში.

ამდენად XIX ს. დასასრულს პირველად ირლვევა ჰაგიოგრაფიის საისტორიო მწერლობისადმი მიკუთვნების ტრადიცია და ჩნდება საპირისპირო ტენდენცია, რაც, როგორც ჩანს, დარგებს შორის (ამ შემთხვევაში საისტორიო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის, მიჯნების გადაადგილებითაა განპირობებული). ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება, შესაძლებელია, გამოწვეული იყო XIX ს-ში ლიტერატურაში მომხდარი ზოგიერთი სიახლით. კერძოდ, პირველად შემოდის ტერმინი „მხატვრულობა“¹³⁶, რომლის ნაცვლად აღრე „პოეზია“, „რიტორიბა“ გამოიყენებოდა. როგორც ბუნებრივი რეაქცია აღნიშნულ სიახლეზე ზოგიერთი აღრეული შეხედულება (მათ შორის, შესაძლოა, ჰაგიოგრაფიის ადგილის შესახებ მწერლობაში) მეორე უკიდურესობაში ეჭვევა.

ი. გავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, კ. კეკელიძე, მ. ლორთქიფანიძე, შ. ხანთაძე¹³⁷ და სხვები, მიიჩნევენ რა ჰაგიოგრაფიას საისტორიო

¹³³ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. I, С-Петербург, 1886, XXXIV—XXXV.

¹³⁴ А. С. Хаханов. დასახ. ნაშრომი. Предисловие.

¹³⁵ А. С. Хаханов. დასახ. ნაშრომი, გვ. 33; იხ. აგრეთვე В. О. Ключевский. Древнерусские жития святых как исторический источник. М., 1871.

¹³⁶ И. Б. Роднянская. Художественность. КЛЭ, М., 1975, т. 8.

¹³⁷ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თა., 1964, გვ. 45; В. Н. Габашвили. Историография Грузии. — В. кн; Очерки истории историческо-

მწერლობად, ადრეული ლიტერატურის ტრადიციებს იგრძელებენ. ასევე განიხილება ეს საკითხი „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობაში“, სადაც შესაბამისი პარაგრაფის ავტორი ა. მურავიოვი მიიჩნევს, რომ „ადრეული ქართული საისტორიო შრომები, ისევე როგორც სომხური, რელიგიურ-საეკლესიანისათვის მატარებელია და დაწერილია წმინდანების ცხოვრებათა ფორმით“¹³⁸. კ. კეკლიძე, თუმცა ჰაგიოგრაფიას საისტორიო მწერლობას აკუთვნებს, ამავე დროს განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. მისი აზრით, ადრეულ პერიოდში „ქართველების ისტორიულ ცნობისმოყვარეობას აქმაყოფილებდა ის მდიდარი ჰაგიოგრაფიული მწერლობა, ორიგინალური და ნათარგმნი, რომელიც წარმოადგენს საკუთრივ საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ დარგს და რომელიც არაა კლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა საისტორიო მწერლობა“¹³⁹. კ. კეკლიძესთან ხშირია გამოთქმა — „ნახევრად ისტორიული, ნახევრად ჰაგიოგრაფიული“.

მკვლევართა უმრავლესობა ხედავს ჰაგიოგრაფიაში როგორც მხატვრულ, ასევე ისტორიულ საწყისებს. „საეკლესიო-რელიგიური ლიტერატურა, ჰაგიოგრაფიული... უფრო საისტორიო-ბიოგრაფიულია, თუმცა ემსახურება ეკლესიის პროპაგანდისტულ მიზნებს, ბელეტრისტიკისა და ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ელემენტების მატარებელია“¹⁴⁰, — აღნიშნავს ა. ბარამიძე. იგივე ავტორი პირველ ძეგლად, რომელიც საკუთრივ ისტორიოგრაფიულ უანრს განეკუთვნება, მიიჩნევს „მოქცევად ქართლისას“.

გ. აფციაური, რ. ბარამიძე, კ. თუმანივი, დ. მენაბდე, რ. სირაძე, გ. ფარულავა და სხვები ჰაგიოგრაფიას მხატვრულ ლიტერატურად მიიჩნევენ¹⁴¹. ვ. ჭელიძე¹⁴² მთელ რიგ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას აკუთვნებს. ამავე დროს ავტორს სწორი დამოკიდებულება აქვს

край науки в СССР, I, М., 1955, с. 36; კ. კეკელიძე ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 501; მ. ლორთქიანიძე, ადრეული დალური ხანის ქართული სისტორიო მწერლობა. თბ., 1966; III. А. Хантадзе. К историографической характеристике «Картлис цховреба», „ქართული ისტორიოგრაფია“, I, 1971 გვ. 206; ი ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო მწერლობა. შესავალი.

¹³⁸ А. В. Муравьев. Источники по истории Закавказья и Средней Азии. — В кн: Источниковедение истории СССР. М., 1981, издание второе, с. 60.

¹³⁹ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურას ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 50.

¹⁴⁰ А. Барамидзе, Ш. Радиани, В. Женти. История Грузинской литературы, 1952, გვ. 23; მხატვრულ-ისტორიულს უწოდებს ჰაგიოგრაფიას პ. ინგოროვა. იხ. მისი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, — თეზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 281; ისტორიულ-ბიოგრაფიული უანრის ლიტერატურად მიიჩნევს ჰაგიოგრაფიას მ. კანავა ნაშრომში — ისტორიული რომანი და ქართული ტრადიციები, 1969; ლ. მელიქშეს-ბეგი საისტორიო წყაროთა ჩამოთვლისას შენიშვნას: „ეს წყაროები შინაარსის მხრით მრავალი სახისაა — ისტორიოგრაფიული, ქრისტიანული, მემუარული, ჰაგიოგრაფიულ-მატრიალოგიური, იურიდიული, მოგანურობანი, დიპლომატიკადა სხვ. (ლ. მელიქშეს-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი პუბლიკაციები, თბ., 1949, კატალოგი, I, გვ. 7).“

¹⁴¹ Д. В. Апциаури. Художественное отображение идеиной борьбы в грузинской агиографии (V—XI вв.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук. Тбилиси, 1982; რ. ბარამიძე, ნარევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, მისივე. ქართული მწერლობის სათავეებთან, თბ., 1978; C. Toumanoff. Medieval georgian historical literature (VII-th XV-th centuries) — „Traditio“ v. I, New-York 1948, с. 148.

¹⁴² ვ. ჭელიძე. ჩამოთვლისას შემთხვევაში, საქართველოს ისტორიული საქართველო, 1976, № 23.

კლასიფიკაციის პრობლემისადმი: „უშლის კი ხელს მხატვრულ ნაწარმოებს ის, რომ სულ სხვა უანრში მოვაქციოთ? თუკი ღირსეულს მივუზღავთ და სა— თანაღმდ შევაფასებთ, რა დაშავდება, რომ ჰაგიოგრაფიული ვუწოდოთ, თუნდაც აშკარად არ იყოს ჰაგიოგრაფიული? საქმეც ის არის, რომ როცა სხვა უანრში მოვაქცევ, მისი სწორი ანალიზიც გაჭირდება და სათანადიდაც ვერ დააფასებ“. აღნიშნული მკვლევრები სავსებით დასაბუთებულად წინ წამოსწევენ ჰაგიოგრაფიული ძეგლების მხატვრულ ღირსებებს, რის საფუძველზეც შემდეგ მიდიან სადაცო დასკვნამდე მათი „ბელეტრისტიკა“ განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილი ანალიზების საფუძველზე მართლაც საკმაო ნიშნები გროვდება ჰაგიოგრაფიის საისტორიო მწერლობისგან გასამიჯნად, თუმცა არა— მცირეა ისიც, რაც მათ აერთიანებს.

იმ დროს, როდესაც ჰაგიოგრაფიის მთავარი წყარო პირადი დაკვირვება ან ზეპირი გადმოცემა, საისტორიო თხზულებები, ხშირად დიდ ნაწილში კომპილაციურია და გამოყენებული წერილობითი წყაროების სიმრავლე მათი ერთ-ერთი ძირითადი ღირსებაა. შიუხედავად იმისა, რომ უკვე „ცხოვრება — ეს მთელი არქიტექტურული ნაგებობაა, რომელიც თავისი დეტალებით არ— ქიტებურულ შენობას გვაგონებს“¹⁴³, ისტორიული თხზულება გაცილებით რთული აგებულებისაა და შედარებით სრულად ასახავს თავისი დროის მწერლობის განვითარების საერთო დონეს. თუ ჰაგიოგრაფიის ყურადღება ერთი პიროვნების ან ერთი ოჯახის ბედით იზღუდება, რომელიც თუმცა არა ინდი— ვიდუალური, არამედ სასურველი, ზოგადი, იდეალური თვისისებით არის შემ— კობილი, საისტორიო თხზულებების ობიექტია ერთი ან რამდენიმე ქვეყანა, გეოგრაფიული მხარე დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან რომელიმ ერთი პი— როვნების მეფობის ხანაში. მისი მთავარი დანიშნულებაა სოციალურ-პოლი— ტიკური ფაქტების გადმოცემა. რომელიმ ერთი მეფის ქება-შესხმისადმი მიძღვნილი თხზულებები, სადაც ამასთანავე მასალის სიმცირის გამო ნაკლებია სოციალურ-პოლიტიკური ცნობები და აგტორები ამ დეფიციტის შევსებას ცდილობენ „რიტორებრივთა მათ განგრძობითა და ფილოსოფოსებრივთა მათ შემკობილებათასა“, თავისი ხასიათით ჰაგიოგრაფიის უახლოვდებიან.

თუ ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირი მხოლოდ წმინდანია, საისტორიო თხზულებებში ძირითადი მოქმედი პირი მეფეა. როდესაც ეს ორი სახე — წმინდანისა და მეფის, ერთ პიროვნებაში გაერთიანდება (ასეთია დავით აღმა— შენებელი, რომელიც ერმა დიდი დამსახურების გამო წმინდანად შერაცხა, ან თამარ მეფე, რომლის წინაშე განსაკუთრებული დამკიდებულება სამე— ბის მეოთხე წევრად მის გამოცხადებაში გამოვლინდა) და იქმნება წმინდანე— ბად შერაცხული მეფეებისადმი მიძღვნილი საისტორიო თხზულებები, თუმცა მსგავსი შემთხვევები არც ისე ხშირია, ბუნებრივია, ასეთი ნაწარმოებები ჰა— გიოგრაფიასთან სიხლოვეს ამჟღავნებენ.

ჰაგიოგრაფიის გმირი ან დადებითია, ან უარყოფითი¹⁴⁴. საისტორიო ძეგ— ლებში მოქმედი პირის სახე უფრო მეტად დახსლოებულია რეალურს და არაიშვიათად ერთსა და იმავე პიროვნებაში დადებითი და უარყოფითი თვი—

¹⁴³ В. О. Ключевский. Курс русской истории, т. II, М., 1923; с. 321; его же. Сочинения, т. II, М., 1957, с. 254; нб. аგრევთ Д. С. Лихачев. Развитие русской литературы X—XVII вв. Л., 1973, с. 50.

¹⁴⁴ დაშვრილებით ჰაგიოგრაფიის თავისებურებათა შესახებ იხ. В. О. Ключевский. Древнерусские жития святых как исторический источник. М., 1871; Д. С. Лихачев. Человек в литературе древней Руси. 1970.

სეპტემბერი შედგენ შეტყული. ზოგჯერ ისტორიკოსი, ისევე როგორც ჰაგიოგრაფი, მე-ხოტბეა. განსხვავება იმაშია, რომ მთავარი გმირის ხოტბა, გაიდეალური, სამა-გალიოთ სახის შექმნა ჰაგიოგრაფიული თხზულების ძირითადი ფაზაში უდიდესი ბაა, ხოლო ისტორიკოსისათვის მეტის ხოტბა მთავარი მიზანი არ არის. იგი ხშირად ვალდებულია, როგორც კარის თფუციალური პოლიტიკის გამომხატველი, მას ხოტბა შეასხას, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როდესაც მეფის პიროვნება შეფასებულია საქმიად კრიტიკულად, ან უარყოფითად. ამდენად ისტორიკოსი დედუქციის გზით მიღის, მაშინ, როდესაც ჰაგიოგრაფი კერძო შემთხვევას აღწერს, კერძოს ზოგად დონემდე, ინდივიდუალურს ეროვნულ-ზენობრივ იდეალამდე ამაღლებს. ჰაგიოგრაფიაში თხრობის მიღმა მკრთალდება ავტორის ინდივიდუალობა, საქმეს ვერ შველის ვერც ის ფაქტი, რომ ზოგჯერ უტორი თხზულების მოქმედ პირადაც კი გვევლინება.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში დროს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც საისტორიო თხზულებებში ფაქტები სწორედ დროში ვითარდება და ისტორიკოსს ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა მოეთხოვება.

განსხვავებული დამოკიდებულებაა სივრცის მიმართაც. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში „მოგზაურობის“ ელემენტები, დაკავშირებული „მიმოსვლებთან“ წმინდა ადგილების სანახავად, თხზულებათა აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ მოგზაურობა აქ არ ისახავს მიზნად ნანეხი ადგილების აღწერას, ხოლო გმირების სივრცეში გადანაცვლების სიმბოლიკა ნაკარნახევია მორჩმუნეობრივი მსოფლმხედველობით. საისტორიო თხზულებებში დროც და სივრციც უკვე სრულიად კონკრეტულ შინაარსს იძენს.

სხვაობა საისტორიო მწერლობასა და ჰაგიოგრაფიას შორის თვალსაჩინოა ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებათა“ საფუძურხედაც კი, რომლებიც, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, განსაკუთრებით ახლოს დგანან საისტორიო მწერლობასთან¹⁴⁵. აქ გაცილებით გაძლიერებულია თხრობითი ელემენტი. მარტვილობებთან შედარებით ცხოვრებები უფრო მეტად ბიოგრაფიულია თავისი ხასიათით, მეტია აქ მემუარიზმის ელემენტებიც, თუმცა ეს ჭერ კიდევ არ არის მემუარები, რადგან აქ ჭერაც მყარია ტრაფარეტი, რომლის მიღმა ავტორი უფრო შემსრულებელია, ვიდრე შემოქმედი. განსხვავებით მემუარებისა-გან, რომლებიც მთლიანად ავტორისეულია და ამდენად, სუბიექტური, ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებები“ გარკვეულია, თუმცა რთული კომპოზიციით ხასიათდება „მარტვილობებთან“ შედარებით. ვხვდებით წერილობით წყაროთა გამოყენების შემთხვევებს, თუმცა ჭერ კიდევ დიდია ზეპირსიტყვიერების ხედრითი წონა და ინდუქცია ძირითად პრინციპად რჩება¹⁴⁶.

ამგვარად, განსხვავება საისტორიო მწერლობასა და ჰაგიოგრაფიას შორის აშკარაა. მაგრამ აქ კანონზომიერად წამოიჭრება საკითხი: რა ფარგლებში თავს დება ეს დაცილებები. რისთვის არის საქმარისი დაპირისპირებათა დონე ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას შორის: დარგობრივი, უანრობრივი თუ სახეობრივი დიფერენციაციისათვის? აქვე დგება კვლავ წყაროთმკოდნეობითი ტერმინოლოგიის დაზუსტების აუცილებლობაც, რომელიც დღემდე

¹⁴⁵ რ. სირა ა. გ. ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებები“, საისტორიო მწერლობის მსგავსად, აღა-მიანის საზოგადოებრივ მოღვაწობას აღიდებს (იხ. რ. სირა ა. გ. ართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, 64—65).

¹⁴⁶ ამ საკითხების შესახებ იხ. გ. ლასანია. ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობის შე-დარებითი შესწავლისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 4.

გადაულახავი რჩება. ჰაგიოგრაფიის მიმართ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად განსხვავებული ტერმინები გამოიყენება: დარგის ჭავანებისა სახე. ტერმინით „უანრი“ ერთნაირად აღინიშნება როგორც ზოგადი მთელი ჰაგიოგრაფია, ასევე მასში შემავალი „მარტვილობები“ და „ცხოვრებები“. ხშირად აზრთა სხვადასხვაობის, ან მცდარი დასკვნების წყარო ასეთი არა-ერთმნიშვნელოვნებაა. რადგან საქლასითიყაციო ერთეულები შეფარდებითია და ცვალებადი, აღნიშნული ტერმინოგია მუდმივ გადასინჯვასა და განახლებას მოითხოვს.

განვითარების ადრეულ ეტაპზე ყოველგვარ ცოდნას, როგორც საზოგადოებრივ, ასევე საბუნებისმეტყველო სფეროში ერთი დარგი — ფილოსოფია აერთიანებს¹⁴⁷. თუმცა ფილოსოფია ერთიანი და განუყოფელია, მასში იმთავითვე ცოდნის სხვადასხვა დარგებია ჩასახული. საწყის საფეხურზე წერილობითი ძეგლები სინკრეტული ბუნებისა და ყოველი მათგანი მრავალ სხვა დანიშნულებასთან ერთად ფილოსოფიური, ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის ფუნქციებს ერთდროულად ასრულებს. დამოუკიდებლობის უფლების მოპოვება გულისხმობს დარგობრივი სფეროს გამოკვეთას თავისი პროცესით. როდესაც ესა თუ ის დარგი დამოუკიდებელ არსებობას იწყებს, მასში ფაქტობრივად დიფერენციაციის პროცესიც დასრულებულია, ხოლო მისი დაფიქსირება, ცალკეული საქლასითიყაციო ერთეულებისათვის საჭელების დარქმევა გარკვეულ დროსა და განვითარების შესაბამის დონეს მოითხოვს.

უცველესი ლიტერატურა არჩევს ერთმანეთისაგან წერილობით ძეგლებს, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მიხედვით. აჯგუფებს მათ, აძლევს გარკვეულ დასახელებებს. ეს ის პერიოდია, როდესაც გროვდება ცოდნა ცალკეული ძეგლების შესახებ, თანდათან მრავლდება ნიშნები, რომლებიც ედება საფუძვლად მათ დაჯგუფებებს. თვით საქლასითიყაციო ერთეულებს ამ ხანაში ჯერ არა აქვთ მიღებული დასახელებები. არსებობს მხოლოდ ჯგუფური დასახელებები — მაგალითად, ცხოვრება, ქება. კლასიფიკაცია განვითარების ეტაპების მიხედვით განსხვავდება ზოგადი კლასიფიკაციისაგან. მაგალითად, თუ ამჟამად წერილობით საისტორიო წყაროებს ყოფენ ორ გვარად: თხრობით და დოკუმენტურ ძეგლებად, განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჯერ არ არსებობს დოკუმენტური წყაროები, გვარი, როგორც საკლასითიყაციო ერთეული იხსნება, ან გამოიყენება შეფარდებით სხვა დაჯგუფების მიმართ. ადრეულ ხანაში სრულიად განსხვავებული ნიშნების მიხედვით ხდება უანრების გამოყოფაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყაროთა ზოგადი კლასიფიკაცია გულისხმობს წყაროთმცოდნების უახლესი მიღწევების გათვალისწინებას, განზოგადების იმ დონეს, რომელიც არსებობს გამოკვლევის შექმნის მომენტში. საისტორიო წყაროთა დაყოფა გვარებად, სახეებად და ქვესახეებად ხდება არა იმის მიხედვით, თუ რომელი გვარის, სახის ან ქვესახის წევრად გულისხმობს ავტორი ამა თუ იმ ძეგლს მისი შექმნისას, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ადგილი მიეჩინება მას ძეგლთა საერთო სისტემაში მკვლევრის თვალსაზრისით. მაგრამ ამავე დროს ასეთი საკითხის გადაჭრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ტრადიციას.

საქლასითიყაციო ერთეულები დამოუკიდებულია მასალაზე. საისტორიო მწერლობის ან მხატვრული ლიტერატურის კლასიფიკაცია განსხვავდება საის-

¹⁴⁷ Б. М. Кедров. О классификации наук.— В сб. «Философские вопросы физики». М., 1958, с. 30—60.

ტორიო წყაროთა დიფერენციაციისაგან. მაგალითად, მხატვრულ ლიტერატურულ გვარად აღნიშნავენ სინამდვილის მხატვრული ასახვის ძირითად სა-შუალებებს (ეპოსი, ლირიკა, დრამა), სახეში — ეპიკური, ლირიკული, და დრამატული გვარის განსაზღვრულ ფორმას (რომანი, ოდა, კომედია), უანრში კი — სახის ქვესახეს (ისტორიული რომანი, სატირა, პოემა). მაგრამ ერთიანი აზრი ამ მხრივ არ არსებობს. ზოგჯერ სახეს განმარტავენ როგორც უანრს, ან უანრს როგორც გვარს¹⁴⁸. ზოგჯერ უანრი უფრო მსხვილი ერთეულია, ვიდრე სახე და ა. შ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გადაწყდება ცალკეულ ძეგლთა დარგობრივი კუთვნილების საკითხს, მივაკუთვნებთ თუ არა მათ საისტორიო მწერლობას, მხატვრულ ლიტერატურას, თუ ცალკე დარგად მივიჩევთ, საყველთაო აზრის თანახმად, ისინი საისტორიო წყაროთა რიგში უნდა განიხილებოდნენ, რადგან ყოველი მათგანი მოვაიანო თაობებისათვის საისტორიო წყაროთა ფუნქციას ასრულებს. ძეგლთა დარგობრივი კუთვნილების საკითხს მნიშვნელობა აქვს მათი ადგილისათვის საკლასიფიკაციო ერთეულთა იერარქიაში. უკანასკნელ ხანებში წყაროთმცოდნებაში დამკიდრებული აზრის თანახმად, საისტორიო წერილობითი წყაროები, პირველ რიგში, იყოფა თხრობით და დოკუმენტურ ძეგლებად. ასეთი დაყოფის საკლასიფიკაციო ერთეულად, როგორც აღინიშნა, შემთავაზებულია გვარი. ის ერთეული, რომელიც შედის თავის მხრივ გვარში, სახეა, ხოლო სახე ქვესახედ («попвид») და ნაირსახეობად («разновидность») იყოფა¹⁵⁰. ლიტერატურათმცოდნებაში ხშირად იხმარება ტერმინი უანრი (ფრანგ. genre). უანრი მხატვრული შემოქმედების ნაირსახეობაა, გამოიყენება მხატვრული ლიტერატურის ძეგლებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, უმთავრესად სახის მომდევნო, შედარებით წერილი ერთეულების მიმართ. უანრი ამჟამად ესმით როგორც „ფორმის განსაკუთრებული თვისებების კონკრეტული ერთიანობა... ამიტომ ერთი და იმავე სიტყვით „ნოველა“ შეიძლება შინაარსის მიხედვით სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებების გაერთიანება“¹⁵¹. ამ მხრივ გამოიყოფა რომანი, მოთხოვნა, ზრაბარი, პოემა, ეპოდეა, ოდა, ბალადა და ა. შ. აღრეული პერიოდების მიმართ ზოგჯერ უანრს უწოდებენ სხვადასხვა ფორმის ძეგლთა გაერთიანებებსაც, მაგალითად, ქებას. საისტორიო წყაროთა საკლასიფიკაციო ერთეულად უანრი გამოუსადევარია, რადგან „სახე“ ან „ქვესახე“, რომელსაც ზოგჯერ დაუმტხვევა „უანრი“ თავისი მნიშვნელობით, გაცილებით ფართო მოცულობისაა, რადგან ისტორიკოსი საისტორიო წყაროთა კლასიფიკაციას ახდენს არა მხატვრული თავისებურებების, არამედ ძეგლთა საინფორმაციო პოტენციის მიხედვით, რაც თუმცა დამოკიდებულია პირველზე. მაგ. ქვესახეა პირადი წესილები, ან საისტორიო გამოკულევა, ხოლო დოკუმენტურ ნაწილში — სიგრძები, სხვადასხვა რუკები, რომელთაც არ შეიძლება ეჭილოს „უანრი“. ამავე ღროს ქვესახეებია ისეთი უანრები როგორც მემუარები, ლირიკა, დრამა და სხვ.¹⁵²

¹⁴⁸ ბ. ქიქოძე. ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1964, 33. 5—6.

¹⁴⁹ В. В. Кожинов. Жанр. КЛЭ, т. I, М., 1962; К. И. Тюнкин. Вид литературный, КЛЭ, т. 2, М., 1964.

¹⁵⁰ Л. Н. Пушкин. Классификация..., с. 189—230; А. А. Курносов. К вопросу о природе видов источников.— В сб. «Источниковедение отечественной истории». М., 1976, с. 5—25.

¹⁵¹ В. В. Кожинов. Жанр, КЛЭ, 1964, т. 2.

¹⁵² Л. Н. Пушкин. Классификация..., с. 267.

ნიშვნები, რომლებიც ედება საფუძვლად ჰაგიოგრაფიის მხატვრული ლიტერატურისადმი მიყუთვნებას, მისი მაღალმხატვრული კურსებით და იბიექტური სინამდვილის აღვევატურობის ხარისხია. ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჰაგიოგრაფები უარყოფით თვისებად და საზიანოდ მიიჩნევენ რა თავისი თხზულებებისათვის „ხელოვნებითა რიტორებისათა განვრცხაბას“, „სიტყუათა ხელოვნებითსა“ და „სახისმეტყველებას“ „საჭმით სიტყვას“ ამჯობინებენ, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ლიტონად და მარტივად თხრობის მოთხოვნილება ირღვეოდა უკვე კიმენურ საფეხურზედაც კი, ხოლო მეტაფრასტიკაში საბოლოოდ მარცხდება, თუმცა ავტორები ჯერ კიდევ ძველ პოზიციებს იცავენ. თეორია უარყოფს ყოველგვარ „მოგონილს“, „მონაჭორს“, ე. ი. მხატვრულ ლიტერატურას XVIII ს-შიც კი, მაშინ, როდესაც ჰაგიოგრაფიას მაღალი რანგის მწერლობად მიიჩნევს. როგორც ლიტერატურაში აღინიშნა, არანაკლებ მხატვრულად არის დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებიც (მაგ. დავითის ან თამარის ისტორიები), რომელთა მიმართ ამასთანავე ხშირად გაისმის შენიშვნა, რომ ისინი არ აქმაყოფილებენ საისტორიო მწერლობისაღმი წაყენებულ მოთხოვნილებებს¹⁵². მაშინ, როდესაც იგივე მკელევრები მრავალ ჰაგიოგრაფიულ ძეგლს ნამდვილ საისტორიო თხზულებად მიიჩნევენ¹⁵³.

„ზოგი წმინდანის ცხოვრება მისი სიყვდილის შემდეგ ახლო ხანებშივე
იწერებოდა, ზოგი კი კარგა ხნის გასვლის შემდეგ. ამიტომ შინაარსი პა-
გიოგრაფიისა ხშირად ისტორიულ სინამდვილეს შორდება, ნამდვილი ფაქტე-
ბის მაგიერ ჰიპერბოლას და არაჩევულებრივ განზოგადებას ჰქონდა ადგილი.
ამ გარემოების გამო ეს ნაწერები უმთავრესად სალიტერატურო თხზულებე-
ბად გადაიქცნენ“, — შენიშვანის თ. ბეგიაშვილი¹⁵⁵. საისტორიო თხზულებათა
უმრავლესობა, ისევე როგორც ჰაგიოგრაფიის ძეგლების დიდი ნაწილი, აგ-
რეთვე მოგვიანო ავტორების მიერ არის აღწერილი¹⁵⁶ სხვადასხვა ზეპირი და
წერილობითი ძეგლების მოშველიებით, რომელთაგანაც საისტორიო თხზუ-
ლებებისათვის ერთ-ერთი ჰაგიოგრაფიაა, ხოლო ჰაგიოგრაფიისათვის — „ქართ-
ლის ცხოვრება“ ან სხვა საისტორიო ძეგლები. განსხვავება ამ თვალსაზრისით
ზეპირ და წერილობით წყაროთა ურთიერთშეფარდებაშია. მიუხედავად იმი-
სა, რომ როგორც ჰაგიოგრაფიული ძეგლების, ისევე „ქართლის ცხოვრების“
თხზულებათა ავტორები მართლის თქმის პრინციპით გამოდიან, როგორც
პირველებთან, ასევე მეორეებთან ეს მოთხოვნა ზოგჯერ ირღვევა და ამდენად
თანაბრად კრიტიკულ მიღომას საჭიროებენ¹⁵⁷. ამასთან ერთად თხზულებათა

¹⁵³ ქ. ე. ე. ლ. ი. მ. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 250. აღსანიშნავია, რომ ქ. მემელიძის აზრით ქართული საისტორიო ლიტერატურა საეკლესიო მწერლობიდან საეროშე გარდამავალი საფეხურია (K. Кекелидзе. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. — „მთაცნები“..., IX, თბ., 1963, გვ. 148. იხ. აგრეთვე ჩ. სირაკ ე. უმთააღმწერლობა და მხატვრული ლიტერატურა, „ცისქარი“, 1974, № 4.

¹⁵⁴ ქ. კედელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 184.

155 Ф. Бегишвили. История древнегрузинской литературы, V—XII вв. Тб., 1949, с. 70; ф. № 22999, № 2972. Музейство Национальной библиотеки Грузии. Фонд 1925 № 27. I, л. 52.

156 ლიტერატურა „ქათლის ცხოვრების“ თხელებათა შესახებ ი. რ. კ. კიკნაძე. Очерки по источникам истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховребა», Тб., 1980, с. 25—52.

¹⁵⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით უკანასკენელ ხანებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ნაწრომია: თ. ნატრაშვილი, მეტამორფოზა ჩანაცის. „ლიტერატურული საქართველო“, 1983, № 38, 9 სექტემბერი.

ძირითადი ნაწილი ორსავე შემთხვევაში ჩეალურ ფაქტებს ემყარება. სხვაობას ამ მხრივ განაპირობებს მახვილის გადატანა კერძოდან ზოგადზე, მდებარებულ მართებულად მიგვაჩნია იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც გორც ჰაგიოგრაფიაში, ასევე საკუთრივ საისტორიო მწერლობაში ხედავენ ბელეტრისტული ჟანრის ჩანასახებს, რაც ზეპირსიტყვიერების ტრადიციებსა და უცხოურ გავლენებთან ერთად დიდ როლს თამაშობს მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში¹⁵⁸.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე მკვლევარი წერილობით წყაროთა კლასიფიკაციას ახდენს იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც მიღებულია თანამედროვე დარგობრივ, გვაროვნულ და სახეობრივ დიფერენციაციაში. ისეთ ვითარებაში, როდესაც ძეგლთა როგორც ფორმა, ასევე ინფორმაციის გამოვლენის ხერხები არ იძლევა საგრძნობ სხვაობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა დარგობრივი დაპირისპირებისათვის, გასათვალისწინებელია პირველ რიგში, საისტორიო ტრადიცია.

როგორც დავინახეთ, XIX ს. დასასრულამდე ქართველი მწერლები და მეცნიერები ჰაგიოგრაფიას საისტორიო ლიტერატურას აკუთვნებენ. ნიშავს თუ არა ეს იმას, რომ ძეგლი მოღვაწენი სრულიად არ აცნობიერებენ სხვაობას ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას შორის, თუ ამაში მუღავნდება ისტორიოგრაფიისადმი ის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელიც მუდამ იჩენს თაქს? მაგალითად, ფ. ენგელი ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მოკლედ კაცობრიობის ისტორიას უწოდებს, ხოლო კ. მარქსს მიაჩნია, რომ ფაქტიურად მხოლოდ ერთი მეცნიერება არსებობს — ისტორია. ასეთივე აზრისაა ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი. მაგალითად, მ. კედროვი შენიშნავს, „ყველა ჰუმანიტარული (ისტორიული) დარგი ერთ მეცნიერებაში — ისტორიაში შედის“...¹⁵⁹ კათალიკოსი ანტონ I არააირად არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას. ჰაგიოგრაფიული ძეგლების ავტორებს ჭეშმარიტ ისტორიკოსებად მიიჩნევს: „მოვედით უკუე და შემოვჭერეთ ერთად ყოველნი ესე, რომელნიცა ვართ ქრისტეს მოწაფე, და ეკლესიისა წმიდისა მეისტორიეთაგან ანუ რომელთამე ჭეშმარიტათაგან ისტორიკოსთა ქმნილნი წარვიყითხნეთ წერილნი ჭეშმარიტებისა მოწამეთათვას“¹⁶⁰. ვასუშტი, როდესაც მატიანეს ყოფს ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ, საეკლესიოდ წმინდანთა ცხოვრებებს მიიჩნევს, ხოლო სამოქალაქოდ — „ქმნილებას სოფელსა შინანი დიდთა და მცარეთა“, ე. ი. არჩევს ერთმანეთისაგან ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას, მაგრამ სხვაობა მათ შორის დაყავს საერთო და საეკლესიო ლიტერატურებს შორის სხვაობამდე. ზუსტად ასევე განმარტავს ჰაგიოგრაფიას ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი, რომელთა თანახმად ჰაგიოგრაფია — საეკლესიო საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი სახე¹⁶¹, რაც, ვფიქრობთ, სავსებით მისალები აზრია.

ჰაგიოგრაფიული ძეგლების დიფერენციაციას საფუძვლად უდევს როგორც ძირითადი შინაარსი და შინაგანი სტრუქტურა (წამება, ცხოვრება), ასევე ფორმა, რედაქციული სხვაობები (კიმენური, მეტაფრასული, სვინჯსარუ-

¹⁵⁸ И. Б. Роднянская. Художественность. КЛЭ, 1975, т. 8; А. В. Пайкова. К вопросу о возникновении беллетристического повествования в сирийской литературе. Палестинский сборник, вып. 23 (86), Ленинград, 1971, с 173—178.

¹⁵⁹ Б. М. Кедров. დასახ. ნაშრომი, გვ. 43, 46.

¹⁶⁰ ძეგლი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, გვ. 324.

¹⁶¹ БСЭ, М., 1949, т. I, с. 295; СИЭ, М., 1961, т. I, с. 158.

ლი, თხზულებათა ვრცელი და მოქლე ვარიანტები). აქვე შეიძლება გამოიყოს ძეგლები, დაწერილი პროზის, ან ლექსის ფორმით. უკანასკნელი უმცირეს რაოდ დენობით მიმღვება და უკავშირდება ალორძინების პერიოდს, როდესაც ლექსი გაბატონებულ მდგომარეობას იყვნებს (ეს თითქმის ერთადერთი სიახლეა, რომელიც ჩნდება ამ ხანის ჰაგიოგრაფიაში). ყველა სხვა ნიშნის მიხედვით იგი ველარ ადის წინა პერიოდის სიმაღლეზე). თუ ძეგლთა ასეთი დაყოფა კლასიფიკაციად ითვლება, სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მათი შემდგომი დიფერენციაციის ცდები ისეთ ნიშნებს ემყარება, რომლებიც თანამედროვე წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით¹⁶² საფუძვლად ედება სისტემატიზაციას ან, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, „ხელოვნურ კლასიფიკაციას“: ძეგლთა წარმოშობა, შედგენის ადგილი, რა სახის კრებულშია მოთავსებული, ავტორის სიციალური მდგომარეობა, მთავარი გმირის ეროვნება და სხვ. ძეგლთა სისტემატიზაცია რამდენადმე ნებისმიერია და მას წინ უძლვის მათი შესწავლა. ასე მაგალითად, კარსტი¹⁶³ ჰაგიოგრაფიის დარგში ცალკე გამოყოფს ლეგენდების ციკლს — ქართული, სომხურ-ქართული, სირო-მესოპოტამიურ-ქართული და ქართული დიასპორასი.

3. ინგოროვა¹⁶⁴ ჰაგიოგრაფიაში ორ მთავარ ჯგუფს გამოარჩევს: 1. ჰაგიოგრაფიული მწერლობა, 2. ბიოგრაფიული ლიტერატურა. გარდა ამისა იგი ასახელებს ძეგლებს, რომლებიც გარდამავალ საფეხურს ქმნიან ბიოგრაფიულ-მხატვრული პროზიდან ისტორიოგრაფიაზე — იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ასევე გარდამავალ საფეხურს ბიოგრაფიასა და პანეგირიკულ უანრს შორის ქმნის, მისი პრიო, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება. 3. ინგოროვასეული დიფერენციაცია ჰაგიოგრაფიაში სხვადასხვა ფენების გამოყოფისა და მათში თთქმის ყველა შემდეგდორინდელი ლიტერატურული უანრის ჩასხვის დანახვის სინტერესს ცდა: მემუარების, მოგზაურობის, ბიოგრაფიის და სხვ. მკვლევარი გამოარჩევს თხზულებებს, სადაც მოთხოვბილია სამონასტრო კოლონიზაციის ისტორია, შენიშვნას პოლემიკური ხასიათის ლიტერატურის ჩანასახებს ადრეულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. ამ მხრივ იგი ერთგვარად თავისსავე მოსაზრებას უპირისპირდება საერო და საეკლესიო ლიტერატურების შეუთანხმებლობის შესახებ¹⁶⁵. მის მიერ შემოთავაზებული ტერმინი „ბიოგრაფიულ-ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა“ აგრეთვე ჰაგიოგრაფიის კომპოზიციურ სირთულეზე მიუთითებს, თუმცა ჯერ კიდევ ვ. კლუხევსკი მიუთითებდა, რომ „ცხოვრება ბიოგრაფია არ არის, არამედ ბიოგრაფიის ჩარჩოში მოქცეული სამოძღვრებო პანეგირიკია. ისევე როგორც წმინდნის სახე ცხოვრებაში არა პორტრეტია, არამედ — ხატი“¹⁶⁶.

6. ბერძნიშვილი¹⁶⁷ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს საქართველოს ისტორიის პრობლემების მიხედვით აფგუფებს — პატრიოტიზმი. ქრისტიანულ-ეროვნული ბრძოლა არაბთა თუ სპარსელთა წინააღმდეგ, უთანხმოება მეზობელ სომხეთან, ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ბრძოლა ქართული და-

¹⁶² Л. Н. Пушкин. ღასახ. ნაშრომი, გვ. 230—242.

¹⁶³ ქ. გეგელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, გვ. 27.

¹⁶⁴ 3. ინგოროვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოქლე მიმოხილვა. გვ. 281, 349—350.

¹⁶⁵ 3. ინგოროვა. რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული მექანიზრება. გვ. 27.

¹⁶⁶ В. О. Ключевский. Курс русской истории, ч. II, с. 314—315.

¹⁶⁷ ნ. ბერძნიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, I, გვ. 45—46.

მოუკიდებელი კულტურის ცენტრებისათვის, ქართული სახელმწიფო წყობი-ლების საკითხი.

მ. ლორთქიფანიძის აზრით¹⁶⁸, წმინდანთა წამება-ცხოვრებან ურთხილეული სიათის შესაბამისად ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ურთი ჯგუფი უკავშირდება ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრების ხანას, მეორე — მაზდეანობასა და მამადიანობასათან ბრძოლის იდეას და მესამე ამ ხანის გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრების აღწერას.

როგორც აღნიშნა, ძეგლთა სისტემატიზაცია ემსახურება მათ სტრუქტურულ ანალიზს და მისი ნიშნები უმრავი შეიძლება იყოს, მაშინ, როდესაც კლასიფიკაცია (მაგ. დაყოფა წამებად და ცხოვრებად) არ არის დამოკიდებული მკვლევარზე და კვლევის მიზნებზე.

განსაკუთრებული უანრობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება აღმოჩინების ხანა. აქ ყურადღებას იქცევს საისტორიო პოემათა საკითხი, რომელთაც მკვლევართა ნაწილი საისტორიო მწერლობას აკუთვნებს¹⁶⁹. მუდამ მკაფიოდ არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან მოგზაურობა, დღიურები, მემუარები, ავტობიოგრაფიები; ხშირად ესა თუ ის ძეგლი რომელიმე ფუნქციას ერთდროულად ასრულებს, რაც ართულებს მათ სახეობრივ კლასიფიკაციას. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, „სახეობრივი კლასიფიკაცია არ შეიძლება გატარდეს თანმიმდევრულად, ისე, რომ ყოველი ძეგლი უსათუოდ მიეკუთვნოს რომელიმე განსაზღვრულ სახეს... მთავარია გამოირთოს ყველაზე მსხვილი, მასობრივი სახეობრივი კომპლექსები, პერსპექტიული მათ მიმართ დაჯგუფების, ანალიზისა და განხოვადების საერთო მეთოდების თვალსაზრისით“¹⁷⁰.

ერთ წერილში შეუძლებელია რამდენადმე სრული წარმოდგენა საკითხთა იმ ფართო წრისა, რომელსაც საისტორიო წერილობით წყაროთა პრობლემა მოიცავს. წინამდებარე ნაშრომი ზოგადი მიმოხილვაა, რასაც კვლავ უნდა მოყვეს საისტორიო წყაროთა თითოეული სახის ევოლუციური შესწავლა როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სახეებთან ურთიერთობაში. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი მეცნიერული კლასიფიკაცია, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს წერილობით ძეგლთა საინფორმაციო პოტენციის უფრო სრულად გამოვლენას.

Г. Г. АЛАСАНИА

ВОПРОСЫ КЛАССИФИКАЦИИ ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ПИСЬМЕННЫХ ИСТОЧНИКОВ

Резюме

Одна из центральных проблем источниковедения — классификация исторических источников — в порядок дня ставит необходимость изучения ее историографии, а также эволюции типов, родов и видов исторических памятников. В этой связи призывом прозвучало высказанное на Таллинской всесоюзной конференции источниковедов (октябрь 1972 года) пожелание о проведении подобной работы применительно к историям отдельных народов в различные периоды.

¹⁶⁸ მ. ლორთქიფანიძე. ადრეფენდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. 83. 12.

¹⁶⁹ В. Н. Габашвили. Историография Грузии.— В кн: Очерки истории исторической науки в СССР, I, с. 140.

¹⁷⁰ О. М. Медушевская, Теоретические проблемы источниковедения, с. 76.



В настоящей статье прослежен процесс развития некоторых видов исторических источников на примере грузинской письменности, заострено внимание на изменении со временем основ классификации, затронуты вопросы соотношения степени адекватности отображения действительности, формы, содержания и социальных функций в предопределении видовых особенностей. Наиболее подробно рассмотрен вопрос о взаимоотношении агиографии, исторической письменности и художественной литературы с привлечением историографии вопроса.

В работе косвенно затрагиваются и особенности терминологии, связанной с вопросами классификации, от состояния «хаотической терминологии» до постепенного размежевания и конкретизации, демонстрирующих видовое размежевание и более четкое определение границ.



ରେବାଳ୍ ପରିମାଣକାରୀ

მორილობები ისტორიული ჟაკონობების გამოცემის
ხეთონიდან ზოგიერთი საჭირო

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა კვლევის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფას. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვლევის მეთოდიკას საისტორიო მეცნიერებაში. ძირითად მასალას ადამიანთა საზოგადოების განვითარების სურათის აღსაღევნად წერილობითი წყაროები შეიცავენ. ამიტომ არის, რომ წერილობითი წყაროების გამოვლენა, შესწავლა და გამოქვეყნება საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემატიკის კვლევას ემსახურება საისტორიო მეცნიერების დარგი — წყაროთმცოდნეობა, რომელსაც (განსაკუთრებით, შეუა საუკუნეთა ისტორიის წყაროების შესწავლის დროს) კომპლექსური ხასიათი აქვს. ის ითავსებს სპეციალურ საისტორიო დისციპლინებს (არქეოგრაფიას, დიპლომატიკას, ეპიგრაფიკას, ეპისტოლოგრაფიას, კოდიკოლოგიას, პალეოგრაფიას, ტექსტოლოგიას...);¹ განაზოგადებს მათს მონაცემებს და ახდენს მათ ინტეგრაციას². ამდენად, წყაროთმცოდნეობა საისტორიო მეცნიერების აუცილებელი დარგია, მასთან ერთად ვითარდება და წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემით, მათი შესწავლა-გამოყენების თეორიისა და მეთოდიკის დამუშავებით განაპირობებს მთლიანად ისტორიოგრაფიის განვითარების დონეს. რაც უფრო მაღალია წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების ხარისხი, წერილობითი წყაროების შესწავლისა და გამოცემის დონე, რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად არის დამუშავებული და კვლევათებით პრაქტიკაში დამკვიდრებული ისტორიული წყაროების მეცნიერული ინტერპრეტაციის მეთოდიკა, მით უფრო მაღალია კონკრეტული ისტორიული გამოკვლევების ხარისხი და, ბუნებრივია, უფრო მაღალია მთლიანად საისტორიო მეცნიერების განვითარების დონეც. სწორედ ამიტომ არის, რომ წყაროთმცოდნეობის დარგში კვლევა-ძიების გაფართოება და გაღრმავება საბჭოური საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.³ უკანასკნელ წლებში ჩვენში მრავალფეროვანი გახდა წყაროთ

¹ ხშირად მათ დამსმარე საისტორიო დისკიპლინებსაც უწოდებენ.

² В. Л. Янин. Очерки комплексного источниковедения. Средневековый Новгород. М., 1977, с. 3—21; В. Т. Пашуто, А. А. Преображенский. Исследования по социально-экономической и внутриполитической истории СССР периода феодализма. — В кн.: Изучение отечественной истории в СССР между XXV—XXVI съездами КПСС. М., 1982, с. 375.

³ В. И. Буганов, Г. А. Трукан. Актуальные проблемы источниковедения истории СССР. — «Вопросы истории», 1977, № 3, с. 3; С. С. Хромов, В. И. Буганов, В. П. Шерстобитов. Некоторые итоги и актуальные проблемы изучения отече-

მცოდნეობითი გამოკვლევების თემატიკა როგორც ქრონილოგიურად, ისე პრობლემების მიხედვითაც⁴. ეს თავის მხრივ უთუოდ სასიკეთო გავლენას მოახდენს ისტორიოგრაფიის შემდგომ ზრდაზე.

საისტორიო მეცნიერების პროგრესული განვითარება გაშუღმებით მოიხველს წყაროთმცოდნეობითი ბაზის შემდგომ გაფართოებას და განმტკიცებას. ამის უმთავრესი გზაა უკვე ცნობილი წყაროების ხელახლა, „ახალი თვალით“ წაკითხვა, უფრო ღრმად და უფრო სრულად შესწავლა, წყაროდან ამომწურავი ინფორმაციის მიღების ხერხების სრულყოფა. ეს უზრუნველყოფს წერილობით წყაროში ისეთი მონაცემების გამოვლენას, რომლებიც შეუმჩნეველი რჩებოდათ წინა თაობის მკვლევართ.

შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ. ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. ჩვენს ქვეყანას ძველთაგანვე ინტენსიური ურთიერთობა პქნდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან. ამის წყალობით უცხოელ ავტორთა თხზულებებში მდიდარი მასალაა დაცული საქართველოს ისტორიისათვის, ზოგჯერ ისეთ საკითხებზეც, რომელთა შესახებ ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება არაერთი კონკრეტული საკითხის გარკვევა, დაზუსტება ან დადასტურება, მეტადრე საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროდან. ამდენად, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები მეტად სასარგებლოდ ავსებენ ერთმანეთს. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშვნოს, რომ ძირითადი და უმთავრესი წყარო შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა საკუთრივ ქართული წერილობითი ძეგლებია. ისინი შეიცავენ ყველაზე მრავალმხრივ და შედარებით უფრო სრულ ინფორმაციას, ხოლო მეტ-ნაკლებად გაბმული ისტორია ქვეყნისა მხოლოდ ქართულ თხრობით წყაროებშია გაღმოცემული. ამგვრად, საქართველოს ისტორიის მკვლევართა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ადგილობრივი ქართული წერილობითი წყაროების ყოველმხრივ შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, მათი ანალიზის მეთოდების შემდგომი დაცვეწა, წყაროდან მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღების ხერხების დამუშავებაა.

ქართული ისტორიული წერილობითი ძეგლები საუკუნეთა განმავლობაში ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა. ჩვენი სასიქადულო წინაპრები შეძლებისდაგვარად ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს. ადგილობრივ და უცხოეთში მდებარე კულტურის კერძობში, უპირატესად ეკლესია-მონასტრებში, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა ძელი ქართული ხელნაწერების შესწავლის, გადანუსხვის, განახლებისა თუ დაკაზვის ხაზით.

ქართველმა ხალხმა ფეოდალურ ხანაში შექმნა მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა, რომელსაც უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. როგორც ითქვა, სწორედ ქართული წერილობითი წყაროები შეადგენენ ძირითად წყაროს შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის. მრავალსაუკუნოვან ქართულ საეკლესიო და საერთ საისტორიო მწერლობაში

ственной истории в свете решений XXVI съезда КПСС.— В кн.: Изучение отечественной истории в СССР между XXV и XXVI съездами КПСС, с. 48.

⁴ В. И. Буганов, Г. А. Трукан. Источниковедение отечественной истории на современном этапе.— «Вопросы истории», 1983, № 3, с. 15.

⁵ დაწერილებით იხ. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კარები, ტ. I, ნაკვ. 1, 2, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1980.

(V—XVIII სს.) არსებობდა ისტორიულ ნაწარმოებთა ყველა ძირითადი სახეობა, დაწყებული უმარტივესი ჩანაწერებით, საღაც მხოლოდ ამჟღვერა მოითხოვდა რობილი, ისეთ რთულ თხზულებებამდე, როგორიც არის გიორგი მეტანელის, ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების და ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები⁶. ქართული ისტორიული აზროვნების შესანიშნავი ძეგლია ძეველ ქართულ მატიანეთა უნიკალური კრებული „ქართლის ცხოვრება“ გაგრძელებებითურთ, რომელშიც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორიული თავგადასავალი უკველესი ხანიდან XVIII საუკუნემდე. ჩვენამდე მოაღწია ათეული ათასობით ქართულმა ისტორიულმა საბუთმა, რამდენიმე ათასმა ეპიგრაფიკულმა ძეგლმა, დიდი რაოდენობით ეპისტოლურმა მასალამ და ა. შ. ერთობლიობა ამ მრავალფეროვანი წერილობითი ძეგლებისა მტკიცე წყაროთმცოდნეობით ბაზის ქმნის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მრავალი თაობის მოწინავე მოღვაწეთა მიერ საუკუნეთა მანძილზე დაძაბული შრომით შექმნილ ამ დიდ მემკვიდრეობას სათანადო მოვლა-პატრონობა სჭირდება. კერძოდ, აუცილებელია ამ მასალის წინასწარი კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, შესწავლა და თანამედროვე ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა მიხედვით გაძირება.

ქართული წიგნის ბეჭდებას სამნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, პირველი ქართული ისტორიული დოკუმენტი კი ორასი წლის წინ გამოქვეყნდა სტამბურად. 1784 წელს პეტერბურგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულების, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტები და ქართლ-კახეთის თავდა-აზნაურთა სია.

მომდევნო პერიოდში საქართველოს ისტორიის მასალების — თხრობითი, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ეპისტოლური წყაროების რამდენიმე საყურადღებო პუბლიკაცია განხორციელდა როგორც თბილისში, ისე პეტერბურგშა და პარიზში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ მხრივ მ. ბროსეს მოღვაწეობა⁷. 1829 წელს, პარიზში, „ცხოვრება საქართველოსა“-ს პირობითი სათაურით მან ლითოგრაფიულად გამოსცა XVIII საუკუნეში შედგენილი კომპილაციური თხზულება, რომელშიც გადმოცემულია 1373—1683 წლების საქართველოს ისტორიის მოვლენები⁸. ეს იყო ქართული საისტორიო თხზულების პირველი პუბლიკაცია ევროპაში⁹. ოთხი წლის შემდეგ მ. ბროსემ პარიზშივე გამოსცა საქართველოს ისტორიის წყაროების კრებული, რო-

⁶ ვ. ჯავახიშვილი. ძეველი ქართული საისტორიო მუზერლობა. — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 27.

⁷ გამოცემას თავფურცელი არა აქვს. ის. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I. თბ., 1941, გვ. 62, № 59; გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. პაიჭაძემ. თბ., 1983, გვ. 10.

⁸ დაწყიოლებით იხ. შ. ხანთაძე. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკევე). თბ., 1966; შ. A. ხანთაძე. Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение. Тбилиси, 1970; ე. ვ. ხოშთარია. Академик М. Броссе и первые публикации грузинских письменных исторических источников. — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тезисы докладов Всесоюзной научной сессии (Сухуми). Тбилиси, 1982, с. 91—92.

⁹ ცხოვრებას საქართველოსა. პარიზი, 1829. ახალი გამოცემა: ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ. თბ., 1980.

¹⁰ შ. ხანთაძე. მარი ბროსე, გვ. 20.

მელშიც სხვა მასალებთან ერთად შეიტანა თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწერები: დავით ბაგრატიონის ცხოვრება¹¹ (ფრანგული თარგმანითურთ), „გორგო სააკაძის სიკვდილი“ და „ქეთევან დედოფლის წამება“¹². შედარებრივ მოცულე ხანში მ. ბროსემ უკვე პეტერბურგში ფრანგულ თარგმანთან ერთად გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიული ნაწილი¹³, ხოლო შემდეგ სამ ტომად გამოაქვეყნა ცნობილი „რაპორტები“, რომლებშიც სხვა მასალებთან ერთად 400-მდე ქართული წარწერაც დაბეჭდია¹⁴. ამას მოჰყვა „ქართლის ცხოვრებისა“ და XVII—XVIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების თხზულებათა გამოცემა შეიძ წიგნად ფრანგული თარგმანით, ვრცელი დამატებებითა და შენიშვნებით¹⁵.

ამ გამოცემებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის საქმეში, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს პირველი პუბლიკაციები არ იყო სრულყოფილი არც სამეცნიერო აპარატის და არც ტექსტის დადგენის თვალსაზრისით¹⁶.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში ძველი ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს დ. ბაქრაძემ, თ. უორდანიამ, ნ. მარმა, მ. ჯანაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, კ. კეჩელიძემ, ს. ყაუხებიშვილმა და სხვებმა. თანდათან იხვეწებოდა ისტორიული ტექსტების შესწავლისა და გამოცემის ტექნიკა, მუშავდებოდა მეთოდიკა, გროვდებოდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოცემის დაზღვი. მოსალოდნელი იყო, რომ ამას მოჰყვებოდა ზოგადთეორიული ნაშრომებიც. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ წარმომადგენლებს მიზნად არ დაუსახავთ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის შედეგების განხოგადება, არ უცდიათ თეორიული წყაროთმცოდნეობითი ნაშრომების შექმნა, რათა მომავალი თაობის მკელევართათვის გაეზიარებინათ წერილობითი ძეგლების პუბლიკაციის საქმეში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. როგორც ჩანს, იმხანად ჯერ კიდევ არ იყო საამისო პირობები მომწიფებული, რადგან მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე იქმნება ფართო თეორიულ განხოგადებათა აუცილებლობა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის პრინციპები და წესები დღემდე არ არის მეცნიერულად დამუშავებული (ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლა-გამოცემის დარგშიც). ქართული წყაროების თანამედროვე გამომცემელნი თავიანთი ცოდნის, გამოცდილებისა და პირადი შე-

11 ახალი გამოცემა: ოე მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი. დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოაშადა თ. ენუქიძემ, თბ., 1972.

12 Mémoires inédits, relatifs à l'Histoire et à la Langue géorgienne, Paris, 1833.

13 Description géographique de la Géorgie par le tsarevich Wakhoucht. SPb., 1842.

14 Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, I, II, III. SPb., 1849, 1850, 1851.

15 Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle. SPb., 1849—1858. ამ უზარმაზარი შრომის ტვირთი გაზიარა დ. ჩუბანშვილმა, რომელმაც გამოსაცემად მოაშადა ქართული ტექსტის მეორე ტომი (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრაშეტე საუკუნეების. ნაწ. მეორე. სპბ., 1854).

16 იხ. მაგალითად, ჭ. ხანთაძის შენიშვნა მ. ბროსემ შეირთლის ცხოვრების „ქართული ტექსტის დადგენის პრინციპების გამო (ჭ. ხანთაძე ე. მარი ბროსე, გვ. 92—93)."

ხედულებების მიხედვით ასრულებენ ამ საქმეს, რის გამოც ისტორიული ტექსტების პუბლიკაციებიც სხვადასხვა მეცნიერულ დონეზე ხორციელდება, ზოგიერთს ძეგლის წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა არ ახლავს, ზოგან დაასახითებული არ არის გამოყენებული ხელნაწერები, დარღვეულია ტექსტის გამოცემის ელემენტარული წესები, ნაჩვენები არ არის კითხვასხვაობანი, გვხვდება საბიუბლების გარეშე გამოცემული ტექსტებიც და ა. შ.

არსებობს შეხედულება, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობის გამოცდისა იძლევა ტექსტოლოგიის დარგში თეორიული განზოგადების უფლებას¹⁷. გამოჩენილი საბჭოთა ტექსტოლოგის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების მიმართ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ყველა მკვლევარი მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას დამყარა და სხვათა ნამუშავევი არ მიიღო მხედველობაში, მეცნიერება ვერ განვითარდება. საკუთარ გამოცდილებასთან ერთად წინა თაობის მქვლევართა მიერ დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებაც არის აუცილებელი. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებს ამჟამად ჩვენში მეცნიერული მუშაობა წყაროთმცოდნეობის დარგში. ერთი მხრივ გრძელდება საქმიანობა კონკრეტული და ზოგადთეორიული წყაროთმცოდნეობის ხაზით — გროვდება საკუთარი გამოცდილება, — ხოლო მეორე მხრივ, ხდება წინარე ხანის მკვლევართა ნაშრომების (როგორც პუბლიკაციების, ისე გამოკვლევების) შესწავლა მათი გამოცდილების განხოგადების მიზნით. განსაკუთრებით ფასეულია ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ დღესაც რჩება სამაგიდო წიგნად ყველასთვის, ვინც საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემებზე სერიოზულ კვლევას ეწევა.

თანამედროვე ტექსტოლოგიის უპირველესი მოთხოვნაა, რომ წერილობითი ძეგლი ჯერ ზედმიწენით იქნეს შესწავლილი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიცეს¹⁸. წერილობითი წყაროს კრიტიკული შესწავლა პირველ რიგში გულისხმობს მის ამოკითხვას და შინაარსის გაგებას. ძველი მწერლობის ძეგლებმა მეტწილად გვიანდელი ნუსხების სახით მოაღწიეს ჩვენამდე. მათ ტექსტებს მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდიათ რედაქტორებისა თუ გადამწერების ხელში. ამგვარად, წერილობითი ისტორიული წყაროების ტექსტებს თავიათი ისტორია აქვთ¹⁹. ტექსტების ისტორიის შესწავლას და მათი გენეტიკური ურთიერთობების დადგნანს ემსახურება სამეცნიერო დისკალინა — ტექსტოლოგია²⁰. ტექსტოლოგიის ამოცანას შეადგენს წერილობითი ძეგლის

¹⁷ Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов. — «Исторический архив», 1957, № 6, с. 154. ასებობს საპირისპირო მოსაზრებაც, მაგალითად, ვ. ბუგანვის და ა. ზიმინს მიაჩნიათ, რომ უკველვარი მეცნიერება არსებული გამოცდილების საფუძველზე ვთარდება (В. И. Буганов, А. А. Зимин. О некоторых задачах специальных исторических дисциплин в изучении и издании письменных источников по истории русского средневековья. — «История СССР», 1980, № 1, с. 131).

¹⁸ Д. С. Лихачев. Некоторые новые принципы в методике текстологических исследований древнерусских литературных памятников. — Известия АН СССР. Отделение литературы и языка, 1955, т. XIV, вып. 5, с. 406; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв. М.—Л., 1962, с. 475—476.

¹⁹ А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов-на-Дону, 1976, с. 77.

²⁰ მკვლევართა შირის დღესაც ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას მის თაობაზე, დამხმარედ დასციპლინაა ტექსტოლოგია თუ სპეციალური, საისტორიო დასციპლინაა თუ ფილოლოგიური. ასეთ ტექსტინოლოგიურ კამათს ასებითი მნიშვნელობა არა აქვს ტექსტოლოგიის როგორც მეცნიერების შინაარსის განსაზღვრისათვის. როგორც აღნიშვნა, წყაროთმცოდნეობა კომპლექსურ

გამოვლენა, მისი ტექსტის ისტორიის შესწავლა, ნუსხებს შორის განეტიკური კავშირების დაღვენა, ტექსტის ისტორიულად გააზრებული პრატიკული წაყითხვა და მისი გამოსაცემად მომზადება²¹. ამგვარად, წერილობითი ტექსტის ლების გამოცემა ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოყენება²². ამავე დროს, წერილობითი ძეგლების გამოცემა მხოლოდ ტექნიკის საკითხი კი არ არის, არამედ წყაროთმცოდნეობის თეორია-ცა²³, დიდი კვლევითი მუშაობის დაგვირგვინებაა. რაც შეეხება ტექსტის ისტორიის შესწავლის, აქ მხოლოდ ნუსხებს შორის ურთიერთობის დაღვენა და ტექსტში მომხდარი ცვლილებების მექანიკური აღნუსხვა კი არ იგულისხმება, არამედ გაცილებით უფრო რთული საკითხები. კერძოდ, ტექსტის ისტორია უნდა შეძლებისდაგვარად შესწავლილ იქნეს მისი არსებობის მთელ მანძილზე. უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ცვლილება, რასაც ტექსტი განიცდის ავტორის, გადამწერთა, რედაქტორების თუ კომპილატორების ხელში²⁴. ამავე დროს, აუცილებელია არამარტო აღნუსხვა ცვლილებებისა, არამედ მეცნიერულად ასენა ძეგლის შინაარსსა და ისტორიულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ისტორიული წყაროს ტექსტის სრულყოფილად შესწავლა, მისი მოძრაობის გათვალისწინება მთელ იმ პერიოდში, როცა ტექსტი ცვლილებებს განიცდიდა²⁵. ამ ამოცანის შესრულება და, საერთოდ, შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადება დიდ ისტორიულ ცოდნას და პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს²⁶.

მეცნიერება სპეციალობათა დიფერენციაციის გზით ვითარდება. მართალია, ერთი მხრივ ხდება სამეცნიერო დისციპლინების ინტეგრაცია, მაგრამ მეცნიერებათა დაგილი აქვს სულ ახალი და ახალი სპეციალობების წარმოქმნას, განსხვავებათა, სამეცნიერო გამოკვლევათა მეთოდის სპეციულურ თავისებურებათა გალრმავებას²⁷. ეს კი მოითხოვს საგანგებო ცოდნას ყოველ სპეციალობაში. იგრვე უნდა ითქვას, კერძოდ წყაროთმცოდნეობის შესახებაც, რომელიც კომპლექსური მეცნიერებაა და არადენიმე სპეციალურ დისციპლინას ითავსებს. საგანგებო მომზადება აუცილებელია განსაკუთრებით წე-

შეცნა-ერებაა. ტექსტოლოგია თავისი კვლევის საგნით შედის წყაროთმცოდნეობის შემადგენლობა-ში და მონაშილეობს მისი ძირითადი ამოცანის შესრულებაში. ისტორიულითათვის ტექსტოლოგია სასტურიო დისციპლინაა, მაგრამ, რამდენადც ლიტერატურა-თმცოდნეთავისაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტწილად კვლევის ფილოლოგიურ ხერხებს იყენებს, მას შეიძლება სპეციალური ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინა ეწოდოს (მდრ. უ. სიღამო ნიმუში. ისტორიულ მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ., 1972, გვ. 24—25).

²¹ В. И. Буганов. Текстология. — Советская историческая энциклопедия, т. XIV, 1973, с. 177—178.

²² Д. С. Лихачев. Некоторые новые принципы, с. 406; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 468.

²³ Л. В. Черепнин. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья. — Юбилейный сборник, посвященный 100-летию со дня рождения И. А. Джавахишвили. Тбилиси, 1976, с. 172.

²⁴ Д. С. Лихачев. Некоторые новые принципы, с. 406.

²⁵ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 475.

²⁶ Л. В. Черепнин. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 172.

²⁷ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв. с. 469.

რილობითი ისტორიული წყაროების გამოცემისათვის, რასაც, როგორც ითქვა, დიდი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სჭირდება.

შუა საუკუნეთა ისტორიის წერილობითი წყაროების გამოსაცემაზე მრჩეული დების ღროს დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაცემი ძეგლისა და გამოცემის ტიპის შერჩევას, ისევე როგორც ტექსტის მომზადების პრინციპების დადგენას.

დიდი დაკვირვებულობა და სიღინჯე მართებს მკვლევარს გამოსაცემი ტექსტის შერჩევის დროს. აქ პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნეს წერილობითი ძეგლის როგორც წყაროს ლირებულება და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, მისი გამოცემის აუცილებლობა. მხოლოდ ამ ნიშნით შეიძლება გადაწყდეს ისტორიული წყაროს გამოცემის საკითხი და არა ამა თუ იმ მკვლევრის სუბიექტური შეხედულებების მიხედვით. ამავე ღროს მკვლევარმა ანგარიში უნდა გაუწიოს თავის საკუთარ ცოდნას და შესაძლებლობებს, არ აჰყეს ცდუნებას, დასძლიოს „სიხარბე“ და ხელი არ მოკიდოს მისთვის შემთხვევით ძეგლს (თუნდაც მისგანვე მოპოვებულს), რომელიც მისი სამეცნიერო ინტერესების მიმდა დგას. ამით მკვლევრის ძვირფასი დროც დაიზოგება და ძეგლიც გადარჩება უვარების გამოცემას²⁸. უთუოდ მეტ ყურადღებასა და სიფრთხილეს საჭიროებს უცხოური წყაროების ქართულად თარგმნა და გამოცემა. კერძოდ, გარდა შესაბამისი ეპოქის ისტორიისა, აუცილებელია, რომ მკვლევარმა ქართულთან ერთად ზედმიწევნით იცოდეს გამოსაცემად შერჩეული ტექსტის ენა. ეს მოთხოვნა ერთი შეხედვით უცნაურად ულერს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მომრავლდა შემთხვევები, როცა ერთი მეცნიერი (მეტწილად, კომპეტენტური სპეციალისტი) ამოიკითხავს, შეისწავლის და თარგმნის უცხოურ ტექსტს, ხოლო მეორე კი (ძეგლის მომპოვებელი) „გამოსცემს“ მას.

როგორც უკვე ითქვა, საერთოდ წყაროთმცოდნეობაში და განსაკუთრებით წერილობითი ძეგლების გამოცემის ღროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო დასპეციალებას. კერძოდ, სანამ ამა თუ იმ ხანის წერილობითი ძეგლის გამოსაცემად მომზადებას შეუდგებოდეს, მკვლევარმა საფუძლიანად უნდა შეისწავლოს შესაბამისი ეპოქის ისტორია, გაეცნოს ამ ხანის ხელნაწერ მემკვიდრეობას, არსებულ პუბლიკაციებს, გამოცემის წესებსა და პრინციპებს. სწორედ ამ მაღალი მოთხოვნებით იყო გაპირობებული ივ. ჯავახიშვილის შეხედულება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა აღდგენილი ტექსტების ცალკეული გამოცემის შესახებ²⁹. ეს ძეგლები სხვადასხვა ღროს, სხვადასხვა პირთა მიერ, სხვადასხვა პირობებშია შექმნილი. მართალია, კრებულის შედგენის და თანამდებობით შეცვაბის ღროს კლასობრივად მიზანმიმართული შერჩევა ხდებოდა თხზულებებისა და ზოგიერთმა მათგანმა გარდევული ცვლილებები განიცადა „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის ღროს, მაგრამ კრებულის ყოველი ნაწარმოები მაინც ინარჩუნებს თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათი გათვალისწინება აუცილებელია გამოსაცემად მომზადების ღროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული ტექსტების გამოცემის ტიპის საკითხი. „სსრ კავშირში ისტორიული დოკუმენტების გამოცემის წესების“ მიხედვით პუბლიკაცია მისი მიზნობრივი დანიშნულებით შეიძლება იყოს სა-

²⁸ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 534.

²⁹ ვ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ტექსტების ახალი გამოცემის შესახებ. — „მრავალთავი“, V. თბ., 1975, გვ. 266.

მეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო³⁰. ზოგიერთ მკვდევარს საჭიროდ შიაჩინია სამეცნიერო გამოცემებში გამოჰყოს ისტორიულებრივი ტერატურათმცოდნებისა და ლინგვისტებისათვის განკუთვნილი პუბლიკაციები ტექსტისა³¹. ასეთი ვიწრო სპეციალური დანაწილება და ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის გამიზნული გამოცემების დაპირისპირება ყოველთვის არ არის გამართლებული³². თუ წერილობითი ძეგლი (ამ შემთხვევაში აღგილობრივი ქართული წყაროები გვაქვს მხედველობაში) მტკიცედ დადგენილი მეცნიერული პრინციპების მიხედვით გმოიცემა, ის ისტორიკოსებსაც გამოადგებათ და ფილოლოგებსაც.

წერილობითი ისტორიული ძეგლების გამოცემებში, ჩვეულებრივ, განასხვავებენ ტექსტის წინასწარ პუბლიკაციას, კრიტიკულ გამოცემას და რეკონსტრუქციას³³. წინასწარ პუბლიკაცია თავის მხრივ ორი სახის არის — ფაქსიმილური და დიპლომატიკური. ფაქსიმილური ანუ ფოტოტიპიური პუბლიკაცია დამოუკიდებელი კვლევისათვის არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს შექლებისდაგვარად სრული შთაბეჭდილება შეუქმნას მკვლევარს ძეგლის ხელნაწერზე. რა თქმა უნდა, ფაქსიმილური პუბლიკაცია მთლიანად ვერ შეცვლის ხელნაწერს. კერძოდ, ის ვერ იძლევა წარმოდგენას საწერ მასალაზე, ჭვირნიშნებზე, მელნის ფერზე, კარგავს სინგურით ნაწერს და ა. შ. ამავე დროს, ასეთ პუბლიკაციაში ტექსტი გამომცემლის მიერ არ არის წაკითხული. ხელნაწერთა გადაღების ახალი ინდივიდუალური მეთოდების ფართოდ გავრცელებასთან ერთად (ფოტო, მიკრო, როტო, ქსეროპირების გადაღება) ფაქსიმილური პუბლიკაცია ტექსტისა თანდათან უფრო იშვიათი ხდება, თუმცა კი ზოგიერთი განსაკუთრებით იშვიათი ძეგლი ხელნაწერის დღევანდელი სახის შესანარჩუნებლად, მის „უკვდავსაყოფად“, ურიგო არ იქნებოდა მისი კვლავაც გამოყენება.

დიპლომატიკურ გამოცემაში ტექსტი სტამბურად იბეჭდება მისი ყველა თვისებურების შენარჩუნებით. აქ ტექსტი მეცნიერულად წაკითხულია, დაყოფილია სიტყვებად, დასმულია სასვენი ნიშნები. სწორდება მხოლოდ აშკარა კალმის შეცდომები. დიპლომატიკური წესით შეიძლება გამოიცეს წერილობითი ძეგლის უძველესი ნუსხა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექსტის შესასწავლად.

კრიტიკული გამოცემა წერილობითი ძეგლის მეცნიერული პუბლიკაციის ყველაზე გავრცელებული ტიპია, განსაკუთრებით თუ ტექსტი ბევრი ნუსხით მოაწია ჩვენამდე. ასეთ გამოცემაში ტექსტი იბეჭდება ერთი ძირითადი ნუსხის მიხედვით, დანარჩენი ნუსხების წაკითხვები კი შენიშვნებშია ნაჩვენები. თუ კითხვასხვაობები ზუსტად და სრულად არის მოტანილი, შესაძლებელი ხდება ყოველი ნუსხის მთლიანი ტექსტის წარმოდგენა.

³⁰ Правила издания исторических документов в СССР. М., 1969, с. 6—7.

³¹ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 468—472; он же. Текстология. Краткий очерк, М.—Л., 1964, с. 69; он же. Некоторые новые принципы, с. 415—416.

³² Л. В. Черепнин. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 176; ჩ. კიკაბაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნების საქითხები, I, თბ., 1982, გვ. 6.

³³ Д. С. Лихачев. По поводу статьи В. А. Черныха о развитии методов передачи текста исторических источников.—«Исторический архив», 1956, № 3, с. 191—192; გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა . საისტორიო წყაროების გმოცემის ზოგიერთი პრინციპი.—„ქართული წყაროთმცოდნები“, V, თბ., 1978, გვ. 100.

ტექსტის გამოცემის მეოთხე ტიპია მეცნიერული რეკონსტრუქცია, აუცილებლობა იმით არის გაპირობებული, რომ შეა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილი დამაზინდებით არის შემონახული გვიაზდელ ნუხებში და საჭიროებს ტექსტის აღდგენას³⁴.

წერილობითი ძეგლის სამეცნიერო გამოცემის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია თვითონ ძეგლის ხასიათზე და ტექსტის მდგომარეობაზე და, აგრეთვე, გამოცემლის მიზანსა და შესაძლებლობებზე. რა თქმა უნდა, არ არსებობს ისტორიული წყაროების ერთი რომელიმე სახისათვის მკაცრად განსაზღვრული ტიპი გამოცემისა. ერთი და იგივე ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად; ანდა შერეულადაც გამოიცეს. მაგალითად, ძეგლის კრიტიკულ გამოცემას ზოგჯერ ხელნაწერის ფოტოები დაერთვის და ო. შ.

მკლევარნი განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ ტექსტის მეცნიერული გამოცემის სხვადასხვა ტიპის მიმართ. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი მომხრე არ იყო წერილობითი ძეგლის ერთი ხელნაწერის პუბლიკაციისა (ე. წ. დიპლომატიკური გამოცემა), როცა ტექსტი იბეჭდება მისი ყველა თავისებურების, მათ შორის შერყვნილი და გაუგებარი ადგილების შენარჩუნებით. მისი აზრით, „ასეთ შემთხვევებში გამომცემლის მოვალეობა მექანიკურ მუშაობას არ სცილდება და როგორც გამომცემლისა, ისევე, და უფრო მეტად, წამკითხველის შრომა მოქანცველი, უმაღური და მომაბეზრებელი ხდება“³⁵. დ. ლიხაჩივი, პირიქით, ფიქრობს, რომ დიპლომატიკური გამოცემა ტექსტის პუბლიკაციის ერთ-ერთი ყველაზე რთული და სიცოცხლისუნარიანი ფორმაა³⁶. მართლაც, ქართული ისტორიოგრაფიიდან რომ მოვიტანოთ მაგალითი, შეიძლება ალინიშნის, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული (1906 წ.) და ანასეული ნუსხების (1942 წ.) დიპლომატიკური გამოცემები ძალზე დღეგრძელი გამოდგა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.

წყაროთმცოდნე მკვლევართა დიდ ნაწილს ტექსტის გამოცემის ერთ-ერთ აუცილებელ და მისალებ ტიპად მიაჩნია რეკონსტრუქცია. ამასთან, მათი აზრით, კრიტიკულ გამოცემაში დასაშვებია და ზოგჯერ აუცილებელიც არის რეკონსტრუქციის ელემენტების შეტანა, ზოგიერთი შერყვნილი და გაუგებარი ადგილის აღდგენა. მართალია, ამგვარი ოპერაციის შედეგად ტექსტი და-სცილდება გამოსაცემად შერჩეულ ნუსხაში წარმოდგენილ ტექსტს, მაგრამ სამაგიეროდ ის დაუახლოვდება არქეტიპს³⁷. ივ. ჯავახიშვილი „ქართლის

³⁴ წერილობითი წყაროების მეცნიერული გამოცემის ტიპების შესახებ იხ. დ. С. Лихачев. По поводу статьи В. А. Черныха, с. 191; он же. Некоторые новые принципы, с. 415; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 472—487; он же. Текстология. Краткий очерк, с. 69—71; С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина.—«История СССР», 1966, № 4, с. 103—106; А. П. Пронщтейн. Методика исторического источниковедения, с. 141—146; Р. К. Кикнадзе. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», Тбилиси, 1980, с. 107—110.

³⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, 264.

³⁶ Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 155.

³⁷ А. А. Зимин. О приемах научной реконструкции исторических источников.—«Исторический архив», 1956, № 6; С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина, с. 103—106; С. О. Шмидт. Современные проблемы

ცხოვრების” მატიანეთა ცალცალკე გამოქვეყნების საკითხს რომ უყენებდა, წერდა: „თითოეული ისტორიის თხზულების გამოცემის დროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც ორი მას ჰქონდა დაწერილი. მაშასადამე, ტექსტი ყველა ხელნაწერის მიხედვით აღდგენილიცა და ყველა მერმინდელი ჩანაწერისა და გადამწერთა შეცდომებისაგან გაწმენდილიც უნდა იყოს“³⁸.

თავისი განსაკუთრებული შეხედულება აქვს ტექსტის რეკონსტრუქციაზე დ. ლიხაჩოვს. მისი აზრით, რეკონსტრუქცია მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის გამოცემად და საინტერესოა მხოლოდ წერილობითი ძეგლის ხანგრძლივი კვლევის შედეგების თვალსაზრისით, რადგან უფრო მეტად პიპოთებებს შეიცავს³⁹.

შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ტექსტების რეკონსტრუქციის საკითხი თანამედროვე ტექსტოლოგიის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. პირველ ჩიგში გასარკვევია, თუ რა იგულისხმება ტექსტის რეკონსტრუქციაში. დ. ლიხაჩოვი საგანგებოდ აღნიშნავს, კამათი რომ ნაყოფიერი იყოს, აუცილებელია ტერმინებზე შეთანხმებათ⁴⁰. მართლაც, რეკონსტრუქციის საკითხებზე კამათის დროს მკვლევარი სხვადასხვა შინაარსს სდებენ ამ ცნებაში. კერძოდ, დ. ლიხაჩოვის აზრით, რეკონსტრუქცია სავარაუდო აღდგენა ტექსტის განვითარების რომელიმე კონკრეტული ეტაპისა. იგი მიზნად ისახავს წერილობითი ძეგლის არსებობის გარკვეული ეტაპის მთელი იდეური და სტილისტური არსის, აგრეთვე ნაწარმოების ენის აღდგენას. მკვლევარი ფიქრობს, რომ რეკონსტრუქცია მკვეთრად განსხვავდება კრიტიკული გამოცემისაგან, რადგან კრიტიკული გამოცემის ტექსტი რეალობაა, რეკონსტრუქციისა კი პიპოთება. ტექსტი, რომელსაც საფუძვლად ვუდებთ რეკონსტრუქციას, შეიძლება სავსებით გამართული და გასაგებიც იყოს⁴¹. რაც შეხება ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, დ. ლიხაჩოვი არ არის მისი მომხრე, რადგან შედეგად მიიღება ტექსტი, რომელიც არასოდეს რეალურად არ არსებობდა⁴².

ასეთი იდეალური გაგება თუ მივიღეთ რეკონსტრუქციის ცნებისა, ამოცანა მართლაც მეტისმეტად რთული და ფაქტობრივად განუხორციელებელი იქნება (მხედველობაში გვაქვს პირველ ჩიგში ქართული წერილობითი ისტორიული ძეგლები). ვთქვათ, ტექსტოლოგმა მოინდომა უამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის აღდგენა. გავიხსნოთ, რომ თ. უორდანის ვარაუდით, თხზულების პირველი ნაწილი, დაახლოებით 1285 წლამდე, დაწერა

источниковедения.— В. кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 44—45; Р. К. Кикнадзе. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», с. 109—111.

³⁸ ვ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ 266.

³⁹ Д. С. Лихачев. Некоторые новые принципы, с. 415; он же. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 467; он же. Текстология. Краткий очерк, с. 48.

⁴⁰ Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 159.

⁴¹ Д. С. Лихачев. Текстология на материале древнерусской литературы X—XVII вв., с. 449—467; он же. Текстология. Краткий очерк, с. 48—49.

⁴² Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 451; он же. Текстология. Краткий очерк, с. 49; он же. По поводу статьи С. Н. Азбелева «Текстология как вспомогательная историческая дисциплина».— История СССР», 1967, № 2, с. 234.

სარგის ჯაყელმა, ხოლო მეორე ნაწილი — მისმა ვაუბა ბექამ. 1310—1320 წლებში ვიღაც „ვარძიელმა“ სასულიერო პირმა გააგრძელა თხზულება, და რედაქცია გაუკეთა მას⁴³. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის წინ „ასწლოვანმა მატიანემ“ ისევ გაიარა გარკვეული რედაქცია⁴⁴. პირობით რომ დაუშვათ ტექსტის განვითარების ასეთი ეტაპების არსებობა, მაშინ რეკონსტრუქტორს შეიძლებოდა მიზნად დაესახა აღდგინა, ვთქვათ, სარგისის მიერ დაწერილი ტექსტი, სარგისისა და ბექას მიერ შექმნილი ტექსტი, ვარძიელი ბერის თუ წინამდღვრის რედაქცია, „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ტექსტი. უნდა ითქვას, რომ „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის განვითარების ჩამოთვლილი ეტაპების აღდგენა სრულიად შეუძლებელია თხზულების ტექსტის დღევანდელი მდგომარეობის გამო (აქვე უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ეს ეტაპები მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის ნაყოფია).

ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი შეხედულება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათ ტექსტების რეკონსტრუქციის თაობაზე ორ მომენტს გულისხმობს. პირველია ტექსტის აღდგენა იმ სახით, როგორც თვით ავტორმა დაწერა, მეორე კი — მისი გათავისუფლება გვიანდელი ჩანართებისა და გადამწერთა შეცდომებისაგან. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს სამუშაო არსებული ხელნაწერების მიხედვით უნდა შესრულებულიყო. უნდა ითქვას, რომ არსებული ხელნაწერების საფუძველზე ტექსტის გამართვა არ არის მისი რეკონსტრუქცია. ეს პირველ რიგში კრიტიკული გამოცემის ამოცანაა. ავტორის მიერ შექმნილი ტექსტის პირვანდელი სახით აღდგენა კი, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა მავალითზე, თითქმის განუხორციელებელი ამოცანაა, რადგან მეტწილად ჩვენ სრული წარმოდგენა არა გვაქვს ავტორისეულ ტექსტებზე. ჩვენამდე მოლწეული ტექსტები ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებისა მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული, შეცვლილი და დამახინჯებული. ტექსტის დამახინჯებანი, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა აღნიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ზოგჯერ ისეთ სახეს ღებულობს, რომ არსებული ნუსხების მონაცემების მიხედვით შეუძლებელი ხდება მათი გასწორება. ხოლო, რადგანაც ტექსტის არსებობა აუცილებლად გულისხმობს მის აზრიანობას, არმდენადაც ასონიშნებისა თუ სიტყვების უაზრო რიგი არ არის ტექსტი⁴⁵, ამდენად აუცილებელია შერყყნილი და გაუგებარი ადგილების აღდგენა ანუ ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ტექსტისა. მართალია, ნაწილობრივ აღდგენილი ტექსტი არ დაემთხვევა მისი განვითარების ერთ რომელსამე ეტაპს. ვთქვათ, უმთააღმწერლის თხზულების ტექსტი, რომელშიც უკველა შეცდომა გასწორებულია და გაუგებარი ადგილები აღდგენილია, უკვე აღარ იქნება „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში მოთავსებული შერყყნილი ტექსტი, მაგრამ ის ჯერ არ იქნება არც ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი⁴⁶, თუნდაც იმიტომ, რომ „ასწლო-

⁴³ თ. ეორდანია. ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 557—584.

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილის აზრით, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ემთააღმწერლის თხზულები ჯერ კდევ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო გაერთიანებული და იმ სახით არსებობდა და დამოუკიდებლად (ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 309). ესეც კდევ ერთი დამატებითი ეტაპი ტექსტის ისტორიისა.

⁴⁵ Д. С. Пихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 450, 496, 500.

⁴⁶ ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ არქეტიპის აღდგენაზე, რადგან, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური ციკლის ნუსხების ტექსტი უკვე არქეტიპში იყო იმ სახით შერყყნილი, როგორ სახითაც მოაღწია ჩვენამდე.

ვან მატიანეში“ არის ნაკლული ადგილები, რომელთა შევსება ამჟამად შეატლებელია.

ამიტომ ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა განსაკუთრებული მდგომარეობის გამო რეკონსტრუქციის მიზნად ჩვენ შედარებით მოკრძალებული ამოცანა გვესახება. არა არარსებული არქეტიპის აღდგენა, არამედ რეალურად არსებული ტექსტის გვიანდელი ჩანართებისაგან გათვისუფლება, გაუგებარი ადგილების გასწორება, შერყვნილი და უაზრო ადგილების აღდგენა და მთლიანად ტექსტის გააზრიანება. ეს ამოცანა ნაწილობრივ ემთხვევა კრიტიკული ტექსტის დადგენის ამოცანას იმ განსხვავებით, რომ კრიტიკული გამოცემისათვის ტექსტი არსებული ნუსხების (თანაც უსათუოდ ერთი რომელიმე რედაქციის ნუსხების) მიხედვით მზადდება, რეკონსტრუქცია კი მეტწილად დამხმარე წყაროების საფუძველზე ანდა აზრობრივ-ლოგიკური მეთოდით ხორციელდება. რა თქმა უნდა, ასეთი აღდგენა საკმაოდ რთული საქმეა და დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ზუსტად დამუშავებული მეთოდიყის მომარჯვებასაც მოითხოვს.

არსებობს საერთო ამოცანები ისტორიული წყაროების გამოცემისა და ამის შესაბამისად შემუშავებულია საერთო პრინციპებიც ტექსტების გამოსაცემად მომზადებისა. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ოვითონ წერილობითი ძეგლების თავისებურებათა გათვალისწინება და აქედან გამომდინარე შერჩევა გამოცემის პრინციპების და მეთოდებისა. არ არსებობს ზოგადად ტექსტოლოგიური მეცნიერება და ზოგადად ტექსტოლოგი. მკვლევარი ერთ რომელსამე ენაზე არსებული წერილობითი ძეგლების ერთ გარევეულ სახე¹⁴ სწავლობს და განაზოგადებს თავისი კვლევის შედეგებს. ის ამ კონკრეტულ დარგშია კომპეტენტური და თავისი ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით შეარჩევს გამოსაქვეყნებულ წყაროს. მისი გამოცემის მეთოდიკა კი უძვეტექსტის მდგომარეობაზე და გამოცემის მიზანზე იქნება დამოკიდებული. არ შეიძლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დადგენილი წესები იქნეს გამოყენებული ყველა ტექსტის გამოცემის დროს. გამოცემის წესების დადგენა შემოქმედებითი სამუშაოა და ტექსტის ყველმხრივ შესწავლის შედეგებს უნდა ემყარებოდეს.

წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციის ტექსტები ცალ-ცალკე უნდა გამოიცეს¹⁷. არ შეიძლება რედაქციების ერთმანეთში შერევა, რადგან ამ დროს წარმოიქმნება ახალი, შერეული რედაქცია ტექსტისა. მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ერთი რედაქციის ნუსხები ვერ იძლევა საკმაო მასალას ტექსტის ამა თუ იმ წახდენილი ადგილის იღსაღვენად. მაგალითად, ამჟამად დადგენილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ქრებულში შესული თხზულებების, კერძოდ, თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ და უამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტების დასადგენად საფუძვლად უნდა იქნეს აღებული მცხეთური „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ნუსხათა შორის უძველესი — მარიამისეული ნუსხა. მაგრამ რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი უკვე ამ ნუსხების არქეტიპში იყო დაზიანებული, მცხეთური ციკლის დღეს ცნობილი ყველა ნუსხა ზემოთ დასახელებული თხზულებების ერთნაირად ნაკლულ და დამახინვე-

¹⁷ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 521; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 118, 123, 202.

ბულ ტექსტს შეიცავს. ზოგიერთი ადგილი ტექსტისა მდენად არის შერყვნა-ლი, რომ საერთოდ შეუძლებელია აზრის გამოტანა. ამიტომ, თუმცა ურყევა ის დებულება, რომ სხვადასხვა რედაქციის წაკითხვათა ერთმანეთში შერწყმა-დაუშვებელია, მაინც ხშირ შემთხვევაში ტექსტოლოგი იძულებულია შიმარ-თოს ვახტანგისეული რედაქციის ჩვენებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ტექსტის სრულად და სწორად აღდგენს. ეს მთ უფრო დასაშვე-ბია, რომ, როგორც ირკვევა, ყველა განსხვავება, რაც „ქართლის ცხოვრე-ბის“ ძველი და ვახტანგისეული რედაქციების ტექსტებს შორის გვხვდება, მთლიანად სწავლულ კაცებს არ ეკუთვნის. განსხვავებათა ერთი ნაწილი ძვე-ლი რედაქციის ჩვენამდე მოუღწეველ ნუსხათა ჩვენებას ეყყარება. ამგვარად, ვახტანგისეული რედაქციის ნუსხათა მეშვეობით მოსახერხებელი ხდება ტექს-ტის ძველი რედაქციის ნამდვილი წაკითხვების აღდგენა. სწორედ ეს არის რეკონსტრუქციის ელემენტების შეტანა კრიტიკულ გამოცემაში, ან ნაწილობ-რივი რეკონსტრუქცია ტექსტისა⁴⁸.

ცნობილია, რომ თამარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტ-მა სრული სახით არ მოაღწია ჩვენამდე. „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილი-სეული ნუსხის ძველ ნაწილში „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ბასი-ნის ბრძოლის წინა მოვლენებზე წყდება. თხზულების დასასრული შემონახუ-ლი არ არის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. რმდენადაც შევსებულ „ქართ-ლის ცხოვრებაში“ თამარის მეფობის ხანის ისტორია ძირითადად პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა შერწყმით არის შედგენილი, ივ. ჯა-ვახიშვილმა შესაძლებლად მიზინია გამოქვების მეთოდით პირობითად აღდ-გინა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. ეს არის ნაწილობრივი რეკონ-სტრუქცია ტექსტისა (ზოგჯერ თხზულების დაკარგული ნაწილის აღდგენას რესტავრაციას უწოდებენ ტექსტოლოგიაში). ასეთი ხასიათის სამუშაოს ჩა-ტარება აუცილებელი იყო. მართალია, როგორც თვითონ ივ. ჯავახიშვილი აღიარებდა, ამ გზით მიღებული თხრობა არ იქნება თამარის მეორე ისტორი-კოსის თხზულების ნამდვილი ტექსტი⁴⁹, მაგრამ მეთოდი ტექსტის აღდგენისა ძირითადად სწორია. ივ. ჯავახიშვილის შრომის შედეგად ამჟამად ჩვენ გვაქვს, მართალია, მეორე ნაწილში სავარაულო, მაგრამ მაინც სრული ტექსტი თამა-რის ეპოქისადმი მიძღვნილი საისტორიო ნაწარმოებისა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ჩვენს ისტორიკოგრაფიაში. კერძოდ, ჯერაც სათანადოდ და-მუშავებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის თხზულების ატრიბუცია, ტექსტის მოცულობა, დაწერისა და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის თარიღები, მისი როგორც ისტორიული წყაროს ლი-რებულება და ა. შ.

უძმთააღმდეგრების „ასწლოვან მატიანეში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ანა-ჭრონიზმები, დარღვეულია ისტორიულ მოვლენათა თხრობის თანმიმდევრო-ბა. სამწუხაოდ, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების დღევანდელი მდგო-მარეობის გამო შეუძლებელია გარკვევა, ავტორისეულია ეს ანაჭრონიზმები

⁴⁸ რა თქმა უნდა, ვახტანგისეული რედაქციის წაკითხვების გამოყენების დროს დიდი სიტო-ხილე და ზომიერებას დაცვაა საჭირო. უნდა შესწორდეს აშკარად დამაზინებული აღგილები ტე-ქსტისა. სწორი წაკითხვების „უკეთესი“ წაკითხვებით შეცვლა, რასაც ზოგჯერ ადგი ლი აქვს ხოლ-მე, დაუშვებელა.

⁴⁹ ივ. ჯავახიშვილი. ამონჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეო-რე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 387.

თუ რედაქტორის ან გადამწერთა საქმიანობის შედევია. ამდენად, ტექსტოლოგი მიზნად ვერ დაისახავს თხზულების ზუსტი ქრონოლოგიური რიგის აღდგენას. მას ისლა დარჩენია, რომ გამოკვლევასა და კომენტარებში ადამიშვილია არა სებული ანაქრონიზმები. ამავე დროს, არაიშვიათია „ასწლოვან მატიანეში“ ლაკუნები. დღეს ცნობილ ყველა ნუსხაში ტექსტს ყვლია მოზრდილი ნაკვეთები, რომელთა გარეშე ირლვევა თხრობის მიმდინარეობა და არაერთი გაუგებრობა წარმოიქმნება⁵⁰. ზოგიერთი ასეთი ნაკლული ადგილი აღდგენილია ვახტანგის კომისიის მიერ (ან, უკეთ რომ ითქვას, ვახტანგის კომისიის ხელთ პქონია ისეთი ნუსხა თუ ნუსხები, სადაც ზოგიერთი ადგილი უფრო სრულად იყო წარმოდგენილი, ვიდრე დღეს ჩენონგის ცნობილ ნუსხებში)⁵¹. ჩენ ვფიქრობთ, რომ მსგავს შემთხვევებში დიდი სიფრთხილით შეიძლება აგრეთვა ფ. გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე. წ. მეორე ნაწილის გამოყენება.

„ქართლის ცხოვრებისა“ და ფ. გორგიგანიძის თხზულების გენეტიკური ურთიერთობის საკითხებს ამ ბოლო დროს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. კერძოდ, გარევეულია, რომ გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილი „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიანის“ თავისებურ, შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის მისი დადგენას, რომ გორგიგანიძის მიერ გამოყენებული ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“ უფრო სრული და უკეთ შენახული ყოფილა, ვიდრე დღეს ცნობილი ნუსხებია. ამის წყალობით გორგიგანიძემ შემოგვინახა მასალა, რომლის საფუძველზე შეიძლება გავეცნოთ „ასწლოვანი მატიანის“ ნაკლული ადგილების დედააზრს. რასაკვირველია, ფარსადან გორგიგანიძის მასალებით ვერ მოხერხდება უამთააღმწერლის თხზულების ხარვეზების რეკონსტრუქცია (რადგან, როგორც ითქვა, გორგიგანიძის თხრობა მხოლოდ შემოკლებული ვერსიაა „ქართლის ცხოვრებისა“), მაგრამ სამაგიეროდ შეგვიძლია საკმაოდ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მათ შინაარსზე⁵².

რაյო გორგიგანიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, აუცილებლად უნდა შევეხოთ მისი ისტორიული თხზულების გამოცემის მეთოდიკის საკითხსაც. ამჟამად უკვე შეიცვალა ისტორიკოსთა დამოკიდებულება გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილის მიმართ. კერძოდ, ეჭვს აღარ იწვევს მისი მნიშვნელობა „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიანის“ კრიტიკული ტექსტების დასადგენად. ამდენად, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა გამოსაცემად მზადებასთან ერთად დღის წესრიგში დგება „საქართველოს ცხოვრების“ სრული ტექსტის გამოქვეყნების საკითხიც. ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1936 წელს გულისტყვილით შენიშნავდა, რომ გორგიგანიძის თხზულების მხოლოდ ბოლო ნაწილი იყო გამოქვეყნებული, ხოლო ტექსტი „მთლიანად დღევანდლამდე წინანდებურად გამოუცემელია“-ო. მანვე შეიტა-

⁵⁰ იხ. მაგალითად, ი ვ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1965, 83. 223.

⁵¹ იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დელოფლის გარანტი, ტფ., 1906, გვ. 772—777, 780—782; ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 315—318, 321—322.

⁵² რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 141—152, 182—200.

ფ. გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრება“ რთული შედგენილობას ძეგლია, რაც თავისთავად განაპირობებს მისი ტექსტის გამოცემის სირთულე-საც. ივ. ჯავახიშვილმა გამოყენებული წყაროების მიხედვით გორგიგანიძის თხზულება პირობითად ოთხ ნაწილად დაჲყო და თითოეული ნაწილის დახა-სიათებაც მოგვცა. გამოყენებული წყაროების თავისებურებანი განაპირობე-ბენ „საქართველოს ცხოვრების“ სხვადასხვა ნაწილების თავისებურებებსაც, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს. თითქოს პარადოქსული ვითარება იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ გორგიგანიძის თხზულებამ ავტოგრაფით მოაღწია ჩვენამდე, მაინც გვიხდება საუბარი მისი ტექსტის დადგენის მეთოდიკის თავისებურებებზე. კერძოდ, ისება საკითხი იმის შესახებ, რომ განსხვავებული მეთოდით მომზად-დეს მეორე ნაწილისა და მესამე-მეოთხე ნაწილების ტექსტი.

გორგიგანიძის თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს თამარის გმირებიდან XIV საუკუნის დამდეგამდე, როგორც უკვე ითქვა, „ის-ტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიანის“ მიხედვით არის შედგენილი. ფარსადანი შორეულ ისფაპანში, თანაშემწერებისა და დამხმარეთა გარეშე წერდა თავის თხზულებას. როგორც ირკვევა, მას ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ხელნაწერი, რომელშიც რიგ შემთხვევებში ტექსტი უფ-რო სრულად და უკეთ იყო შემონახული, ვიდრე დღეს ცნობილ ნუსხებშია. მაგრამ ამავე დროს ფარსადანის ხელნაწერში ბევრი იდგილი დამახინჯებული ყოფილა და ჩვენს ისტორიკოსს ყოველთვის ვერ მოუხერხებდა „ქართლის ცხოვრების“ შერუცნილ ტექსტში გარკვევა და ბევრი შეცდომაც დაუშვრა თავისი თხზულების ე. წ. მეორე ნაწილში. ზოგიერთი დამახინჯებული და უაზრო წინადადება ფარსადანს უცვლელად გადაუწერია თავისი წყაროდან, ზოგიც სხვაგვარად გაუაზრებია. ნაწარმოების ტექსტის არსებობა აუცილებ-ლად გულისხმობს მის აზრიანობას. ეს თანაბრად ეხება როგორც ნაწარმოების ავტორს და გადამწერებს, ისე რედაქტორებსა და გამომცემლებსაც⁵⁴. ამდე-ნად, თუმცა ფარსადანმა თავისი ხელით დაწერა ზოგიერთი ის უაზრო და გაუ-გებარი წინადადება, მისი თხზულების მეორე ნაწილში რომ გვხვდება, ტექს-ტოლოგს უფლება არა აქვს იმავე სახით მიაწოდოს ისინი მკითხველს კრი-ტიკულად გამოცემულ ტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ გორგიგანიძის თხზულება ავტოგრაფით არის შემოჩენილი, აქ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და გამოცემის მეთოდიკაც განსაკუთრებული უნ-და იყოს. კერძოდ, ტექსტოლოგს უფლება აქვს „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტები გამოიყენოს გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილის გაუგებარი იდგილების აღსადგენად. ამ შემთხ-ვევაში ტექსტოლოგმა პროგნოზირებას უნდა მიმართოს. მან უნდა აღადგინოს ის სავარაუდო ტექსტი, რომელსაც შექმნიდა გორგიგანიძე, მას რომ „ქართლის ცხოვრების“ უკეთესად დაცული ხელნაწერით ესარგებლა⁵⁵. რა თქმა უნდა,

⁵³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 263, 266.

⁵⁴ Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 500.

⁵⁵ ტექსტის რეკონსტრუქციის დროს მეცნიერული პროგნოზირების ელემენტების გამოყენება დასაშვებად მიაჩნია ს. შმიდტ (С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 44—45).

ასეთი აღდგენა ძალიან რთული და პასუხსაგები საქმეა და პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად დიდ მეცნიერულ სიფრთხილებს, ჩოტყურვებასა და ტაქტისაც მოითხოვს.

„ისტორიათა და აზმათა“ და გორგიგანიძის თხზულების ტექსტების შედარებითი შესწავლის შედეგად „საქართველოს ცხოვრებაში“ გამოვლენილი ზოგიერთი დამახინჯებული ადგილის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სხვა ნაშრომში⁵⁶. აյ დამახინჯებათა და აღდგენის მხოლოდ რამდენიმე დამატებით მაგალითს მოვიტანთ.

1. გორგიგანიძე მოვითხოობს, რომ თამარმა „შეიწყალა ზაქარია ვარამის ქედობით უბოძა გურია უკლებლივ ათინამდისინ, და უბოძა სარქისის ქესა ივანეს ქურდვაჭრით განვამდისინ, ქალაქითა და თემითა, სოფლებით, და საკელოთა მსახურთ უხუცესობა“⁵⁷.

აშკარაა, რომ ტექსტის ამ სახით მეტოხელისათვის მიწოდება კრიტიკულ გამოცემაში არ შეიძლება. ამ წინადაღებას აუცილებლად ესაჭიროება გააზრიანება. „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში, მარიამისეული ნუსხის მიხედვით, შესაბამის ადგილას იკითხება: „შეიწყალა ზაქარია ვარდანის ქედობა გარეგი ქურდ ვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთრითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ქესა ივანეს პირველად მსახურთ უხუცესობა“⁵⁸. ამ ორი ტექსტის ურთიერთშედარების საფუძველზე შედარებით ადგილად ხერხდება გორგიგანიძის თხზულების ზემოთ მოტანილი ადგილის გასწორება: „შეიწყალა ზაქარია ვარამისის ქედობა უბოძეს ვარამ გურიელს და აქ გურიელი დასვეს ქესა კაცსა სანაპიროსა ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“⁵⁹.

2. ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალებისა და მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელის ათაბაგად დანიშნის შემდეგ, გორგიგანიძის სიტყვით, „მსახურთ უხუცება უბოძეს ვარამ გურიელს და აქ გურიელი დასვეს ქესა კაცსა სანაპიროსა ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“⁶⁰.

„ისტორიათა და აზმათა“ მიხედვით, თამარმა უბოძა „მსახურთ უხუცესობა ვარამს, ზაქარიას გაგელის ქესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯვებულსა“⁶¹. აქც ძალიან ადვილად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხერხდება ფარსადანის გაუგებარი ტექსტის აღდგენა: „მსახურთუხუცება უბოძეს ვარამ გაგელს, ზაქარია გაგელის ქესა, კაცსა საპატიოსა, ლაშქრობათ შინა გამარჯვებულსა“.

გორგიგანიძის თხზულების იმ ნაწილში, რომელიც „ასწლოვანი მატიანის“ მიხედვით არის შედგენილი, შედარებით ნაკლებად გვხვდება გაუგებარი წინადაღებები, რაც მისი წყაროს ტექსტის უკეთესი მდგომარეობით აისხება. აქ უფრო ხშირად ცალკეული სიტყვებია დამახინჯებული, რის გამოც ზოვ-

⁵⁶ რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიგანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“, თბ., 1975, გვ. 45—49.

⁵⁷ ფ. გორგიგანიძე. საქართველოს ცხოვრება.— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეცელიძის სახ. ხელნაშერთა ინსტიტუტი. ხელნაშ. H 2140. ფ. 19г. (ფ. გორგიგანიძის თხზულების ორი ხელნაშერთ—H 2492 და H 2140 ამებად გაერთიანებულია და ახლად არის გადანომრილი. ჩვენ ესარგებულობთ ქველ პავილიონი).

⁵⁸ ქართლის ცხოვრება, მარიამ დელოფლის ვარიანტი, გვ. 442.

⁵⁹ აქვე უნდა აღნიშვნოს, რომ გორგიგანიძესთან სწორად არის შემონახული საკუთარი სახელი „ვარამი“ („ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში „ვარდანი“).

⁶⁰ ფ. გორგიგანიძე. საქართველოს ცხოვრება. ხელნაშ. H 2140, ფ. 31v.

⁶¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დელოფლის ვარიანტი, გვ. 527.

ჭერ იცვლება წინადადების აზრი⁶². გვხვდება აგრეთვე დამახინჯებული პირთა და გეოგრაფიული სახელები. მაგალითად, გორგიგანიძის მიხედვით, „ვითაც აღარ იყო ღონებ, წავიდა ნარინ დავით, თან წაიტანა მეფემან რუსულის მცირედით ნავითა თანშესდილი ქართლის ერისთავი სურამელის გრიგოლის შვილი ბექა, გურიელი გარუველი მახუჭაგიძე, ამირ ეჭიბი ბეშენა, და ორი თვალი ძვირის ფასია. წავიდა შემოდგომად ქვაკლდეს ავაქისასა და ახლათის სულთანსა, რომე პირველ იგინი წავიღნენ თათართ თანა“⁶³. როგორც ვხედავთ, ტექსტში აშკარად დამახინჯებულია რამდენიმე ადგილი. კერძოდ, „მცირედით ნავითა“, „გურიელი გარუველი მახუჭაგიძე“, „წავიდა შემოდგომად ქვაკლდეს“ არ იძლევიან ტექსტის აზრიანი წაკითხვის შესაძლებლობას.

ეამთაღმწერლის თხზულების შესაბამისი ადგილის მიხედვით გორგიგანიძის ტექსტი შეიძლება ასე გაიმართოს: „ვითაც აღარ იყო ღონებ, წავიდა ნარინ დავით. თან წატანა მეფემან რუსულან მცირედით თანშესდილი — ქართლის ერისთავის სურამელის გრიგოლის შვილი ბექა, გურკლელი მახუჭაგიძე, ამირეჭიბი ბეშენა, და ორი თვალი ძვირის ფასია. წავიდა შემდგომად კვალსა ავაქისასა და ახლათის სულთანსა, რომე პირველ იგინი წავიღნენ თათართა თანა“.

ვფიქრობთ, მსგავსი შესწორებების შეტანა დასაშვებია გორგიგანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ავტოგრაფული ტექსტის გამოცემაში იმ მიზნით, რომ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს გაერკვეს აღწერილი ამბების არსში, ხოლო ტექსტი მთლიანად აზრიანი და გასაგები გახდეს. რა თქმა უნდა, ტექსტში შეტანილი ყველა ცვლილება, როგორც ეს სხვა დროსაც არაერთგზის აღვინიშნავს, უნდა ემყარებოდეს „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების ჩვენებებს და სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული გამოკვლევაში ან შენიშვნებში.

ქველ ხელნაწერებში ტექსტში გამოყოფილი არ არის წინადადებები და აბზაცები, დასმული არ არის სასვენი ნიშნები. ზოგჯერ ორი სიტყვა შეერთებულია ანდა, პირიქით, ერთი სიტყვა გაყოფილია და ა. შ. ამდენად, წერილობითი ძეგლის გამოსაცემად მომზადების ღროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის სწორად წაკითხვას. არასწორად ამკითხულმა ან აღდგენილმა სიტყვამ, მცდარად დაყოფილმა წინადადებებმა და, მით უმეტეს, უაღილო აბზაცებმა შეიძლება სრულიად შეცვალონ შესაბამისი კონტექსტის შინაარსი.

1. მაგალითად, თამარისათვის საქმროს შერჩევს რომ ეხება, „ისტორიათა და აზრათა“ ავტორი, მარიამისეული ნუსხის მიხედვით, გვამცნობს: „გამოვინენ ჩუენდა მეტყუელნი მკვდრთა ტფილისისათ შინა თავადი და მეფეთ მეფისაგან წყალობა ქელ დასმული და ამირა ქართლისა ტფილისის, სახელით აბულოსან“⁶⁴.

წინადადების დასაწყისი ნაწილი გაუგებარია. ივ. ჭავახიშვილმა ეს ადგილი ასე აღადგინა: „გამოვი[და ვი]ნენ ჩუენდა მეტყუელი“⁶⁵ და ა. შ. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსი პირადად ესწრებოდა იმ ბჭობას, სადაც თამარის

⁶² მაგალითად გორგიგანიძესთან გვხვდება „გააგდო მანდატური“, „ყაენებით ენახებამდისინ“, „ქარავი ერთი“ „ქარავი ორი“ და ა. შ. (ხელნაწ. H 2140, ფ. 65r). უნდა იყოს: „განავო მანდატური“ (მარიამისეულ ნუსხაში — „განგომანდური“, გვ. 664), „ყაენებით ენახებამდისინ“, „ქარავი ერთი“, „ქარავი ორი“ (მდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 235).

⁶³ ფ. გორგიგანიძე. საქართველოს ცხოვრება, ხელნაწ. H2140, ფ. 53r.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის გარიანტი, გვ. 415.

⁶⁵ ივ. ჭავახიშვილი. ქელი ქართული საისტორიო მუზეუმი, გვ. 226.

საქმროს საკითხი წყდებოდა, თითქოს სწორედ იქ „გამოვიდა ვენერ ჩუენდა მეტყუელი“ და თავისი აზრი გამოთქვა.

ქ. ქეკელიძემ „ისტორიათა და აზმათა“ მის მიერ აღდგენილ ტექსტში ნაკლები ჩარევით და ასოების ჩამატების გარეშე, ჩვენი აზრით, უფრო მართებულად გაიაზრა წინადადების დასაწყისი: „გამოვინმეჩნდა მეტყუელი გვკდრთაგან ტფილისისათა“⁶⁶. როგორც ჩანს, ასევე ესმოდათ ამ ადგილის შინაარსი ვახტანგის კომისიის წევრებსაც („მაშინ წარმოდგა კაცი ერთი ტფილისისა მცვიდრთაგანი თავადი...“)⁶⁷.

2. უამთააღმწერლის ცნობით, ზაქარია ამირსპასალარი განუდგა ჰულაგუხანს და დასავლეთ საქართველოში გადავიდა იმ მიზეზით, რომ „ბერქას ლაშქართ გმოსულა მასმია ჩერებულის“⁶⁸. ვახტანგის კომისიამ ტექსტი თავისებურად გაიაზრა: „ბერქას ლაშქართა გმოსულა მასმია ჩემ ზედა“⁶⁹, ე. ი. თითქოს ზაქარია ამბობდა, ბერქას ლაშქრის ჩემს წინააღმდეგ წამოსვლის ამბავი მესმა და ამიტომ მოვიქეციო ასე. ივ. ჭავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის ჩევენების საფუძველზე უფრო მარტივად და სწორად გადაწყვიტა ეს საკითხი. მისი საცხებით სწორი ვარაუდით, ზაქარია იმიტომ გადავიდა დასავლეთ საქართველოში, რომ „ბერქას ლაშქართ გმოსულა მას მიაჩემეს“⁷⁰, ე. ი. მას დააბრალეს. ტექსტის ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს ფ. გორგიგანიძეც, რომელიც შესაბამის ადგილას გვამცნობს: „წაუვიდა ჰალაჟუხანს შიშისა და მორიდებისათვის შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლის სიკეთით სავსე, გარდვიდა ქუთათისს და მეფეს ნარინ დავითის მიუვიდა და ემთხუა ამისთვის, რომე ბერქა ყაენის ლაშქრის გამოსვლას ჰალაჟუყაენი ამას აბრალებდა“⁷¹.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობითი ძეგლის ტექსტის გავებისათვის სასვენი ნიშნების განლაგებას, წინადადებებად დაყოფას, აბზაცების მონიშვნას.

მაგალითად, შამქორის ბრძოლის მსვლელობის აღწერისას თამარის პირველი ისტორიკოსი მოვითხრობს, რომ ათაბაგ აბუ ბექრის ლაშქარი ბრძოლის ველზე დავით სოსლანის გამოჩენამდე უმკლავდებოდა ქართველებს, მეფისა და მისი რაზმის მოსვლის შემდეგ კი მათი საქმე ცუდად წავიდა⁷². ქ. ქეკელიძემ ამ ეპიზოდის შემცველი წინადადება ორად გაპყო: „და მათ, პირველ-მოსრულთა, წახეთქნეს ნახევარნი რაზმთანი, და ვიდრე მეფისა მოსლ-

66 ისტორიანი და აზმანი შარაგანდელთანი. ქ. ქეკელიძის რედაციით. თბ., 1941, გვ. 81. ასეთივე წაკითხვა გზიარებულია ს. ყაუხიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში („გამო-ვანერ-ჩენდა მეტყუელი მეტრთა ტფილისისათა შინა“). — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36). კ. გრიგოლია ივ. ჭავახიშვილის კონიერტურას ამჯობინებდა (ქ. გრიგოლია 100. „ისტორიანი და აზმანი შარაგანდელთანი“ ავტორის ვინობის საკითხისათვის). — ქრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 246—247).

67 ქართლის ცხოვრება. რუმიანცევისეული ნუსხა. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. მეცნიერის სახ. ხელნაშერთა ინსტიტუტი. ხელნაშ. H2080, ფ. 272r.

68 ქართლის ცხოვრება. მარიმ დელოფლის ვარიანტი. გვ. 688.

69 ქართლის ცხოვრება, რუმიანცევისეული ნუსხა, ფ. 421r.

70 ივ. ჭავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 167. ს. ყაუხიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში გზიარებული ვახტანგის კომისიის წაკითხვა („მაშია ჩემ ზედა“, — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 250). გმოცელებებში კი ონიშნულია, რომ მართებულია ივ. ჭავახიშვილის კონიერტურა — „მას მაჩემეს“ (იუვე, გვ. 051).

71 ფ. გორგო ჭავახიშვილი. საქართველოს ცხოვრება, ხელნაშ. H 2140. ფ. 74v.

72 ქართლის ცხოვრება, მარიმ დელოფლის ვარიანტი, გვ. 467.

ვამდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისაა. და⁷³ რაუამს იხილეს მეფე, დაეცა ჩის-
ხუა ღმრთისაა უხილავი და კრძლები და პორტლები მეფისაა, რაზმოდ მწყალე
მოშისრუელი⁷⁴.

ამ წინადადების ორად გაყოფა წერტილით და მით უმეტეს აბზაცით არა-
ფრით არ არის გამართლებული, რადგან აზრი აშეარად მახინჯდება⁷⁵. აქვე უნ-
და შევნიშნოთ, რომ მ. ბროსეს, რომელმაც ვახტანგის კომისიის მიერ თრი
ისტორიკოსის თხელულებათა შერწყმის შედეგად მიღებული ტექსტი გამოსცა
თამარის ცხოვრებისა, სავსებით სწორად ჰქონდა დასმული სასვენი ნიშნე-
ბი: „და ვიდრე მეფისა მოსლვადმდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისა და სპარსთა,
და რაუამს იხილეს მეფე, დაეცა ჩისხავა ღვთისა მათ-ზედა“⁷⁶. აქვე სწო-
რად, ერთ წინადადებად ჰქონდა გააზრებული ხსენებული ადგილი ივ. ჭავახი-
შვილსაც⁷⁷.

წერტილობითი ისტორიული წყაროს სამეცნიერო გამოცემას წაემძღვარე-
ბა შესავალი წერილი — წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელშიც გად-
მოცემულია ტექსტის შესწავლის ისტორია, განსაზღვრულია ძეგლის შექმნის
დრო და პირობები და ა. შ. აქვე მოცემულია ძირითადი ცნობები გამოყენე-
ბული ხელნაწერების შესახებ, დახსაიათებულია აღრინდელი გამოცემები,
თარგმანები და სხვ. გადმოცემული უნდა იქნეს აგრეთვე ტექსტის დადგნის
მეთოდიების ძირითადი საკითხები. გამოკვლევაში დახსაიათებული უნდა იყოს
გამოცემული ძეგლის როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა. დაუშვე-
ბელია შესავალ წერილში წყაროს შინაარსის გადმოცემა, რასაც მიმართავს
ზოგიერთი გამომცემელი და რასაც ტექსტის „ანალიზს“ არქმევენ ხოლმე.
ასევე საჭირო არ არის წყაროთმცოდნეობით გამოკვლევაში ისტორიის კონ-
კრეტული პრობლემების შესწავლა, თუნდაც ეს გამოსაცემად შერჩეული ძეგ-
ლის მონაცემების საფუძველზე კეთდებოდეს. გამომცემელმა მხოლოდ უნდა
განსაზღვროს ტექსტის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება და აჩვენოს მისი
როგორც ისტორიული წყაროს გამოყენების ძირითადი შესაძლებლობანი.

დღი მნიშვნელობა აქვს საკომენტარო მასალის სწორად და კეთილსინ-
დისიერად შერჩევას. კომენტარი შეიძლება იყოს კვლევითი და საცნობარო ხა-
სიათისა. კომენტარი უნდა დაეხმაროს მკითხველს გამოცემული ტექსტის ში-
ნაარსში ღრმად ჩაწვდომაში, მის სწორად ათვისებაში. საჭირო არ არის კო-
მენტარში ისეთი მასალის შეტანა, რაც ადვილად ხელმისაწვდომ ცნობარებში,
ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებშიც მოიპოვება. მაგალითად, ზოგჯერ გამო-
მცემელი განმარტავენ, ვთქვათ, დიოგენის, ქსენოფონტეს, პერიოდოტეს, ზო-
როსტრის ვინაობას, აღნიშნავენ, რომ შავ აბას დიდი იგივე შავ აბას I-ია,
ხოლო პეტრე დიდი პეტრე I-ია, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია,
თავრიზი კი ირანის აზერბაიჯანის ქალაქია და ა. შ. ამავე დროს ხშირად კო-
მენტარი არ ახლავს ტექსტის მართლაც როტულ და გაუგებარ ადგილებს, ძნე-

⁷³ ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ამ ადგილას აბზაციც არის გამოყოფილი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 71).

⁷⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რეაციით, გვ. 107.

⁷⁵ კადვ უფრო ნათლად ჩანს სასვენი ნიშნების სახით განლაგებით დაწვებული შეცდომა რუსულ თარგმანში: «Пока царь подоспел, отряды атабага успели подкрепиться. Когда они увидели царя, на них обрушился гнев божий...» (История и восхваление венценосцев». Перевод К. С. Кекелидзе. Тбилиси, 1954, с. 61). უნდა იყოს: «До прибытия царя отряд ата-
бека держался, а как увидели царя, на них обрушился гнев божий».

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., I, სპბ., 1849, გვ. 307.

⁷⁷ ივ. ჭავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 268.

ლად ასახსნელ ტერმინებს, უცნობ პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს და. შ. გამომცემელმა გულახდილად უნდა უთხრას მკითხველს, რომელი ტერმინიმის ლოკალიზაცია ვერ შეძლო, რომელი ტერმინის მნიშვნელობა არ იცის, ტექსტის რომელი ადგილი დარჩა მისთვის გაუგებარი და ა. შ. გამომცემლის ასეთი კეთილსინდისიერების ორ მაგალითს მოვიტან ჟამთაღმწერლის თხზულების უკანასკნელი გამოცემიდან. ერთ შემთხვევაში ს. ყაუხებიშვილმა სქოლიოში მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ტექსტის შემცველ ნუსხებში მოტანილი სიტყვები — „ყანსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულოს მამასა“ — მეტად ბუნდოვანია⁷⁸, მეორედ კი მისთვის გაუგებარი ფრაზა — „და თანა მოკლულ იქმნა“ — ტეხილ ფრჩხილებში ჩასვა, ხოლო შენიშვნაში მიუთითა, ეს სიტყვები შემთხვევით უნდა იყოს აქ მონცვედრილი⁷⁹.

ზოგჯერ ტექსტის კომენტირების ცნებაში სრულიად განსაკუთრებული აზრის ჩადებას ცდილობენ. კერძოდ, არის ტენდენცია, მოსთხოვონ გამომცემელს, რომ ე. წ. ისტორიულ კომენტარში დეტალურად იქნეს განხილული ტექსტში დაცული ყოველი კონკრეტული ცნობა და შეფასდეს იქ გადმოცემული ისტორიული მოვლენები. ასეთი მოთხოვნა მთლიანად უსაფუძვლოა, რადგან ტექსტის გამოცემა და ამ ტექსტის საფუძველზე სამეცნიერო გამოკვლევის დაწერა სრულიად სხვადასხვა შემოქმედებითი პროცესია⁸⁰. ისტორიული წყარო, როგორც წესი, მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს ადამიანთა საზოგადოების წარსულის შესასწავლად. ისტორიკოსები სხვადასხვა კუთხით უდგებიან ისტორიული წყაროს შესწავლას, განსხვავებული სამეცნიერო ინტერესები ამონრავებთ, სხვადასხვა მიზნისთვის სურთ წყაროდან ისტორიული ფაქტების ამოკრება. ტექსტის გამომცემელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს მათი ყველა მოთხოვნის წინასწარ გათვალისწინებას და დაკმაყოფილებას. მან მთლიანად უნდა შეისწავლოს ისტორიული წყარო, გასაგები სახით გამოსცეს ტექსტი და აჩვენოს მისი გამოყენების შესაძლებლობანი ისტორიის კონკრეტული პრობლემების კვლევის საქმეში. წყარო გამოცემის შემდეგაც წყაროდ უნდა ჩერტოდეს, ტექსტოლოგმა თავს არ უნდა მოახვიოს ისტორიკოსს ტექსტის ამა თუ იმ ადგილის თავისებური ინტერპრეტაცია⁸¹.

სასურველია, რომ ტექსტის გამოცემას დაერთოს იშვიათად ხმარებული და ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონი⁸² (თუ სალექსიკონო სიტყვები ცოტა ტექსტში, შეიძლება მათი განმარტება კომენტარებში). აქაც აუცილებელია ზომიერების და, რაც მთავარია, სისრულის დაცვა. კერძოდ, საჭირო არ არის ისეთი სიტყვების ახსნა, რომლებიც, სხვა ლექსიკონებზე რომ აღარ-

⁷⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226, შენ. 4. შინაღადება შემდეგნაირად აღდგება: „ყანსა მას არა გაეყო და არც მანგუ ყანსა, ყუბილოს და ულოს მამასა“ (იხ. ჩ. კიკნა დ. საქართველოს ისტორიის წყაროთმოცდნეობის საკითხები, I, გვ. 131).

⁷⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 271, შენ. 1. აქ იგულისხმება მონლოლი საჩდალი თოდაუნი („თონდა“, „თანა“), რომელიც ეგვიპტის სულთანის ლაშქართან ბრძოლაში დაიღუპა 1277 წ. (იხ. ფ. გორგი ჯანი დ. საქართველოს ცხოვრება. ხელნაწ. H2140. ფ. 87v; რაშიდ-ა-დ-დინ. ჯами ათ-таварих, თ. III, ბაკუ, 1959. Перс. текст. с. 144, 158; русский перевод, с. 90, 96.

⁸⁰ Л. В. Черепнин. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 166.

⁸¹ Д. С. Лихачев. К вопросу о реконструкциях древнерусских текстов, с. 166.

⁸² ვ. ჯავახიშვილი. ქართველი საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 267.

ფერი ვთქვათ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც არის „შესული“. ამავე დროს, თუ რომელიმე სიტყვა თვითონ გამომცემლისთვისაც, გაუცემას რი დარჩა, მან ის განმარტების გარეშე უნდა შეიტანოს ლექსიკონშიც შესტატისი კონტექსტით (ასეთი შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხებიშვილისეული გამოცემის ლექსიკონში).

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო უცხო ენებიდან, მეტადრე აღმოსავლურიდან შემოსული სიტყვა-ტერმინების განმარტებისას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ერთ სიტყვას შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ ლექსიკონში შეტანილი ყველა სიტყვა კონკრეტული კონტექსტების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს.

მაგალითად, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში რამდენიმეჯერ გვხვდება ტერმინი „ხოჯა“, რომელიც თხზულებისათვის დართულ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „საჭურისი, მცველად დადგენილი მეფის სასაჩური“. ერთხელ იხსენიება სიტყვა „ხადუმი“, რომელიც ლექსიკონებში ასევე ახსნილია როგორც მსახური, საჭურისი⁸³. გვხვდება თხზულებაში აგრეთვე „საჭურისიც“. ამგვარად თუ ვენდობით „ისტორიათა და აზმათა“ ლექსიკონებს, თამარის ისტორიკოსი ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად სამ სინონიმურ სიტყვას ხმარობს.

უნდა ითქვას, რომ „ხოჯას“ და „ხადუმის“ ასეთი მნიშვნელობით გაძნელდება „ისტორიათა და აზმათა“ შესაბამისი ადგილების შინაარსის სწორად გაგება. მაგალითად, თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მუსლიმანი უფლისწული მუტაფურალინი (მუზაფარ აღ-ღინი) საქართველოში ჩიმოვადა თამარის ცოლად შერთვის განზრახვით „დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მკევლებითა, ბარგითა და სიმდიდრითა“⁸⁴. „ხოჯა“ თუ საჭურისად გავიგეთ ამ წინადადებაში, გამოვა, რომ თამარის ხელის მაძიებელს თან ახლდნენ საჭურისები და საჭურისები. ამიტომაც იყო, რომ კ. ქეკელიძემ „ხოჯა“ საჭურისად თარგმნა რუსულად, ხოლ „საჭურისი“ — პირად მცველად⁸⁵.

ქართველებმა რომ ირაში ილაშქრეს და თავრიზს მიაღწენ, „ძრწოლა-მან შეიძყრნა ყოველნი მკედრნი თავრეუისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი და მიმდგომნი თავრეუისანი განიზრახვიდეს, რათა ხარის მიცემითა, და ძღუნითა და შევრდომითა და ზენარის თხოვნითა დაამშვრდნეს ქართველნი თავაღნი და სპანი“. ძღვნის აღებაზე რომ დაითანხმეს ქართველები, „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეში და ყოველნი თავაღნი თავრეუისანი“⁸⁶ და ა. შ. თავისთავად ცხადია, რომ განხილულ შემთხვევებში საჭურისები არ არიან საგულვებელი.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის გამომცემლებს გაუთვალისწინებელი დარჩათ „ხოჯას“ ძირითადი მნიშვნელობანი: პატივცემული ადამიანი, ვინც გავლენით სარგებლობს საზოგადოებაში, ბატონი, მასწავლებელი, დიდვაჭა-

⁸³ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი. კ. ქეკელიძის რედაქციით. ლექსიკონი, გვ. 154; ქართლის ცხოვრება, II, ლექსიკონი, გვ. 626, 627.

⁸⁴ იქვე, გვ. 43.

⁸⁵ История и восхваление венценосцев, с. 44; «Он явился из своего отечества пред высохшей из царей, самодержавной Тамарой с большим войском, многочисленными князьями, евнухами, телохранителями, рабами и рабынями».

⁸⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 105, 106.

რი, ბრძენი და სხვ.⁸⁷ ს.-ს. ორბელიანის განმარტებითაც ხოჯა საჭურისის გარდა დიდვაჭარს ნიშნავს⁸⁸, ხოლო ქართული ენის განმარტებითზე, ლექსიფრანის მიხედვით, ხოჯა არის „საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კატე—[საჭარის] თის შაპის ქარზე“⁸⁹.

ამგარად, გამოდის, რომ საქართველოში მოსულ მუზაფარ აღ-დინს ახლ-დნენ დიდებულები და საპატიო პირნი (ხოჯანი) და, აგრეთვე, საჭურისები (რაკი ქალის წაყვანას აპირებდა) და მსახურნი. ხოლო გაჭირვებაში ჩაცვენილ-მა თავრიზელებმა საჭურისები კი არ გამოვზავნეს ქართველებთან შუამავლად, არამედ ქალაქის საპატიო პირნი და წარჩინებულნი.

რაც შეეხება საჭურისის აღმნიშვნელ მესამე სიტყვას, უნდა ითქვას, რომ არაბულად „ხალიმ“ მსახურს ნიშნავს⁹⁰. საფერებელია, რომ ხადუმის საჭური-სად განმარტება ს.-ს. ორბელიანის გავლენით გაჩნდა „ისტორიათ და აზმა-თა“ ლექსიკონებში⁹¹. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ტახტის მემკვიდრის გიორგი ლაშას დაბადების აღსანიშნავად ქართველმა მეომრებმა რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მათ აზტრუმე-ლები დაამარცხეს ისე სასტიკად, რომ ისინი ... „საკიცხველ და სანერწყუავ იქმნეს ბიბთა ელიმთა და ხადუმთაგან“⁹². თუ გავითვალისწინებთ, რომ ხადუ-მი (ხადიმი) მსახურს, მოახლეს ნიშნავს⁹³, გამოვა, რომ დაამარცხებულ აზტრუ-მელებს დასცინოდნენ არა საჭურისები, არამედ საპატიო ქალბატონები და მოახლეები.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი მაგალითები თვალნათლივ მოწმო-ბენ, რომ სიტყვები ლექსიკონში უსათუოდ ტექსტის შესაბამისი ადგილების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყო-ველგვარი გაუგებრობა.

როგორც ითქვა, ქართული ისტორიული წყაროების ადრინდელ გამოცე-მებში შედარებით ღარიბი იყო სამეცნიერო აპარატი. განსაკუთრებით აღსა-ნიშნავია ის გარემოება, რომ მაშინდელ გამოცემებს არ ერთვოდა საძიებლე-ბი. ინფორმაციის უზარმაზარი მოზღვავების პერიოდში არათუ ისტორიული წყაროს პუბლიკაცია, არამედ საერთოდ სამეცნიერო წიგნი წარმოადგენელია საძიებლების გარეშე. კერძოდ, დადგენილია, რომ ისტორიული წყაროს ყო-ველ გამოცემას აუცილებლად უნდა დაერთოს პირთა და გეოგრაფიული სახე-ლებისა და ტერმინთა საძიებლები⁹⁴.

⁸⁷ М. А. Гаффаров. Персидско-русский словарь, т. I. М., 1974 с. 303; Л. З. Будагов. Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I. СПб., 1869, с. 539.

⁸⁸ ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული.—თხზულებანი, ტ. IV, 2. თბ., 1965, გვ. 426.

⁸⁹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. 8, თბ., 1964, სვ. 1502.

⁹⁰ Х. К. Баранов. Арабско-русский словарь. М., 1958, с. 268.

⁹¹ ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, გვ. 411.

⁹² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 59. რუსული თარგანთ: «...оплебанные и осмеянные поч-теннными, благородными дамами и евнухами» (История и восхваление венценосцев, с. 54).

⁹³ ასეთი მნიშვნელობა გვხვდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც (ტ. 8, სვ. 1310).

⁹⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, გვ. 267; Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв., с. 529; Правила издания исторических документов в СССР, с. 80—87; Л. В. Чепенин. О некоторых принципах и приемах публикации памятников средневековья, с. 175; ქართული საისტორიო მუზერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის შესე-ბი. შეადგინა ჩ. კიკნაძემ. თბ., 1977, გვ. 6.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საძიებლებს ისტორიული წყაროს პუბლიკისათვის, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თ. ეორდანიას „ქრონიკები“ პირველი და მეორე ტომების საძიებლები ამ კრებულის მოგვიანებით, გამოიკვლეულ მესამე ტომში გამოქვეყნდა⁹⁵, ხოლო ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს სიძველეთა“ სამი ტომის საძიებლები 1970 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად⁹⁶. ასევე ცალკე წიგნად დაიბეჭდა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მასალების სამი ტომის ლექსიკონი და საძიებლები⁹⁷.

მით უფრო სამწუხაროა, რომ დღეს კიდევ გვხვდება საძიებლების გარეშე დაბეჭდილი ისტორიული ტექსტები, არის ერთი, შერეული საძიებლის დართვის შემთხვევებიც. თვით საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემებშიც კი ვერ ხერხდება ერთიანი პრინციპის დაცვა, ხოლო ტერმინთა საძიებლები ჯერჯერობით მხოლოდ ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ თარგმანებს ერთვის. ამ საკითხზე საუბარი ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ. დიდი მეცნიერი ისტორიული წყაროების გამოცემებისათვის საძიებლების შედგენის საკითხს რომ ეხებოდა, ჯერ კიდევ 1936 წელს საქართველოს კატეგორიულად წერდა: „სასურველია, რომ უამისოდ არც ერთი ტექსტის გამოცემის ნება დართული არ იქნეს“-⁹⁸.

სასურველია აგრეთვე განსაჯუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების ტექსტებისათვის სიტყვათა საძიებლის ანუ სიმფონიის შედგენა, რასაც სრული საგნობრივ-ტერმინოლოგიური საძიებლის მაგივრობაც შეუძლია გასწიოს. მაგრამ ეს მეტად შრომატევადი და რთული საქმეა და აქამდე დიდ ფუფუნებად ითვლებოდა ჩევნში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ინიციატივით მექანიზმი მზადდება „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც მისი დიდი მოცულობის გამო ცალკე თხზულებების მიხედვით გამოიცემა. კერძოდ, უკვე სტამბაშია სიმფონიის პირველი ტომი (ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულებები), მზადდება მეორე და მესამე ტომები.

ისტორიული წყარო საისტორიო მეცნიერების საფუძველია, ხოლო წყაროდან ამოკრებილი ფაქტები ისტორიის ძირითადი საშენი მასალაა. ამდენად, წერილობითი ისტორიული წყაროების მაღალ ღონეზე გამოცემა საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. წყაროების ტექსტების გამოსაცემად მომზადების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნე ისტორიკოსის პროფესიული ოსტატობის ღონეს და გამოცემის სწორი მეთოდიკის მოძალვებას. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ წერილობითი წყაროს მისაგნებად ხშირად შემთხვევა, ინტუიცია ან ენერგიაც კმარა, მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისად მის გამოსაცემად დიდი პროფესიული ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო.

⁹⁵ თ. ეორდანია. ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967. საძიებლები შეადგინეს ლ. დავლიანიძემ და შ. ხანთაძემ.

⁹⁶ ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. საძიებლები. შეადგინა ლ. დავლიანიძემ. თბ., 1970.

⁹⁷ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. დანართი. I, II და III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები. შეადგინა შ. ბერძენიშვილმა. თბ., 1957.

⁹⁸ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის გამო, გვ. 267.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ МЕТОДИКИ ИЗДАНИЯ ПИСЬМЕННЫХ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ

Резюме

Издание письменных исторических источников является одной из основных задач исторической науки. В связи с этим первостепенное значение придается разработке методов и приемов научного издания исторических источников.

Изучение многолетней практики издания грузинских исторических источников показывает, что хотя в этом деле накоплен богатый опыт, тем не менее общие принципы публикации письменных памятников средневековья все еще не разработаны в грузинской историографии. Каждый издатель действует по своим личным соображениям, знаниям и опыту, в результате чего нередко нарушаются элементарные правила издания исторических текстов.

Вопросы научного издания текстов письменных источников в работе рассматриваются на материале грузинской средневековой исторической литературы.

Основным и наиболее распространенным типом публикации грузинских исторических источников следует признать критическое издание, хотя все еще сохраняют значение как дипломатическое издание текста, так и факсимальное (чаще всего в сочетании с критическим изданием). Одновременно, учитывая тяжелое состояние текстов большинства памятников древнегрузинской исторической литературы, дошедших до наших дней лишь в поздних списках, в сильно искаженном виде, и не поддающихся исправлению на основе показаний списков, признано целесообразным, для того чтобы сделать текст осмысленным и понятным, включение в критическое издание реконструкции.

Комментарий к изданию текста призван помочь читателю полнее и глубже понять содержание источника. В основном он должен иметь справочный характер, но не повторять сведений, которые можно найти в легкодоступных справочниках. Иногда от издателей требуют, чтобы к тексту был дан т. н. исторический комментарий. Эта задача выходит за рамки обязанностей издателя. Историков источник интересует с самых разных сторон, они предъявляют различные требования к источнику, который содержит разностороннюю информацию по истории человеческого общества. Само собой разумеется, что издатель текста не может предугадать все запросы историков и дать на них ответ. Он должен издать текст в доступном для историка виде и показать возможности его использования для исследования конкретных исторических проблем.

მზა მარსაგიშვილი

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებში დამოწმებულია ისტორიკოსთა, ისტორიულ თხზულებათა და ისტორიის წერის აღმნიშვნელი ტერმინები, რომელთა დადგენას და გამოკვლევას დიდი ღვაწლი დასდო ივ. ჯავახიშვილმა. შემდგომში ცალკეული ტერმინები განიხილეს კ. კეკელიძემ, ს. ყაუხეჩიშვილმა, ა. შანიძემ, პ. ინგოროვამ, ილ. აბულაძემ, თ. ყაუხეჩიშვილმა, კ. გრიგოლიამ და სხვებმა.

წინამდებარე წერილში წარმოდგენილია დამატებითი მასალა რამდენიმე ტერმინის („აზმა“, „ქება“, „შესხმა“, „მაქებელი“, „შემსხმელი“, „სიტყვა-მოქმედი“, „დიდისიტყუაობა“) მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

„აზმა“, როგორც კ. კეკელიძემ დაადგინა, ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვაა და ქებას, შესხმას აღნიშნავს¹. მანამდე კი „აზმანის“, როგორც არა-ბული ენიდან შემოსული ტერმინის, ერთადერთ მნიშვნელობად დრო, ხანა იყო მიწნეული².

„აზმა“ გვხვდება თამარ მეფის ისტორიკოსთან იმის აღსანიშნავად, რომ მისი თხზულება არის აზმა ე. ი. გალობა, ქება, შესხმა მეფეთა³, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ე. ი. ისტორია და ქება გვირგვინოსანთა⁴. მართლაც, ეს თხზულება თამარისა და მისი მეფობის ნამდვილი ხოტბაა.

„აზმა“ ქების აღსანიშნავად „ქართლის ცხოვრებაში“ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაზე უფრო ადრეც გვხვდება. კერძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოვითხრობს: „ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამდლვრები მრავალი ფრიად, რომელი აშმნობდეს თავთა თვალისა მიწევნად თავს ყოვლისა სწავლულობისა და მეცნიერებისასა“⁵. აქ „აზმა“ აშკარად კვეხნას, ქებას ნიშნავს.

მ. ჯანაშვილის აზრით, „შესხმა“ შეიძლება არა ცალკეული პირის, არა-მედ მთელი ერის ისტორიასაც გაღმოგვცემდეს⁶. ვ. დონდუას დაკვირვები-

¹ კ. კეკელიძე. რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, თბ., უნ-ტას მოამბე, 1925 წ., V, გვ. 309—310.

² ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, შეაროები და მეთოდები წინათ და ახლა, I, კეკელი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 221.

³ კ. კეკელიძე, დასას. ნაშრომი, გვ. 309.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტესტი დადგენილი ცველა ძირთადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტ. II, 1959, გვ. 08.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 356.

⁶ მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, „მიაჩვე“, 1903 წ., № 3, გვ. 57.

თაც, შეუა საუკუნეთა საისტორიოგრაფიო ტრადიციები იძლეოდა წევას აღმანის ცხოვრება-მოღვაწეობა აღნიშნულიყო ტერმინით „ქება“, ქემბაზი⁷.

რამდენადაც XII—XIII სს-ში ფეოდალური საქართველო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს, ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ დროის ქართულ საისტორიო მწერლობაში „ქება“ და „შესხმა“ ისტორიას შეესაბამებოდეს. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდის ისტორიული თხზულებანი მეფეთა ცხოვრების აღწერას წარმოადგენდა და გამონაკლისი ამ მხრივ ცონბილი არ არის⁸. თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში ვკითხულობთ: „განიგემნე ყოველნი მატიანენი, ძუელთა გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი, რამეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებლობა სიტყვასებრ პირველთა-სა“⁹. ამ ნაკვეთის მიხედვით მეფეთა ცხოვრება და ისტორია გაგებულია როგორც „ქება“ — ყოველი მატიანე, ძველი ოუ ახალი, მეფის მაქებარია¹⁰. რაც მთავარია, ეს იყო არა ხელოვნურად მოგონილი, არამედ დასაბუთებული ქება მეფეთა მოღვაწეობისა, „იქებოდა და საქებელ იყო“¹¹, — მტკიცედ აცხადებს თამარის ისტორიკოსი.

ამგვარად, XII—XIII სს-ში ქართულ საისტორიო მწერლობაში მკვიდრდება ტერმინი „ქება“ ისტორიის მნიშვნელობით და შესაბამისად, „მაქებელი“, „შემსხმელი“ — ისტორიკოსის გაგებით¹². კ. გრიგოლიას ამ ტერმინის დასაზუსტებლად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან შემდეგი ნაკვეთი მოჰყავს: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს“¹³, ე. ი. იმდენად დიდი არ იყო აქილევისი, რამდენადაც დიდი შეხვდა მაქებელი ჰომეროსი, სადაც, ჩვენი აზრით, „მაქებელის“ ქვეშ იგულისხმება უფრო შემსხმელი, მაქებელი მწერალი, ვიდრე ისტორიკოსი. ეს სიტყვა, როგორც საისტორიო-სამწერლობო ტერმინი, უფრო ნათლად „ისტორიათა და აზმათა“ ავტორთანაც გვაქვს. კერძოდ: შამქორის ბრძოლის წინ ქართველთა ლაშქრისადმი მიმართულ სიტყვაში ვკითხულობთ: „თუ იგი ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაციონ ქება მაქებელთა და შემსხმელთა“¹⁴, რომელიც კ. კეკელიძესთან შემდეგნაირად არის ნათარგმნი: „Если тогда были искатели славы, готовые положить голову и любители похвал со стороны истории, поспешим теперь и мы“¹⁵, მაშასადამე, „დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა“ გაგებულია, როგორც თავის დამდებნი და ქების მოყვარულნი ისტორიის მხრივ. ჩვენი აზრით კი, ეს მონაკვეთი შემდეგნაირად უნდა გაიგოთ: სახელის მაძიებელნი და დამდებნი — საფუძვლის ჩამყრელნი, დამტოვებელნი თავისი საქებარი ისტორიისა, რომელსაც „შესხმა“ ეწოდება. აქედან გამომდინარე, „მაქებელთა“ და „შემსხმელთა“ ქვეშ ისტორიულ მოვლენათა აღმწერი, მემატიანე — ისტორიკოსი იგულისხმება.

⁷ კ. ღრიგოლი, საისტორიო ძეგლანი, II, 1973, გვ. 106—107.

⁸ კ. გრიგოლი, თამარის კიდევ ერთი მემატიანე-ისტორიკოსი, თბ., 1977, გვ. 44.

⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 249.

¹⁰ კ. გრიგოლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 148.

¹² კ. გრიგოლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

¹³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 69—70.

¹⁵ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან, XII, თბ. 1973, გვ. 211.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორთან ქვებით წერის აღმნიშვნელი ტერმინიც შეგვხვდა: „იდილისტუა ალექსანდრესაფრთხ პლუტარხოს ჟემომაღლელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა“¹⁶. ეს მონაკვეთი ჩვენთვის ორმხრივ საინტერესოა: ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ გვაქვს შესაძლებლობა დავრწმუნდეთ, რომ ხელმწიფეთა საქებარი მწერლობა არის არა უბრალოდ ქება, პანეგირიკი, არამედ ისტორია („ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა“) და მეორეც, „იდილისტუა“ საისტორიო სამწერლობო შემოჭმელების გარკვეული უანრის — ქებით წერის აღმნიშვნელი ტერმინია. კ. კეკელიძისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „Сколько умно жил слово свое об Александре Плутархе, преувеличивавший в истории восхваление царей“¹⁷. შესაძლოა, „იდილისტუა“ მრავალსიტყვაობასაც ნიშნავდეს, მაგრამ ეს ტერმინი აქ, ჩვენი აზრით, არა უბრალოდ მრავალსიტყვაობას, არამედ ქებით მრავალსიტყვაობას გადმოგვცემს. მით უმეტეს, რომ იმავე ავტორთან ბევრი ლაპარაკის აღსანიშნავად დამოწმებული გვაქვს სხვა ტერმინები: „და რაღა გრძელ სიტყუა საჯმარას“¹⁸, „იწყეს სომეხთა სარწმუნოებისა მათისა თქმად სიტყუა — მჭევრად და გრძელსიტყუად“¹⁹. მაშასადამე, იწყეს სომხებმა ლაპარაკი ხატოვნად და დაწვრილებით, ვრცლად.

გ. მამულიას დაკვირვებით, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში „დიდთა სიტყვსმოქმედთა პირველთა“ ქვეშ იგულისხმება ანტიკური ხანის „შემსხმელი“ მწერლები²⁰. ეს მართლაც ასეა, მაგრამ უმთავალმწერლის თხზულებაში, ჩვენი აზრით, ტერმინი „სიტყვს-მოქმედი“ ისტორიკოსს უნდა გულისხმოდეს: „...ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა, ცოლისა მისისა (ლაპარაკია დავით ულუზე) ესუქნის მიერ მიცემითა წამლისათა. ვითარ სიტყვს-მოქმედი იტყვს მაკელონელისა მის დიდისა მიღოსით თავმტკიცენულობად მყოფისა და იჭისა წამლისასა მიღოსის და ანტიპატროს მიერ მიცემისა, ეგრეთვე დაგითისა თქმულ არს ესუქნის მიერ“²¹. ე. ი. როგორც მაკედონელის ისტორიკოსი გადმიგვცემს ამბავს ანტიპატროს მიერ მიღოსისათვის საწამლავის მიცემის შესახებ, ასევე დავითი მოწამლულ იქნა მისი ცოლის მიერო. თუმცა მოყვანილ მაგალითში საქებარი არაფერია, „სიტყვს-მოქმედი“ მაინც მაქებელ ისტორიკოსად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგანაც:

1. „დიდნი სიტყვსმოქმედნი პირველნი“, მართალია, ანტიკური ხანის მწერლებს გულისხმობს, მაგრამ უთუოდ მაქებარ მწერლებს, და 2. აქ მოხსენიებული სიტყვსმოქმედი სახელოვანი, საქებარი მეფის — ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების აღმწერელი, ე. ი. ისტორიკოსია.

„სიტყვსმოქმედი“ ბერძნული λογοποიδა-იდან არის ნათარგმნი, ხოლო λογοποიδა- თვით ბერძნულში აქვს როგორც ფართო, ზოგადი მნიშვნელობა

¹⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 2.

¹⁷ კ. კეკელიძე ეტაუდები..., ტ. XII, გვ. 171.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 107.

¹⁹ იქვე, გვ. 83.

²⁰ გ. მამული ია. „დიდთა სიტყვს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობისათვის, წიგნ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 245.

²¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 267—268.

(სიტყვის მთხველი საერთოდ, სულერთია ბელეტრისტს ეხება თუ მეცნიერს), ისე კერძობითი (ისტორიკოსი, პოეტი, მეიგავე)²².

საინტერესოა, რომ ე. წ. „შესხმანი“ და „ქებანი“ ძველ ქართულ უცხოულობაში უფრო აღრეც არსებობდა: ჯერ კიდევ გიორგი ხუცესმინაზონი, იმოწმებს რა თავის თხზულებაში დავით წინასწარმეტყველის საგალობელთა ერთ ადგილს ღვთავების ქების შესახებ, განმარტავს თუ „რაა არს ქებაა ღმრთისად? დიდებაა და შესხმად წმიდათა მისთამ მითხრობაა ცხორებისა და მოლუაწეობისა მათისად წერით და უწერელად, რამთა ცნას ესე თესლმან სხუამან. და შვილი, რომელი იშვებოდიან, აღდგენ და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თვესთა²³. მაშასადმე, „ქება“ XI ს-ში უკვე ესმოდათ არა როგორც ზოგადი ხასიათის პანეგირიკი, არამედ როგორც მითხრობა ღირსეულ პირთა ცხოვრება-მოლვაწეობის შესახებ. ე. ი. „ქება-ქებანი“, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით იგივეა, რასაც ჩვეულებრივ „ისტორია“ ეწოდება²⁴.

საყურადღებოა, რომ დემეტრე I-ის მეფობის აღწერისას „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს უსარგებლია იოანე ჭიმჭიმელის ნაწარმოებით — „შესხმა-მითხრობით“ (... რომლისა დიდებითა, სიმჯნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფონისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა²⁵). რამდენადაც „მითხრობა“ იგივე ისტორიაა („აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძნენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავსცე ისტორიასა და ვასილოლრაფესა, რომელ არს „მითხრობა მეფეთა“²⁶), „შესხმა-მითხრობა“ საქებარი ისტორიის აღმნიშვნელია.

ქ. ქველიძისა და პ. ინგოროვას დაკვირვებით, „ქებანი“ და „შესხმანი“ ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც საორატორო ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, კიდევ უფრო აღრეც არსებობდა. კერძოდ, გვაქვს: 1. VIII ს-ში იოანე საბანიძის თხზულება „აბო ტფილელის მარტვილობა“. აქ ცალკე მე-4 თავადაა გამოყოფილი „ქებაა სანატრელისა წმიდისა ჰაბომისი“, რომელიც პოეტურ სიტყვა-პანეგირიკს წარმოადგენს; 2. IX ს-ში არსენი კათალიკოსის შესხმა და მოსახსენებელი აბიბოსათვის ნეკრესელისა, სადაც სიტყვა-პანეგირიკის ჩარჩოში გადმოცემულია VI ს-ში მცხოვრებ აბიბოს ნეკრესელის ღვაწლი. ეს ძეგლი პანეგირიკისა და ჰაგიოგრაფიის ერთგვარ გაერთიანებას წარმოადგენს²⁷.

ქება-ოდის უანრის რამდენადმე ენათესაგება გოდებისა და გლოვის უანრი, რომლის შინაარსია სამგლოვირო ობიექტის პოეტურად დახსაითება და ქება. მაგრამ მგოდებელი გადმოგვცემს არა ამბის რეალურ დეტალებს, როგორც მაქებელი, არამედ უფრო იმას, თუ რა უბეღურება დაატყუდა თავს ზა რა

²² თ. ყაუ ხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. უამთააღმწერელი. ივ. ჯავახშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილე კრებული, თბ., 1976, გვ. 294—295.

²³ ძეველი ქართული აგიოგრაფული ლოტერატურის ძეგლები, II, ღლ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967, გვ. 102.

²⁴ ქ. გრიგორიან. დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38.

²⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

²⁶ ქვევი, გვ. 2.

²⁷ ქ. კარავაგიშვილი. აღრიცხველი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილი, 1935, გვ. 51; მისივე. ძეველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 471; მისივე. ეთოლები..., IV, 1957, გვ. 140, 141, 144; პ. ინგოროვა კართული მწერლობის ისტორიის მოქალა მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 9, გვ. 139, 141.

მწუხარებასა და სევდას განიცდის იგი²⁸. ასეთი უანრის თხზულება ისტორიისაგან შორსა დგას. ისტორიულ თხზულებად ჩაითვლება არა ყველაზარი ქება, არამედ მხოლოდ ის, სადაც ავტორი ამა თუ იმ პირის ქებასთნ უტკრის ისტორიულ ცნობებსაც რეალურად ასახავს.

შეთა რუსთაველის თამარ მეფის საქებელი სავარაუდო თხზულების ირგვლივ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, რომელთა შესახებ მსჯელობა სცილდება ჩვენი კვლევის მიზანს. მოვიყვანთ მხოლოდ პ. ინგოროვას აზრს, რომელიც საინტერესოა ჩვენთვის მოხსენიებული ტერმინების გამო. პ. ინგოროვას დაკვირვებით, „ქებანი“ მხოლოდ პოემა-რომანის აღმნიშვნელი ტერმინია, რომლის სინონიმადაც მას „ამბავნი“ მიაჩნია²⁹. ჩვენა აზრით კი, სავსებით შესაძლებელია მგოსანთა მიერ წარმოოქმულ „ქებათა“ გვერდით არსებობდეს ისტორიული თხზულება „ქება“, „ქებანის“ სახელწოდებით. ამას გვაფიქრებინებს ისეთი თხზულების არსებობა, როგორიცაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც სხვა ამ ტიპის თხზულებებთან შედარებით აღტაცებული ხოტბის საუკეთესო მაგალითია.

ივ. ჯვარიშვილის ცნობით, ზოგჯერ „ქებას“ „კსენიება“ და „მოქსენება“ ენაცვლება³⁰, მაგრამ ჩვენა დაკვირვებით, ეს შენაცვლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „ქება“ არის არა ისტორიული თხზულების აღმნიშვნელი ტერმინი, არამედ ჩვეულებრივი სიტყვა.

ამგვარად, შეგვიძლია დაბეჭიოთებით ვთქვათ, რომ XII—XIII სს-ში საისტორიო თხზულებათა აღსანიშნავად მკვიდრდება ტერმინები „ქება“, „შესხმა“, ისტორიკოსთა აღსანიშნავად — „მაქებელნი“, „შემსხმელნი“, „სიტყვა-მოქმედნი“, ისტორიის წერის აღსანიშნავად კი „დიღსიტყუაობა“.

М. В. МАРСАГИШВИЛИ

К ОБЪЯСНЕНИЮ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В древнегрузинской исторической литературе отмечено немало терминов, обозначающих историческое произведение, историков и сам процесс создания исторического произведения. В статье рассмотрено несколько таких терминов.

Аргументируется, что в XII—XIII вв. для обозначения исторического произведения применялись термины „ქება“ («кеба»—апология, хвала, панегирик), „შესხმა“ («шесхма»—превозношение), для обозначения историка— „მაქებელი“ («макабели»— апологет, восхвалитель), „შემსხმელი“ («шемсхмели» — превозноситель), „სიტყვა-მოქმედი“ («ситквисмокмеди» — словосозидалтель), а для обозначения процесса написания истории — „დიღსიტყუაობა“ («дидситкуаоба»—восхвалительное словословие, велеречие).

Означенные термины в основном встречаются в «Истории и восхвалении венценосцев» т. н. первого историка царицы Тамар, а также в других сочинениях свода «Картлис ცховреба» («История Грузии»).

²⁸ ქ. ერებ იძ. ე. „გოდების უანრი“ და „გლოვის ზერი“ ქვლ ქრისტულ ლიტერატურაში, ეტიულები..., I, 1956, გვ. 198—200.

²⁹ პ. ინგოროვა. რუსთველიანი, თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 285—286.

³⁰ ივ. ჯვარიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

გიორგი ანჩაბაძე

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო

აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ერთ-ერთი ოვალსაჩინო წარმომადგენლის იოსებ თბილელის (გარდ. 1688 წ.) პოემაში „დიდმოურავიანი“, როგორც ვიცით აღწერილია სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ცხოვრება.

ი. თბილელმა „დიდმოურავიანი“, როგორც პოემის პროლოგიდან ირკვევა, მეფე არჩილის შთაგონებით დაწერა და მისი ეს ნაწარმოები არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“-ს შემდეგ ყველაზე აღრიცდელი ქართული წყაროა გ. სააკაძის შესახებ! ბერი ეგნატაშვილი, „პარიზის ქრონიკის“ ავტორი, ბესარიონ კათალიკოსი და ვახუშტი მნიშვნელოვანწილად თბილელის ცნობებს ემყარებიან, როდესაც სააკაძის საქმიანობას აღწერენ.

გაცილებით უფრო რთულია „დიდმოურავიანის“ წყაროების დადგენა და ეს საკითხი დღემდე, შეიძლება ითქვას, ვარაუდების სფეროს არ სცილდება. ფიქრობენ, რომ თბილელს ხელი ჰქონდა რაღაც დოკუმენტური წყაროები, მათ შორის სააკაძეთა საგვარეულო საბუთები. რომ იგი იყენებდა ოჯახურ გადმოცემებს და, აგრეთვე, თვისი უფროსი თანამედროვეების ცნობებს, რომლებსაც, ცხადია, კარგად ეხსომებოდათ XVII ს-ის პირველი მესამედის ამბები.

ს. ცაიშვილის აზრით „დიდმოურავიანის“ ერთ-ერთი წყაროა არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, კერძოდ, ის აღვილები, საღაც მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ომებია აღწერილი². ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისი მტკიცება არ შეიძლება. იოსები, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა არჩილის პოემას, მაგრამ აღნიშნულ ომებს იგი შედარებით უფრო მოკლედ და, რაც მთავარია, სხვანაირად აღწერს. რაც შეეხება ერთი-ორი უმნიშვნელო დეტალს დამტხვევას, ეს აიხსნება, ჩვენი აზრით, იმითი, რომ არჩილმა და იოსებმა, ამ შემთხვევაში, ერთი და იგივე ზეპირგადმოცემებით ისარგებლეს.

როგორც ცნობილია, „დიდმოურავიანი“ იოსებ თბილელმა გამოჩენილ სარდალს გიორგი სააკაძეს მიუძღვნა და ამ პოემაში სიინტერესოდ ასახა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სააკაძის ხელმძღვანელობით უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ასეთი ნაწარმოები მრავლად

¹ მკვლევართა უმრავლესობას (კ. კეკელიძე, სარგ. ცაიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი) „დიდმოურავიანი“ 1680-იან წლებში მაჩნიათ დაწერილი. მხოლოდ გ. ლეონიძე ვარაუდობდა, რომ იგი შექმნილია 1664—1675 წლებში, ე. ი. არჩილის პოემაზე უფრო აღრენ.

² ს. ცაიშვილი. შოთა რუსთაველი — დავით გურაშიშვილი, თბ., 1974, გვ. 148, 155.

შეიცავს საყურადღებო სამხედრო-ისტორიულ ფაქტებს და ამიტომაც იგი XVII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს სამხედრო ისტორიული წიგნის ლოგოან წყაროს წარმოადგენს.

მაგალითად, „დიდმოურავიანში“ გარკვეული ცნობების ნახვა შეიძლება ქართველი მეომრების შეიარაღების შესახებ. პოემიდან ვგებულობთ, რომ იმ დროს ცეცხლსასრული იარაღი ჩვენში უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. კერძოდ, მეთოვეები საქმიან რაოდენობით მოჩანან ქართლის ლაშქარში 1609 წელს³. მარაბდასთან დამარცხების შემდევ გიორგი სააკადესთან დარჩენილ სამოციოდე კაცში თოფიანებიც ურევია⁴. მეთოვეებს აყენებს სააკადე ბირთვისის ციხეში⁵ და სხვ. ამავე დროს თოფის გვერდით ჭერ კიდევ ფართოდ იხმარებოდა მშვილდ-ისარი. საგულისისმა, რომ მეთოვეები და მშვილდოსნები პოემაში თითქმის ყოველთვის ერთად მოიხსენებიან. მაგ., „თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოვე, ქამანდარები“⁶ ან „ზოგი მშვილდისარ-თოფითა, ოცსა გვაძეს ცხენზე შუბანი“⁷.

როგორც ჩანს, თოფი, იმ დროს, ძირითადად რიგითი, თუმცა პროფესიონალი მეომრის იარაღი იყო. ლაშქრის მეთაური ნაწილი მას თითქმის არ იყენებდა. ეს კარგად მოჩანს თუნდაც კასტელის ალბომიდან, საღაც დიდგვაროვანი ქართველები უმეტესად მშვილდ-კაპარჭით მორთულები არიან წარმოდგენილნი. არჩილიც წარჩინებულ ქართველ ჭაბუკებს ურჩევს შეისწავლონ

„ასრას თლა, სწორად გამართვა, გაქლიცვა, სეჭქს გაწყობა,
შშვილდის ჩაგდება, ყულაჭი, ჭარქაშის კარგა ჩაწყობა...“⁸

ანალოგიური სურათია წარმოდგენილი „დიდმოურავიანში“. პოემის მიხედვით გიორგი სააკადეც მშვილდ-ისრითაა შეიარაღებული. კერძოდ, ქანზე მომხდარი ბრძოლის აღწერისას იოსებ თბილელი მას ათქმევინებს:

„მე ხუთი ქეში⁹ ისარი დავლევ მათხე სროლოთა“¹⁰.

ორი ისრით გაუმასპინძლდა გიორგი ქველი წერეთელსაც და სხვ.¹¹

მაგრამ მძიმედ იპოურვილი ცხენისანი ჯარისთვის, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართული ლაშქრის მთავარ ძალას წარმოადგენდა, ძირითადი იარაღი მაინც შუბი იყო. გაშლილ ველზე ბრძოლაში, რომელიც ქართველ რაინდებს ყველაზე მეტად უყვარდათ:

„ვაჟაცევები ისწრაფოდეს, თოთქმის კბრითა იმსხვრევდან...
მინდვრადა სჭობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან“¹².

ომის ბედს შუბოსანი კავალერიის დარტყმა წყვეტიდა. ისე როგორც ამას ალ-

³ ი. ტფილი. დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 13, სტრ. ფი 65.

⁴ იქვე, გვ. 32, სტრ. 211.

⁵ იქვე, გვ. 39, სტრ. 265.

⁶ იქვე, გვ. 13, სტრ. 65.

⁷ იქვე, გვ. 32, სტრ. 211.

⁸ არჩილი. საქართველოს ზენობანი, არჩილიანი, ტ. I, თბ., 1936, გვ. 6, სტრ. 26.

⁹ ქეში სპარსულად კაბარეტს ნიშნავს.

¹⁰ დიდმოურავიანი, გვ. 33, სტრ. 216.

¹¹ იქვე, გვ. 39, სტრ. 269.

¹² არჩილი. გაბასება თემურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 73, სტრ. 633.

წერს ფარსადან გორგიჯანიძე: ჯერ „ნელად იარეს, მერე ფარები დაიფარეს და შუბები წაიგრძელეს და ცხენჭენებით მიუხდნენ“¹³.

იგვე სურათია „დიდმოურავიანში“. აქაც ხელჩართული ბრტყელი ცხენჭენები ნოსან მეშუბართა იერიშით იწყება. მაგ., სხერტის ჭალასთან ბრძოლაზე იოსები მოურავს ათქმევინებს:

„სინი ორნივ დახოცეს, ჩვენ დავრჩით იყო ველია:
შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოვვონდა საქმე ძველია“¹⁴.

როდესაც მოწინააღმდეგები ერთმანეთში აიროლნენ, გრძელი შუბების მოხმარება ძნელი ხდებოდა, თანაც შუბი, როგორც წესი, მალევე იმსხვრეოდა და საქმე ლახტსა და ხმალზე მიდიოდა, როგორც ამას გიორგი სააკაძე ამბობს პოემაში:

„ვიცით შეგვადრო მეცეო, სამი გაესტეხე შუბია,
მასუკან ლახტით ვიჩრძოდი, სისხლით ავიგსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, ხმალს ხელი მოვჰყავ, ვაყენე გუბია...“¹⁵.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება როგორც „დიდმოურავიანიდან“, ასევე სხვა ლიტერატურული, ნარატიული თუ დოკუმენტური ძეგლებიდან.

იოსებ თბილელის პოემიდან ისე მოჩანს თითქოს XVII ს-ის დასაწყისში გლეხობას კიდევ არ გამოჩნდა საკუთარი საბრძოლო იარალი. მაგ., მანგლისელები, ავტორის თქმით, ნამგლებით და ცელებით იყვნენ შეიარაღებულნი¹⁶. სააკაძის მიერ სახელდახელოდ შეგროვებულ რაზმშიც, 1609 წ. ჯობიანი გზირებიც ერივნენ („არვინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯობით გზირები“)¹⁷.

გლეხთაგან ვინც ომში ვაჟკაცობას გამოიჩენდა, საშუალება ეძლეოდა სოციალურ კიბეზე ზევით აწევულიყო. გამედარიყო პროფესიონალი მეომარი. გიორგი სააკაძე, მაგალითად თავის რაზმელთა რიცხვს დაბალი, არასამხედრო წრეებიდან გამოსული გულადი ვაჟკაცებითაც ავსებდა. ამას იგი პირდაპირ ამბობს პოემაში:

„ვისაც რომ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდეს ხალისი,
ცხენ - იარალით შევამკვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოგაჩინი, მოვჰქმი, მერე ხეალ ისი,
კაცობის სწავლას ევლოდეს, ვით ოქრო დაფახალისი“¹⁸.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული რომ „დიდმოურავიანისათვის“ სპეციფიკურია 1609 წ. ტაშისკარის ომის დაწვრილებითი აღწერა და რომ სხვა ქართული ნარატიული წყაროები დიდად ეყრდნობიან ამ

¹³ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამ., საისტორო მოამბე, II, თბ., 1925, გვ. 234.

¹⁴ დიდმოურავიანი, გვ. 8, სტრ. 42.

¹⁵ დიდმოურავიანი, გვ. 14, სტრ. 71.

¹⁶ იქვე, გვ. 7, სტრ. 31.

¹⁷ იქვე, გვ. 8, სტრ. 39; ჩვენი აზრით, ეს ადგილი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართულ ლაშქარში აეცილებლად ჯოხიანი გზირებიც იყვნენ. იოსებ თბილელს აქ მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რომ სახელდახელოდ მოგროვებულ რაზმში ლამის უსაკურვლო მებრძოლებიც ერივნენ. თუმცა „პარიზის ქრისტიანის“ ავტორს ეს ადგილი სიტყვასიტყვით გაუგია და წერს: „ჯოხიანი იყო და მეომარიც“ (ცხოვრება საქართველოშა, პარიზის ქრისტიანი, გ. ალასანის გამ. თბ., 1980, გვ. 67).

¹⁸ დიდმოურავიანი, გვ. 49. სტრ. 347.

ამბავში მას, ამიტომ აღარ შევჩერდებით თბილელის პოემის, როგორც ტაშინ-კარის ბრძოლის ისტორიის პირველწყაროს მნიშვნელობაზე და პირდაპირ გადავალო ფაქტების ჩვენებაზე.

1609 წ. შემოსევის მიზეზად ქართული წყაროები ასახელებუნი ირით ისმალეთის ომის ფრონტიდან გამობრუნებული ყირიმელი თათრების გამოვლას საქართველოზე ძარცვა-რბევის მიზნით¹⁹. ომის საწინააღმდეგოდ ისქანდერ მუნში წერს, რომ შემოსევის მიზანი იყო ქართლელთა დასჯა, რომელთაც ცოტა აღრე ყიზილბაშებთან ერთად სამცხეზე ილაშქრეს ისმალების წინა-აღმდეგ და მათი უკუგდებისათვის და ქართლზე თავდასასხმელად ვეზირმა მურად ფაშამ, რომელიც ამ დროს ანატოლიაში ამბოხებულ ჭელალიებს ეომებოდა, ყირიმის ხანის სარდალი და ამდღნიმე ისმალო ფაშა გამოაგზავნა²⁰.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ნათევამია, რომ ქართლელები მათ შემოსევას მოელოდნენ და ამიტომ ქვეყანაში შემოსასვლელი გზები სა-თანადოდ გაამაგრესო²¹. წყაროებიდან ეს არ მოჩანს. პირიქით, ქართული წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ მტრის დაცემა ლუარსაბ მეფისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და, თევდორეს გმირობა თუ არა, იგი შეიძლება ტყველაც ჩაგარდნოდა მომხდურებს. რაც შეეხება თრიალეთის გადმოსასვლელი გზების ჩაკეტვას, ეს უკვე მტრის გამოჩენის შემდეგ დაევალათ იარალის და ზაქარიას და მათ ეს ამოცანა, როგორც ცნობილია, ვერ შეასრულეს.

1609 წ. კამპანიის შესწავლისას, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რას წარმოადგენდა მტრის ლაშქარი, ვისგან შეღებოდა და რა სიღიდისა იყო?

ქართული წყაროები შემოსეულ მტრებს „თათარხანს“, „თათრებს“, „ყირიმებს“ და „მგლისტყაოსნებს“ უწოდებენ და მათ რიცხვს 60—80 ათასი კაცით განსაზღვრავენ²². მხოლოდ ერთი 1636 წ. უამგულანის ცნობით, ლაშქრობაში თათრების გარდა „სამცხისა და ნიგლის ფაშები და შავშეთის ლაშქარი“ მონაწილეობდა²³.

ისქანდერ მუნშიც აღნიშნავს. რომ ქართლზე 2000 თათარი და ოსმალო ფაშები წამოვიდნენ. მკვლევრები, რომლებიც ამ საკითხს შეხებიან, მტრის არმიის რიცხვს ან დუმილით უვლიან გარს, აღნიშნავენ მხოლოდ მის სიღიდეს, ან წყაროთა ცნობებს იმეორებენ (60000 მეომარი, აქედან 2000 თათარი). მხოლოდ გ. ჯამბურია „ნარკვევებში“ უკვის ქვეშ აყენებს ქართული წყაროების რიცხობრივ მონაცემებს და ვარაუდობს, რომ მთელი ლაშქარი 10.000-მდე შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელთაგან 2.000 ყირიმელი იყო²⁴.

რა თქმა უნდა, 60—80.000-იანი ლაშქრის მოსვლა 1609 წ. ამბების დროს მართლაც ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ მისი რაოდენობის 10 000-ით გან-

¹⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ბერი ეგნატაშვილი, თბ., 1959, გვ. 385, ვა ხუ შ ტ. ი. ალექსა საქეფოს საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 421; ბესარიონ კათალიკოსი. ლუარ-საბ მეფის მარტვილობა (ს. ყუბანევშვილი, ძევლი ქართული ლიტერატურის ქრესტონობა, I, თბ., 1946, გვ. 409); ისმალების ხონთქრები ხდირად იწვევდნენ ყირიმის ხანის ლაშქარს ყიზილბაშებთან საომრად. თათრებს ირან—ისმალეთის ფრთხოები მოხველრა არი გზით შეეძლოთ. ან ზოგთ, ყირიმიდან მცირე აზიაზდე, ან ხმელეთით, ჩრდილო კავკასიის გაელით. ამ შემთხვევაში (1609 წ.) ისინი, როგორც ჩანს, ზღვით იყვნენ გადმოსულები.

²⁰ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გ. ფუთურიძის გმ., თბ., 1969, გვ. 73.

²¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 254. -

²² დოდომურავიანი, გვ. 9, სტრ. 47; ლუარსაბ მეფის მარტვილობა, გვ. 409.

²³ ქ. ოდი იშე ლ ა. მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 61.

²⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. გვ. 256.

საზღვრაც, სარწმუნო საბუთების გარეშე, ჩვენი აზრით, ასევე მისაღები არ არის.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ მტრის მეომართა რაოდენობის ფაქტურაზე არ არის. გვიცდია წყაროების უქონლობის გამო, მხოლოდ, „დიდმოურავიანის“ ტექსტის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივეღით, რომ მათ ნახევარს მაინც, თუ მეტს არა, თათრები შეადგენდნენ.

პირველი ფაქტი, რაც ამას მოწმობს, ჩვენი აზრით, ის არის, რომ წყაროები შემოსეულთაგან ჯერ თათრებს ახსენებენ და მერე კი ფაშებს, რაც არ მოხდებოდა 10.000-იან, ან, მით უმეტეს, 60.000-იან ჯარში თათარი მხოლოდ 2.000 რომ ყოფილიყო.


გარდა ამისა შემოსეული ლაშქრის შეიარაღება, და საერთოდ მთელი მოქმედება, როგორც ამას იოსებ თბილელი აგვიწერს, სწორედ თათრებისათვის იყო დამახასიათებელი.

ქართული წყაროების ცნობით, მტერმა ისე სწრაფად გაიარა აბოცი, ტაშირი, ჯავახეთი, და მოადგა თრიალეთს, რომ ლუარსაბ II-ს ბოლო მომენტამდე არაფერი გაუგია. ასეთი სწრაფი მოძრაობა სწორედ მსუბუქი თათრული კავალერიისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც ყოველ მხედარს 1—2 სამარქაფო ცხენი ჰყავდა და შეეძლო შეუჩერებლივ ერთი ცხენიდან მიორეზე გადახტომა, რათა ცხენების დალლის გამო ლაშქრის სვლა არ შენელებულიყო. გარდა ამისა დიდი უყრადღება ექცევოდა თავდასხმის მოულოდნელობას. ამისათვის თათრები ცდილობდნენ შენიღბულად ევლოთ. ღამე კოცონს არ ანთებდნენ, დღე ხეობებისა და ღელეების ფსკერზე მოძრაობდნენ. უცნობ ადგილებში მოენეს იქერდნენ და მეგზურობას აწევინებდნენ (გავისენოთ თევდორეს ისტორია). სწორედ კარგი შენიღბვისა და მობილურობის წყალობა იყო ის, რომ თათრები სისტემატურად არბევდნენ რუსეთისა და პოლონეთის სამფლობელოებს. იქრებოდნენ ისე ორმალ, რომ აღწევდნენ მოსკოვამდე, რიაზანამდე, ლიტვამდე და მეტწილად დაუსჯელები ბრუნდებოდნენ უკან.

ქართველებისათვისაც ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა 1609 წლის ივნისში თრიალეთზე მტრის ურდოს გამოჩენა.

შემოსეულმა ლაშქარმა აბევით გაიარა თრიალეთი, შიდა ქართლის მარჯვენა სანაპირო და ბრძონასთან მტკვარი გადალახა. იოსებ თბილელს დაწვრილებით აქვს მტრის მოძრაობის მარშრუტი ნაჩვენები. საცულისებრო, რომ მომხდურები მხოლოდ სოფლებს არბევდნენ და არც ერთ ციხეზე იერიში არ მიუტანიათ. ესეც თათრებისათვის დამახასიათებელი ტაქტიკა იყო. მათ უჭირდათ ციხეების წინააღმდეგ ბრძოლა და, როგორც წესი, გვერდს უვლიდნენ ან ბლოკადაში აქცევდნენ ხოლმე, რათა გარნიზონს მათვის ზურგში არ მიეყენებინა დარტყმა, სანამ ისინი არემარეს არბევდნენ. ასევე გაურბოდნენ მსუბუქად შეიარაღებული თათრები მძიმელ შეიარაღებულ ლაშქართან პირისპირ შებმას, რადგან ასეთ შემთხვევებში ხშირად მარცხს განიცდიდნენ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ შემოსეული მტერი მტკვრის დინებას თარეშით აღმა აუყვა და ქართველთა რაზმები ზურგში მოიტოვა²⁵.

²⁵ სასწავლო და პოპულარულ ლიტერატურაში ხშირად დღისწელია, რომ შემოსეულ მტერს მიზნად ქვერნდა ქართლის დაპყრობა. ჩვენ ამ აზრს ვერ დავეთანებმებოთ. თათრი-ოსმალთა მთელი მოქმედება გვიჩვენებს, რომ მათი ამოცანა იყო მხოლოდ ტყვებისა და ალაფის შოვნა, რის შედეგაც უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ. წინამდებრე შემთხვევებში გაუგებდნა რაღომ არ შეეცადა მტერი ციხეების აღებას ან ქართველთა რაზმების განაღურებას მათ გერთიანებმდე.



ქართველები მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ. პირველი სერიოზული შეტა-
კება ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალასთან მოხდა, სადაც შესაძლოა, ქართველები
მტრის ოსმალურ ნაწილს შეებნენ („ფაშები იყვნეს რო ვრჩეთ“). აუ-
გამოიჩინეს თავი გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა. აქვე დაეცნენ იარა-
ლი და ზაქარია.

მტრის ძირითადი მასა ამის შემდეგაც დასავლეთისაკენ აგრძელებდა
მოძრაობას. უკან ლუარსაბ II, გ. სააკაძე, ზ. ციციშვილი, ბარათაშვილები და
დელუმაშვილი ხანი მისდევდნენ (სამეფო და მეწინაცე სადროშოების ლაშქარი,
ყიზილბაშების რაზმი). ფრონეების შესართავთან მათ მტკვარი გადალახეს
(ი. თბილელი საგანგებოდ აღნიშხავს მტკვრის გადაცურვის სიძნელეს ივნის-
ში) და მარცხენა ნაპირზე მყოფ მუხრანბატონს, ამილახვარს და ერისთავებს
(მემარცხენე და მემარჯვენე სადროშოების ლაშქარი) შეუერთდნენ. პარალე-
ლურად ქართველთა ერთმა რაზმა კორტანეთთან მტერს ბორჯომის ხეობაში
შესასვლელი გზა გადაუკეტა. მომხდურები ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ.
მათ თხრილებით გაამაგრეს თავისი ბანაკი და თავდაცვისათვის მოემზადნენ,
თუმცა, როგორც გამოქცეულმა ტყვემ აუწყა ქართველებს, გადარჩენის იმე-
დი ალარა ჰქონდათ.

ქართველი სარდლები ტყვეს მტრის ალჭურვილობაზეც შეეკითხენ. რა-
ზედაც მან უპასუხა:

„ვკითხრა თუ მშვილდით იბრძეიან, ფოლადი ისრის პირევდა,
თოფი და შუბი არა აქვთ, საყალნ მწვე ქვირკირევდა...“²⁷

შემდეგ, უკვე ბრძოლის პროცესში სააკაძე ამბობს:

„ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ იარია...“²⁸

მაშასადამე, წყარო დაბეჭიოთებით გვიჩვენებს, რომ მტრის ძირითადი იარა-
ლი ხმალი და მშვილდ-ისარი იყო, რაც სწორედ ყირიმის თათრებს ახასიათებ-
დათ. აი, მაგალითად, რას წერს მათ შესახებ ფრანგი ინჟინერი გიიომ ბობლა-
ნი, რომელმაც 1630—1648 წწ. გაატარა პოლონეთის სამხრეთ საზღვრებზე და
კარგად გაიცნო თათრები: „ისინი ალჭურვილნი არიან ხმლით, მშვილდით, და
კაპარჭით, რომელშიაც 19 ან 20 ისარი უდევთ“²⁹. თურქი მოგზაური ევლია
ჩელებიც, რომელმაც ცოტა მოგვიანებით (1665 წ.) აღწერა ყუბანელი ნო-
ლაელები (ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ყირიმის სახანოს სამ-
ხედრო ორგანიზაციაში) გვაცნობებს: „მათი იარალი ხმალი და მშვილდისა-
რია... სხვა საჭურველი არ გააჩნიათ“³⁰.

„დიდმოურავიანში“ ნაჩვენებია ქართველი სარდლების ბჭობა ბრძოლის
წინ. საინტერესოა ნუგზარ ერისთავის მიერ წამოყენებული წანადადება, —
ღამით დავეცე, მთიელთ ასეთი ჩეევა გვაქვსოვა³¹. ბოლოს საბჭომ სააკაძის
გეგმა მიიღო. მტრის ბანაკს ჯერ თოფი და ისრები დაუშინეს, შემდეგ კი ცხე-
ნისანმა ჯარმა მიიტანა იერიში.

²⁶ დიდმოურავიანი, გვ. 9, სტრ. 43.

²⁷ იქვე, გვ. 13, სტრ. 64.

²⁸ იქვე, გვ. 14, სტრ. 73.

²⁹ ციტირებულია, B. B. კარგალის. На степной границе, М., 1974, с. 12.

³⁰ ე ვ ლ ი ჩ ე ლ ე ბ ი. სეიათ-ნამე, ტ. 7, სტამბული, 1928, გვ. 711 (თურქულ ენაზე).

³¹ დიდმოურავიანი, გვ. 11, სტრ. 58.



„თხრილის პირს ჩვენ მოუყენეთ მეოთხე, ქამანდარები,
ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!
აქათ ესენი ესროლეს, ზეთი გზა განკარები³²,
რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს ჭაჭვზე ჩხარები³³.

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს გიორგი სააკაძემ მეთოფეებს სროლა დაწყებინა იმიტომ, რომ თოფის წამლის ბოლს დაეფარა ქართული მხედრობა და შესაძლებლობა მიეცა მისთვის შეუმჩნევლად მიახლოვებოდა მტრის ბანაქს. ამ აზრს ვერ დავთანხმებით. მაშინდელი დენთი, რა თქმა უნდა, კვამლიანი იყო, მაგრამ განა იმდენად, რომ შეტევაზე გადასული რამდენიმე ათასი ცხენოსანი მთლიანად დაეფარა³⁴ გარდა ამისა, თუ მეთოფეების მიერ ატეხილი სროლის მიზანი თავისებური „კვამლის საბურველის“ შექმნა იყო, მაგრა დაღს აკეთებდნენ მათ გვერდით ქამანდარები ანუ მშვილდოსნები⁹ ისინი ხომ თავისი მშვილდებით ბოლს ვერ დააყენებდნენ, ხოლო მოწინააღმდეგისათვის ისრების დაშენა ასეთი ბულიდან მეტად არაეფექტური იქნებოდა. ჩვენი აზრით, ოსმალ-თათართა ბანაკისათვის სროლის ატეხვას მიზანი ერთი ჰქონდა — ისრებით და ტყვიებით მტრისათვის ზარალის მიყენება და მის რიგებში არევ-დარევის შეტანა, რაც მოიერიშე ცხენოსნებს გაუადვილებდა ძირითადი ამოცანის, მომზდურთა განადგურების, განხორციელებას.

ბრძოლამ საღამოს ცხრა საათამდე გასტანა და, როგორც ცნობილია, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ბატალიური სცენა პოემაში მაღალმხატვრულად და ამავე დროს, ისტორიულად დამაჯერებლად არის წარმოდგენილი.

„დიდმოურავიანში“ კიდევ მრავალი სხვა სამხედრო-ისტორიული ფაქტია აღწერილი, რომლებშიც გიორგი სააკაძეს მიუღია მონაწილეობა. კერძოდ: მარტყოფის ბრძოლა, ახალციხის აღება, კახეთის განთავისუფლება, შემდეგ მარაბდა, პარტიზანული ბრძოლები, ლისი, ქარჩოხი, ბირთვისი, დაღესტანზე და ოსეთზე ლაშქრობები და სხვა.

ამ ფაქტებს თბილელი უფრო მოკლედ აღწერს, ვიდრე სხვა ქართველი ავტორები (არჩილი, ფარსალან გორგიანიძე, ბერი ეგნატაშვილი), მაგრამ, ამავე დროს, ბევრ ისეთ დეტალს ურთავს, რაც დანარჩენ ძეგლებში არ არის ასახული და, ამრიგად, ამ საკითხებშიც ინარჩუნებს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას.

სანქტერესოა 1626 წ. ბაზალეთის ბრძოლის აღწერა. ჩვენი აზრით, პოემაში სწორად არის ახსნილი სააკაძის დამარცხება, როგორც მისი ფეოდალუ-

³² განკარები — შეკრული. იგულისხმება კორტანეთში მდგარი რაზმის მიერ გადაკეტილი გზა, რამც მტერს სამცხეში გადასცლის საშუალება მოუსპო.

³³ დიდმოურავიანი, გვ. 13, სტრ. 65.

³⁴ მართალია, არჩილი მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) აღწერისას აღნიშნავს, რომ ყიზილბაშთა თოფ-ზარბაზნების ბათქმა ძლიერი კვამლი დაყენაო, მაგრამ უნდა გავთვალისწინოთ, რომ მარაბდასთან ირანელთა ავანგარდის 12 ათასში თოფმა და ზარბაზნებმა იგრძლია, ტაშისკარის ბრძოლაში კი, შესაძლოა ქართველებს საცეცხლე საშუალებათა ამ რაოდენიც არ გააჩნდათ. გარდა ამისა, ისევ არჩილის ცნობით, ქართველებს შეტევა არ დაუშენოთ, სანამ ნაერთის თოფის კვამლი არ გაფანტა (ავირემ კვამლი არ განქარდა მთკენ ვერცხნ ვერ გაიქცა“, გასატბრება..., გვ. 74, სტრ. 641). მხოლოდ ამის შემდეგ ეკეთა მტერს აზერითებული ტალღასაფოთ ქრთული მხედრობა („რა განკარდა თოფის კვამლი, შეუტივეთ ერთპირობით“, იქვე, სტრ. 642). იმის კითხვა, თუ ტაშისკარის ბრძოლაში ქართველებმა ჭარბატებით გამოიყენეს თოფის კვამლი მტრის პოზიციებაში და შეუმჩნევლად მისასცლელად, რატომ არ შეეცარენ იგვე გაეკორებინათ მ-რაბდასთან?



რი ლაშერის უდისციპლინობისა და მეომართა დაბალი მორალური სულიერები.

ამ ბრძოლაში, როგორც ჩანს, რიცხობრივი უპირატესობა მოურავის მხარეზე იყო. იგი თავის ლაშეარზე, „კაის ჯარის აღსარიცხითო“ ამბობს მა. მაგრამ, გიორგის მოკავშირები (მესხები, იმერლები), როგორც ჩანს, მას, როგორც მთავარსარდალს, მაინცადამაინც, არ ემორჩილებოდნენ. სახლებში წასვლით იმუქრებოდნენ და საკაძეს ძალა არ ჰქონდა ისინი თავის ნებაზე დაეყო-ლიებინა.

„შეუულთა ლაშეართ მიყვას, ვერ უჭერდი იმა თავსა,
სტუმართა და თვით მოსრულთა, რა ვეტყოდი იმათ აესა,
ლგომსა და გაძლებასა მე ვპერატურებდი თუ მეთავსა,
ზოგმა მეც მწვევ დამიმარცხა, მათი სახლი ავა თავსა!
ეგრე მოხხერს: „ან შეგვაძი, ან გაგვიწვი ჩეენსა, შინა...“³⁶.

გარდა ამისა, საკაძის მოლაშერეთა საბრძოლო სულიც ვერ იქნებოდა სათანადო დონეზე, რადგან ფეოდალურ საქართველოში საკუთარ მეფესთან შებმა კარგ საქციელად ვერ ითვლებოდა. თბილელი მოურავს ათქმევინებს:

„რაცა მოხდა სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი,
ყმა არ უნდა პატრიოტისა ბრძოლისა და შებმის მდომი.
თავს მოლალავს ან მოკვედებს, ცუდია არის მქლავის მშრომი,
ქვეთი ხომ მუხლს დაღლავს, ვერც იქნების ცხენს შემჯდომი“³⁷.

უცილებელი არ არის, რომ ეს აზრი თვით გიორგი საკაძისა იყოს. შეიძლება თბილელმა იგი პოემაში ჩართო, რომ მოურავის ერთგვარი რეაბილიტაცია მოეხდინა ბაგრატიონთა თვალში. მაგრამ ეჭვს გარეშე, რომ 1626 წლის იმ შემოდგომის დღეს საკაძის მომხრე ბევრი მეომარი ფიქრობდა ასე, და ამან-საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო მის დამარცხებას.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

«ДИДМОУРАВИАНИ» ИОСИФА ТБИЛЕЛИ КАК ВОЕННО-ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК

Резюме

Видный грузинский поэт и общественный деятель XVII в. Иосиф Тбилиси (Саакадзе) в своей поэме «Дидмоуравиани», которую он посвятил знаменитому полководцу Георгию Саакадзе, показывает героическую вооруженную борьбу грузинского народа под его руководством против иноземных захватчиков. Естественно, что произведение такого рода содержит значительное количество военно-исторического матери-

³⁵ იქვე, გვ. 56. სტრ. 409. საგულისხმოა, რომ თემურაზმა მოსკოვში ყოფნისას, 1658 წ., ალექსი მხედვისის ძის შარმომალებენლებთან საუბარში გაიხსენ ბაზალეთის ბრძოლა და ალნიშნა, რომ იქ მას მხოლოდ 3000 მხედარი ჰყავდა, „მოლალატე“ საკაძეს კი 40000 (გ. პ. ი ჭა ძ. ე., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658). სასტოლი მოამ-ბე, ტ. 19—20, თბ., 1965). ძალთა უთანასწორობას თემურაზმი გასაგები მიზეზების გამო, ძალინ უნდა აზვიალებდეს, მაგრამ მაში კი, შესძლებელია, მართალი, რომ მოურავის ლაშეარი რთაცემთ სჯობდა მისას. არჩილიც ხომ ედიშა ვაჩნაძეს ათქმევინებს გორგის მომხრეებზე „თუმც არ უმრავლესნა ეგრე დგაინ ვითა ტევრი...“ (გაბასება, გვ. 79, სტრ. 683).

³⁶ ღიღმოურავიანი, გვ. 56, სტრ. 410, 411.

³⁷ იქვე, გვ. 56, სტრ. 413.

ала и, поэтому, является важным источником по военной истории Грузии первой половины XVII в.

Особенно подробно описывается в поэме борьба с вторгшимся в Картли в 1609 г. войском крымских татар и турок-османов и их разгром в Ташискарской долине.

«Дидмоуравиани» содержит также интересные сообщения о других военных событиях, в частности, о битвах у Марткопи, Марабде, Ксанни, Базалети. В ней описывается и взятие Ахалцихе грузинами в 1625 г., освобождение Кахети, Биртвисской крепости, походы Георгия Саакадзе против враждебных к Грузии соседних владений и др.

Есть в поэме сведения также о вооружении и тактике грузинского феодального войска того времени.

მარისა გერძნიშვილი

„სიგლის თავი“ XVI—XVIII სს. ჩართულ სამეცნ საგუთაგზი

XVI—XVIII საუკუნეების საბუთებმა ჩვენამდე ღიდი რაოდენობით მოაღწია. თუ წინა საუკუნეებიდან შემონახული საბუთები რამდენიმე ათეულს ძლიერ შეადგენს, გვიანი საუკუნეების საბუთების რიცხვი მრავალ ათასს აღწევს. მაგრამ ამ საბუთების მხოლოდ მცირე ნაწილია დღეისათვის გამოცემული.

XVI—XVIII სს. საბუთები რიცხობრივი სიმრავლის გარდა შინაარსობრივი მრავალუროვნებითაც ხასიათდება.

პოლიტიკურმა სიტუაციამ (საქართველოს დაშლა — ცალკე სამეფოების წარმოშობა, უცხოელ დამპყრობთა ბატონობა) თავისი დალი დააჩნია ქართულ საბუთებსაც.

რამდენადაც საბუთი, დოკუმენტი არის გარკვეული დიპლომატიკური ნორმებით, ტრადიციით ჩამოყალიბებული ფორმულარებით შედგენილი საისტორიო წყარო, იგი გარეგნული, ფორმალური ნიშნებით მდგრადია და ნაკლებად იცვლება საუკუნიდან საუკუნემდე. მაგრამ რამდენადაც საბუთი ამავე დროს არის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობის გამომხატველი, ის არ შეიძლება ცხოვრებიდან შორს იდგეს და არ შეიძლება არ ასახავდეს კველა იმ ცვლილებას, რაც კი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ სფეროში ხდება.

დადგრინდია, რომ XV ს-დან, საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაშლის დროიდან თანდათან დაიწყო დიპლომატიკურ ცნებათა აღრევა. ადრე ჩამოყალიბებული ტერმინები XVI ს-დან იხმარება უკვე გარკვეული წესის გარეშე და ერთი ცნებით გამოიხატება რამდენიმე სხვადასხვა მოვლენა, ან ერთი გარკვეული მოვლენა რამდენიმე სხვადასხვა ცნებით იწოდება.

XI—XV საუკუნეებში მეფისაგან გაცემულ დოკუმენტს სიგელი ეწოდება, საეკლესიო ან კერძო პირთაგან გაცემულ საბუთს კი დაწერილი. ამავე დროს საერთოდ საბუთის აღმნიშვნელ სახელწოდებად ჩანს ტერმინი წიგნი.

XVI ს-დან შეინიშნება ამ ძირითადი ცნებების აღრევა. სიგელით ახლა უკვე აღნიშნება არა მარტო მეფისაგან გაცემული საბუთები, არამედ სხვა, კერძო პირთაგან გაცემული საბუთებიც. ძირითადად სიგელი აღნიშნავს შეწირულების საბუთს, მიუხედავად იმისა შემწირველი მეფეა თუ კერძო პირი, მაგ., სიგელი ეწოდება ლეონ მეფისაგან ნინოწმინდისადმი 1553 წელს მიცემულ შეწირულების საბუთს¹ და ამილახორისაგან სვეტიცხოვლისადმი 1556 წელს მიცემულ შეწირულების საბუთსაც².

¹ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913, გვ. 66.

² იქვე, წიგნი II, ტფ. 1913, გვ. 43.

ხშირად „სიგელი“ შეწირულების გამაფორმებელი ღოკუმენტის სახელ-წოდების ერთ-ერთი კომპონენტია; „წიგნი და სიგელი“ ეწოდება როგორც მე-ფის (მაგ., თამარ დედოფლის 1611 წლის შეწირულების საბუთს ბოლობის სიონისადმი³), ისე კერძო პირისაგან (მაგ., ელენე ბარათაშვილის 1623 წლის შეწირულების საბუთის თბილისის სიონისადმი)⁴ გაცემულ შეწირულების ღოკუმენტს.

სიგელი როგორც სახელწოდების ერთ-ერთი კომპონენტი შესულია ნას-ყიდობის გამაფორმებელი ღოკუმენტის სახელწოდებაში. ასეთ ღოკუმენტებს XVII ს-დან ნასყიდობის წიგნი და სიგელი ეწოდებათ (მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ნასყიდობის საბუთის აღმნიშვნელ ერთადერთ სახელ-წოდებას).

ნასყიდობის წიგნი და სიგელი ერთნაირად ეწოდებათ თავადისაგან თავა-დისადმი, თავადისაგან ეკლესისადმი, ყმისაგან ბატონისადმი გაცემულ ნასყი-დობის საბუთებს⁵.

თუ სიგელმა XVI ს-დან მნიშვნელობა შეიცვალა, ამავე ხანებიდან სრუ-ლიად აღარ გვეცდება ადრე გავრცელებული ტერმინი დაწერილი.

საერთოდ XVI—XVIII საუკუნეების საბუთების ზოგად, გამაერთაგანებელ სახელწოდებად ჩანს წიგნი. წიგნი ხდება ყოველგვარი საბუთის აღმნიშვნე-ლი ტერმინი. მაგრამ მარტივად წიგნის — საბუთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინის მნიშვნელობით ხმარების გარდა — უფრო ხშირია სიტყვა წიგნის ზედსართავ სახელთან ერთად ხმარება. ზედსართავი კი გამოხატავს თვით სა-ბუთის რაობას, მის კონკრეტულ სახეობას. მაგ. თავის შეწირულობის წიგნი, თავშეწირულობის წიგნი, შეწირულობის წიგნი, ყმობისა და თავის შეწირუ-ლობის წიგნი — ესაა ყმად თავის შეწირვის გამაფორმებელი ღოკუმენტების ზოგადი სახელწოდებები. თავდახსნილობის წიგნი, აზატობის წიგნი, სითარბ-ნის წიგნი, თავისუფლების წიგნი (იმერეთი) ჰქვიათ ყმის გადასახადებისაგან განმათავისუფლებელ ღოკუმენტებს. ნასყიდობის წიგნი ეწოდება ყიდვის გმაფორმებელ ღოკუმენტს.

ღოკუმენტთა გარკვეული წყებები იწოდება ზედსართავ დამატებულ წიგ-ნად. ერთობის წიგნი, სათავდებო წიგნი, გარდაწყვეტილობის წიგნი, უდეობის წიგნი, უსადეო წიგნი (იმერეთი), მზითვის წიგნი, ანდერძის წიგნი, შართლამის (პირობის) წიგნი, იტიარობის (რწმუნების) წიგნი და ა. შ.

მასთან ერთად საბუთთა სახელწოდებებში გვხვდება „წიგნი“ როგორც სახელწოდების ერთ-ერთი კომპონენტი. მაგ., ნასყიდობის წიგნი და სიგე-ლი⁶; შეწირულობის წიგნი და სიგელი⁷.

³ იქვე, წიგნი IV, ტფ., 1913, გვ. 7.

⁴ იქვე, წიგნი III, გვ. 56, 65.

⁵ ღოკუმენტები საქართველოს სოციალური სტორითადნ. ნ. ბერძნენშვილის რედაქციათ, II. თბ., 1959, № 83; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ჭ. III. მასალები შეარ-ჩია და გამოსაცემად მოაზრდა ნ. ბერძნენშვილმ. თბ., 1955. გვ. 114; საქართველოს სიძველენი, I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1910, გვ. 51, 73, 102, 280; ღოკუმენტები თბი-ლისის ისტორიისათვის, ჭ. I. შეადგინეს ნ. ბერძნენშვილმა და მ. ბერძნენშვილმა. თბ., 1962, № 183; ისტორიული საბუთები, ჭ. V. ტფ., 1913. გვ. 78.

⁶ ღოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. № 5; საქართველოს სიძველენი, I, გვ. 25, 42, 290.

⁷ ღოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, № 83; საქართველოს სიძველენი, I, გვ. 51; ღო-კუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, № 183; ისტორიული საბუთები, I, გვ. 78.

⁸ ისტორიული საბუთები, IV, გვ. 54; ღოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, № 182.

სიტყვა, რომელიც აღნიშნავს წიგნის კონკრეტულ სახეობას, ხშირად იხმარება დამოუკიდებლად, წიგნის გარეშეც და წარმოადგენს საქართველოს კვეული წევების სახელწოდებას. შართლამის წიგნის, მუჩალგის წიგნის, ფრენის წიგნის, პირობის წიგნის და სხვ. პარალელურად იხმარება აგრეთვე შართლამა, მუჩალგა, საფიცარი, ფიცი, პირი და სხვ. ე. ი. საბუთის რაობის დამაკონკრეტებელი ნაწილი სახელწოდებისა დამოუკიდებელ მნიშვნელობას იღებს და საბუთთა გარკვეული კონკრეტული ჯგუფის სახელი ხდება.

საბუთთა სახელწოდებებში ჩანს კიდევ ერთი სხვაობა — კონკრეტული სახელით გამოხატული საბუთთა ჯგუფის კიდევ უფრო დაკონკრეტება. მაგალითად, ტერმინში „წყალობის წიგნი“ — ორი ნაწილია: „წიგნი“ — ზოგადი ცნება და „წყალობის“ — წიგნის კონკრეტული მნიშვნელობის გამოხატულება. ეს ტერმინი (წყალობის წიგნი) უკვე თავისთავად იღებს ზოგადი ცნების მნიშვნელობას და ხდება მისი დაკონკრეტება — ე. ი. საბუთის სახელწოდებაში ისახება ის, თუ სახელდობრ რისი წყალობა არის გაფორმებული მოცემულ დოკუმენტში. სახელის წყალობის წიგნი (სიძვ., I, 139), ადგილისა და სოფლის წყალობის წიგნი (სიძვ., I, 1), „საცილობის წყალობის წიგნი“ (სიძვ., I, 43), გლეხებისა და წყალობის წიგნი (ისტ. საბ., V, 18); გვხვდება სახელწოდება წყალობისა და სითარხნის წიგნი, რომელშიაც ერთდროულად ასახულა საბუთთის გამცემის ორი მოქმედება — გლეხის გათარხნება გადასახადებისაგან და მისი შეწირვა (ისტ. საბ., V, 76).

შეწირულობის წიგნის მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ „გუჯარი“⁹.

საბუთის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ზოგად ცნებად ჩანს „პირი“. 1706 წლით დათარიღებულ საბუთს ეწოდება ნასყიდობის წიგნი, ფიცი და პირი (სიძვ., I, 61); დადასტურებულია კიდევ სახელწოდება ნასყიდობის წიგნი და პირი (სიძვ., I, 41, 126). (1692 წლისა), წყალობის ფიცი, პირი და საფიცარი წიგნი (1605 წ.). საბუთთით მეფე გიორგი უმტკიცებს მოხელეობას (სალარიძეს)¹⁰; წყალობის სამკვიდრო ფიცი, პირი და წიგნი (1680 წ.). მეფე უბოძებს წერეთელს ყმა-მამულს). წიგნი და პირი (1717); წიგნი, პირი და საფიცარი (სიძვ., I, № 21). ამ დასახელებებში პირი გვევლინება წიგნის სინონიმად. ამავე ღრის პირი იხმარება დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც. ე. ი. ამ სიტყვის პირდაპირი გაებით: პირი გამოხატავს პირობის დადების შემცველ დოკუმენტს.

პირობის წიგნის აღსანიშნავად იხმარება შემდეგი სახელწოდებები: შართლობის წიგნი (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან¹¹, II, № 343, 378). აღთქმითი ფიცის წიგნი (სიძვ., I, № 405). მუჩალგის წიგნი (სოც., II, № 186). წიგნი და პირობა (სოც., II, № 439). მუჩალგის წიგნი ზოგჯერ უდრის მოწმობის წიგნს (სოც., II, გვ. 265), ზოგჯერ ფიცის წიგნს (სოც., II, № 186) და ზოგჯერაც პირობის წიგნს (სოც., II, № 355). წიგნი, ფიცი და პირი (საქართველოს სიძველენი, I, № 8, 15)¹², აუარებელი ფიცის წიგნი და პირი (სიძვ., I, გვ. 9, 11, 13), ფიცი, პირი და საფიცარი წიგნი (სიძვ., I, № 16). წიგნი და პირობა (სოც., II, № 433), წიგნი და პირი (სოც., II, № 29) უტყუარი, უხერხო წიგნი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. წ. I, გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1959, № 29).

⁹ ქართული სამართლის ქეგლები. III. ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 668.

¹⁰ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. წ. 1, გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1959, № 12, შემდეგში შემოკლებით „ბურჯ“.

¹¹ შემდეგში შემოკლებით „სოც.“.

¹² შემდეგში შემოკლებით „სიძვ.“.

უცხოური (აღმოსავლური) სახელწოდებები ცვლიან ადრე მიღებულ ქართულ სახელწოდებებს, მაგრამ საბოლოოდ არ დევნიან მათ. ქართული სახელწოდებები მაინც იხმარება აღმოსავლურის პარალელურად. ეჭარელობის, ვექილამა, მუჩალვა, თამასუქი, მუჯალამა, შართლამა, ბეუშართი, ქართლური რება პარალელურად ქართული ფორმებისა: გარდაწყვეტილობის წიგნი, რწმუნების წიგნი, პირობის წიგნი, ვალის ხელწერილი, ფიცის წიგნი, გირაობის წიგნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლური სახელწოდებები ყოველთვის არ იხმარება ერთი გარკვეული მნიშვნელობით, ზოგჯერ ორი ან რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ., ბათილა მა აღნიშნავს ხან დაკარგული საბუთის ნაცვლად ხელახლა დადებულ საბუთს (მასალები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის¹³, II, № 33), ხან ვალის გარდაწყვეტილობის საბუთს. მუჩალვა ერთდროულად აღნიშნავს ფიცის წიგნსაც (სოც., II, № 186) და პირობის წიგნსაც (სოც., II, № 355), მუჯალა მა აღნიშნავს ზოგჯერთა ჩვენებას (ეკ., I, 25) და საერთოდ მოწმობას, დამოწმებას (ეკ., II, № 378).

ადგილობრივი და უცხოური სახელების პარალელურად ხმარება სრულიად აც არ ნიშნავს, რომ სხვადასხვანაირად წოდებული საბუთები სხვადასხვანაირად იყოს დაწერილი; ფორმა, აღნაგობა, საბუთის შედგენის წესი ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იწოდება ის.

საერთოდ საბუთის სახელწოდება მოცემულია ხოლმე ე. წ. სიგლის თავში (ჩვენ ამა და ამან ესე მტკიცე და მოუშლელი ნასყიდობის წიგნი გიბოძეთ...) XVII—XVIII სს-ში კი შეინიშნება ერთი მოვლენა: სიგლის თავში საბუთის ერთი სახელწოდება მოცემული, ბოლოში კი, სადაც საბუთის გამცემი მოითხოვს მისი განგებულება სხვებმაც დაამტკიცონ, ზოგჯერ იგივე საბუთი სხვა სახელწოდებით აღინიშნება.

მაგ. სიმონ II-ის 1628 წლის საბუთს წიგნი ეწოდება, ბოლოში კი ეს საბუთი ფარვანად არის სახელდებული: „ასრე გაურიგეთ, როგორც ჩვენს ნაწყალობევ ფარვანში, ეწეროს“ (ქართული სამართლის ძეგლები¹⁴, II, 213); ასევე ფარვანა სცვლის იმამყულიხანის მიერ 1721 წელს გაცემულ სიგელსა და საფიცარს (იქვე, 236); ვახტანგ VI-ის 1722 წლის წყალობის წიგნსა და სიგელს („რა რიგადაც ჩვენს ნაბოძებ ფარვანაში ეწეროს“) (ქსდ., II, 389).

ზოგჯერ, XVIII ს. I მეოთხედის ზოგ საბუთში, ფარვანას ნაცვლად „ბურულთი“—ა ნახენები (ქსდ., II, 233).

XVII—XVIII სს. საბუთში გარკვეული ადგილი უჭირავთ დემოგრაფიულ, სტატისტიკურ აღწერებს. ამ ხანიდან შემორჩენილი გვაქვს „ხალხის აღწერის დავთორები“, მორიგეთა სიები (სოც., II, გვ. 81—83), ყმების სიები, ხიზნის ნუსხა (სოც., № 328). არსებული „ქალაქის დავთარი“ (ისტ. საბ., V, გვ. 109). ეკონომიკური ხასიათის საბუთებიდან „გამოსალებთა ნუსხები“, „ხარჯის ნუსხები“, „ლალის სია“ (ეკ., III, 116). დავთარით აღინიშნება ხარჯის, შემოსავლის, გამოსალებთა ნუსხები. დავთრის პარალელურად იხმარება კიდევ ტერმინი „გამოსავალი“ — „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრეფულობა“ (ქსდ., III, № 92), „საცათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობა“ (ქსდ., II, № 91).

საბუთთა სახეობებიდან ცალკე ჯგუფს ქმნიან „სასამართლო დადგენილებანი“, „მსაჯულთ გარდაწყვეტილებანი“, „განჩინებანი“.

¹³ შემდეგში შემოქლებით „ეკ.“

¹⁴ შემდეგში შემოქლებით „ქსდ.“

არზა-საჩივრები და მათ თავზე გაკეთებული მეფის „ოქმება“ საბუთთა ერთ გარკვეულ სახეობას წარმოადგენენ.

XVII ს-დან ჩნდება საბუთების ახალი ფორმა — ბრძანება ბრონიცა როგორც მეფისაგან, ასევე ზოგი ღიღმოხელისაგან გაცემული საბუთია. მაგ, ერასტი მდივანბეგის ბრძანება იასაულისადმი 1676—1688 წლებისა (სოც., II, № 17). ბრძანება როგორც შემადგენელი ნაწილი საბუთის სახელშოდებისა გაერთიანებული ხანის დოკუმენტებშიაც გვნვდება, მაგრამ ბოლოში, არა სა-თაურად (მაგ. ბაგრატ IV-ის 1058 წ. სიგლის ბოლოში კვითხულობით: „ბრძა-ნება და სიგელი ესე ჩენი თქვენც აგრე დაუმტკიცეთ“). XVII ს-დან კი ბრძა-ნება საბუთის კონკრეტული სახეობის აღმნიშვნელი სახელშოდება ხდება და იმარება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

საბუთის ყველა ამ სახეობას თავისი შედგენილობის წესი აქვს. საბუთის შედგენის წესი ერთნაირია XVI—XVIII საუკუნეებში, ამასთან იგი განმეორებაა აღრე ჩამოყალიბებული წესისა და უკვე XI ს-ში დადასტურებული საბუ-თის შედგენილობის ფორმა XVIII ს-მდე ძირითადად უცვლელია. იცვლება ზოგი შემადგენელი ელემენტი, ელემენტთა თანამიმდევრობა კი მეტწილად ერთნაირია. მეფისაგან ბოძებული წყალობისა და შეწირულობის წიგნები ამ მხრივ სანიმუშო მდგრადობის მაჩვენებელია. ამ რიგის საბუთთა შედგენის წესი XVI—XVIII სს-ში დიდად არ განსხვავდება XI—XII სს-ში დადასტუ-რებული წესიდან. შეინიშნება მხოლოდ საბუთის ზოგ ნაწილში ელემენტთა გადაადგილება.

საბუთის პირველ ნაწილს „სიგლის თავი“ ეწოდება და იგი XI—XV სს-ში (მეფის წყალობის წიგნების მაგალითზე) შედგებოდა ქანწილის, ღვთის ხსე-ნების (invocatio), მეფის სახელისა და მეფის ტიტულისაგან¹⁵. XVI ს-დან შეინიშნება მეფის წოდებულობის ანუ მეფის ტიტულის (intitulatio) გადასმა წინ, მეფის სახელი კი ტიტულს მოსდევს უკან.

ასე, თუ გაერთიანებული ხანის საბუთებში „სიგლის თავის“ ელემენტები ასეთი თანამიმდევრობით წარმოგვიდგება: „ქ. სახელითა ღმრთისათა, ჩენ დავით ბაგრატიონმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა რუსულანისა-მან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრო-ბელმან“¹⁶, XVI ს-დან ეს ელემენტები შემდეგნაირად ლაგდებიან: „ქ. ნებითა ღმრთისათა ჩენ შემდეგ მოდის ტიტული იესიან დავითიან სოლომონიან-ბაგრატიონიან, აფხაზთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარ-ვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა თვით ჰელმწიფედ მპყრობელ-მეონებელმან, ღმრთივ გვირგვინსანმან და ღმრთივ დამყარე-ბულმან და ღმრთისა მიერ წარმართებულმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ-მეფემან პატრიონმან ალექსანდრე და“¹⁷... შემდეგ მოდის შვილების და-სახელება).

განსხვავება შეიმჩნევა ელემენტთა გადაადგილებაში და თვით ელემენ-ტის შედგენილობაში. აღრეული საბუთების intitulatio-ს ემატება „იესიან

¹⁵ ვგ. ჭავახ იშვილი, ქართული სიგლომიცოდნერია ანუ ღიპლომატიკა. ტფ., 1926, გვ. 83. 87—95; მ. ბერძნიშვილი, ქართული ღიპლომატიკის ისტორიიდან. „სიგლის თა-ვი“ XI—XV სს-ში. ქართული წყაროთმცოდნება, V, თბ., 1978, გვ. 50—59.

¹⁶ ქს. III, 73.

¹⁷ 1577 წ. საბ., ქს. II, 195.

დაგითიან „სოლომონიან-ბაგრატონიანი“ და ეპითეტები „ღვთივ გვირგვინოსანი, ღვთივ დამცარებული, ღმრთისა მიერ წარმართებული)“.

წყალობის საბუთები XI—XV სს-ში შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან:

1. სიგლის თავი.
2. ჰაგა-მოხსენება (narratio) და საბუთის მიმღების ხსენება.
3. განგებულება (dispositio).
4. ბრძანებულება.
5. წყევა-კრულვა და კურთხევა.
6. საბუთის დაწერის თარიღი.
7. მოწმე-დამამტკიცებელი.

XVI ს-დან წყალობის სიგელებში ელემენტთა ასეთ თანამიმდევრობას ვხვდებით:

1. სიგლის თავი: *invocatio*, რომელიც ღვთის ხსენების გარდა ზოგჯერ შეიცავს ღვთისმშობლის, წმინდანების ხსენებას.

intitulatio — მეფის სახელი, რომელსაც თან სდევს მეფის თანამეცედ-რისა და მეფის შვილების ჩამოთვლა. ეს არის განსხვავება აღრეულ საბუთებ-თან შედარებით.

2. საბუთის რაობის დასახელება („ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ“). ამას-თან აქ აღნიშნულია, რომ ეს საბუთი არის უდავო, უთუმცაო, დროდაუდებელი, მიზეზშემოუღებელი და ა. შ.

3. საბუთის მიმღების დასახელება (აქ მოცემულია არა ერთი სახელი, არამედ მთელი საგვარეულო — მამა-ბიძანი, ძმები, ბიძაშვილები).

4. საბუთის გაცემის მიზეზი (მოგვიდეგით კარსა და გვეაჭეთ).

5. დასახელება, სახელდობრ რას ეაჭნენ.

6. ვისმინეთ აჯა... და შეგრწყალეთ და გიბოძეთ (განგებულება)¹⁸.

7. დასახელება სახელდობრ რა უბოძეს (მამული, ყმა, მოხელეობა).

8. წყალობის პირობა — ჩვენს ერთგულებაში გიბედნიეროს ღმერთმან ესე ჩვენგან მოცემული.

9. მოუშლელობა (ხშირად აქ მეორდება ხელახლა ნაბოძების დასახელება).

10. ბრძანება მოხელეთადმი (ოქვენც ასევე დაუმტკიცეთ).

11. თარიღი; დამწერი.

12. ხელრთვა.

13. შემდგომი მეფების დამტკიცებანი.

ამ საერთო სქემაში შეიმჩნევა ძეველთან შედარებით ზოგიერთი ელემენტის გადაადგილება. თუ ადრე ჯერ აჯა-მოხსენება იყო მოცემული და შემდეგ საბუთის მიმღების ვინაობა, ახლა ჯერ ვინაობაა და შემდეგ აჯა-მოხსენება.

თვით ელემენტები კი, ძირითადად ერთნაირი, ტრაფარეტული, ტრადიციით ჩამოყალიბებული ფორმით არის მოცემული. განსხვავება საბუთებს შორის აჯა-მოხსენების რაობასა და განგებულების კონკრეტულ მნიშვნელობა-შია მხოლოდ.

განგებულება არის ის ნაწილი, რომელშიაც მოცემულია საბუთის ძირი-

¹⁸ საბუთის გაცემის მოტივი წერიად ტრაფარეტული გამოთქმებით არის ფორმულირებული და ამ მოტივის ჩელიურ აღნიშვნას არ შეცავს. წერიად მეფე წყალობას გაიღებს სათანადო ქრთამის, ფეხშესასი მიღების შემდეგ. ეს მომენტი ზოგჯერ იძარება საბუთის ტექსტშიც „ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი. ქრთამიც კარგი მოგარეთვით,.. და მოგვით ლიჩი სამოურაოდ“. ბურჯ., I, № 14, აგრეთვე, № 4, 17, 18, 23.

თადი შინაარსი და სწორედ ეს ნაწილია ისტორიის სხვადასხვა კუკირზების
შესასწავლად ძირითადი წყარო.

საბუთის თავი საერთოდ მოიცავს ძვირფას მასალას საქართველოს ისტო-
რიის ღინასტიურ-გენეალოგიური საკითხების გადასაწყვეტად, ხოლო intitu-
latio გვამცნობს მეფის უფლებათა ისტორიას, მისი რეალური ძალაუფლების
საზღვრებს. მაგრამ მეფის ტიტულატურის გადმოცემაში შეიმჩნევა ორი მო-
მენტი: ერთი, როცა ტიტულატურა რეალურ ვითარებას გამოხატავს და მეო-
რე, როცა იგი ტრადიციული ფორმულით არის გადმოცემული, იგი მხოლოდ
ტრადიციული და მისი დამწერი მას ხმარობს ან ტრადიციულად,
მიმდაველობით და ან ტრადიციული ფორმულით აცხადებს პრეტენზიას
უკვე დაკარგულ ვითარებაზე.

XVI—XVIII საუკუნეები მდიდარია პოლიტიკურ სიტუაციათა ხშირი
ცვალებადობით და ეს ცვალებადობები თავის გამოხატულებას პოულობენ მე-
ფის ტიტულატურის ფორმულარში¹⁹. ტრადიციული ღია გადახვევა
მაჩვენებელია რაიმე ცვლილებისა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში.

XV ს-ში დაშლილი საქართველოს ცალკეული სამეფოების მეფეები და-
საწყისში თავის წოდებულობას ისევ იმ ფორმულით გამოხატავდნენ, როგორც
გაერთიანებული საქართველოს მეფეები. მაგრამ თანდათან ფეხს იყიდებს
ისეთი ფორმულარი, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა სწორედ მხოლოდ
ქართლის, კახეთის ან იმერეთის სამეფოებისათვის.

XVI ს-ში ლუარსაბ I (1534—1558) ატარებს ასეთ ტიტულს: „იესიან-
დავითიან სოლომონიან ბაგრატიონიანმან, ყოვლისა საქართველოსა
ტახტისა და გვირგვინისა ფლობით მპყრობელმან, თქვენ
მიერ (ღვთის მიერ) გვირგვინოსანმან ლუარსაბ“²⁰ — თუმცა ლუარსაბი „ყოვ-
ლისა საქართველოსა ტახტისა“ მფლობელი არა ყოფილა.

მომდევნო მეფეები კი თავის ტიტულატურაში რეალურ ვითარებას ასა-
ხავენ. სიმონ I (1558—1601) ჩვენთვის ცნობილ ყველა საბუთში იხსენიება
როგორც „ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთ-მეფე პატრონი სვიმონ“²¹. ასეთივე
ტიტულით არის შემკული ლუარსაბ II (1606—1615) „ღვთივ გვირგვინოსან-
მან მეფეთ-მეფემან პატრონმა ლუარსაბ“²².

ლუარსაბ II-ის შემდეგ კი ქართლის მეფეების ტიტულატურაში ჩნდება
ახალი ელემენტი — „წყალობითა შაპ-აბასითა“ — ბაგრატ VII-ის (1615—
1619) საბუთსა²³ და „ბრძანებითა შაპაბაზ ყევნისათა“ — სვიმონ II-ის
(1619—1632) 1626 წ. საბუთში²⁴. თუმცა სხვა საბუთებში სვიმონ II-ის ტიტუ-

¹⁹ ამ ხანის საბუთებში ნახმარი მეფის ტიტულატურა ედ. ხოშტარის განხილული აქვს რო-
გორც საქართველოს პოლიტიკური ერთანობის დეისის ასახვა („საქართველოს პოლიტიკური ერ-
თანობის დეისის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში“). „მრავალ-
თავი“, VI, თბ., 1978, გვ. 190—203).

²⁰ 1552 წ. საბუთი მცხოვისამი, ისტ. საბ., III, 63.

²¹ 1573 წ. საბ.—სიძვ., II, 99.

1582 წ. საბ.—სიძვ., II, 33.

1583 წ. საბ.—სიძვ., I, 37.

1588 წ. საბ.—სიძვ., II, 35.

1591 წ. საბ.—სიძვ., I, 337.

1596 წ. საბ.—სიძვ., II, 184.

²² სიძვ., II, 39, 128, 187.

²³ ღოკ., თბ., ისტ., № 3.

²⁴ სიძვ., II, 102, ქართულ-სპარსული ისტორული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი
და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, № 21.

ლატურა ქართლის მეფების ადრე მიღებული ტრაფარეტითაა გადმოცემული — „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან სკომონ“²⁵.

სკომონ II-ის ორენვენ საბუთებში ქართული ტექსტი ჩვეულებრივია; ქართულ დიპლომატიკაში მიღებული წესით არის შედგენილი, საბრძოლის ქოლოს კი ცველგან მოცემულია ქართულვე ხელრთვა მეფისა; სპარსული ტექსტი კი არ წარმოადგენს ქართულის თარგმანს, იგი დამოუკიდებელი საბუთია სპარსულში მიღებული წესებით შესრულებული. მაგრამ სპარსულ ტექსტს უზის სკომონ მეფის სპარსულწარწერიანი ბეჭედი: „მონა შაჰ-აბასისა სკომონ“²⁶.

თუ გავიხსენებთ რა ეპოქა იყო ბაგრატ VII-ისა და სკომონ II-ის მეფობის ხანა და აგრეთვე იმას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი ირან-საქართველოს ურთიერთობაში, მოულოდნელი არ იქნება მათ მიერ გაცემულ საბუთთა თავში გამოთქმის „ბრძანებითა შაჰაბას ყაენისათა“ გაჩენა. უფრო საკვირველია, რომ ამ მეფეთა საბუთებში მხოლოდ თითოვერ გვხვდება ეს გამოთქმა.

როსტომის გამეფებით ახალი ხანა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. დაიწყო მაპმარიან მეფეთა მფლობელობის 90-წლიანი მშვიდობიანი პერიოდი. თვით მეფე ირანის შაჰის ვალი იყო. ამ პერიოდის სიახლე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მეფეს ზოგ შინაურ საქმეებში ერთგვარი დამოუკიდებლობა ჰქონდა. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა როსტომისაგან გაცემული საბუთების სიგლის თავში. ყველა მათგანში როსტომი სახელდებულია ერთნაირი ტიტულით: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ პატრონმან როსტომ ესე წყალობის სიგელი“²⁷. ... ან „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ხელმწიფემან მეფემან, პატრონმან როსტომ“²⁸. 1652 წლის საბუთის სახელდებაში შემოდის ახალი ელემენტი — „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან ქართლი ისა და კახეთი ისა ორისავე მპკრობელ მან მან, მეფეთმეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ“²⁹. აյ ახალია „ქართლისა და კახეთისა ორისავე მპკრობელმან“, ეს ელემენტი 1653 წ. დოკუმენტში ერთგვარი ცვლილებით არის მოცემული „ორისავე საბატონოსა, ქართლისა და კახეთისა მპკრობელმან“³⁰. ამ სიახლეს ტიტულატურაში რეალური საფუძველი აქვს — როსტომს 1652 წლის მართლაც მისცეს კახეთი. მაგრამ მას შემდეგ, რაც კახეთი ისევ ჩამოერთვა (1656 წ.) ტიტულატურაში ეს ელემენტი მან ტრადიციულად მაინც შეინარჩუნა. 1654—1658 წლის ზოგ საბუთში (არა ყველაში) როსტომი კვლავინდებურად იწოდება „ორისავე საბატონოს მპკრობელად“³¹.

1634 წლიდან მოყიდებული როსტომის ყველა საბუთის „სიგლის თავში“ მასთან ერთად მოიხსენიება „თანამეცხდრე ჩვენმა დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ“³².

ცნობილია, რომ მარიამ დედოფალს პირველი ქორწინებიდან — გურიელი-საგან ჰყავდა ვაჟი — ოტია, რომელიც როსტომთან იზრდებოდა, მაგრამ იგი

²⁵ 1924. IX საბ.—სიდვ., II, 365; 1623 წ. საბ.—სიდვ., II, 172; 1626 წ. საბ.—სიდვ., II, 22. „ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან სკომონ“. — სიდვ., I, 115; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, № 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 32.

²⁶ 1633 წ. საბუთში — სიდვ., II, 188; 1634 წ.— სიდვ., II, 189, 190; 1654 წ.— სიდვ. II, 195.

²⁷ 1633 წ. საბუთში — სიდვ., II, 23; 1636 წ.— სიდვ., II, 24; 1636 — 1651 წწ. საბუთებში.,

²⁸ ქართულ - სპარსული საბუთები, I, № 101; № 102.

²⁹ იქვე, № 104.

³⁰ 1658 წლის საბუთში — სიდვ., II, 104.

³¹ სიდვ., II, 189 და სხვ.

როსტომის თავის მემკვიდრედ არ გაუხდია. მემკვიდრედ მან აირჩია ლუარსაბ I-ის შვილიშვილი ლუარსაბი. ლუარსაბი მან 1642 წელს იშვილა ლუარსაბი როგორც როსტომის პირმშო ქე, საბუთების სიგლის თავში პირველად³² 1645 წლის 20 ივნისის საბუთში იხსენიება. „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და ძეთა ჩვენთა პატრონმა ლუარსაბ“³³.

ოტია ბატონიშვილი 1645 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა³⁴, თუმცა როსტომი ოტიას ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „თავისითვის შვილად ზრდიდა“³⁴, მაგრამ იგი თავის მემკვიდრედ ქართლის სამეფო ტახტზე არ გამოუცხადებია, რადგან მომდევნო მეფის დაყენება თუ მისთვის მემკვიდრის დანიშვნა, ეტყობა ამ დროს ირანის შაპის ფუნქციებში შედიოდა. ეს გარემოება კარგად აისახა როსტომის დოკუმენტების სიგლის თავში. არსად იქ ოტია ნახსენები არ არის, სამაგიეროდ ლუარსაბ, როგორც შაპისაგან მემკვიდრედ გამოგზავნილი ბატონიშვილი 1645—1652 წწ. ყველა საბუთში იხსენიება როსტომისა და მარიამის შემდეგ. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ“³⁵. ასეთია როსტომის სახელდების შემცველი ფორმულარი 1645—1652 წლებში.

1652 წლის შემოდგომაზე ლუარსაბი ნადირობის დროს მოიკლა. როსტომი კვლავ უმემკვიდრეო შეიწნა. 1652 წლის ბოლოს და 1653 წელს დადებულ საბუთების სიგლის თავში ქველებურად მხოლოდ როსტომი და მარიამი იხსენიებიან: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ... მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმან პატრონმან ვახტანგ“³⁶.

1653 წელს როსტომის მემკვიდრედ ვახტანგ, თეიმურაზ მუხრანბატონის შვილი შეირჩიეს. ეს გარემოება უკვე აისახა 1654 წლის მარტის სიგელში. ამ საბუთის სიგლის თავი ასეთია: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმან პატრონმან ვახტანგ“³⁷.

1654 წელს ვახტანგი ირანს გაემგზავრა, რათა შაპს ის ტახტის მემკვიდრედ, მომავალ კელმწიფედ დაემტკიცებინა. ვახტანგმა ირანს წელიწადზე მეტ ხანს დაკყო. ამ ხნის განმავლობაში როსტომისაგან გაცემულ საბუთებში ან სრულიად აღარ იხსენიება „პირმშო და სასურველი ქე ვახტანგ“³⁸, ან კიდევ

³² ქართულ-სპარსული საბუთები, I, № 85. დოკ. თბ. ისტორიისათვის, № 7. ეს საბუთი ჩვენამდე პირის სახთაა მოღვული (საქ. ც. ა., ფ. 1450. დავთ. 22), შეიძლება სწორედ ამის შედეგია, რომ აქ მოხსენიებული არ არის დედოფალი მარიამ.

³³ თ. უორდ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, II, ტფ., 1897, გვ. 457; საფლავის ქვა, მას როგორც ჩანს, 1646 წ. დადგე. ღვვე, გვ. 460.

³⁴ ფარსადან გორგ იჭანი ძე, ზ. ჭიჭინაძის გამოც., „საქართველოს ცხოვრება“, თბ., 1913, გვ. 309.

³⁵ 1651 წლის VII-ის საბუთი. სიძვ., II, 372.

³⁶ 1652 წლის საბუთი — სიძვ., I, 281.

³⁷ 1653 წლის საბუთი — სიძვ., II, 52.

³⁸ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, № 106.

³⁹ ქართ-სპარს. ისტ. საბ., I. 1655 წ. საბ., № 111; 1656 წ. საბ., — № 113; 1654 წ. VI-ის საბ. — № 109.

ნახსენებია მეფის ქ, სახელის დაუსახელებლივ „ჩვენ... პატრონმან როსტომ, თანამეცხელრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ძემან ჩვენმან ესე ამიერით უკუნისამდე”...³⁹.

1656—1658 წწ. საბუთებში კი ვახტანგი, „პირმშო და სასურველი ქ“ მეფისა კვლავ იყავებს თავის ადგილს⁴⁰, ფარსადან გორგიჭანიძის სიტყვით, როსტომმა ის „ხელმწიფის მამულის სიგელში შეიღლობით დაწერინა“⁴¹.

1658 წლიდან ქართლის ტახტზე ვახტანგ V შავანგაზია. მეფობაში მას ცოლად როსტომის ნაცოლარი მარიამ დედოფალი შერთეს, მემკვიდრეებად კი პირველ ცოლთან როდამ ყაფლანის შეიღლო ნაყოლი ვაჟები დაუმტკიცეს. ვახტანგ V-ის სიგლის თავი ამ მომენტების შემცველია და საერთოდ მისი ტიტულატურა ამ დროისათვის დამკვიდრებულ ტრაფარეტს არა სცილდება: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღოთისათა ჩუენ ღოვ ვარგვინოსანმან მეფეთ მეფებნ კელმწიფემან პატრონმან შავნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან მარიამ და საყვარელთა ქეთა ჩუენთა პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან, პატრონმან ლუარსაბ...“ (1662 წ. საბ., სიძვ., II, 212). განსხვავება ვახტანგ V-ის სიგლის თავში შეინიშნება 1662 წლიდან, როცა მან თავისი უფროსი ვაჟი არჩილი ჭერ იმერეთის მეფედ დასვა, ხოლო 1664 წლიდან კახეთის მეფედ. ამ დროიდან სიგლის თავში მეფის ძეებად იხსენიებიან მხოლოდ გიორგი და ლევანი⁴².

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ V შინაურ საქმეებში უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდა, ვიდრე როსტომი⁴³, ვახტანგის ერთ საბუთში მაინც გამოჩნდა ფორმულარის ის ელემენტი, რომელიც როსტომის დროინდელ საბუთებში საერთოდ არ გვხვდება. ესაა „წყალობითა კელმწიფის შავაზისათა“. 1662 წლის მესტუმრე დონდარასადმი ბოძებულ მამულის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღოთისათა და წყალობითა კელმწიფის შავაზაზისათა, ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონიანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან შავაზაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმა პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმან პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან, პატრონმან ლუარსაბ ესე... წყალობის წიგნი გიბოძეთ“⁴⁴.

გიორგი XI-ის ტიტულატურა და მისი შემადგენელი ნაწილები ერთნაირია და რაიმე გადახვევას არ შეიცავს 1677—1688 წლებში. „ქ. შეწევნითა და წყალობითა ღვთისათა ჩვენ მოწყალის ღვთის მიერ აღმატებულმან და ღვთით დამყარებულმან, ღვთით ოქროსგვირგვინოსანმან საქართველოს კელმწიფემან, მეფეთ-მეფემან პატრონმა გიორგიმ, თანამეცხედრემან ჩვენმან დედო-

³⁹ ქართ.-სპარს. ისტ. საბუთები, I, № 110, № 107 (1654 წ. III); № 103 (1654 წ. V).

⁴⁰ 1656 წ. საბ.-სიძვ., II, 54.

1658 წ. IX-ის საბ.-სიძვ., II, 104.

⁴¹ ფარსადან გორგ აჭანიძე, ჭიჭინაძის გამოც., 330.

⁴² 1664 წ. საბუთი—სიძვ., II, 379; 1669 წლის საბუთი—დოკ. თბ. ისტ., № 21; 1676 წ. საბ.—სიძვ., II, 109.

⁴³ ნარკვევები საქართველოს ისტორიდან, ტ. IV, 348.

⁴⁴ სიძვ., II, 212.

ფალთ-დედოფალმან პატრინმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმა პატრინმან ბაგრატ...“⁴⁵.

1688—1703 წლებში ქართლში კახეთის მეფის ძე ერეკლე ნაზარალინანი მეფობს. ნაზარალინანის მიერ ამ წლებში გაცემულ საბუთებში ტიტულა-ტურა ჩვეულებრივი, სტანდარტული ფორმით არის წარმოდგენილი: „ქ. ნები-თა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ მღთივ აღმატებულმან და მღთივ დამყარე-ბულმან და მღთივ გვირგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრა-ტიონმან მეფეთ-მეფემან და კელმწიფემან პატრინმან ნაზარალინან“⁴⁶. ამ ტი-ტიულატურაში არა ჩანს სახელდობრ რა ჭვეუნის მეფეა ნაზარალინანი.

1692 წლიდან ნაზარალინანის „სიგლის თავში“ შემოდის ახალი ელემენ-ტი „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა შაჰსულიი-მანი ისათა ჩვენ...“ (ქართ.-სპარს. ისტ. საბ., № 150); 1693 წლის ერთ სა-ბუთში ეს ელემენტი უფრო გავრცელებულია „მალალისა და ბედნიერის ხელ-მწიფისა შაპსულამიანისითა...“ (იქვე, № 153); მაგრამ იმავე წლებში გაცემულ სხვა საბუთებში ეს ირანისადმი დაქვემდებარების მაჩვენებელი ელემენტი არა გვხვდება.

1699 წლის საბუთში ნაზარალინანი იმატებს კიდევ ერთ ეპიტეტს — „სა-ქართველოს ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმან...“ (ქართ.-სპარს. ისტ. საბ., № 164); 1793 წელს — „ერანის ყულარალსმან“.

1703 წლიდან ქართლის სამეფოში ახალი სიტუაცია დამყარდა. ერანს გაწვეული მეფის ნაცვლად ჭვეყანას განავებს მეფის ჯანიშინი — მოადგილე გიორგი XI-ის ძმა ლევანი, მაჰმადიანობაში შაჰკული ხანად სახელდებული. ლევან შაჰკულისანის სახელით გაცემული საბუთების „სიგლის თავში“ მთე-ლი იმდროინდელი ვითარება და მფლობელ-მქონებელთა ურთიერთდამოკი-დებულების სურათია ასახული.

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა დიდი კელ-მ წიფი ისათა ჩვენ, სრულიად ერანის სპასალარისა, ქირმანის ბეგლარბეგისა და საქართველოს ვალის⁴⁷ მაგიერად მყოფმან ერანის მდივანბეგმან და სა-ქართველოს ვალი შინ ნები პატრინმან შაჰკული ხან და ძემან ჩვენმან პატრინმან ქანიხოსრომ, პატრინმან ვახტანგ, იასემ, სვიმონ და თაიმუ-რაზ ესე წყალობითს წიგნი...“⁴⁸ 1704 წლის საბუთებში კი გამოთქმა „წყა-ლობითა ღილის კელმწიფისათა“ — ამოღებულია⁴⁹.

გიორგი XI-ის შემდეგი ჯანიშინი, მისი ძმის ლევანის ვაჟი ვახტანგი თა-ვის ჯანიშინობაში გაცემულ საბუთების „სიგლისთავში“ უეჭველად ურთავს გამოთქმას „წყალობითა დიდი კელმ წიფი ისათა“ ეს გამოთქმა აქ რეალური ვითარების აღმნიშვნელია. ვახტანგ ჯანიშინის სიგლის თავი მთლიანად ასეთი ფორმისაა: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობი-თა ღილის კელმწიფისათა ჩვენ, პირველიდგანვე ზეცით საქონის მეფედ გან-

⁴⁵ სიძვ., II, 18, 75, 84, 112, 120. განსხვავება მხოლოდ თანამეცხდრის სახელშია. 1685 წელს (დაახლოებით) გიორგიმ მეორედ იქორწინა ხორეშანზე და ამიერიდან ხორეშანი ფიგუ-რის სიგელის თავში.

⁴⁶ 1688—1701 წწ. საბუთებში სიძვ., II, 197; I, 54, 369; II, 82, 86, 90; 310, 134, 137; 140; 220; 387; 397. განსხვავება მათ ხორის ოჯახის შევრთა დასახელებაშია. 1696 წლამდე ნაზარალინანი ასახელებს დედას დედოფალთდედოფალს ელენეს და ძეებს იმამყულის, კონსტან-ტინეს, ისლამირზას. 1696 წლიდან კი თანამეცხდრე ანას და ძეებს.

⁴⁷ ამ ტიტულების მატარებლად იგულისხმება გიორგი XI.

⁴⁸ სიძვ., II, 225.

⁴⁹ სიძვ., I, 60; II, 167, 168.

კუთვნილისა და აწ სასურველ ცათა შინა სულ ბრწყინვალედ მანათობელისა, კურთხეულმცარს, მეფეთმეფის პირველ ვახტანგ ქმობილისა და შემდგრძნად შავნავაზ სახელდებულისა ძისა მისისა ქართველთა მეფისა სრულმადგრძნელის სპასალარისა, ყანდარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშების და კილა-თის მცირავისა, პირველ გიორგი მეფედ წოდებულისა და აწ სპარსთა ენითა შეორედ შავნავაზიმბით სახელგამფენილისა მაგირად მყოფმან ქმისწულმან მისმან და ძემან ერანის მღივანბეგის ლევან ყოფილის პატრიონის შაჟული-ხანისამან საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან ვახტანგ ესე...⁵⁰

ამ გაერცობილი ტიტულატურის გვერდით ვახტანგი ჭანიშვილისაში ხმა-
რობს მარტივ სახელწოდებასაც — „ქ. ჩვენ საქართველოს ჭანიშვილმან, ბატო-
ნიშვილმან პატრიონმან ვახტანგ“ (სიძვ., II, 208, 206).

1709 წელს გიორგი XI გარდაიცვალა. ქართლის მეფედ 1709—11 წლებში ვახტანგის ძმა ქაიხოსროა, რომელიც 1711 წ. გარდაიცვალა. ამის შემდეგ ქართლის ტახტზე ერთხანს არავინ იყო დამტკიცებული. 1614 წ. ისე — ვახტანგის მეორე ძმა გამოიგზავნა მეფედ. მანამდე კი 1712 წლის ღოკუმენტებში ვახტანგი იწოდება „ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა, ჩვენ საქართველოს მქონე ბეჭედისა და გამოიგზავნა მეფედ. ჩვენმან ბატონიშვილმან პატრიონმან ვახტანგ და თანამეცხედრებან ჩვენმან ჩერქეზის ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრიონმან რუსულ დან და პირმშომან და სასურველმან ქემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ბატონმან ბატონმან“ (სიძვ., I, 135). ამ საბუთით ვახტანგი საქართველოს მქონებლის ტიტულითა შემკული. იმავე 1712 წლის მეორე საბუთში ეს ტიტული უფრო გავრცელებილი და გაბედული ფორმითაა მოცემული „საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან ბატონიშვილმან პატრიონმან ვახტანგ“ (საქ. სიძვ., II, 203) და მხოლოდ იმავე წლის მესამე საბუთში ვახტანგი თავისთავს უწოდებს „ღვთით ზეცით გვირგვინოსანს საქართველოს ტახტისა და სახელმწიფოს მპყრობელ-მქონებელს ბატონიშვილს პატრიონს ვახტანგს“ (საქ. სიძვ., II, 403). „ზეცით გვირგვინოსანი“-ს ტიტული კი შეიიცერა ვახტანგმა, მაგრამ მაინც მეფეთა მეფის ტიტულის სმარება ვერ გაბედა და „საქართველოს მპყრობელ-მქონებელი ბატონიშვილის“ ამარა დარჩა.

1719 წელს ვახტანგი მეფედ იქნა გამოგზავნილი ირანიდან საქართველოში. ამ დღიდან ვახტანგის ტიტულატურა ჩვეულებრივი დადგენილი ტრადიციით არის მოცემული: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღვიმესა ჩვენ მღვიმე აღმატებულმან და მღვიმე დამყარებულმან მღვიმე ცხებით გვირგვინოსანმან იყიდია დავითიან სოლომონიან პატრიარქონმან, მღვიმე სრულიად საქართველოს მტკიცედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან და ოვით კელმწიფემან პატრიონმან ვაჟ ტანგ და ოანმეცხდლემან ჩვენმან დედოფალ-დედოფალმან პატრიონმან რუსულან, პირმშომან და სასურველმან ძემან. ჩვენმან პატრიონმან ბაქარ და პატრიონმა გიორგი იმ ესე...“⁵¹.

1744 წელს ქართლის ტახტზე ქრისტიანული წესით ნაკურათხი დაჭდა. ეს მომენტი შესაფერისად აისახა ქართლის მეფის ტიტულატურაში: თეიმურაზ II-ის ქართლის მეფის ტიტული ასეთი ფორმმულარებით შედგება: „ქ. წყალობითა ლისათა, ჩვენ ლეთივ აღმატებულმან და ლეთივ დაწყარებულ-

50 1708 შლის საბ. ისტორიული საბუთები, V, 18. აქევეა 1705 შ. საბ.— ისტ. საბ., V, 7;
1710 შლის საბ. — მიზან-სპარს. საბ.. I. № 177.

51 1720 წ. საბუთი. სიგვ., I, 215; ასევე 1720 წ. საბ. სოც., II, № 30: 1722 წ. სიგვ.. II, 283; 1723 წ.—სიგვ.. II, 269, 267.

მან, ლვთივ ცხებით გვირგვინოსანმან, იესეიან დავითიან
სოლომონიან ბაგრატიონმან, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრო-
ბელ-მქონებელმან მეფემან კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზი...”⁵² ეს „სიგ-
ლის თავი“ წინამორბედ მეფეთა „სიგლის თავისაგან“ იმით განსხვავდება, რომ
აქ ხაზგასმულია ცხებით გვირგვინოსანმან ბ. თუ აღრე მეფე მარ-
ტივად „ლვთივ გვირგვინოსანმა“ იწოდებოდა, თეიმურაზ II „ცხებით გვირ-
გვინოსანმა“ არის სახელდებული. ამ გამოთქმით ნაჩვენებია ამ მეფის მცხეთა-
ში მირონის ცხებით კურთხევა. ამავე ტიტულატურაში საინტერესო და გან-
სხვავებულია მეფის საპატრონო ტერიტორიის კონკრეტული მოხაზვა — ქართ-
ლისა და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელი.

ერეკლე II-ის საბუთებში ერეკლე წოდებულია „საქართველოს მეფედ
ცხებულის, პატრონის თეიმურაზის ძედ⁵³, ან „ცხებულის მეფის თეიმურაზის ძედ.⁵⁴

„სიგლის თავში“ მეფის, მისი თანამეცხედრის და შვილების მოხსენიებას
თავისი წესი ჰქონდა. შვილები ჩამოითვლებოდნენ უფროს-უმცროსობის რიგ-
ზე, პირველად იხსენიებოდა „პირმშო და სასურველი ძე“, რომელიც ტახტის
მემკვიდრედ იყო ნაგულისხმევი. ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ ვახტანგ V-ის
საბუთებში თავდაპირველად შვილებს შორის პირველი აღგილი არჩილს ეჭი-
რა, მაგრამ როცა არჩილი იმერეთსა და შემდეგ კახეთში გამეფეს, მისი აღ-
გილი მისმა მომდევნო ძმამ — გიორგიმ დაიჭირა. საბუთში პირველად მოხსე-
ნიება შვილისა შემდგომში, მამის სიკვდილის შემდეგ, მის გამეფებას გული-
სხმობს.

თეიმურაზ II-ის საბუთები ამ მხრივ საინტერესო დასკვნების გამოტანის
საშუალებას იძლევიან. რამდენადაც 1744 წელს — თეიმურაზის ქართლის მე-
ფედ კურთხევისას — მისი ვაჟი — ერეკლე კახეთის მეფედ აკურთხეს, ერეკლე
ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ვეღარ ჩაითვლებოდა. თეიმურაზის
საბუთების „სიგლის თავის“ შესწავლით ცხადი ხდება, რომ თეიმურაზს თა-
ვის მემკვიდრედ ქართლის ტახტზე ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი ვახტანგი
ჰყოლია ნაგულისხმევი. „... მეფემან კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და
თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანახანუმ,
პირმშომან და სასურველმან ძის ძემან ჩვენმან პატრონმან ბატონიშვილმა
ვახტანგი...“⁵⁵ ვკითხულობთ თეიმურაზის სახელით გაცემულ საბუთებში. ამას-
თან ზოგჯერ ეს ბატონიშვილი სახელდებულია როგორც „ორივეს საქართვე-
ლოს უფლისწული“⁵⁶.

ამავე ხანის (იმ დროის, როცა ერეკლე კახეთის მეფე) ერეკლეს საბუ-
თებში ვახტანგი სახელდებულია როგორც „პირმშო და საყვარელი ძე ჩვენი,
ორთავე საქართველოს უფლისწული არაგვის მპყრობელი-მქონებელი პატ-
რონი ვახტანგ“⁵⁷. თვით ერეკლე II კახეთის მეფობაში შემცულია ტიტულით
„კახეთ მპყრობელ-მქონებელმან მეფემან ირაკლიმ“ (დოკ. სოც. ისტ., II, № 79).

თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, როცა ერეკლე ქართლ-კახეთის მე-

⁵² 1749 წლის საბ., სიძვ., I, 217; ასევე 1750 წლის საბუთში — დოკ. თბ., ისტორიისათვის № 182; 1753 — 68 წ. საბუთები — დოკ. თბ. ისტ., № 214, 222, 231.

⁵³ 1758 წ. საბ. სოც., II, № 79.

⁵⁴ 1780 წ. საბ. — სიძვ., II, 461 და მრავალი.

⁵⁵ სიძვ., I, 217, (1749 წ. VIII საბ.) დოკ. თბ. ისტ., № 214, 222 № 231.

⁵⁶ სიძვ., I, 189, (1756 წ.) ორივე საქართველო გულისხმობს ქართლს და კახეთს.

⁵⁷ სოც., II, № 79. (1758 წ.).

ფედ იქცა, მან შესაფერისი ტიტულიც დაიმკვიდრა: „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პატრიატოანმან, ორთავე სრულიად საქართველოს და ყაზახთველოს და ყაზახ-ბორ ჩალოს მპყრობელ-მქონებელმან პატრიონმან მეფემან მეორემან ირაკლიმ...“ (სიძვ., I, 4.1768 წ.). შემდეგში ეს ტიტული უფრო დაიხვეშა — „მეფე საქართველოსა, ქართლისა, ქახეთისა, ყაზახისა, ბორისალოსა, და შამშადილოს მპყრობელ-მქონებელი“ (სიძვ., II, 461, 1780 წ.).

ერეკლე II თავის „სიგლის თავში“ ასახელებს ყველა თავის ვაჟიშვილს და მათ შვილებს. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ „პირმშო და სასურველი ძის“ ეპითეტი გადმოდის გიორგიზე. თუმცა ის პირმშო არ იყო, მაგრამ ამ ეპითეტით მისი ტახტის მემკვიდრეობა გამოიხატებოდა. „... პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან გიორგი, იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე და ფარნაგაზ და ძის ძეთა ჩვენთა დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, გაბრიელ და ლეონ“⁵⁸. შემდეგ ამათ ემატებათ „ილია, ლეონ და ლუარსაბ“⁵⁹.

ამვე ტრადიციას აგრძელებენ გიორგი XIII-ის საბუთები. იქ მეფე ასეთი ტიტულითა მოხსენიებული: „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონმან ძემან მეფის მეორის ირაკლისამან, მეფემან სრულიად ქართლისა, ქახეთისა და სხვათამან, მეათცამეტემან გიორგიმ“... ხოლო შვილების დასახელებისას დავითი, მისი უფროსი ვაჟი, სახელდებულია როგორც „პირმშო და სასურველი ძე ჩვენი, საქართველოს უფლისწული და მემკვიდრე პატრიონი დავით“⁶⁰.

კახეთის მიუთა ტიტულათურა

კახეთის სამეფო საბუთები XVI ს-ში ხასიათდებიან გრძელი ე. წ. ღვთის-მეტკველური შესავლით. ეს განსაკუთრებით ითქმის ლევან კახთა მეფის (1520—1574) და ალექსანდრე II-ის (1574—1605) საბუთებზე⁶¹.

ლევან კახთა მეფის საბუთებში გვხვდება მოკლე და გავრცელებული intitutio. გავრცელებილი ტიტულატურა გაერთიანებულ საქართველოს მეფეთა ტიტულატურის ბრძან გადმოღებას წარმოადგენს, იგი ტრაფარეტად ქცეულ გამოთქმებს შეიცავს და რეალური ვითარების გამომხატველი სრულიადაც არ არის:

„იესე-დავითიან, სოლომონ ბაგრატონიანმან ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხთა, შარვანშე და შანშე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა კედართა თვით ფლობით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან პატრიონმან ლეონ, თანამეცხელენმან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრიონმან თინათინ და ძეთა ჩვენთა პატრიონმან გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელმირზა“⁶².

⁵⁸ 1789 წ. საბ. ძარ. საბ., V, 108.

⁵⁹ 1793 წ. საბ. სიძვ., II, 506.

⁶⁰ 1800 წ. საბ.— სიძვ., II, 507.

⁶¹ მასთან დაკავშირებით არ გვეჩვენება სწორი ს. ს. ვაკაბაძის დაკვირვება. რომ «ко второй половине XVII в. и с начала XVIII в. восточногрузинские документы упрощаются и, как правило, уже не содержат введения и заключения богословского характера». Грузинских документов института народов Азин, М., 1967. გვ. 23. XVIII საუკუნის ნახულობის წიგნებით თბილისიდან ამ აზრის საწინააღმდეგო მასალას წარმოადგენს.

⁶² 1537 წ. შეუტულობის წიგნი ლევან მეფისა მცხოვრილი. ძარ. საბ., II, გვ. 34.

არის საბუთები, სადაც იგივე ლეონ მეფე მოქლე და ამჯერად რეალური ვითარების ამსახველი ტიტულით არის შემცული: „ქ. ჩვენ ღვთით გვირგვინ-ნოსანმან მეფეთ-მეფის გიორგის ძემან მეფემან პატრონმა ლეონ და შეფა-ჩუენთა პატრონთა გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელმირზა და დავით...“⁶³.

კახეთის მეფეთა ტიტულატურა XVII ს-ს მანძილზე რჩება ადრე გამომუშავებული ტრაფარეტის ფარგლებში: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღისათა ჩვენ მღითვ გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმან თეიმურაზ“⁶⁴.

XVIII ს-დან დავით II იმამყულიხანის საბუთში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ჩვენ ზეცით გვირგვინოსანმან, იესეან დავითიან სოლომონიან პანკრატიონან ტომმან და რტომან, მეფეთ-მეფემან და თვით ქელმწიფემან პატრონმან იმამყულიხან და დედამან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანამ, სასურველმან ძმამან ჩვენმან პატრონმან მამადყულიმ და პატრონმან თეიმურაზ“⁶⁵. იმამყულიხანის ზოგ საბუთში ჩამატებულია „დიდისა და ცათა სწორის ერანის ჰელმწიფის შვილურად გაზრდილმან და მისგანვე გაქემწიფებულმან...“⁶⁶ ამ ელემენტით ხაზგასმულია ის მომენტი, თუ რა საშუალებით, რა მიზეზით მეფობს იმამყულიხანი — ერანის შაკის მიერაა გახელმწიფებული. მაგრამ უფრო მოგვიანო საბუთებში ამ მეფის ტატულატურაში ჩნდება ისეთი ელემენტები, რომლებიც იმამყულიხანის სხვა პრეტეზიებსაც შეიიცავენ: „ქართლის უფლისწულმან და თვით კახეთის მპყრობებულმან მეფეთ-მეფემან ბატონმან დავით იმამყულიხან“⁶⁷ — ერეკლენაზარალიხანის ქართლში მეფობა მის შვილს იმამყულიხანს „ქართლის უფლისწულობას“ ანიჭებს — აქედან უკვე გამოსცვივის მისი პრეტეზია ქართლში გამეფების უფლებაზე.

ამავე დროს იმამყულიხანის ტიტულატურაში ჩნდება დაკონკრეტება იმისა, თუ სახელდობრ რისი მეფე იყო იგი: „ქართველთა და კახთა მეფემან, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგმან, შამშაღინოსა და ყაზახის მპყრობებულმან...“⁶⁸.

იმერეთის მეფეთა ტიტულატურა

იმერეთის მეფეთა ტიტულატურა მეტწილად არ გამოხატავს რეალურ ვითარებას.

იმერეთის მეფე გიორგი (1570 წელს) ასეთი ტიტულითაა შემცული: „ქ. სახელითა ლოისათა, ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა — ლიხთ-იმერისა და ლიხთამერისა თვითფლობით მტკიცედ მპყრობებულმან, თვით აღმატებულმან და ლვთივ დამყარებულმან, ჩვენ, ლვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსულან, ძემან ჩვენმან პირმშომან პატრონმან ბაგრატ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ... (წულუკიძეს...)“⁶⁹.

„ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა — ლიხთიმერისა და ლიხთამერისა

⁶³ 1553 წ. შეურულების შიგნი ლევან მეფის, ნინოშმინდისაღმი. საისტ. საქ., III, 63. აქ ერთგვარი შეცდომა — ლეონი იყო მეფე გიორგის ძის ძე და მას ძე.

⁶⁴ სიძვ., I, 208 (1626 წ.).

⁶⁵ ქართ-სპარს. სპ. სპ., I, № 171 (1703 წ.).

⁶⁶ იქვე, № 173 (1704 წ.), № 175 (1708 წ.).

⁶⁷ იქვე, № 179 (1720 წ.).

⁶⁸ იქვე, № 180 (1724 წ.).

⁶⁹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. ჭ. I; გამოსცა ჭ. ბურჯანაძე. თბ., 1959, № 4.

მპყრობელის” ტიტულით მოიხსენება იმერეთის თითქმის ყველა შეფე XVII—XVIII სს-ში, თუმცა არც ერთ მათგანს ამის რეალური საფუძვლი არა ჰქონია. მდივანში გნობართა შეცდომების შედეგად ზოგჯერ ლიხთომერებს კუცულად გვხვდება ლიხტამერი და ლიხტიმერი (ასეთად მოიხსენება მაგრა არჩებილია 1661 წ.)⁷⁰.

XVIII ს-ში იმერთა შეფე აღექსანდრე თავის ტიტულატურას ურთავს კიდევ ახალ ელემენტს — „ძლიერმან და თვით არვისაგან ძლეულმან“⁷¹.

სოლომონ I-ის საბუთებში ვხვდებით მოკლე ტიტულატურას — „ჩვენ, მეფემან სრულიად იმერეთისამან“⁷² და გვირცობილს — „ქ. ნებითა და შეწევნითა რთისათა, ჩვენ ღვთივ ზეცით კურთხევით გვირგვინოსანმან, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიანმან მეფეთ-მეფემან პატრონმა სოლომონ“⁷³. ზოგჯერ ესევე მეფე დამატებით მოიხსენება როგორც „სრულიად საიმერეთოს მპყრობელი, დიდად სახელოვანი მეფეთ-მეფე სოლომონი“⁷⁴.

XI—XIV სს. სამეფო სიგელების დასაწყის ნაწილში ვხვდებით მარტივად ღვთის ხსენებას (ქ. სახელითა ღმრთისათა). XV ს-დან კი „ღვთისმეტყველური შესავალი“ შედარებით იზრდება (აღექსანდრე დიდის 1413, 1419 წ. საბუთები).

ერთდროულად არსებობს სამეფო სიგელების მოკლე და ვრცელი შესავალი. სიგელებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვრცელი „ღვთისმეტყველური შესავალი“ უკეთდებოდა ეკლესიისადმი მიცემულ საბუთებს, კერძო პირთადმი გაცემული საბუთების შესავალი კი მოკლე იყო.

ღვთისა და წმინდანთა ხსენებას თავისი რიგი აქვს: ღმერთი, სამება, ღვთისმშობელი; ჭუარი; შემდეგ წმინდანები მიქელ და გაბრიელ, იოანე ნათლისმცემელი, მოციქულები, 365 წმ. გიორგი, „ყოველი წმინდანი ღთისათა, რომელი სათნო ეყვნის იესო ქრისტესა“ (ზოგჯერ გვხვდება ამათი დასახელება). წმინდანთა ჩამოთვლა სამეფო საბუთებში (განსაკ. კახეთის საბუთებში) მთავრდება სიტყვებით „ამათ ყოველთა ცვა-ფარვათა მინდობილმან“.

„ღვთისმეტყველური შესავალი“ უკეთდება კერძო პირთაგან გაცემულ საბუთსაც — განსაკუთრებით ნასყიდობის წიგნებს (თბილისურს მაგ).

აღექსანდრე I-დან მოკიდებული მეფის ოჯახის წევრთა ხსენება საბოლოოდ იყიდებს ფეხს. ასეა ეს XV—XVIII სს. საბუთებში. მაგრამ პარალელურად არის მხოლოდ მეფის სახელით გაცემული საბუთები. XV ს-ში (და ზოგჯერ შემდეგშიაც) ეკლესიისადმი მიცემული საბუთები მხოლოდ მეფის სახელითა შედგენილი: კერძო პირთადმი კი — მეფე-დედოფლის და ბატონიშვილის სახელით.

მხოლოდ მეფის სახელითა გაცემული საბუთთა გარკვეული სახეობანი — ბრძანება, ოქმი.

კერძო პირთა საბუთები კი XVI—XVII სს-ში გაიცემა ოჯახის მამაკაცი წევრების სახელით.

⁷⁰ იქვე, 23.

⁷¹ იქვე, 76.

⁷² იქვე, № 114.

⁷³ იქვე, № 118.

⁷⁴ სოც., II, № 441.



М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

ВСТУПИТЕЛЬНАЯ ЧАСТЬ ЦАРСКИХ ГРАМОТ XVI—XVIII вв.

Резюме

Документ является частью каждой дневной жизни человека, поэтому он не может не отображать все те изменения, которые имели место в политической, социальной и экономической сферах страны.

Каждый вид документов составлялся по определенной форме, которая до конца XVIII века в основном оставалась одинаковой. Менялись некоторые составные элементы, но последовательность этих элементов оставалась прежней. Это наиболее ярко сказалось на царских жалованных грамотах.

Вступительная часть царских жалованных грамот состоит из 4-х разделов, из коих особенно интересен т. н. *titulatio*. В нем с учетом изменений в политическом положении страны (раздел Грузии на отдельные царства и княжества, господство иноземных захватчиков) появляются новые элементы. В XVI—XVIII вв. в титулатуре царя выявляются два момента: титулатура выражена ставшими уже трафаретом традиционными формулами (времен кульминации могущества царей объединенной Грузии) или же она отображает реальную действительность.

С XV в., с времен Александра I (1412—1443) в царских жалованных грамотах становится обязательным наименование царицы и царевичей; царевичи перечисляются по старшинству, а наследник престола именуется как «первенец и желанный сын наш», если даже он на деле не являлся перворожденным.

თინა მუზემი

„ქართლის ცხოვრების“ თემურაზისეული ნუაზის
რამდენიმ აღგილის შევსების თარიღისა და
შემვსების ვინაობის საკითხისათვის

„ქართლის ცხოვრების“ თემურაზი ბატონიშვილისეული ხელნაწერი და-
ცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში
შიფრით M—13. იგი ნაწერია ჭვირნიშნის მქონე ქაღალდზე, ნუსხურით. უთა-
რილო. ხელნაწერში არ არის მითითებული გადამწერის ვინაობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით მარი
ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“. ამ გამოცემას „ქართლის
ცხოვრების“ რუმიანცევისეულ და ფალავანდიშვილისეულ ხელნაწერებთან
ერთად საფუძვლად უდევს თემურაზისეული ნუსხაც¹. იგი გამოყენებული
აქვს პროფ. სიმონ ყაუხეჩიშვილს თავის გამოცემაში² — „ქართლის ცხოვრე-
ბა“. ამას გარდა ხელნაწერი დაწვრილებით აქვთ შესწავლილი ე. თაყაიშვილს³,
რ. ორბელს⁴ და ქ. გრიგოლიას⁵:

„ქართლის ცხოვრების“ თემურაზისეულ ხელნაწერში დაწერილობის
ორი სხვადასხვა ხელი შეიმჩნევა: ლამაზი, გარკვეული ნუსხურით დაწერილია
ტექსტის ძირითადი ნაწილი, ხოლო მეორე — წვრილი, არამდგრადი, ულამა-
ზო ნუსხურითაა ნაწერი, გამორჩეული მოხაზულობის „დ“-ონით და „ქ“-ანით,
„ტ“-არისა, „ც“-ანისა და „ხ“-არის მომრგვალებული ფეხით. ეს ორივე ხელი
საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

არაძირითადი ხელით შეესტულია ხელნაწერის 4rv, 8v—9v და 99r—
102v. ეს ფურცლები განსხვავებულია ხელნაწერის ძირითადი ქაღალდისაგან
და მასზე საქმაოდ გვიანდელი ჩანს. დედნისეული ფურცლები (4,9) ხელნაწე-
რის აკინძვის შემდეგ ამოვარდნილა და დაკარგულა. მისი ტექსტი ნუსხის
მოგვიანო ხანის შემვსებს სხვა ხელნაწერიდან აღუდგენია და თავის ადგილას
ჩაუწებებია. 4rv-ზე მოთავსებული ტექსტი მიჯრითაა ნაწერი და იწყება

¹ ქართლის ცხოვრება, დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუნემდეს, გამოცემული ლვაშლი-
თა უ. ბროსე, ნაწილი პირველი. სანქტ-პეტერბურღი, 1849.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ჭველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.
ყაუხეჩიშვილის მიერ. ტ. II, 1955, ტ. II, 1959.

³ Е. Такайшвили. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. I, Тифлис, 1906, гл. 47—114.

⁴ Р. Р. Орбели. Грузинские рукописи Института Востоковедения, выпуск I, 1956, М.—Л., гл. 15.

⁵ ქ. გრიგოლია. ახალ ქართლის ცხოვრება, 1954, гл. 155.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI-ისეული წინასიტყვაობით: „პატიოსაწინო და დიდებულნო ქართველნო...“ და გრძელდება 5 გვერდამდის⁶ 8v—9v ზე მოთავსებული ტექსტი იწყება: „ხ(ოლო) ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა...“ და თავდება ასე: „და პოვნა ციხე-ქალაქი ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა,... და დედა-ციხე სამშვილდე⁷. იმავე საცავში, სადაც თეიმურაზისეული ნუსხაა დაცული, შიფრით E 56 მივაკვლიერ⁸ ამ ტექსტის დედნისეულ ფრაგმენტს. იგი ოღწერილი აქვს რუსულან ორბელს⁹. შეიცავს 1 ფურცელს, ტექსტი იწყება: „ხ(ოლო) ევრის წყალს ქვემოთ დარჩება ბერძენთა...“ და თავდება: „მაშინ ნ(ა)ბუქოდორნოს(ა)რრ მეფემ(ა)ნ წ(ა)რმოტყვენა...“¹⁰ ამ ფრაგმენტის დედნისეული ტექსტის მოცულობა მიგვანიშნებს, რომ თეიმურაზისეული ნუსხის დედანს 8v—9v-სთან ორი ფურცელი გლებია.

„ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის 98r—102v-ზე მოთავსებულია ცნობები ცამეტ ასურელ მამათა შესახებ. იგი სხვა ხელითაა დაწერილი დედნისეულისგან განსხვავებულ ქალალზე და მექანიკურად ჩართულია (ისე რომ ჩართვის ადგილას სიტყვა „გარდაიცვალნეს“ გაყოფილია) ფარსმან მეფის ცხოვრებაში.

პირველი მევლევარი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ ხელნაწერის დედნისაგან განსხვავებული ხელით ნაწერ ჩანართებს იყო ექვთიმე თაყაიშვილი. იგი საგანგებოდ ჩერდება 99r—102v მოთავსებულ ტექსტზე, რომლის შესახებაც წერდა: „თეიმურაზისეულ ნუსხაში (98—102 ფფ.) ჩანართი ჩაკერდებული კი არ არის, ჩაწებებულია. მისი გადამწერია ვინმე გიორგი, რომლის შესახებაც ხელნაწერის 99r-ს მარჯვენა კიდეზე ვკითხულობთ: „ღ(მერ)თო შ(ეიწყალ)ე ფ(რია)დ ც(ოდვილ)ი გ(იორგი), რომელმან აღწერა ეს ფურცელი“. აქვე, ბოლოს, რუსულად, სომხურად და შერძნულად მთავრული ასოებით მიწერილია: „გიორგი“, „ΓΙΟΡΓΙ“ „ყჩι-բყჩ“ „γεოργί“. შემდეგ მკვლევარი ცდილობს დაადგინოს ტექსტში ამ ჩანართის შეტანის თარიღი და განაგრძობს: „ჩამატებული ფურცლების ტექსტში არსად არ არის გამოყენებული უ-ბრჯგუ, ამიტომ ეს დამატება უეჭველია, გაკეთებულია XVIII ს. პირველ ნახევარში, უფრო სწორად — ვახტანგის პერიოდში 1724 წლამდე“¹¹. ეს ჩამატებანი შემჩნეული აქვთ რ. ორბელსაც და კ. გრიგოლიასაც. ამ უკანასკნელს თავის მონაგრაფიაში ცალკე თავი აქვს ამ საკითხისადმი მიძღვნილი სათაურით: „ქართლის ცხოვრების ჩანართები“.

თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის ზემომოტანილი ჩანართი ადგილების დროისა და შემვსების ვინაობის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებული აზრი სამეცნიერო ლიტერატურაში არ გამოთქმულა. ამიტომ მისი მოსაზრება, რომ: ცნობები ცამეტ ასურელ მამაზე თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დამატებად შეიტანა ვინმე გიორგიმ

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 3—5, 14.

⁷ იქვე, გვ. 13, 19—18,1.

⁸ როგორც მკვლევარ თამარ ბრეგაძესთან პირად საუბარში გაირკვა, მას „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის ეს ფრაგმენტი ჩვენშე აღდრე შეუნიშნავს.

⁹ P. P. ორბელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 208—215.

¹¹ Е. Тაკაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ვახტანგ VI-ის დროს, უფრო ზუსტად „1724 წლამდე“ — სამეცნიერო ლიტერატურულაში გაზიარებულია.

თეიმურაზისეული ნუსხის ამ ჩანართი ადგილების შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია მოგვიანო ქაღალდმა და ხელმა. ჩვენ შევეცადეთ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დაგვეძებნა ამ სახელის მატარებელი გადმწერი და მისი ხელი პალეოგრაფიული თვალსაზრისით შეგვედარებინა თეიმურაზისეული ნუსხის ჩანართი ტექსტის ხელისათვის. ასეთი ხელნაწერი დაიძებნა. იგი დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში შიფრით M—54 (იმავე ფონდში, სადაც „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა ინახება). ესაა ანტონ I კათალიკოსის გრამატიკა, ნაწერია შერეული ნუსხურ-მხედრული დამწერლობით. ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის საკუთრებაა. ტექსტზე მრავლადაა მფლობელის ავტოგრაფული შენიშვნები. ხელნაწერს ერთვის ანდერძი „ალწერა წიგნი ესე ღრამატიკა ბრძანებისა მათის უმაღლესობისა მეფის ძის თეიმურაზისათა, რომლისა კსენება მრავალუამიერ ჰყოს უ(ფალმა)ნ. კელითა ცოდვილი გ(იორგი) პ(აიჭაძესითა). თუმსა იანვარსა 20-სა, წელსა 1813“. ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ორბელს¹². მასვე საძიებელში აქვს შემდეგი კომენტარი: „პატჭაძე გიორგი — მოსკოვის ქართული სტამბის ასოთამწყობი, ქართული ხელნაწერების გადამწერი“¹³.

პატჭაძის მიერ გადამწერილი ხელნაწერისა და თეიმურაზისეული ნუსხის ჩანართი ადგილების მსგავსების დასადგენად ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, იმდენად დამახასიათებელი ხელით არის ორივე ნაწერი.

„ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხის ჩანართის ანდერძში რუსულ, სომხურ და ბერძნულ ენებზე მთავრული თუ ბეჭდური ასოებით შესრულებული სახელის დართვაც, ვთიქრობთ, ასოთამწყობის სპეციალობიდან გამომდინარეობს.

გარდა ზემომოტანილი ცნობებისა, ჩვენამდე მოლწეული მასალების მიხედვით გიორგი პატჭაძეს დიდად ულვაწია იმერეთში (ქუთაისი) სტამბის მოსაწყობად. იგი 1799 წ. მეფე სოლომონ II-ს სპეციალურად გაუგზავნია მოსკოვში „სტამბის იარაღებისა და შრიფტის“ შესაძენად და 1800 წლისათვის, პირველი წიგნი „დაუბეჭდავს კიდევ“¹⁴. 1805—1808 წლებში იგი მოსკოვის ქართული სტამბის ასოთამწყობად მუშაობს. მას იქ სინოდის წევრის, არქიეპისკოპოსის — ქსნის ერისთავის ვარლამ დავითის ძის დავალებით „სადღესასწაულო“ აუზუვია¹⁵. როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, 1813 წ. იგი უკვე პეტერბურგშია და თეიმურაზ ბატონიშვილს ანტონ კათალიკოსის გრამატიკას უწერს.

„ქართლის ცხოვრების“ რომელი ხელნაწერიდან და როდის უნდა შეევსო გიორგი პატჭაძეს თეიმურაზისეული ნუსხა? ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს შევსება მოხდა რუმიანცევისეული ნუსხიდან 1821 წლამდე. ამ წელს, როგორც ცნობილია, თეიმურაზ ბატონიშვილმა ეს ნუსხა საჩუქრად მიართვა გრაფ ნიკოლოზ პეტრეს ძე რუმიანცევს. ცხადია, ამ თარიღის შემდეგ ეს შევსება ვეღარ მოხდებოდა. ასევე უნდა გამოირიცხოს 1808 წლამდე თეიმურაზისეული ნუს-

¹² P. P. Орбели, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

¹³ იქვე, გვ. 174.

¹⁴ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, 1629—1920 წწ., 1941, გვ. XIII, 77.

¹⁵ იქვე, გვ. 81.

„ქართლის ცხოვრების“ ოეიმურაზის ეული ნუსხის (M—13) ძირითადი ხელი

Reported being of the religious profession, the daughter of a Presbyterian minister
in Jefferson County, Tennessee, reported to the commissioners of State Police as
stated above. A letter from myself to our own agent, commanding him to make a
full search under such circumstances, was filed in the office of the Commissioner of
Police, who, upon examination, made no discovery which would indicate
any criminal intention on the part of the deceased. The girl's mother, sister, brother &
other relatives, however, gave nothing but a general denial of any
evidence of criminal intent on the part of the deceased. The father was reported
as having been a man of good character, and the girl was reported to have been
a girl of good character, and the girl was reported to have been

„ქართლის ცხოვრების“ ოემურაზისეული ნუსხის (M-12) გორგო პატივის ხელით
შესრულებული ტაქტისტის ნიმუში

ხის შეკვების შესაძლებლობაც, რაღაც ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით მისი შემგები გიორგი პაიჭაძი პეტერბურგში 1813 წლამდე არა ჩანს.

ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა შეიცსო თეიმურაზ ბატონიშვილის დავალებით გიორგი პაიჭაძის მიერ 1813—1820-იან წლებში და არა 1724 წლამდე, როგორც ეს აღნიშნული აქვს ექ. თაყაიშვილს და გაზიარებულიცაა სამეცნიერო ლიტერატურაში.



Т. П. ЕНУКИ҆ЗЕ

О ДАТЕ ВОСПОЛНЕНИЯ ТЕЙМУРАЗОВСКОГО СПИСКА «КАРТЛИС ЦХОВРЕБА» И ЛИЧНОСТИ ВОСПОЛНИТЕЛЯ

Резюме

В работе установлено, что в Теймуразовском списке «Картлис цховреба», хранящемся в ЛО ИВАН СССР (шифр М—24), текст на утраченных листах 4rv, 8v—9v восстановлен по Румянцевскому списку, а текст на лл. 99г—102v добавлен из того же списка известным книжником и типографским наборщиком Георгием Пайчадзе в 20-х годах XIX века, а не в первой четверти XVIII в. (до 1724 г.), как это принято в научной литературе.

ლიანა დაცლიანიძე

აბრაამ კრეტაცი და მისი ცხოგაბი საჩართველოს შესახებ

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სომეხ ავტორთა შორის ყურადღებას იმსახურებს აბრაამ კრეტაცი, რომელიც 1734—1737 წლებში ფლობდა სომხეთა საკათალიკოსო ტახტს. მისი ნაწარმოებიც დაწერილი უნდა იყოს ამავე ხანებში, უფრო ზუსტად, 1736—1737 წლებში. მასში ისახულია ორანის სარდლის თამაზ ყული ხანის, ანუ ნადირ ხანის ლაშქრობები ამიერკავკასიაში ოსმალების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ნადირი თვითონ მოემართება აქეთ და პირადად ეცნობა სომხეთა კათალიკოსს. კრეტაცი როგორც თანამედროვე და თვითომხილველი, დაწვრილებით ყვება მის შეუპოვარ ბრძოლებზე, დამოკიდებულებაზე აღგილობრივ მოსახლეობასთან, შაპად „არჩევის“ გარემოებაზე მუღანის ველზე და სხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე, რასაც სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საერთოდ ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის, ასევე საქართველოსათვისაც.

მისი ბიოგრაფიისათვის მცირე ცნობებია შემონახული. დაბადებულია კუნძულ კრეტაზე, ქ. განგში. დაბადების წელი ზუსტად ცნობილი არ არის. 1734 წლამდე სომხეთის გარეთ მოღვაწეობდა სასულიერო ასპარეზზე. ამ დროს იწყებს მოგზაურობას მშობლიურ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ მოინახულოს ეჩმიაძინი ახლომდებარე მონასტრებითურთ. კრეტაცის სომხეთში ყოფნისას გარდაიცვალა კათალიკოსი აბრაამ II ხოშაბეცი, რის გამოც, როგორც თვითონ აღნიშნავს, აღგილობრივმა ოსმალო მმართველებმა აიძულეს დაპატრონებოდა საკათალიკოსო ტახტს.

ამავე ხანებში ორანის სარდალმა ნადირმა, რომელიც ოსმალებთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა, დაიკავა არარატის ველი. ამ მომენტიდან ნადირი ატარებს არამდენადმე შეჩრდილებულ პოლიტიკას სომხეთა კათალიკოსისა და დიდებულების მიმართ, რათა მოიპოვოს მათი მხარდაჭერა ოსმალებთან ბრძოლის დროს. ამ მიზნით ა/კავკასიაში ყოფნისას ხშირად იწვევდა თავისთან აბ. კრეტაცის და ანგარიშს უწევდა მის არაერთ თხოვნას.

ცხოვრების ბოლო თვეები სომხეთა კათალიკოსმა მიუძღვნა თავის ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად დაედო დანახულისა და გაგონილის მიხედვით შედგენილი დღიურები. კრეტაცი გარდაიცვალა 1737 წელს, დაკრძალულია ეჩმიაძინში, შოღაკატის ეკლესიაში.

მისი შრომა პირველად დაიბეჭდა 1796 წელს ქ. კალკუტაში სათაურით: „ისტორია, შედგენილი კათალიკოსის აბრაამ კრეტაცის მიერ“¹. ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული იყო, რომ ეჩმიაძინიდან მოსულ ერთ ვიწმე სომხეს ხელთ

¹ Պատմաբრիნ Աբրահամიւ կարողիկიսի Կրხտაցი, Կაւკაրა, 1796.

ჰელნდა კრეტაცის შრომის ხელნაწერი, საიდანაც ტექსტი გადაუწერაა სასახლე
გის ტერ-ოვანესიანს. ეს ასლი დაედო საფუძვლად კალკუტის გამოცემა.

ნაწარმოები შეირედ დაისტამბა 1870 წელს ვალარშაპარტში საფთაურეოზე: „კათალიკოსის აბრამ კრეტაცის მოთხრობა თავისი თავგადასაცლისა და საფუძვლის სეთის შაპის ნაღირის შესახებ“². მას საფუძვლად დასდებია ამჟამად სომხეთის მატენადარანში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერი (№ 1674). გამომცემლებს გაუწმენდიათ ის ორთოგრაფიული შეცდომებისაგან.

1876 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა კრეტაცის შრომის ფრანგული თარგმანი, შესრულებული მარი ბროსეს მიერ³. თარგმანი თავისუფალია და მხოლოდ აზრის სწორ გაღმოცემას ისახავს მიზნაო.

1969 წელს ირანულმა გამომცემლობა „ვაპიღმა“ თეირანში დაბეჭდა ჩვენი ავტორის შრომის ერთი ნაწილის სპარსული თარგმანი სათაურით: „ნაწყვეტი სამახსოვრო წიგნიდან, შედგენილი სომხეთის უმაღლესი სასულიერო პირის აბრაამ ქათალიკოსისაგან, რომელიც ესწრებოდა ნადირ შაპის კურთხევას მულანის ველზე“⁴. დაბოლოს, 1973 წელს ერევანში გამოქვეყნდა კრიტიკული ტექსტი რუსული თარგმანითურთ შესრულებული ნ. ყორლანიანის მიერ. მთარგმნელს ტექსტის დასადგენად გამოუყენებია მატენადარანში არსებული ყველა ხელნაწერი და საზღვარგარეთის საცავებში არსებული სამი ნუსხის მიკროფილმი. შრომის ავტოგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა, როგორც ყორლანიანი ვარაუდობს, კრიტიკის დაწერილი უნდა იყოს ცალკე აღმოჩენილი X—XXI თავები.

საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ კრეტაცის შრომის სათაურზე. როგორც აღინიშნა, 1870 წლის ვალარშაპატის გამოცემას სათაურად ჰქონდა „მოთხრობა კათალიკოსის აბრაამ კრეტაცისა თავისი თავგადასავლისა და სპარსეთის შავის ნადირის შესახებ“. ეს სათაური არ აღმოჩნდა არც ერთ ხელნაწერში, ამდენად ის უნდა ეკუთვნოდეს თვითონ გამომცემლებს. ზოგი ნუსხა საერთოდ უსათაუროა, ხოლო ზოგიც სხვადასხვა სახელწოდებას შეიცავს. რუსული გამოცემა კრეტაცის შრომს უწოდებს «Повествование»-ს. ნაწარმოების ფორმიდან გამომდინარე ჩვენ მას პირობით „მემუარებს“ ვუწოდებთ.

შრომა დაწერილია ძეველი სომხური ენით — გრაბარით. ამასთანავე უნვად შეინიშნება სპარსულ-თურქული სიტყვები და გამოთქმები. ზოგიერთ თავში კი მთელი დიალოგებია მოტანილი აზერბაიჯანულ ენაზე.

„მემუარები“ მოიცავს მოკლე პერიოდს, კერძოდ, 1734—1737 წლების ამბებს, როდესაც ა/კავკასიაში ოსმალები ბატონობდნენ. საყურადღებო მასალას იძლევა კრეტაცი იმ მნიშვნელოვან ლაშქრობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალებსა და ნაဂირ ხანს შორის 1735 წლის 8 ივნისს ეღვარდის ველზე ერევნის მახლობლად. ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ფაქტიურად ნაგირის შედი ამიერკავკასიაში, რის შედეგადაც ერევნის, განჯის, თბილისისა და ლო-

² Աբրահամ կարողիկոսի Կրետացւոյ Պատմութիւն անցից և Նատք Շանին Պարսից, Վաղարշապատ, 1870.

³ Collection d'historiens Armeniens, II, SPb, 1876.

منتخباتی از باد دامنهای ابراهام کاتو غنی کوس خلینفه اعظم ارمنه، ترجمه^۴
از متن ارمنی بفارسی عبدالحسین سپنتا و استیفان هانانیان تهران ۱۳۴۵^۵

5 Абраам Кретаци. Повествование, Ереван, 1973

რეს ოსმალო მეციხოვნები უბრძოლველად დანებდნენ ირანის ჯარებს. კრეტაცი დაწვრილებით აღწერს თუ რა ხერხით შესძლო ირანის სარდალმა სრული გამარჯვების მოპოვება. აქ მოსალოდნელი იყო ავტორს რამდენიმე კრებული მეხთა რაზების მონაწილეობაზეც ნადირის ჯარში, რადგანაც ა/კავკასიის სამართლები იმდენად შეავიწროვა 1723—1735 წლებში ოსმალთა ბატონობამ, რომ ირანის სარდლის საომარი მოქმედებისას ისინი აშკარად დაუპირისპირდნენ ოსმალ დამპყრობლებს? კრეტაცი მხოლოდ ლაპარაკობს დაჭრილთა შორის სომხების არსებობაზეც.

ნადირი ელვარდიდან მიეშურება ყარსისაქენ და ალყას არტყამს მას. ამა-
ვე დროს მარბიელ რაზმებს გზაენის სხვა ადგილებში. როგორც „მემუარებ-
შია“ ოღნიშნული: წასულებმა მიაღწიეს თეუდოპოლისს, დაიკავეს ნარიმანის
ოლქი, ჯავახეთი, ჩილდირი, ყაიყული, რომლებიც ერთიანად ჩვენი ხალხით
იყო დასახლებული. იქიდან გაირეკეს ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა
და ექვსი თასი სული წაიყვანეს ხორასანს⁹. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობი-
თაც, „თამაზ ხან აჰყარა ყაიყული სრულიად და წარგზავნა ხვარასანს“¹⁰, ასე-
თივე ცნობები მოეპოვება სეხნია ჩხეიძესაც. რაც შეეხება კრეტაცის გაღმო-
ცემსა ამ ადგილებში მთლიანად სომხების სახლობაზე, მისი თანადროული
სხვა წყაროები საპირისპიროს ამბობენ. XVII ს-ის სომხეთი ავტორი ჰაკობ კარ-
ნეცი ლაპარაკობს ნარიმანის ქართულ-სომხურ მოსახლეობაზე¹¹, ვახუშტის მი-
ხედვით ჯავახეთს „კაცი და ქალი მგზავსნი ქართლის გლეხთა... სარწმუ-
ნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულად, არამედ არღარა უვისო მწყემ-
სი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული“
და სხვ.¹²

XVIII ს-ის 70-ანი წლების გერმანელი ავტორის გიულდენშტეტის მახედვითაც სამცხე-ჭავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველებია და რაღვანაც მათ ოურქებმა დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა კერ კიდევ ქრისტიანია. შემდეგ გიულდენშტეტი ჩამოთვლის ახალციხის საფაშოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს: ლივანას, მაჭახელს, ნარიმანს და აღნიშნავს, აյ თოხივე მხრივ დასახლებულია ქართველებით, რომელთა ნაწილი თურქთა ბატონობის გამო გამაპმადიანდაო¹³.

ჭავახეთის მხარეში მასიურად სომხების დამკვიდრება გაცილებით უფრო გვიან დაიწყო. თუმცა საქართველოში სომხური მოსახლეობის არსებობა მოულოდნელი არასოდეს ყოფილა. ბევრმა სომებმა ლტოლვილმა აქ მოიპოვა მეორე სამშობლო. ფეოდალური ქალაქების აუცილებელ კომპონენტს კი სომები გაჭარ-ხელოსნები ყოველთვის შეადგენდნენ¹⁴. ჩოგორუ ზემოთ აღნიშ-

⁶ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 321.

⁸ Аб. Кратапи. Повествование. 32, 62, 206.

⁹ 232, 23, 67, 309.

¹⁰ ဒေသရွှေခြံစွဲ၊ ၁၀၁၀၂။ အလျှောက် စာမျက်နှာတွင် ပုဂ္ဂနိုင်ရေး နှင့် ပါန်လုပ်ငန်း မှတ်တမ်း ဖြစ်ပါသည်။

¹¹ Արմա ծավալներում բարեկարգ է առ 1 առ 555.

— յամի ծասասավագրություններն, այս էլեկտրական բարձրացուցիչը առաջ է գալիք 555-ի վեհականության մեջ:

¹³ 306-783-0. დასახ. ხაზრ. გვ. 515.

215

215. 143 mm 21.5 days 1.2 ml. dry weight 1.075 245

ნეთ, კრეტაცი უცხოეთში დაიბადა და გაიზარდა, ამდენად ცუდად იცნობდა როგორც თავის სამშობლოს, ასევე მის მეზობელ მხარეებს და ჰავაზენდება, უცდომა შეიძლება უნებლიერ იყოს.

იმის შემდეგ, რაც ოსმალებმა უომრად დაუთმეს ნადირს ერევნის ციხე, ჩვენი ავტორის მიხედვით ის ყარსიდან პირდაპირ თბილისისაკენ მოქმაროება. ბრძანების თანახმად თბილისშივე უნდა მოსულიყვნენ ერევნის ხანი, სომებთა კათალიკოსი, მელიქები და აღები. ნადირს ლმობიერება გმოუხატავს მათ მიმართ „სამსახურის გაწევისათვის“ და შეპირებია გადასახადებისაგან სანახვროდ განთავისუფლებას. აქვე მიუცია კათალიკოსისთვის თხეუთმეტი „რაყამი“, რომლებიც საგრძნობ შეღავათებს ითვალისწინებდნენ. როგორც აღნიშნეთ, ვიდრე საბოლოოდ მოიკიდებდა ფეხს ა/კავკასიაში, ის ლმობიერად მოექცა სომხებს, რამაც დროებით გამოაცოცხლა მეურნეობა და შეასვენა ხალხი გამუდმებული ბრძოლებისაგან. მომდევნო ხანებში კი დაიწყო ნადირის ულმობლობისა და ტერორის პოლიტიკის ამოქმედება. მან მძიმედ დახარკა მოელი ქრისტიანი მოსახლეობა, ხოლო ხარის გადაუხდელობის შემთხვევაში სასტიკი სასჯელი დააწესა¹⁵. აბრაამ კრეტაცი, რომელიც 1737 წელს გარდაიცვალა, არ მოსწრებია სომხეთში უკიდურესი გაჭირვების წლებს, წინა შეღავათებმა კი ირანის სარდლის მხრიდან მას ხშირად ათებევინა მაღლიერების სიტყვები, მაგრამ სომხეთა კათალიკოსს ისიც კარგად ესმოდა, რომ ნადირი იყო დესპოტი აღამიანი და კველას შიში იპყრობდა მის წინაშე.

თუმცა კრეტაცი კი ამბობს ნადირი ყარსიდან პირდაპირ თბილისს წავიდაო, მაგრამ, ჩანს, ის ჭერ ერევანში შეჩერებულა. სენია ჩევიძის ცნობით მას ერევანში ეახლნენ „კახი ბატონი თეიმურაზ, ძმისწული მისი ალი-მირზა, კახი და ქართველნი... დაყვეს დღენი სამნი და მისცეს ალი-მირზას ქართლი და კახეთი“¹⁶. მხოლოდ ამის შემდეგ წამოსულა ნადირი თბილისს. აქ მყოფ კრეტაცის, დამატებით სამ დღეს დაუყოვნებია, რათა ეხსნა ხორასანს გასახლებისაგან სამასი სომხის ოჯახი, რომლებმაც სთხოვეს ეშუამდგომლა ნადირხანთან. კათალიკოსს დიდი მცდელობისა და ქრისტიანის გაღების შედეგად დაუტოვებია ისინი თბილისში¹⁷. სხვა სომები ავტორი ჰაյობ შემახეცი, როდესაც ლაპარაკობს ნადირის თბილისში ყოფნაზე, ამბობს, მისი ბრძანებით ხორასანში გაგზავნეს ერევნიდან სამასი ოჯახი, ნახევრნიდან — ორასი და მათთან ერთად ყარსის ტყვევებიც¹⁸. თბილისის სომხებზე მას არაფერი აქვს ნათქვამი, ალბათ იმიტომ, რომ იმხანად ისინი გადაუქჩნენ დატყვევებას. როგორც აღნიშნეთ, ქართული წყაროებიც ადასტურებენ მოსახლეობის მასიურად ირანში გასახლების ცდებს. ნადირის ბრძანებითო, — ამბობს სენია ჩევიძე „წაყვანეს ქართლიდან კომლად რგაასი, ვინ იცის სახლში რამდენი სული იყო... ოკლომბრის 25-ს წავიდა თამაზ-ხან ქალაქიდან კახეთს... აყარა სულ კახეთი... გაგზავნა ხეარასანს“¹⁹. ამრიგად, ქართულ-სომხური წყაროებით ჩანს, რომ ნადირი ისეთივე საშუალებით აპირებდა ამიერკავკასიის საკითხის გადაჭრას, როგორც შაპ-აბასი XVII ს-ში, მაგრამ ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ

¹⁵ М. С. Иванов. Очерки истории Ирана, М., 1952, გვ. 101.

¹⁶ ს. ჩევიძე. ცხოვრება მფეთა, ქართლის ცხოვრება დ. ჩუბინაშვილის გმოც., ს. პეტერბურგი, 1854, გვ. 341.

¹⁷ Аб. Кретаци. Повествование, გვ. 71, 211.

¹⁸ ღ. დავლიანიძე. ჸ. შემახეცის „თამაზ ყული ხანის ლაშქრობები და მისი შაპად არჩევა“, ქართული წყარომცოდნეობა, V, თბ., 1978, გვ. 121.

¹⁹ ს. ჩევიძე. დასხ. ნაშრ., გვ. 341.

თვეგვათ, ჩვენს ხალხს აღმოაჩნდა საქმაო წინააღმდევობის უნარი დამპყრობლის ამ გაბედული გეგმის ჩასაშლელად²⁰. ამ გეგმის წინააღმდევობა აქტიურ მებრძოლთა შორის უნდა იქნას მიჩნეული სომეხთა კათალიკოსი აბრაამ კრეტციც. როდესაც ახასიათებს მას მწერალი და სომეხთა მომდევნო კათალიკოსი სიმეონ ერევანცი, ამბობს: „თუმცა კრეტაცის არაფერი აუშენებია წმინდა ეჩმიაძენში უდროობისა და ავადყყოფობის გამო, მაგრამ სხვებზე მეტი გააკეთა როგორც მონასტრისათვის, ასევე ჩვენი ხალხისათვის და ქვეყნისათვის. არც ერთი მისი სიტყვა არ დარჩენილა უყურადღებოდ მრისხანე (ნაირ ხანის) მხრიდან. თავისი მცდელობით ბევრი დაიხსნა სიკვდილისა და სახრჩობელისაგან. ბევრს თვალის ჩინი შეუნარჩუნა, ურიცხვი ადამიანი ტყვეობისა-გან გაათავისუფლა და მრავალიც ქრისტეს სარწმუნოებას დაუბრუნა“²¹.

ცნობილია, რომ სამხედრო წარმატებებმა ნადირს სამეფო ტახტის დაპატრიონების სურვილი აღუძრა. ამასთანავე უნდოდა ეს აქტი ფორმალურად საყოველთათ თანხმობით აღნიშნულიყო. ამ მიზნით 1736 წლის იანვარში მუღანის ველზე მოიწვია დიდი ყურულთათი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მის სამფლობელოში მყოფი ყველა კუთხის დიდმოხელენი და ცნობილი პირები. ოფიციალური ცნობების თანახმად ყურულთაიში მონაწილეობს იღებდა ასი ათასი კაცი ნადირის პირადი მომსახურე პერსონალის ჩათვლით²². ი. პეტრუშევსკიმ მიმოიხილა ის წყაროები, რომლებიც ასახავენ მუღანის ამბებს და აღნიშნა, რომ აბ. კრეტაცის შრომა სხვა წყაროებთან შედარებით გაცილებით ობიექტურად აღწერს ფაქტებს²³. სომეხთა კათალიკოსი თვითონ მონაწილეობდა ყურულთაიში, როდესაც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს, თუ ვის სად პქონდა ადგილი მიჩენილი ნადირის ბანაკში მიღების დროს, აღნიშნავს: ჩემს ზემოთ საპატიო ადგილი ეკავა „თბილისის ვალის“, რომელიც ბევრ ხანზე უფრო მიღებულიაო. სეფიანთა სახელმწიფოში ვალი იყო გამგე, მმართველი საზღვრისპირა ქვეყნისა, ეს თანამდებობა ითვლებოდა უმაღლეს ფეოდალურ პატივად. ვალიდ იწოდებოდნენ ირანის შაპისაგან დამკიდებულებაში მყოფი ქართველი მეფეებიც გვიანდეოდალურ ხანაში²⁴. XVIII ს-ის დასაწყისისათვის „გურჯისტანის ვალის“ მნიშვნელობა ძალზე დიდი ყოფილა ირანის სახელმწიფოში. ამ დროს ქართლის მეფე, ანუ ვალი, ერთდროულად ირანის მთავარსარდალი, შაპის კარის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავღანეთის მბრძანებელიც იყო²⁵. შემდეგ კრეტაცი იმაზეც მიუთითებს, რომ შაპის შემდეგ მთელს მის სამფლობელოში თბილისის ვალი მეორე კაცი იყო და მხოლოდ მას შეეძლო თავზე ჯილდებულიყო თავის საგამგეო ქვეყანაში. ამ დროს ქართლ-კახეთის ვალიდ ნადირმა დაადგინა ალექსანდრე ანუ ალიმირზა დავით-იმამყული ხანის ძე. კრეტაცი თბილისის ვალის შესახებ ერთ საყურადღებო ცნობასაც იძლევა. კერძოდ, ალექსანდრეს ნადირის ცოლის მმას უწოდებს. ქართული წყაროებიდან ვახუშტის აქვს აღნიშნული: „ნადირ-ხანმა წარმოავლინა განჯირამ კაცი და მოიხვევა ასოთი

²⁰ 6. ବୁର୍ଜେନ୍‌ପାତ୍ର ପାତ୍ରି. ଲାକ୍ଷଣିକ. ବାହୁଦାର, ୧୨, ୧୯୩୮.

²¹ С. Ереванци. Джамбр, М., 1958, 22, 39.

²² Н. В. Пигулевская и др. История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, гл. 319.

23 0130.

²⁴ ପାଇଁ ଏ ତଥୀ ର କ୍ଷ. ପାଦାଳସ୍ତୁଲ-ଫାରଟ୍‌ରୁଲିଂ ଡନ୍‌ଫୁମେର୍‌ଟ୍‌ରେବ୍‌, -ତଥ., 1955, ଲେଖିବିଗନ୍ଧି.

²⁵ საქართველოს ისტორიის ნარ კვევბი, IV, გვ. 403.

²⁶ А. Кретаци. Повествование, 83. 106, .236.

იმამყული ხანისა... და წარუკლინეს ქალი იგი²⁷. ვახუშტი ორჯერ იხსენიებს მას და ორივეჯერ სახელის გარეშე. ეტყობა, ნადირს ის ცოლად შეურთავს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სხვა სომხის ავტორის აბრამშ ერქვან-ცის ცნობაც, რომლის მიხედვით ნადირს 1735 წელს „კახეთის დარღუმულთა მეთაურისათვის“ უთხოვია ქალიშვილი ცოლად... დიდებულთა მეთაურს ერე-განცი „ზორაბს“ უწოდებს, ალბათ, ამ სახელის ქვეშ კახთა მაშინდელი მეფე თემურაზი უნდა ვივარაუდოთ, მით უფრო, რომ ს. ჩხეიძის მოწმობით, სწო-რედ „კახის ბატონის თემურაზისათვის მიეცა დასტური თამაზ ხანს რომ ცო-ლითა და შვილით, კახთ დარბაისლით ქალაქს ჩამოსულ იყო²⁸, მაგრამ თე-მურაზი იმ ჯერად არ დამორჩილდა ნადირის ბრძანებას და ფშავში გაიხიზა. შემდეგ კი, კერძოდ 1737 წელს, მაინც იძულებული გახდა წარევლინა მის-თვის ძე და ასული (ერეკლე და ქეთევანი). როგორც ვახუშტი გვაუწყებს, ამ დროს ნადირმა „ქეთევან მისცა ძმისწულსა თვალსა ალი-ყული-ხანს ცოლად²⁹. ე. ი. იმამყული ხანის ასულის შერთვის შემდეგ აღრე თავისითვის ნავარაუდევი ქეთევანი შემდეგ ძმისწულისათვის შეურთავს ცოლად. შესაძლებელია ამ ნა-თესაურმა კავშირმა რამდენადმე შეუწყო ხელი აღექმანდრეს „გურჯისტანის ვალიდ“ დანიშნას. ცნობილია პირველ ხანებში მისი დიდი ერთგულება ირა-ნის შაპის მიმართ, რამაც აჯანყებამდე მიიყვანა ქვეყანა.

როდესაც აბ. კრეტაცი ლაპარაკობს მუღანის ყურულთაიზე საქართვე-ლოდან იქ წასულთა შორის ოფიციალურად მიუთითებს ალიმირზა იმამ ყული ხანის ძეზე და კახეთის მირზებზე (ს. ჩხეიძე ახსენებს მეფე ალექსანდრეს, ვახტანგ VI-ის ძმისწულს აბდულა ბეგს, ალიყული ბეგ ამირეჭიბს და საბარა-თიანის სარდალს ქაიხოსრო ყაფლანიშვილს)³⁰. ეტყობა, ოფიციალური პირების გარდა საქართველოდან მუღანს სხვებიც წასულან. კრეტაცი ასახელებს თბი-ლისელი „აშხარბეგის“ შვილს აოას, — თბილისის ქალანთარსა და მელიქს, რომელსაც დიდ ხანთან მიღების შემდეგ თავის კარავში მიუწვევია სომხეთა ქათალიკოსი, ერევნის ქალანთართან, „იშხანებთან“ და ქეთხუდებთან ერთად და სუფრა გაუწყვია მათვისის³¹. აღა მელიქი საქმაოდ ცნობილი პირია XVIII ს-ის 40—60-იანი წლების თბილისის ისტორიაში (გარდაიცვალა 1768 წ.). ის იყო შვილი თბილისის მელიქის აშხარბეგ ბებუთაშვილისა, რომელიც ოსმალობის დროს იმდენად აღზევებულა, რომ ქართველი დიდებულებისათვის ზურგიც კი შეუქცევია. ვახუშტის ცნობით: „მოვიდნენ დარბაზობად მისა სპასპეტი ლუარსაბ და მთავარნი ქართლისანი ყოველნი, არამედ მან არა მიხედნა, არცა იხილნა და გამოუტევნა“³². ეტყობა, აშხარბეგის ძე აღა მელიქიც საქმაოდ და-მოუკიდებულად მოქმედებდა. ის შემდეგშიც, ნადირის შაპად ჯდომის დროსაც, ჩანს წასული ირანში თავისი ინიციატივით. ერთ დოკუმენტში, რომელიც გასამყრელოს წარმოადგენს, ნათქვამია: „შენ აღა, ყაენის კარზედ წახველ შენის ხარჯითა და ყაენისაგან წყალობა იშოგნე“³³. შესაძლებელია ამ გამგზავ-რებას სწორედ მუღანში ყოფნაშ ჩაუყარა საფუძველი, რამდენადაც აღა მე-ლიქი ჯერ კიდევ მაშინ შეეცდებოდა დიდი საბოძრებით მოეგო ნადირ ხანის

²⁷ ვახუშტი ღ. დასახ. ნაშრ., გვ. 626.

²⁸ ს. ჩხეიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

²⁹ ვახუშტი ღ. გვ. 628.

³⁰ ს. ჩხეიძე, გვ. 46.

³¹ A. Кретати. Повествование, გვ. 110.

³² ვახუშტი ღ. გვ. 510.

³³ დოკუმენტი თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), გვ. 1, შეადგინეს ნ. ბერძნენ-შვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1962, გვ. 215.

გული. იგივე დოკუმენტი იძლევა ცნობას მის დიდ შეძლებაზე. 1748 წელს ეს აღა მელიქი მეფე ერეკლეს შეუპყრია როგორც მოღალატე. კარბელშვილის ული „ქრონიკების“ მეორე რვეულში აღნიშნულია: „1748 წელს თიბეთების 23-ში აღა მელიქი თბილისისა დაიჭირა ბატონია ერეკლემ დალატისათვის, ავჭალაში დაპატიმრა და ასი თუმანი წაართვა“³⁴. ჩანს, ერეკლეს აღა მელიქი მალე გაუთავისუფლებია, რადგანაც ზემოთ მოტანილი „გასაყრელო“ 1749 წლის 23 ოქტომბრითა დათარიღებული, ხოლო უფრო მოგვიანებით ის ისევ იხსენიება ნასყიდობის წიგნებში როგორც მსყიდველი, ხოლო სხვა დოკუმენტებში მოწმის სახით. კრეტაცის ცნობა ახალი კუთხიდან წარმოგვიდგენს თბილისის მელიქს. როგორც აღვნიშნეთ, მას ურთიერთობა დაუმყარებია სომეხთა კათალიკოსთან. თუ გავიხსნებთ, რომ კათალიკოსს ნადირის კარზე მუღანში საპატიო აღვილი ეკავა, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აღა მელიქი მისი მეშვეობით ირანის სარდალთან მისახლოებელი გზის გაყაფას ისახავდა მიზნად.

მუღანის ამბების თხრობისას კრეტაცი ლაპარაკობს აგრეთვე საქართველოდან მიყვანილ ტყვეებზე, რომელთა რაოდენობა შეიძ ათასს აღწევდა და ქართველ-სომეხთაგან შედგებოდა. ამ ტყვეების ნახევარი ნადირის დაურიგებია მუღანში აღმოსავლეთიდან და შორეული ოქებიდან მისულთათვის, თვითოულს თითო ტყვეს აძლევდა, ვის ქალი შეხვდა, ვის გოგო და ვის კიდევ ბიჭი³⁵. თბილისელი სომხების ტყვეობიდან გადარჩენის შესახებ კათალიკოსის მიერ 1735 წელს, ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ, ჩანს, საქართველოდან არა-ერთგზის გაუყვანიათ ტყვეები. აქედან მუღანს მიყვანილთა შესახებ ერთი ანონიმური ქართველი წყაროც იძლევა ცნობას, რომლის მიხედვით რვა ათასი მარტო ქართველი იყო, ტყვეთა საჩქერად დარიგება აქაც დასტურდება. მათ შორის მხოლოდ ორმოცდათის დაბრუნება მოხერხებულა უკან, სამშობლოში³⁶. ამ. კრეტაცი თავის შრომაში საგანგებო თავს უთმობს იმის აღწერას თუ როგორ გამოისყიდა მუღანში მიყვანილი ტყვეები სამ პირად³⁷. აქვე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ტყვე სრულიად უსასყიდლოდ მიუღია, რადგანაც დიდ შიმშილობას მოუცავს მუღანის ველი. შიმშილობაზე ლაპარაკობს იქ მყოფი რუსეთის ელჩი ივანე პეტრეს ძე კალუშკინი. მისი სიტყვით შიმშილს ვერავინ გადარჩენია, რადგანაც ახლომდებარე სოფლებს გალატაკების გამო დახმარება ვერ აღმოუჩენით³⁸. არა მარტო მუღანის მხარეში ჩანს ასეთი ვითარება, არამედ კრეტაცი ასახელებს თავრიზს, განჯას, ყაზახ-ლორეს, ქართველთა ქვეყანას, გეღამის ტბის მიდამოებს, ყაფანს, ნახიჩევანს, ერევანს და სხვ. ამ დროისათვის დიდ გაჭირებაზე პაპუნა ოჩბელიანიც იძლევა ცნობას: „ქართლში პური ისე ძვირი იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდიან და იმას სჭამდნენ“³⁹.

მიუხედავდა აბრაამ კრეტაცის დიდი გულწრფელობისა, რაც მოელ მის ნაშრომში შეინიშნება და სხვა წყაროებითაც დასტურდება, ბოლომდე მაინც

³⁴ თ. ქორდანი. ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 194.

³⁵ А. Кретаци. Повествование, გვ. 122, 245.

³⁶ Г. Пайчадзе. Грузинский источник о восшествии на престол Надир Шаха, საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 13—14, 1967, გვ. 99.

³⁷ А. Кретаци. Повествование, გვ. 252.

³⁸ იქვე, გვ. 9.

³⁹ პაპუნა ოჩბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარევიშვილის გამოცემა, თბ., 1981 გვ. 48.



არ არის ის გულახდილი. მაგ., როდესაც ლაპარაკობენ მულანის ყურულთაიზე სომეხი ივტორი აბრაამ ერევანცი და ქართული ანონიმური წყაროს ავტორი აღნიშნავენ, რომ ნადირ ხანს საშინელი სიმკაცრე გამოუჩენია იმათ მიმართ, ვისაც ირანის შაჰის კანდიდატურის შესახებ განსხვავებული აზრი გამო-უმუღავნებია. ცხადია, კრეტაციმ იცოდა ასეთი ფაქტები, მაგრამ დუმილით აუარა გვერდი. მიზეზი ისევ ის იყო, რომ ჩვენი ავტორი ყოველნაირად ერი-დებოდა ნადირის უნებურ საქმეში გარევას და თუნდაც სიტყვის თქმას. მის თავდაუზოგავ ბრძოლას თავისი ხალხისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ სწო-რედ ნადირთან ურთიერთობა განსაზღვრავდა. მიუხედავად ამისა, ის მასალა, რაც მან შეიტანა თავის ნაწარმოებში, უტყუარი წყაროა შესაბამისი საკითხე-ბის გასარკვევად.

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ

АБРААМ КРЕТАЦИ И ЕГО СВЕДЕНИЯ О ГРУЗИИ

Резюме

Армянский писатель первой половины XVIII века Абраам Кретаци в своем труде, который условно мы называем «Мемуарами», дает ценный материал для изучения истории стран Закавказья и Ирана.

Важное значение имеют также сведения о Грузии, рассматриваемые в настоящей работе.



გენიაებინ სილაგაპი

ისა და ანტიოქიულის ცენგები საჭართველო-გიზანტის
ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო ეოთხედისა და
XI ს-ის პირველ მოთხედში

აღსულ-ფარაოზ იაპია იბნ საიდ იბნ იაპია ალ-ანტაქი (მოკლედ იაპია ანტიოქიელი) დაიბადა 973 წელს¹ ეგვიპტეში, იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი, პროფესიონალი ექიმი. თავისი ცხოვრების პირველი 35—40 წელი მან ეგვიპტეში გაატარა, შემდეგ, ფატიმელი ხალიფას, ალ-ჰაჯიმის (996—1021) ბრძანებით დაწყებული ებრაულების, ქრისტიანებისა და სუნიტი მუსლიმების დევნის გამო, დატოვა ეგვიპტე და სირიას მიაშურა. 405 (1014—1015) წელს² ბინა დაიღო ბიზანტიის სამფლობელო ქალაქ ანტიოქიაში და იქ გაატარა მთელი სიცოცხლე, რომელიც 458 (1066) წელს დაასრულა 93 წლის ასაკში.

გარდა მედიცინისა, იაპია ღაინტერესებული იყო ისტორიითაც. ეგვიპტე-ში ყოფნისას მეგობრის (შესაძლოა ცნობილი ექიმის) ბაჟ იაყუბ იბნ იბრაჰიმ იბნ ანასტასიის) რჩევით, იგი შეუდგა თავისი ნათესავის, ალექსანდრიის პატ-რიარქის, ივტიხის (იგივე საიდ იბნ ბატრიკის) ქრონიკის „ნაზმ ალ-ჯვარის“ („ძვირფასი ქვების ძაფების“) გაგრძელების წერას და 397 (1006—07) წელს უკვე მზად ჰქონდა ნაშრომის პირველი ვარიანტი სათაურით: „საიდ იბნ ბატ-რიკის ისტორიის გაგრძელება, რომელიც შეადგინა იაპია იბნ საიდ ალ-ანტიო-ქიულმა“³. მაგრამ შემდეგ მას ხელში ჩაუვარდა სრულიად ახალი წყაროები, სადაც დაცული იყო მისთვის საინტერესო მრავალი ცნობა და აუცილებელი გახდა უკვე დაწერილი თხზულების გადაჭეობა.

როგორც თვით ამ ნაშრომის შესავლიდან ჩანს, ავტორს იგი სულ მცირე
ორჯერ მაინც გადაუკეთებია: პირველად მთლიანად, მეორედ — ნაწილობრივ.
ამასთან, პირველი ცელილება მას ნაშრომში შეუტანია ჭერ კიდევ ეგვიპტეში
ყოფნისას, ე. ი. 1014—1015 წლამდე, მეორე კი გაცილებით უფრო გვიან.
ასეთი რედაქციული სამუშაოს შედეგად, თვით იაპიას თქმით, ერთობრად
გაიზარდა თხზულების მოცულობაც და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოც. ამ
მხრივ აღნიშნული ვარიანტებიდან ყველაზე სრული და მნიშვნელოვანია მე-

¹ M. Cannarab's მთხელვით კი იაპია 980 წელს დაბადებულა (The Encyclopaedia of Islam, vol. I, London, 1957, p. 516).

² 5. კრისების თანხმოვა აადა ანტიოქიუში დასახლებულა 1012 წელს (Энциклопедический словарь, СПб., 1904, т. XLII, გვ. 857).

^٣ تاريخ النيل الذى صنفه يحيى بن سعيد بن يحيى الانطاكي تبعاً لتاريخ سعيد بن بطرس

სამე ვარიანტი, რომელსაც ავტორი სიცოცხლის ბოლო წლამდე დასტურებდა.

წყაროებში მიკვლეულმა ახალმა მასალამ აღუძრა იაპიას სურვილი შე-ესწორებინა ივტიხის ისტორიაც, მაგრამ ვინაიდან ეს მოითხოვდა დიდ დროს, ენერგიას და გამოიწვევდა თხზულების მთლიანად გადაკეთებას, მას ეს გან-ზრახვა განუხორციელებდელი დარჩა.

ასევე განუხორციელებდელი დარჩა მას მეორე განზრახვაც — დაწერა სპეციალური ნაშრომი ქრისტიანული აღდგომის გამოთვლის წესების შესა-ხებ. სამაგიეროდ წყაროებიდან ირგვევა, რომ იაპიას ისტორიის გარდა დაწე-რილი ჰქონია სხვა კარგი თხზულებანი (ალბათ, სამედიცინო ხასიათისა), რომ-ლებსაც დღემდე სათაურების სახითაც კი არ მიუღწევიათ, მაგრამ, ჩანს, ავ-ტორისათვის დიდი პატივი და სახელი მოუხვევიათ. იაპიას ქება-დიდებით იხსენიებს მისი უმცროსი თანამედროვე, ცნობილი მეცნიერი და ექიმი იბნ ბუტლანი⁴, რომელიც მას „თანამედროვე მეცნიერების მნათობს“ უწოდებს და დიდებულ პიროვნებად წარმოგვიდგენს.

იაპია ანტიოქიელის თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო 937—1066 წლებს მოიცავს. იგი არ არის მატიანე ამ სიტყვის სრული გაგებით. თუ მა-ტიანეში ისტორიული მოულენები და ფაქტები გაღმოცემულია ზუსტად წლე-ბის, მათი მოხდენის თანმიმდევრობის მიხედვით ისე, როგორც ეს აქვთ, მა-გალითად, ატ-ტაბარის, იბნ ალ-ასირსა და სხვა არაბ მწერლებს, „თარის აზ-ზაილ“-ში მასალა დალაგებულია ხალიფების (ჯერ ბალდადის, მერმე ეგვიპ-ტის) ზეობის ან ცალკეულ ქვეყნების მიხედვით. მატიანეს სახეს იგი იძენს მხოლოდ იმ გაგებით, რომ მასში ჯერ ერთი ქვეყნის რამდენიმე წლის ამბე-ბია ერთად აღწერილი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, შემდეგ კი მეო-რე ქვეყნისა.

ვინაიდან იაპიას თხზულება საიდ იბნ ბატრიკის ქრონიკის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, სტრუქტურულად ისინი ერთნაირი არიან. გან-სხვაება ძირითადად მხოლოდ იმაშია, რომ იაპიას ნაამბობი გამოიჩინევა სის-რულითა და სიზუსტით. თუმცა ზოგჯერ მასთანაც ქხდებით ისეთ ადგილებს, სადაც თხრობა იმდენად შექუმშულია, რომ სხვა წყაროთა მოშველიების გა-რეშე შინაარსის გაგება ჭირს ან შეუძლებელია.

ივტიხის ანუ საიდ იბნ ბატრიკის ქრონიკის გაგრძელება „თარის აზ-ზაილ“ სპეციალურ ლიტერატურაში მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაშრომა-და მიჩნეული⁵. სინამდვილეში კი ეს მთლიად ასე არ არის. მასში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რაც მაშინ (X—XI სს-ში) ევროპაში ან მუსლიმური სამყაროს აღმოსავლეთსა (ირანში, შუა აზიაში, ინდოეთში) და დასავლეთ (ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში ეგვიპტის გამოკლებით და ესპანეთში) ნაწი-ლებში ხდებოდა. მასში აღნუსხულია მხოლოდ ის, რაც სირიაში, მესოპოტა-მიაში, ეგვიპტეში, ბიზანტიაში ხდებოდა. კერძოდ, თხზულებაში ვრცელი აღ-გილი აქვს დათმობილი ხალიფებს, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და ნაწი-ლობრივ კრისტანტინოპოლის პატრიარქებს, ეგვიპტე-სირიის ქრისტიანებსა და მათი ეკლესიების მდგომარეობის აღწერას, ბიზანტიის იმპერატორ ბასილ

* იბნ ბუტლანი ბალდადელი ქრისტიანია, 1047 წელს ის კაიროს გამგზავრა, 1052 წელს გაიჩონდან კრისტანტინოპოლის გადავიდა, მაგრამ იქ დოდანს არ დარჩენილა, ერთი წლის შემდეგ უკან დაბრუნდა და ცხოვრობდა ჯერ აღეპოში, მერმე — ანტიოქიაში. აქ იგი 1063 წელს შეხვდა მაპიას. არის 13 ნაშრომის ავტორი. იგი ლექსიბსაც წერდა.

5 Энциклопедический словарь, т. XIIА, СПб, 1904, с. 857.

II-ს და მის ომებს ბალკანეთში, სომხეთსა და საქართველოში. თხზულებაში ყოველი მოვლენა დათარიღებულია ზუსტად, თანაც სამნაირი წელთაღრიცხვით: პირით, სელეგვიდურითა და ქრისტიანულით. ასე რომ, „თარიხის ფზ-ზაილის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს პირველხარისხოვან არაბულ წყაროსთან, რომელიც ძირითადად დაწერილია ამბის მომსწრე თვითმხილველის ან თვითმხილველთა ნამბობის საფუძველზე, ობიექტურად, გამოირჩევა ცნობების სიზუსტით და მნიშვნელოვანია X—XI საუკუნეების სირია-მესოპოტამიის, ეგვიპტის, ბიზანტიისა და მისი მოსაზღვრე საქართველო-სომხეთის ისტორიის შესაწავლად. მის სანდობაზე მიგვითითებს თუხღაც ის გარემოება, რომ მასში დაცული ცნობების სისწორე თითქმის მთლიანად დასტურდება სომეხი და ბიზანტიის მწერლების (ლასტივერტცის, გ. კელრენეს) სათანადო მონაცემებით.

იაპია ანტიოქეილი თავისი ისტორიული ხასიათის თხზულების შესა-
ვალში აღნიშნავს, რომ ახალი წყაროების მიკვლევის შედეგად მას არა-
ერთხელ მოუხდა ნაშრომის გადაკეთება. მაგრამ თვით წყაროებს იგა არ ასა-
ხელებს. მიუხედავად ამისა უნდა ვივარულოთ, რომ მას ხელთ ჰქონდა იბნ
მისკავეიძის (გარდაიცვ. 1030 წელს) ისტორიული თხზულება და ხალილ იბნ
ას-საბის (გარდაიცვ. 1056 წელს) ნაშრომი „ექიმთა ბიოგრაფიები“. აგრეთვე
ბიზანტიული მწერლების: თეოფანეს, სიმეონ მაგისტროსისა და სხვათა თხზუ-
ლებანი⁷.

იაპია ანტიოქიელის „თარის აზ-ზაილის“ რამდენიმე ხელნაწერი არსებობს. ესენია პ. უსპენსკის, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის, ფადლალავ სარუფისა და დამასკოს ნუსხები. ამათგან აზც ერთი არაა სრული. მაგრამ შედარებით უფრო სრული და ძველია პ. უსპენსკის მიერ შეძენილი ხელნაწერი. იგი დაახლოებით XV საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი და ორ ცალკე წიგნაღაა შეკრული. პირველი წიგნი, რომელიც სულ 102 დაწერილი ფურცლისაგან შედგება, საიდ იბნ ბატრიკის ქრონიკას უჭირავს. მეორე წიგნი კი წარმოადგენს იაპიას თხზულებას და მოიცავს 118 ფურცელს. ხელნაწერის ტექსტი უძმოვნოა, ხშირია გადამწერის მიერ დიაკრიტიკული ნიშნების, სიტკების, ზოგჯერ მთელი ფრაზის გამოტოვების შემთხვევები.

უსპენსკისეული ნუსხის ორივე წიგნის ფურცლების კიდეებზე სხვადა-
სხვა მინაწერებია, რომელთაგან ზოგი წიგნის შემკვრელის დაუღევრობის
შედეგად ნაწილობრივ ჩამოჭრილია. ასეთი მინაწერები I წიგნის 53b ფურც-
ლის უკანა შხარეს და II წიგნის 48 b ფურცელზე და მათი მთლიანად წა-
კითხვა აღარ ხერხდება. ეს მინაწერები, როგორც პალეოგრაფიული დაკვირ-
ვებიდან ირკვევა, შესრულებულია ერთი ხელით. ვ. როზენის წაკითხვით, მა-
თი ავტორია ხელნაწერის მფლობელი, ქრისტიანი სასულიერო პირი აბდ ალ-
აზიზ ნიკოლოზის ძე, რომელმაც ის მემკვიდრეობით მიიღო ნიკოლოზი ილიას
ძისაგან, ხოლო ამ უკანასკნელმა ის თავის მხრივ მიიღო კარაჯის (ძველი კირ-
მუავი) მახლობლად მცხოვრები ბიძის, იოანე ნიკოლოზის ძისაგან. მინაწერი

⁶ А. А. Васильев. Византия и арабы. Политические отношения Византии и арабов за время Македонской династии. СПб. 1902, часть II, приложение, с. 58—61.

⁷ უფრო ვრცლავ მის შესახებ იხ. ნაზრობა «Император Василий Болгаробойца». Извлечения из Летописи Яхии Антиохийского. Издал, перевел и объяснил В. Г. Розен, СПб., 1883, с. 076, 081, 087, 089.

დათარილებულია 1018 (1609) წლით⁸, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ნუს-ხა ნამდვილად XV ს-ში ან უფრო ადრე უნდა იყოს გადაწერილი.

პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ქველ ხელნაწერთა ფონდშია დაცული ნუსხა, ვ. როჩენის აღწერით⁹, 137 ფურცლისაგან შეღება. 81 ფურცელი ივტიის ისტორიას უკავია. დანარჩენი 56 ფურცელი კი იაპიას თხზულებას. ეს ხელნაწერი დაახლოებით XVII საუკუნისაა. ტექსტი ხმოვნებიანია. მასში ბევრია კალმის შეცდომა, რამდენიმე ადგილას შეიმჩნევა ხარვეზებიც. 132 ა ფურცელზე მხოლოდ ერთი სტრიქონია მოთავსებული და ისიც დაუმთავრებელი. 132 ბ ფურცელზე კი ტექსტი იწყება სულ სხვა ფრაზით. 133 ს ფურცელზე ორი სტრიქონია დაწერილი და აქაც ფრაზა შუაზეა გაწყვეტილი.

ამ ნუსხას გააჩნია სხვა ხარვეზებიც. ვ. უსპენსკისეულ ნუსხასთან შედარებით, მასში ზოგი ადგილი ან მთლიანადაა გამოტოვებული, ანდა თხრობა რამდენადმეა შეკუმშული. ამის გამო შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პარიზის ნუსხის სახით ჩვენ საქმე გვაქვს იაპიას თხზულების რომელიდაც აღრინდელ ვარიანტან, მაგრამ ამას უშლის ხელს შესავლის ის ადგილი, საღაც თვით ავტორი აღნიშნავს: „და დავასრულე მე საქმე ამ რედაქციით“. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პარიზის ნუსხაში, ისე როგორც ვ. უსპენსკისეულ ნუსხაში, თხრობა მოყვანილია 1066 წლამდე, ცხადი გახდება, რომ იგი იაპიას თხზულების რომელიმე აღრინდელ ვარიანტს კი არა, მისი საბოლოოდ დასრულებული სახის შემდეგ შემოქლებულ ცალს წარმოადგენს. შემმოკლებული კი უნდა იყოს გადაწერი, რომელიც მოქმედებს დამკვეთის მითითებით ან ამ უკანასკნელის მოტყუებისა და საკუთარი შრომის დაზოგვს მიზნით.

პარიზის ხელნაწერი მთლიანად ჰგავს დამასკოს ნუსხას. ამიტომ იგი ან ამ უკანასკნელიდანაა გადაწერილი, ანდა ორივე ნუსხას საფუძვლად უდევს ასეთივე რედაქციის სხვა რომელიდაც, უფრო აღრინდელი ხელნაწერი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გვაქვს საფუძველი ვითიქროთ, რომ არსებობენ იაპიას თხზულების სხვა ნუსხებიც, მათ შორის უფრო სრულიც. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის გრძემოება, რომ, ჯერ ერთი, იაპია ანტიოქიელის „თარის აზ-ზაილ“-იდან პავლე ალეპოელის (XVII ს.) მიერ დამოწმებული ცნობები არც ერთ ზემოხსენებულ ნუსხაში არ იძებნება და მეორეც, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული საიდ იბნ ბატრიკის „ნაზმ ალ-ჯაგაპირის“ 1858 წლის ხელნაწერის ბოლოს აღნიშნულია: ამ თხზულებიდან ამოღებულია დამატება, რომელიც იაპია იბნ საიდ იბნ იაპიას ეკუთვნისო¹⁰.

იაპია ანტიოქიელის თხზულებამ მუსლიმურ აღმოსავლეთში იმთავითებ მიიპყრო ყურადღება. ევროპის მეცნიერული სამყაროსათვის კი მისი არსებობა ძალიან გვიან, მხოლოდ XVII ს-ში გახდა ცნობილი.

პირველი ცნობა მის შესახებ ინგლისელ აღმოსავლეთმცოდნეს, ედვარდ პოკოკს (1604—1691) ეკუთვნის. 1658 წელს, საიდ იბნ ბატრიკის ისტორიის „ძვირფასი ქვების ძაფები“-ს არაბული ტექსტისა და თარგმნის დაბეჭდვისას, შესავალში მან მიუთითა, რომ არსებობს ამ თხზულების გაგრძელება, რომლის ავტორია იაპია იბნ საიდ იბნ იაპია¹¹.

⁸ В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 092—095.

⁹ იქვე, ვ. 096—0102.

¹⁰ А. А. Васильев, Византия и арабы. Политические отношения Византии и арабов за время Македонской династии, часть II, приложения, с. 60.

¹¹ Contextio Gemmarum S. Eutychii Patriarch Alexandr. Annales etc. interprete E. Pocockio, Oxon, 1658. მითითებულია ვ. როჩენის მიხედვით, გვ. 01.

იგივე ცნობა შემდეგ გაიმეორეს ფრანგმა ორიენტალისტმა ჰერბელომა¹⁹ და ლ. ლეკლერკმა²⁰. ხოლო იტალიელმა აღმოსავლეთმცოდნებმ ინსტრუმენტის მანიმ²¹ მოიტანა სხვის მიერ დამოწმებული ციტატა იაპიის თხზულებისან, სადაც საუბარია ავტორის ვინაობის, პროფესიისა და იმის შესახებ, რომ მან დაასრულა აღექსანდრიილი პატრიარქის, იგნ ბატრიკის ქრონიკა. მაგრამ თვით თხზულება ჭერ არავის ენახა. იგი მიკვლეულ იქნა მხოლოდ 1739 წელს პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში და ამი-ერიდან შესაძლებლობა მიეცა სპეციალისტებს უშუალოდ გასცნობოდნენ მას.

იაპიის თხზულების მეცნიერული შესწავლა XIX ს-ის 40-იანი წლებიდან დაიწყო. ამ საქმის მოთავედ გერმანელი ორიენტალისტი ჰასსლერი ითვლება. მან გადაიღო „თარიხ აზ-ზაილ“-ის ასლი პარიზის ხელნაწერიდან, გაეცნ მის შინაარსს და მოახსენა იგი 1844 წელს დრეზდენში გამართულ გერმანელ ორიენტალისტთა კრიოლობას²².

დაახლოებით იმავე პერიოდში იაპიას ოხზულების შესწავლას შეუდგა იტალიელი ისტორიკოსი მიხაილ ამარიც, ხოლო ცოტა მოგვაინებით, გერმანელი ორიენტალისტი გ. ფრეიტაგი და ორთავენი წარმატებით იყენებენ მის ცნობებს: პირველი — სიცილის ისტორიისათვის¹⁶, მეორე კი — მოსულისა და ალეპოს ჰამდანიდთა დინასტიის (905—1004) ისტორიის შესასწავლაზე¹⁷.

დიდი ამაგი დასდო იაპიას პ. უსპენსკიმ. ოღმოსავლეთში მოგზაურობის დროს მის მიერ შეგროვილ მრავალ ძვირფას წერილობით ძეგლებს შორის ერთ-ერთი არის „თარიხის აზ-ზაილ“-ის ნუსხა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე უცველესი და სრულია დღემდე მიკვლეულ სხვა ხელნაწერებს შორის. იგი დაცულია სსრკ მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკაში. მაგრამ არავის იმდენი დრო და ენერგია არ დაუხარჯავს იაპიას თხზულების შესასწავლად, რამდენიც რუსმა ოღმოსავლეთმცოდნებ აყალ. ვ. როზენბა (1849—1908) მოახმარა ამ საქმეს. 1879 წელს, IX ს-ის არაბული ლიტერატურის ისტორიისათვის მასალების შეგროვების მიზნით, ერთი წლით საზღვარგარეთ მიკლინებულმა ვ. როზენბა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის არაბულ ხელნაწერთა კატალოგში შემთხვევით იპოვა ივტიხის (საიდ იბნ ბატრიის) ქრონიკის გაგრძელება და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, „მაშინვე შეუდგა ხელნაწერის გადაწერას“, მის დამუშავებას და „ცნობების შეგროვებას აეტორის შესახებ“, რათა გამოეცა მთელი ტექსტი და თარგმანი¹⁸.

ამ მიმართებით იგი მუშაობას განავრძობდა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგაც. სანკტ-პეტერბურგში პროფ. ფადლალაჭ სარუფისაგან¹⁹ შეიტყო, რომ „თარიხ აზ-ზაილ“-ის ერთი ხელნაწერი ა. უსპენსკის შეეძინა, მეორე კი თვითონ მას ჰქონდა. ამან საშუალება მისცა ვ. როზენს იაპიას თხნულების

¹² Herbelot de Malainville, Barthélémi, Bibliothèque Orientale...

¹³ L. Leclerc, Histoire de la médecine arabes, Paris, 1876, t. I, 83. 405.
¹⁴ Josef Assemani, Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana, t. II, Poma,
1721, p. 292.

¹⁵ Verhandlungen der ersten Versammlung deutscher und ausländischer Orientalisten in Dresden 1844. Leipzig. W. Engelmann. 1845. Pp. 55.

¹⁶ M. Amari, Storia dei Musulmani di Sicilia, 1854, tt. I, II.

¹⁷ G. W. Freytag, Geschichte der Dynastien der Hamdaniden in Mosul und Aleppo...

¹⁸ B. P. Roseh, დასახ. ნაშრომი, გვ. VI.
¹⁹ ფუძლალჲ სარტყელი დაბადა დამასკოში 1826 წელს. ერთხანს მუშაობდა იერუსალიმში რუსულ სასულიერო მისიაზი თარჯმნად, შემდეგ იყო საკუტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ასევეთვის უნივერსიტეტის დამსახური.

პარიზული ნუსხა შეედარებინა სხვა ხელნაწერებთან, რომ შესაძლებელი ყოფილი ტექსტის კრიტიკული შესწავლა და გამოცემა. შედარებს შეღებდი დარწმუნდა, რომ სარუფისეული ნუსხა პარიზულის იდენტურია, ხოლო უსპენსკისეული კი ორივეზე უფრო ძველი და თანაც შედარებით სრული (მას ბოლო 8 ფურცელი ყვლდა), ამიტომ გადაწყვიტა კრიტიკული გამოცემისათვის საფუძვლად დაედო სწორედ ეს ძველი ხელნაწერი. მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ამ განზრახვის მთლიანად განხორციელება მან ვერ მოახერხა. 1883 წელს დაბეჭდა თხზულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც თითქმის მთლიანად ეძღვნება ბიზანტიის საშინაო და საგარეო ვითარებას იმპერიატორ ბასილ II-ის ხანაში²⁰.

ეხება რა შესრულებული სამუშაოს ხარისხს, ვ. როზენი თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში სინაცულით აღნიშნავს, რომ „несмотря на все старания я не избег разных ошибок и недосмотров“²¹. მიუხედავად ამისა მის მიერ გამოცემულმა იაპიას თხზულების ტექსტმა და მისმა რუსულმა თარგმანმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რუსულ და საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებას. გადაუჭირდებოდა შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა X—XI საუკუნეების ბიზანტიის, ეგვიპტის, სირიის, ბულგარეთის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის თითქმის არცერთი მკვლევარი, ვისაც ამ ნაშრომით არ ესარგებლოს, იგი დღესაც ინარჩუნებს პირველობას. მან მისცა ბიძგი რუსეთში იაპიას თხზულების შემდგომ შესწავლას.

როზენის დროს, მისი რჩევითა და დახმარებით „თარიხ აზ-ზაილ“-ის შესწავლას ხელი მოჰკიდა ცნობილმა არაბისტ-პალესტინოლოგმა ნ. მედნიკოვმა (1855—1918). მან ერთმანეთს შეუდარა როზენის მიერ პარიზულიდან გადაწერილი და პ. უსპენსკისეული ნუსხები, თარგმანი და დაბეჭდა თხზულების ის ადგილები, სადაც იაპია უმთავრესად იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქების შესახებ წერს²².

იაპია ანტიოქიელის თხზულების შესწავლას როზენის დახმარებით შეუდგა აგრეთვე ბიზანტიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი ა. ვასილიევი. მანაც, ისე როგორც ნ. მედნიკოვმა, შეისწავლა „თარიხ აზ-ზაილ“-ის პარიზული და უსპენსკისეული ნუსხები, გამოკრიბა იქიდან მისთვის საჭირო მასალა და თარგმანი თხზულების ის ადგილები, უშუალოდ ბიზანტიის რომ ეხება²³. იგივე მასალა გამოყენებული აქვს ბიზანტინოლოგთ. უსპენსკისაც.

ვ. როზენის თარგმანისა და ტექსტის მეშვეობით იაპია ანტიოქიელის თხზულებას იცნობენ და იყენებენ ქართველი მეცნიერებიც: ივ. ჯავახიშვილი²⁴, ვ. კობალიანი²⁵, ვ. გაბაშვილი²⁶, მ. ლორთქიფანიძე²⁷, ო. ცეიტიშვილი²⁸ და სხვები.

²⁰ ნაშრომის სრული დასახელება იხ. იქვე, გვ. 6.

²¹ В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. IX.

²² Н. А. Медников. Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам. Приложение II (I-Историки), СПб., 1897, გვ. 329—390.

²³ А. А. Васильев, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—68.

²⁴ ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1955, ტ. II, გვ. 111, 128, 130, 134—136.

²⁵ ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969.

²⁶ ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან.—XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 61, 63, 65, 67.

²⁷ იხ. საქართველოს ისტორიის სარკვეპები, III, თბ., 1972, გვ. 174—179.

²⁸ ო. ცეიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გორგა I-ის მეფობის ხანში.—„მაცნე“, 1968, № 4, გვ. 115—133.

8. ქართული წყაროთმცოდნეობა. VI

მათი ინტერესი იაპიას თხზულებისადმი შემთხვევითი არ არის „თარის აზ-ზაილი“ საინტერესო ცნობებს შეიცავს X ს-ის ბოლო მეოთხედისადაც XI ს-ის I მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. მასში გარკვევით ჩანს დავით III დიდის (გ. 998 ან 1001), ვიორგი I-ისა (1001—1027) და ბაგრატ IV-ის (1018—1072) ურთიერთობა ბიზანტიის კეისრებთან ბასილ II-სა და კონსტანტინესთან, ბრძოლა ტაოს შემოსაერთებლად. ცნობების ნაწილი, უშუალოდ ვიორგი I-ისა და ბასილ II-ის ურთიერთობას რომ შეეხება, თარგმნა და არაბულ ტექსტთან ერთად 1968 წელს დაბეჭდა ო. ცემორიშვილმა²⁹. მოსალოდნელი იყო, რომ იგი სხვა ცნობებსაც თარგმნიდა და დაბეჭდავდა, მაგრამ როგორც მისგან შევიტყვეთ, იგი ამის გაკეთებას არ აპირებს. ამიტომ თავს ნება მივეცით, მც მიერ დაწყებული ეს საჭირო საქმე განვითარო.

ეს გამართლებულად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი (ე. წ. ლაბორატორიული) სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს საქართველოს ისტორიის შესწავლის, მის მყარ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობის ინტერესები; მეორე, ვ. როზენის მიერ 100 წლის წინათ დაბეჭდილი ნაშრომი «Император Василий Болгаробоийца», საღაც მოთავსებულია იაპიას თხზულების ჩვენთვის საინტერესო ტექსტი თარგმანთა და კომენტარებით, დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა; დაბოლოს, სრული თარგმანის ხელო უქონლობა ხშირად შეუძლებელს ხდის მის შემოწმებას, თუ რამდენად სწორად გვესმის მისი ესა თუ ის ცნობა, რომელსაც ვიყენებთ. იგივე ითქმის თარგმანის სანდონობის შესახებაც. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ თარგმანთან ერთად მისი შესატყვისი არაბული ტექსტის დაბეჭდვაც. თარგმანს საფუძვლად უდევს „თარის აზ-ზაილის“ ვ. როზენის მიერ დადგენილი ტექსტი და მისი გვერდებიც ვ. როზენის ნაშრომის მიხედვითაა მითითებული.

იაპია ანთიოქიილის ცენგვიზი საქართველოს უსახებ

I. თარგმანი

... ჯვრის დღესასწაულის დღეს, 1298 წლის 14 აილულს (სექტემბერს) ანუ 377 წლის 17 ჭუმადა I-ს¹, ბარდა ფოკა² აშკარად აჯანყდა და თავი მეფედ გამოაცხადა. იგი დაეუფლა ბიზანტიის ქვეყანას დორილებდე, ზღვის სანაპირომდე და მისმა ჯარმა ხრისტოლომდე მიაღწია. საქმე გართულდა. ბასილ მეფე შეწუხებული იყო ბარდას ლაშქრის ძლიერებითა და გამარჯვებით. მისი სიმღიდოე გამოილია||და საჭიროებამ აიძულა იგი (წარმომადგენელი) გაეგზავნა თავისი მტრის, რუსთა მეფისათვის, რათა ეთხოვა დახმარება, რაზეც თანხმობა მიიღო. (ისინი) შეთანხმდნენ დანითესავებოლნენ ერთმანეთს და რუსთა მეფე³, მას შემდეგ, რაც რომ მიიღო წაყენებული პირობა გაქრისტიანებულიყო თავისი ქვეყნის დიდი ხალხითურთ, ბასილი მეფის დაზე დაქორწინდა.

რუსები მაშინ არც კანონებს სცნობდნენ და არც რომელიმე სარწმუნოებას. ბასილ მეფემ იქ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსნი მიავლინა. მათ მონათლეს მეფე და ყველა, ვინც მის მიწაზე იყო. (ამის შემდეგ ბასილმა) გაუგზავნა მას თავისი და, რომელმაც რუსთა ქვეყანაში ბევრი ეკლესია ააშენა. როდესაც მათი ქორწინება ჩამთავრდა, რუსთა ლაშქარი მოვიდა და ბასილ მეფესთან მყოფ ბიზანტიის ჯარს შეუერთდა და ყველანი ერთად ზღვითა და

²⁹ ო. ცემორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125—130.

ქმელეთით ხრისუბილისაკენ დაიძრნენ ბარდა ფოკასთან შესაბრტყოლებლად, ფოკაზე გაიმარჯვეს, ბასილ მეფემ ზღვისპირა ოლქი დაიკავა და ხელო ეგველა გემი, რაც ფოკას გააჩნდა. (გარდა ამისა) ჭერ კიდევ მაშინ, როცა ფოკამ თავისი ლაშერით კონტაქტინობოლის მისაღომებთან დაიბანეა და აღმოსავლეთის ოლქი დაიკავა, ბასილ მეფემ მაგისტროსი ტარონიტი ზღვით ტრაპიზონს გაგზავნა, რათა ხალხი მოეგროვებინა და ევფრატის ნაპირისაკენ დაძრულიყო. (ამის გამო) ბარდა ფოკამ თავისი ვაჟი ნიკიფორე კისერ-მოქცეული ტაოს მფლობელ საქართველოს მეფე დავითთან გაგზავნა ტარონიტის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. დავითმა მას მიაშველა მონათვისი ათასი მხედრითა და აგრეთვე ალ-ხალიდის მფლობელი პატრიკიოსები, ბაგრატის ორი ვაჟი, ათასი ცხენოსნით. (მათ) ტარონიტს შეუტიეს და იგი დაამარცხეს. (მაგრამ) ამ დროს შეიტყვეს, რომ ბასილ მეფეს ხრისუბილთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში ფოკა დაუმარცხებია. (ამიტომ) დავით ქართველის მონათვისი ხალხით და ბაგრატის ორი ვაჟი თავიანთ აღვილებს დაუბრუნდნენ და (მეფის) წინაშე თავი იმით იმართლეს, რომ მათ შეასრულეს ის, რასაც იგი მათგან მოითხოვდა — დაამარცხეს ||ტარონიტი. ნიკიფორე ფოკას ძის ლაშეარი დაითანატა, თვით ნიკიფორე კი დედასთან წავიდა იმ ძლიტულში, სადაც სკლიაროსი იყო გამომწყვედეული...
23

განჩინებული იყო ბასილ მეფე ტაოს პატრიონ დავით ქართველთა მეფეზე და ბაგრატის ორ ვაჟზე იმის გამო, რომ მათ დახმარება გაუწიეს ფოკას, და გაგზავნა ჯარი მათ წინააღმდეგ პატრიკიოს ჯარუსის მეთაურობით. მან ბრძოლა გაუმართა ბაგრატის ვაჟებს და უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გადასახლა. დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა და ალუთქვა, რომ ვინაიდან თვითონ ძლიერ შოტუც იყო, ხოლო ვაჟი და სხვა შემკვიდრე არ გააჩნდა, — გარდაცვალების შემდეგ თავისი სამფლობელო მის სახელმწიფოს შეერთებოდა. იგი მეფეს სახოვდა, ნება დაერთო მისთვის გაეგზავნა დიდებულები სამეფო კარზე, რათა მას შეძლებოდა მიეღო მათგან ფიცი და პირობა იმისა, რომ თავიანთი პატრიონის გარდაცვალებისთანავე მის ქვეყანას ჩააბარებდნენ. ბასილ მეფემ მოიწონა მისი მოქმედება და დანიშნა იგი კურაპალატად, გაუგზავნა მას ძვირფასად მორთული ტანსაცმელი. დავითმა ჩაიცვა იგი და ბრძანა, მის სამეფოში ბასილ მეფეზე ელოცნათ. (შემდეგ კი) ქართველთა კათალიკოსი სახელმწიფოს სხვა მრავალ დიდებულთან ერთად მეფის კარზე გაგზავნა. მეფემ მათ ტიტულები ჩამოურიგა, მოწყალება უყო და ისინი დავითთან დაბრუნდნენ...
25

... 6 თვე დაპყო მეფემ მასისა და ტარსუსში იმ განზრახვით, რომ ძვლავ დაბრუნებულიყო ისლამის ქვეყნებში. მაგრამ შეიტყო, რომ ქალაქ ტაოს, ქართველთა მეფე დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო და იგი მაშინვე იქეთ გაემართა ანტიოქიის მმართველის, მაგისტროსისა და მისი ჯარის თანხლებით. მან ქართველთა ყველა ქვეყანა ჩაიბარა და მათ თავის მხრივ გამგებლებად ბიზანტიული მიუჩინა...
39

ბულგარელმა ბელადებმა ბასილ მეფის წინაშე თავი დაიმცირეს და გამოხატეს რა მისი სურვილი, მისწერეს, ჩაებარებინა მათ ხელთ ასებული სიმაგრეები და ოლქები, თვითონ მათთვის კი მიეცა უფლება ||გამოცხადებულიყვნენ მასთან და ემოქმედათ მისი ბრძანების მიხედვით. 408 წ. შავვალის თვეში მეფე სასწრაფოდ გაემართა ბულგარეთში. მის შესახვედრად გამოვიდოს მისი შვილები. ბასილმა ჩაიბარა მათი ციხესიმაგრენი, გაილო მოწყალება და
55
56

ჩამოურიგა თითოეულს თანამდებობა იმის მიხედვით, თუ ვინ რას იმსახურებდა. ძლიერი ციხესიმაგრენი დატოვა და მათ უფროსებად ბეჭინტიულები დააყენა, დანარჩენი დაანგრია. ... ასე შეუერთდა ბულგარეთის სამეფო ბეჭინტის ზანტის და იქცა საკატაბანოდ. ეს მოხდა მისი მეფობის 44-ე წელს. ბასილე კონსტანტინოპოლის დაბრუნდა...

რაც შეეხება იმას თუ რა შეემთხვა ბასილ მეფეს ბულგარეთის აღების შემდეგ, საქმე შემდეგშია: როდესაც ის იქ მათთან მრავალრიცხვოვანი ბრძოლებით იყო დაკავებული, აფხაზთა მეფემ, გიორგიმ⁸ განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირო ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კუროპალატმა ბასილ მეფეს დაუთმო. როდესაც მეფემ ბულგარეთი დაიპყრო, მიზანს მიაღწია და კონსტანტინოპოლის დაბრუნდა, აფხაზთა ამ მეფემ — გიორგიმ საჭიროდ არ სცნო თავისი შეცდომის გამოსწორება, თავი შეეკავებინა (მის წინააღმდეგ) მოქმედებაზე და აღეთქვა ერთგულება, როგორც ამას აკეთებდნენ მისი მამა⁹ და ბიძა. იგი ყოყოჩინდა. ჭიუტად იდგა თავის მცდარ პოზიციაზე და მიმოწერას აწარმოებდა ალ-ჰაჯიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან.

ამ ამბავმა ბასილ მეფემდე მიაღწია. იგი რისხეთ აღიღსო გიორგის მიმართ, მაგრამ თავის გულში ნადები არავისთვის გაუმხელია. მან სირიაში სალაშეროდ მომზადება ბრძანა და კონსტანტინოპოლიდან ფილიმილს¹⁰ გაემგზარა. სურათი, ფურუჟი და იარალიც ანტიოქიაში გაგზავნა ამ ლაშერობის მზადების ნიშნად. უკვე ეჭვი აღარავის ეპარქებოდა, რომ იგი ნამდვილად სირიას დაესხმოდა თავს. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე ფილიმილს იმყოფებოდა, მოხდა ალ-ჰაჯიმის გაუჩინარება¹¹ და იგი მაშინვე აფხაზებთან საომრად დაიძრა.

როდესაც ამის შესახებ აფხაზმა შეიტყო, მან თავი მოუყარა თავის ლაშეკარს, დახმარება სთხოვა უცხოელებსაც, ვისი გაფრთხილებაც შეძლო¹² და გამოვიდა თავისი სამფლობელოს განაპირას, რათა შეხვედროდა მეფეს და შებრძოლებოდა მას. მაგრამ, როცა მეფე მიუახლოვდა და ცნობილი გახდა მისი ჯარის ძლიერება და ჯარისკაცთა სიმრავლე, აფხაზმა უარი თქვა შებრძოლებაზე და უკუიქცა. ბასილი მას დაედევნა და მანამდე მისდევდა, სანამ გიორგი არ გამაგრდა მდინარეზე, რომლის გადალახვა ბიზანტიის ლაშეკარმა ვერ შეძლო. მაშინ (მეფემ) გადასწვა მისი სოფლები, გაძარცვა რაც კი რამ სიმდიდრე იყო იქ, დატყვევა, მოკლა და დაბრმავა 200.000-ზე მეტი ქვეშეცრდომი, ააოხრა მისი ყველა სოფელი და ოლქი გარდა იმათისა, რომლებიც იყვნენ მდინარის გაღმა, სადაც მან (გიორგიმ) თავი შეაფარა და ბიზანტიის ჯარმა ვერ მოახერხა შესვლა. ამასობაში ზამთარმა მოაღწია და ბასილ მეფე ტრაპიზონს წავიდა, რათა ჯარს იქ გამოეზამთრა და შემდეგ განეგრძო ლაშერობა. და აი ამ დროს ასფარახანის მეფემ სანაპარიბმა ბასილ მეფეს გადასცა ყველა თავისი ციხესიმაგრე და მთელი ასფარახანის ქვეყანა. ასე მოიქცა (სანაპარიბის) მეზობელი ინ ალ-დარანიც. მან მეფეს ჩაბარა თავისი ყველა ციხესიმაგრე და სასახლე. ამ ციხესიმაგრეებისა და სასახლეების რიცხვი ორმოცხვე მეტი იყო. ისინი მეფემ თავის სამეფოს შეუერთა და მათგან სპეციალური საკატაბანო ჩამოყალიბა. თითოეულ ციხესიმაგრეს მან მცველი რაზმი და გამგებელი მიუჩინა; სანაპარიბსა და ალ-დაირანის კი თავიანთი ოჯახებითა და ნათესავებით ვრცელი მამულები, დიდალი ფული და მაღალი ტიტულები უწყილობა.

ტრაპიზონს მისვლისთანავე, ის იყო მეფე შეუდგა შზადებას ფლოტის გასაგზავნად, ზღვით, ამ აფხაზის ქვეყანაში, რომ მასთან გამოცხადდა გიორგის ელჩი. მისი მეშვეობით გიორგი ითხოვდა შეწყალებას, ბოლიშე უსამისა მეფეს იმაზე, რაც მან მოიმოქმედა მის მიმართ და აღუთქვამდა, რომ დაუთმობდა ყველა ციხესიმაგრესა და ადგილს, რომლებიც ეკუთხონლენ ბიძაშის — დავით კურაპალატს, მძევლად გაუგზავნიდა თავის ვაჟს ბაგრატს და სანამ იცოცხლებდა იქნებოდა მისი მორჩილი და მოკავშირე.

შეისმინა ბასილ მეფემ ყოველივე, რასაც იგი სთხოვდა და მიიღო მისგან რასაც პპირდებოდა და მის ელჩს თან გააყოლა თავისი წარჩინებულებისა და იურისტების ჯგუფი. მათ მტკიცე ფიცი დაადებინეს გიორგი აფხაზის, მისი ქვეყნის //სასულიერო მეთაურს — კათალიკოსს, ყველა ეპისკოპოსს, სხვა წარჩინებულთ და მაღალი თანამდებობის ქვეშევრდომთ მასზედ, რომ პირნათლად შეასრულებდნენ ყოველივე შეპირებულსა და შეთანხმებულს.

აიღო რა მათგან ისეთი მტკიცე საგარანტიო ფიცი როგორსაც მორჩმუნეთაგან იღებენ, ბასილი აფხაზის მიერ შეპირებული ციხესიმაგრენისა და დასახლებული ადგილების მისათვლელადა და მისი ვაჟის მძევლად ასაყვანად გაემართა.

ამ დროს ბასილ მეფემ შეიტყო, რომ ანატოლიკის გამგებელი, ქსიფიასის სახელით ცნობილი ნიკიფორე პატრიკიოსი, ბარდა ფოკას ვაჟს, ნიკიფორე კისერმოქცეულს დაკავშირებდა და ორივენი შეთანხმებულან, აჯანყებულიყვნენ მის წინააღმდეგ...

... როდესაც აფხაზმა გაიგო, რომ ბიზანტია აჯანყებას მოუცავს¹², თავი ლონივრად იგრძნო და ბასილისათვის მიცემული პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა. ბასილმა კი მიიღო თუ არა ფოკას მოკეთილი თავი, იგი მაშინვე გიორგის გაუგზავნა, რათა ეგრძნობინებინა, რომ მან უკვე იცის მისი ბოროტი განზრახვის შესახებ. მეფისათვის აშეარა გახდა, რომ ყველაფერი, რასაც აფხაზი აკეთებდა და მასთან მოლაპარაკებაც, რომელსაც იგი აწარმოებდა, მოტყუება იყო. რომ ყოველივე ამაში გიორგის ვაზირის¹³ ხელი ერია. სწორედ იგი ურჩევდა გიორგის, რომ მეფისათვის მიცემული ღვთაებრივი ფიცი და ნაკისრი ვალდებულებანი გამოეყენებინა ხაფანგად, //რომელშიც მას გამოაწყვდევდა.

მეფე კი ენდო აფხაზის ფიცს და გაემართა მისი ქვეყნისაკენ შეპირებული ციხეებისა და ადგილების მისალებად, აგრეთვე მისი ვაჟის წამოსაყანად და გაიმარჯვა მან მხოლოდ იმიტომ, რომ თან წაიყვანა იმდენი მამაცი და გულადი მეომარი, რამდენიც საჭირო იქნებოდა აფხაზის დასამორჩილებლად, თუ კი იგი უარს იტყოდა დადებული შეთანხმების აღსრულებაზე. აფხაზი კი ფიქრობდა, მეფის წინააღმდეგ ჩანაფიქრი მთლიანად გამიმართლდა და როგორც კი მიუახლოვდა ბასილი, იგი თავს დაესხა მის ჭარს იმ რწმენით, რომ უკუაცევდა და გაანადგურებდა.

მაგრამ მეფემ იგი დაამარცხა: ბევრი მეომარი მოკლა, უამრავი ხალხი და აურაცხელი ბრბო დაატყვევა, აფხაზი, მისი ვაზირი და სხვები, ვინც მას ახლდნენ, უკუიქცნენ. აფხაზის მთელი სურსათ-სანოვაგვ, ფული, ბარგა-ბარხანა, საჯდომი და სასაპალნე პირუტყვი ბიზანტიელთა ნადავლი გახდა. (ამიტომ) აფხაზმა კვლავ დაიმცირა თავი, მეფეს ეახლა და სანამ იგი მის ვაჟს წაიყვანდა და ზემოაღნიშნულ ციხე-ქალაქებს ჩაიბარებდა, იმაზე დაითანხმა, რომ მის ვაჟს მეფე თავის კარზე იყოლიებდა მხოლოდ ორ წელიწადს და შემდეგ დააბრუნებდა. მეფემ აფხაზის ქვეყანა დატოვა და ბაზანტიისაკენ

გასწია. ეს მოხდა 414 წ. (ჰიჯრით)¹⁴ ანუ მისი მეფობის ორმოცდმეტე
წელს...

„ბასილ მეფე გარდაიცვალა 1337 წლის კანუნ I-ის თვის 12 აიგვისტო
კვირას ანუ 416 წლის 18 შავვალს¹⁵, დღის 9 საათზე. მისი მეფობის ხა-
გრძლიობა იყო 49 წელი და 11 თვე, ხოლო სიცოცხლისა 68 წელი.

... მის შემდეგ ტახტზე ავიდა და ორშაბათ დღეს იმპერიის მეფედ გამო-
ცხადდა ქმა მისი კონსტანტინე...

... გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ბასილ მეფემ გაათავი-
სუფლა გიორგი აფხაზთა მეფის ვაჟი ბაგრატი და გაგზავნა უკან, მამასთან.
მისი მოსვლის შემდეგ, უკვე კონსტანტინეს მეფობაში, გარდაიცვალა მამა-
მისი, გიორგი და ტახტზე დაჭდა ვაჟი მისი ბაგრატი. ის მაშინ სრულიად
ახალგაზრდა, არასრულწლოვანი იყო და მის საქმეებს განაგებდა დედაშისი,
ასული იმ სანაპარიბისა, რომელმაც ბასილ მეფეს ისფარავანი დაუთმო. სამე-
ფო კარი ურჩევდა (ბაგრატის), რომ უკვე დადგა ხელსაყრელი დრი, იმ ციხე-
სიმაგრეების დასაბრუნებლად, რომლებიც მამამისმა ბასილ მეფეს დაუთმო.
(ამიტომ) თავისი მეფობის მესამე წელს, მეფე კონსტანტინემ აფხაზეთში
გაგზავნა თავისი მსახური ნიკოლა ბარაქიმამნუსი ჯარით. მან გაანადგურა და
გადასწვა იგი. გაწყვიტა და დაატყვევა მრავალი, სხვებმა თავი შეაფარეს მიუ-
ვალ მთებსა და გამაგრებულ ადგილებს, სადაც ჯარმა ვერ შეაღწია. მას ეახლა
მათი ბევრი ბელადი. სანაპარიბის ქალიშვილი და მისი ვაჟი ბაგრატი იმის
პატიებას ითხოვდნენ, რაც მოხდა და ოლუთქვამდნენ, რომ იქნებოდნენ მეფე
კონსტანტინეს სრული მორჩილნი, გულწრფელი, ერთგულნი და მისი ნების
შემსრულებელნი, რომ ამიერიდან არავინ მათგანი არ იმოქმედებდა მის წი-
ნაალმდეგ და გათავდა მათ შორის საქმე ურთიერთ სიამოვნებით და ნიკულა
ბარაქიმამნუსი უკან გაბრუნდა...

II. შენიშვნები

1. ჯუმადა I მუსლიმური კალენდრის V თვეა. 377 წლის ჯუმადა I და-
იწყო 987 წ. 29 აგვისტოს და დამთავრდა 27 სექტემბერს.

2. ბიზანტიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთი დიდი
წარმომადგენელი. 985 წელს ბასილ II-მ იგი დანიშნა დუკად და განაგებდა
„აღმოსავლეთის ყველა ლქეს“; 987 წელს დაუკავშირდა თავის ნაოესას,
ასევე დიდ სამხედრო მოხელეს, კეისრის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ
სკლიაროსს (მისი ძმა კონსტანტინე იყო ბარდა ფოკას დის ქმარი) და შეუ-
თანხმდა მასზედ, რომ ორივენი ერთად იბრძოლებდნენ ბასილ II-ის წინა-
აღმდეგ, წართმევდნენ ტახტს და ფოკა გახდებოდა კეისარი, ხოლო სკლია-
როსი — იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის გამებელი. მიუხედავად იმასა, რომ
სკლიაროსმა შეთავაზებული პირობა მიიღო, ბარდა ფოკას მაინც ეშინოდა,
მოკაშირეს მისთვის ხელისუფლება არ წაერთმია და ერთ-ერთი შეხვედრის
დროს მან იგი შეიძყრო, ციხეში გამოჰკეტა და ზედამხედველად თავისი დედა
მიუჩინა. მაგრამ იმას კი შეპირდა, რომ როგორც კი გაიმარჯვებდა, მიცემულ
პირობას აუცილებლად შეუსრულებდა.

3. იგულისხმება კიევის დიდი მთავარი, ვლადიმირი, რომელმაც იაპიას
თანახმად, 988 წელს (ბიზანტიელი მწერლების მიხედვით კი 989 წელს) ქრის-
ტიანობა მიიღო, რუსეთიც გააქრისტიანდა და კეისრის დაზე — ანაზე იქორწინა.

4. ჯაქრუსის ნამდვილი ვინაობა ბურუსითაა მოცული. ვ. როზენი, მას
აიგივებს სტეფანზე ტარონაცის უან პორტეზთან (B. P. R o z e n, დასახ.
ნაშრომი, გვ. 226, შენიშვნა 178), რომელმაც 990 წელს დარჯანიის ველზე

5. იაპიას ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვანაირადაა გა-
გებული. ს. ჯანაშიას მიხედვით, აქ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის მი-
წები, რომლებიც იმპერატორმა (979 წელს) უბოძა დავითს (Об одном при-
мере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского
«Архитектура древней Армении», 1947, № 29). ასეთივე აზრს აკათარებს
მამისა ბერძნიშვილიც, როცა ამბობს: დავით კურაპალატმა „შეიქრთა ბიზან-
ტიის იმპერატორისაგან ბოძებული „ზემონი ქვეყანანი“, ანუ კარინის, ბასია-
ნის, მარდალის, ჰარქისა და აპატუნიკის ოლქები, მაგრამ დავითის სიკედილის
შემდეგ ბიზანტიამ უკანვე დაიბრუნა ეს მიწები“ (საქართველოს ისტორიის
ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 64).

سے علی سے بخرا کرنا دیکھوں یا میں اس پر نظر پہنچوں۔ میرا جانشینی میں اس کا خوبی کیا جائے؟

6. იაპიას ცნობით, დავით კურაპალატთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ ბასილ II კარგა ხანს ბულგარეთის საკითხის მოგვარებით იყო დაკავებული. 999 (389) წელს კი იგი მუსლიმთა ქვეყნების დასალაშვრაგად გაემართა. 20 სექტემბერს გადავიდა ჯისრ ალ-ჰადიდის ხიდზე, 28 სექტემბერს დაეუფლა შაიხარს, მის ახლოს მდებარე ჰისნ აბუ კუბაისის ციხესიმაგრეს, ჰიმსს და 6 დეკემბერს მიიღდა ტრიპოლის, სადაც დამარცხდა ეგვიპტე-სირიის გურთიანებულ ჯართან ბრძოლაში და იძულებული გახდა ანტიოქიისაკენ დაეხია. ამასობაში გავიდა 2 თვე ერთი დღით ნაკლები. შემდეგ 6 თვე დაპყო მასისსა და ტარსუსში, ე. ი. იქ დარჩენილა დაახლოებით 1000 წლის პერიოდ-მაისამდე.

7. შავგალი მუსლიმური წლის X თვეა. 408 წლის შავგალის თვე ქრისტიანული კალენდრით დაიწყო 1018 წლის 20 თებერვალს და დამთავრდა 20 მარტს.

8. დავით III კურაპალატის შვილობილი, მეფეთა მეფის ბაგრატ III-ის (გ. 1014 წ.) ვაჟი, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე (1002—1027).

9. სტეფანოზ ტარონაცის (ასოლიკის) ცნობით, როცა ბასილ II დავით ქურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ტაოს მივიღა, იქ იმყოფებოდა ბაგრატ აფხაზთა მეფე (Всеобщая история Степаноса Таронского... гл. 200).

10. ფილიმილი (თანამედროვე აკ-შაჰრი) — ადგილია ანტიოქიის ახლოს.
11. იაპიას ცნობით, ოლ-ჰაქიმის გაუჩინარება ჰიჯრით 411 წლის 27 შავვა-
ლის, ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1021 წლის 13 ოქტომბერის მომენ-
ტარა.

12. როგორც ჩვენი ავტორი იუწყება, ხსენებულ აჯანყებას ბიზანტიაში
ადგილი ჰქონდა 413 (1022) წელს და დამთავრდა იგი აჯანყებულთა სრული
მარცხით. აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, ნიკიფორე კისერმოქცეული 14 ჯუ-
მადა პირველს ანუ 15 აგვისტოს ქსიფიასის დავალებით, მისმა მონაშ მოკლა.
თვით ქსიფიასი შეიძყრეს და ბასილი II-ს მიჰვარეს, სხვები დაიფანტენ (გვ. 61).

13. ვ. როჩენის მიხედვით, იაპია ანტიოქიელის თხზულების ხელნაწერში
ამ ვაზირის სახელი წერებულა **رفادس** („რიფადს“) ფორმით და ის უნდა
იყოს გ. კედრენესთან მოხსენიებული ლიპარიტი (B. R. Розен. Импе-
ратор Василий Балгаробойца, გვ. 375, შენიშვნა 381), რაც მეტად საეჭ-
ვოა. უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ **رفادس** — უნდა იყოს
رواذس („რ ე გ ა ზ ი ს“) შერყვნილი ფორმა. მაგრამ ამას ხელს უშლის
ის გარემოება, რომ ქართული წყარო გიორგი მეფის ვაზირად რევაზს კი არა,
„ზ ვ ი ა დ ს“ იხსენიებს („ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დაღვენილი ყველა
ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955,
გვ. 287, 384). ამიტომ ივ. ჯავახიშვილი აღნიშვნას, რომ **رفادس** არის
زويادس — ის („ზვიადის“) დამახინებული ფორმა, წარმოქმნილი გა-
დამწერის დაუდევრობით (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II,
თბ., 1965, გვ. 135). ეტყობა აქარების გამო მან **ج** („გ“) ასოს წერტილი
მომდევნო **و** („ვ“) ასოს თავზე დასვა, რის გამოც **ج** იქცა **ج** („რ“)
ასოდ, ხოლო **و** („ვ“) — **ج** („ფ“) ასოდ. რაც შეეხება **س** („ს“) ასოს,
სიტყვის ბოლოს რომ ზის, ის ბერძნულის გავლენით უნდა იყოს გაჩენილი.
ამის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ გიორგი სახე-
ლის გადმოცემისას იაპია (**خورخ**)—ის ნაცვლად ყველგან წერს **جرجس**
(„ჯურჯის“).

14. ჰიჯრის 414 წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1023 წლის 26
მარტს დაიწყო და 1024 წლის 14 ოქტომბერის დამთავრდა.

15. 416 წლის 18 შავვალი შეესაბამება ქრისტიანული კალენდრის 1025
წლის 12 დეკემბერს.

В. Г. СИЛАГАДЗЕ

СВЕДЕНИЯ ЯХЬИ АНТИОХИЙСКОГО О ВЗАИМООТНОШЕНИЯХ ГРУЗИИ И ВИЗАНТИИ В ПОСЛЕДНЕЙ ЧЕТВЕРТИ X И ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XI ВЕКОВ

Резюме

Сведения арабоязычного писателя XI века Яхьи Антиохийского, содержащиеся в его сочинении «Тарих аз-Заил», имеют первостепенное значение для изучения истории грузино-византийских военно-политических взаимоотношений конца X-го — начала XI вв. Поскольку полного перевода этих сообщений на грузинском языке пока не имеем, в работе вместе с арабским текстом, заимствованным из издания В. Р. Розена (1883 г.), дается грузинский перевод сведений Яхьи Антиохийского о Грузии с краткими комментариями справочного характера.

من تاريخ المذيل

الذى صنفه يحيى بن سعيد بن يحيى الاطلاعى
تبعاً لتأريخ سعيد بن بطرس

٤١ و كافى برس القناس بالعصيان و دعا له بالملك يوم الأربعاء عشر
الصليب الرابع عشر من أيلول سنة الف و مائتين و ثمان و سبعين و
الموافق لثلاث عشر ليلة بقيمة من جمادى الاول سنة سبع و سبعين و
ثلاثمائة و ملك بلد الروم الى ذرومه والى شاطئ البحر وبلغت
عاشرة الى اخر سبلى واستفحلا امره وجزع بأسيل الملك منه
لقوّة جيشه واستظهاره عليه و نفذت امواله فدعته المضرة الى ان
٤٢ ارسل الى ملك الروم وهم عداه يلتصر منهم المعاذدة على ما هو بصدره
فاجابه الى ذلك و عقدا بينهما مصاهرة و تزوج ملك الروم اخت
باسيل الملك بعد ان شرط عليه ان يعتمد و سائر اهل بلاده و هم
امة عظيمة و كان الروس يومئذ لا ينتصرون الى شريعة و لا يعتقدون
ديانة و انفذ اليه بأسيل الملك فيما بعد مطارنه و اساقفة و
اعدوه الملك و جميع من تحويه اعماله و سير اليه اخته و بنت
كنايس كثيرة في بلد الروس و لما استقر بينهما امر التزويج
وردت جيشه الروس ايها و انصافت الى عاصمة الروم التي لباسيل
الملك فتوجهت بجمعهم للقاء برس القناس بربما و بحرا الى اخر سبلى
و استقروا على القناس و استولى بأسيل الملك على ناحية البحر
و ملك سائر العراكب التي في يد القناس و كان بأسيل الملك بعد
هزول جيشه على ظاهر مدينة القدس و احتواه على
ناحية المشرق قد سير الطاروني الماجisteris في البحر الى طرابلس
و جمع حلقة فتوحة الى شاطئ الفرات فانعد برس القناس ولده تغفور

الملوك والقادة الى داود ملك الجرزية صاحب مدينة التي يستشهد به على
رحلة رؤوفة فسیر معه غلاماً له في الففارير وسار معه ايضاً ابنا
بقراط البطريرقيين صاحبي الحالديات في الففارير فللقوا الطارونى
و هرمونه فاتصل بهم في الحال استظهار عساكر بأسيل الملك على القفار
في البحر في اخر سولى فعاد غلام داود الجرزى برجاته و كذلك ابنا
بقراط الذى مواضعهم و احتجوا عليه يائهم قد فعلوا ما اراده منهم من
٤٢ هزيمة الطارونى و تفرق العسكر الذى مع نفور بين القفار فسار الى
والدته و هي مقبرة فى الحصن الذى فيه السفلازم معتقداً
٤٥ و حقد بأسيل الملك على داود ملك الجرزان صاحب القى و على اپس
بقراط صاحب الحالديات لاجائهم القفار و اندذ عسكراً يعزروهم مع
بطريرق يعرف بالجاكرور و قصد اپس بقراط و قتل الكبير منهما و
نفى الصغير و التمر داود ملك الجرزان من الملك بأسيل المفو و
الصفح و بدل له الطاعة رالسيودية و ان يكون بلاده بعد موته مسافة
الى ملكه اذ هو شيخ كبير ولا ولد له ولا وارث غيره و يستاذنه
في اتفاق روساه الى حضرته ليأخذ عليهم ويتوثق منهم في ان يسلمو
البلاد بعد وفاة صاحبهم فحسن موقع فعله في نفر الملك بأسيل و
جعله قربلاط و اندذ اليه ب شيئاً بمرتبة فلسها و دعا في بلاده لباسيل
الملك و سير فالبيق الجرزان الى حضرته مع جماعة من روساً بلاده
فرتعم الملك و احسن اليهم وعاد جماعتهم الى داود

٤٩ ذلك اقام الملك بمساكره في اعمال المصينة و طرسوسسته اشهر معتبراً
على المروءة الى بلاد الاسلام فورد اليه الخبر بموت داود القربلاظ
ملك الجرز في مدينة التي فسار الملك الى هناك و تبعه الماجيسيرو
و الى انطاكيه بالمساكر و نسلم الملك ساير بلاد الجرز و ولئى عليها
ردم من قبله
٥٠ و كاتب روساً البلغر للملك بأسيل يتعبدون له و يرغبون اليه في ان
يتسلم ما في ايديهم من الحصون و البلاد و يستاذنه في الورود الى
٥١ ما قبله و التصرف حسب اوامره فسار الملك حينئذ الى البليغية في

هذا سنه ثمان و اربعين و استقبله جماعة الروس بهَا و اخر
 جمهوراً امراة هارون ملك البلقر و اولاده و تسلّم حسونهم و احسن
 اليهم و رتب كل و اهل منهم على ما يقتضيه استحقاقه و استبقى الحصون
 المنيعه و دلى عليهم ولاده من الروم و اخرب ما سواها و اصلاح امور
 البلقرية و فرر فيها بالسلبية و هم المترولون لجميع الاعمال و
 الاموال و سارت مملكة البلقر ضاده الى مملكة الروم و جعلها قطبانية
 و ذلك في السنة الرابعة و الأربعين من ملكه وعاد الى القسطنطينية
 و اما ما تجده للملك باسيل بعد احده البلقرية فانه لما كان مشغولاً
 هناك متوفراً على حربهم فمد جرجس ملك الابخار لاساده في اطراف بلاده
 المجاورة له و تغلب على حسون و اعمال ممّا سلمه عمه داود القر بذلك
 الى باسيل الملك و مع بلوغ باسيل الملك غرضه من البلقرية واستيلائه
 عليها و عودته الى القسطنطينية لم يرى جرجس هذا ملك الابخار ان
 يستدرك غلطه و كف عن ما هو بسيله و يظفر له المواله كما كان ابوه
 و عمه و لكنه اعجب بنفسه و تماهى في غشه و كاتب الحال في ان يقعاضا
 جيمها على حربه و يقصده كل و احد منهم من جهته فانتها ذلك الى
 باسيل الملك فاشتاط منه حتى علمه و سار من القسطنطينية الى الفلتميل
 ولم يعلم بعد ما في نفسه و اظهر الاستعداد للغزو الى بلاد الشام و
 جهز العبرة والعلوفات والسلاح الى انطاكيه ليكون عدة لغزاته و لم
 يشك احد ان يتوجه الى الشام و اتفق في الحال فقد الحاكم و الملك
 باسيل في الفلتميل و قصد غزو الابخار و عند معرفة الابخاري بذلك جمع
 جيشه واستعان بمن قدر عليه من الغرباء و خرج الى اواخر اطرافه
 طبعاً في لغايه للملك و مباريته و لئلا ان قرب الملك منه و انكشف
 له قوة جيشه فتوافر عسكره انضم الابخاري بغير حرب و تبعه الملك
 الى ان تضى بنهر لم يمكن العساكر الرومية عبوره فاحرق ضياعه و
 نصب ما بها من الغلات و اسر من بلاده و قتل و كحل من اصحابه زها
 ما يقتى الف انسان و اتي على جميع الاعمال و الضياع الذي له الا ما
 كان منها في المواجهه التي دراً النهر الذي اعتصم به و لم يمكن
 العساكر الوصول اليه و هم الفتى فراح الملك باسيل الى طرابزون

ليقيم العساكر بها مدة الشتا ويعود إلى الغزو وفي هذا الوقت
 سُلَيْمَان بن حارب ملك أسرجران جميع حصونه وفلاغه وساير بلد أسرجران
 إلى باسيل الملك وسُلَيْمَان اليه ابن الدبرانى المجاور له حصونه و
 فлагه وآناف جميعها إلى مملكته وعد لها نيف وأربعين حصناً و
 قلعة يجعلها الملك تطابقية مفردة وشن الحصون بالرجال ورتب
 فيها عتالاً وعيوش سنجاريب وابن الدبرانى واهلهمما وانساناً مما
 نعمت ضممة وأموالاً جسيمة ومراتب جليلة ومع حصول الملك في
 طرابزون شرع في تجهيز اسطول في البحر إلى بلد الباخازى فوصل
 إليه رسول من جرجس ملكهم يستعطفه ويعتذر اليه مما فعله و
 يبيذل أن يسلِّم اليه الحصون وساير البلاد التي كانت لعمدة داود
 القرياط وان يعطيه ولده بقراط رهينة على ذلك ولا يحول ولا يتغير
 ما يقى عن العبودية له والموالاة فاجابه الملك بباسيل إلى ما
 ألم به وقبل منه ما بيذهل وانفذ مع رسوله جماعة من الروس
 والقطاء واستحلقو جرجس الباخازى والقاثوليقيوس وهو رئيس
 كهنة بلاده جميع الأصناف وغيرهم من روسياته ومتقدمي أصحابه
 وساير الایمان المؤكدة على التوفا بما بيذله وشرطه وتوثق
 منهم بالإيمان كما يتتوثق من مستقدي الديانات وسار الملك حينئذ

ليسلِّم الحصون والبلاد التي بد لها له الباخازى ويأخذ ولده فاتصل
 بالملك بباسيل في الحال ان نقفور البطريق المفروض بالاكتافوس والى بلد
 الناطليق قد اجتمع مع نقفور المخرج الرفقيه بن برنس الفقاس واتفقا على
 المصيان عليه
 ٦١ وحين عرف الباخازى ماجرى من المصيان في بلد الروم قويت نفسه ورجع
 عما بيذل له وعند وصول رأس الفقاس إلى الملك بباسيل باذن بانفاذه إلى
 جرجس الباخازى ليبيكته على سوْطنه وظهر للملك حينئذ أن جميع ما فعله
 الباخازى وافقه عليه كان على سبيل العيلة منه وذلك لأنَّ وزيراً له

سعى رفانس اشار عليه ان يجعل ايمانه بالله والتوحيد منه شيئاً لابداع
 ۲۲ المكيدة بالملك باسيل الا ان الملك مع حسن ظنه بامان الابهاري و
 سيره الى بلده ليقسم الدياره والمحصون التي بذلها له وياخذ ولده
 استظرف بيان استحب من عياد الرجال وذوي البارز منهم من علم انه
 يقدر به على قهر الابهاري ان عدل عن ما وافقه عليه ولم يعن له به و
 عن الابهاري ان فد تم له على الملك ما قدره فلما قرب منه حجم على عساكر
 الملك ليهزمهما ويرفع بها ثغaries الملك وقتل من عسكر الابهاري واسر
 خلقاً كثيراً وجعلها عطبيها وحرب الابهاري وزبده و من تبعه من اصحابه
 منهزمين وذهب عسكر الملك جموع اموال الابهاري والاثره وما سرى ذلك
 من رحالات اصحابه واستاقوا الروم دوابهم ومواشهم وعاد الانهاري
 حينئذ تذلل للملك و خضع له و توسل اليه ان قبل ولده و تسلم الحصون
 والضياع المقدم ذكرها و وافقه على ان يقتيم ولده بحضور الملك سنتين و
 يعيده اليه و انصرف الملك عن بلد الابهاري متوجه الى بلد الروم و
 ذلك في السنة الثامنة والاربعين من ملكه و هي سنة اربعين عمره و اربعين
 ۴۰ و مات باسيل الملك في تسع ساعات من نهار يوم الحادي عشر من
 كانون الاول سنة الف و ثلثمائة و سبعة وثلاثين وهو لشمان عشر ليلة
 خلت من خوال سنة ست عشرة و اربعين و كان مدة ملكه تسعه و اربعين
 سنة واحد عشر شهر و عمره يوميذ ثمان و سبعين سنة
 ۲۲ و ملك بعده اخوه قسطنطين و دعى له بالملك مفرداً سحر يوم الاثنين
 و كان باسيل الملك قبيل و قاتله بعده قد اطلق بقراط بن جرجس ملك
 الابهاري و اعاده الى ابيه و بعد وصوله توفى بمرضاً يوميذا في ایام
 قسطنطين الملك و ملك بعده بقراط ابيه و هو يوميذ حدث دون النافع
 و دبر امرؤه امه ابنته سماره رب الذي سلم استخراجان الذي باسيل الملك
 و حسن اصحابه له استرجاع الحصن التي سلمها امرؤه الى باسيل الملك
 و القبور لها سفير الملك قسطنطين علامه نقولا السيرا كومونوس بالمساكر
 الى الابهارية في السنة الثالثة من ملكه فاصبها و احرقها و قتل
 منها و سبي ما يعظم مقداره و اعتس اليقون بحسب مساعدة و مراضع

حصينة لم يصل الجيف إليها وخرج اليه جماعة من روسا يهم وسائل الملكة
ابنة ينحاريء وولئها بقراط بالتنصل مما جرى ولها لعنة ربيه وشرطوا
المبودية الصحيحة والمعواة العالمة للملك قسطنطين والرسو منضم المطربقة
المرضية ولا يعود أحد من جهتهم إلى ما يكره استقر الحال بيته ويشتم
على ما وقع الرضي به وعاد نقولا البرا كمومنوس

პარლო ტაბათაძე

ერებლე II-ისა და გიორგი XII-ის რამდენიმე
სპარსული საბუთი

საქართველოს სიძელეთსაცავებში (საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი) მრავლად ინახება სხვადასხვა დინასტიათ ირანის შაჰების ჰოქმები და ფირმანები, წყალობისა და შეწყალების რაყ. მები. აგრეთვე მიერკავების ნახევრად დამოუკიდებელი სახანოების გამგებელთა ბრძანება-განკარგულებები და რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგდღონილები სხვადასხვა სახის მიმოწერა. აქვეა მზითების წიგნები, სასამართლო განჩინებანი, სავაჭრო გარიგებების საბუთები, საგადასახადო ხელწერილები და სხვა დოკუმენტები.

უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს ქართლ-კახეთის მეფეების ერებლე II-ისა და გიორგი XII-ის სახელებთან დაკავშირებული სპარსულენოვანი საბუთები, რომლებიც შედგენილი არიან თავისი ეპოქის სპარსული დიპლომატიკისათვის დამახასიათებელი წესისა და რიგის დაცვით.

საქართველოში სპარსული საბუთის გამოჩენა და მათი ხასიათი მციდროდ იყო იმთავითვე დაკავშირებული ირან-საქართველოს შორის არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთდამკიდებულებათა ფორმებსა და თავისებურებებთან. სპარსული ისტორიული საბუთები, რომლებიც დღეისათვის ხელო აქვს მეცნიერებას და ინახება საქართველოს სიძელეთსაცავებში, ჩენები პირველად გამოჩენდა XVI ს-ის ორმოციან წლებში¹. მართალია, დასაწყისში ირან-საქართველოს შორის მათ მიმოქცევას ერთობ კანტიკუნტი

¹ სპარსული და, საერთოდ აღმოსავლური დიპლომატიკის, აგრეთვე დოკუმენტთა პუბლიკაციების შესახებ იხ. გვ. 2 ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული დიპლომატიკა ანუ სიგელთა მცოდნეობა, თბილისი, 1926; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მახლობელი აღმოსავლეთს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის დოკუმენტური წყაროება, მახლობელი აღმოსავლეთს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1968, გვ. 5—25; მის ი ვ ე. სპარსულ დოკუმენტურ წყაროთა პუბლიკაციები საქართველოში და სპარსული დიპლომატიკის საკითხები, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბილისი, 1972, გვ. 160—170; L. F e k e t e. Einführung in der persische paläographie, 101 persische dokumente aus dem nachlass des verfassers herausgegeben von G. Hazai Akademiado, Budapest, 1977.

² დღისთვის ყველზე დღრინდელ სპარსულ საბუთს, რომელიც კი წარმოდგენილია ჩენების სიძელეთსაცავებში, წარმოადგენს შაჰ-თამაზ I-ის (1524—1576) 1541 წლის ფირმანი სერაჯ აღდინ ბეგისა და მისი ძმის სახელზე შირვანის ვილაიეთში მღებარე ბრინჯის სათესი მშების და ბალების სამუდამო სოციურდალად მოძების შესახებ, უგვიანესი კა განეკუთვნება XX ს-ის დასაწყისს. უფრო აღრეული სპარსული საბუთი საქართველოში, როგორც ჩანს, ან საერთოდ აზ ყოფილა, ან ჩენებად აღარ მოულშევია (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წუგნი I, ნაკვეთი 1, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1961, გვ. 07).

